ISSN 0132-6023

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

6

1987

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

359
გამოცემის ოცდამეათე წელი

6

ივნისი
1987
თბილისი
სსრ კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ასკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ღვინჯილია

სარედაქციო კოლეგია:
გივი ალხაზიშვილი
თეიმურ გელეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გურამ გეგეშიძე
ბესიკ გეგეჭკორი
ბორის გუგლია
თეიმურაზ დოლიაშვილი
მერაბ ელიოზიშვილი
მეფეა კახიძე
შოთა ნიშნიანიძე
გურამ შანიკიძე
მორის ფოცხიშვილი
ალიკო შარაშიძე
ნუგზარ შატაიძე
ავთანდილ ჩხეიძიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
ნოსო ცინცაძე
გოგი ფერეთელი
ტარიელ ჭანტურია
ბადრი ჭოტორელიძე
მაკა ჯოხაძე

შ ი ნ ა ა რ ს ი

პროზა და პოეზია

3. თენგიზ ჩალაური — ... და არ იყო ჩვენს შორის ბმირი. რომანი. დასაწყისი.
53. ნინო ჟუთათელაძე — ლექსები
55. მაყვალა გონაშვილი — ლექსები
57. თეიმურაზ აგულაძე — ლექსები
60. ჯანო ჯანელიძე — ლექსები
63. მანანა ამირეჯიბი — სადაც არ უნდა წახვიდე. მოთხრობა. გაგრძელება.
81. ნოსო მაჭარაშვილი — ლექსები
83. ირაკლი ციგროშვილი — ლექსები

150 — ილია ჭავჭავაძე — 150

84. ნუგზარ შატაიძე, არმაზ გურნაძე — ოლღა და ილია. პიესა.

ახალი თარგმანები

109. ჩანდლერი უფანიშადა. ნაწილი მეოთხე. ეპოსი. თარგმნა ლერი ალიმონაკმა.

დიდი ოქტომბერი — 70

117. გურამ გვეტრდწითელი — ბმირი და დრო. გაგრძელება.

გარდაქმნა დროის მოთხოვნაა

131. მაშუკა ფიკლაური — დაფიქრების ქამი

წერილები

148. აკაკი მინდიაშვილი — რა სჭირდება ადამიანს?

159. ქრონიკა

თენგიზ ჩალაური

...და არ იყო ჩვენს შორის გმირი

რომანი

ყოველგვარი ომი კაცობრიობის უდიდესი მტერია, არა მხოლოდ ცნობილ ჭეშმარიტებათა გამო, არამედ უმთავრესად იმიტომ, რომ იგია ერთადერთი ძნელადსაძლევი ზღვარი, რაც მოაზროვნე ადამიანთა უმაღლეს მოწოდებაა — სიკეთისათვის სამსახურს ეწინააღმდეგება.

არავინ უწყის, შთამომავალნი როგორი გაოცებითა და სინანულით აღნუსხავენ ათეულ საუკუნეთა შემდგომ იმ ფაქტს, რომ ჩვენი დროის ცივილიზებული სამყაროს მრავალი გენიოსისა და მკვლევარის მეცნიერული აღმოჩენანი და შემოქმედებითი ნიჭი ხშირად ბოროტებისა და სისხლისღვრის სამსახურში იხარჯებოდა.

არაფრით არ მსურს ჩემმა გონებამ და გულმა ირწმუნოს, რომ ადამიანი, ამქვეყნად ციცინათელასავით უცოდველ ქმნილებად არ არის მოვლენილი, რომლის არსებობის უმთავრესი დანიშნულებაც ბნელისა და უკუნის ნათლად ქცევაა.

●

აკლდამა-სამალავის მშენებლობა დასასრულს უახლოვდებოდა. ქვის დასამუშავებელ კარიერზე, რომელიც სამი მხრიდან ფლატეებით შემოჯარულ ტაფობში გაემართათ, განთიადიდან დაბინდებამდე ათასზე მეტი მონა თლიდა და აპირკეთებდა მეფეთა სამარხისათვის განკუთვნილ უზარმაზარ ლოდებს.

ბორცვიდან ოინი პატარა, მუცა ჭიანშველებს წააგავდნენ, საცხოვრისის წინ რომ მიდი-მოდიან და საქმიანად ფუსფუსებენ.

კარიერის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ევკალიპტის სიმაღლის, თითქოს დანით ჩამოთლილ პიტალო კლდეში, ოთხკუთხედი გვირაბი შედიოდა, რომელსაც სამი კაცის სიმაღლე და ამდენივე სიგანე ჰქონდა. ასეთივე ნაბიჯის შემდგომ გვირაბს ორივე მხარეს რამდენიმე განშტოება მიუყვებოდა. ეს მიხვეულ-მოხვეული ხვრელებიც, თავის მხრივ, ნაწევრდებოდა და დედამიწის სიღრმეში სხვადასხვა სიმაღლეზე მიემართებოდა.

აქ, მარადიულ უკუნში, რომელსაც ჩირაღდნებით ანათებდნენ, ქვას შეჭიდებული კიდევ სამი ათასი მონა შუაღამემდე ღვრიდა ოფლს და, არც თუ იშვიათად, — სისხლს.

ბოსფორის სამეფოს აღმზევებელსა და სახელოვან მბრძანებელს ლევკონ პირველს არც საკუთარი მუდმივი განსასვენებლის ადგილმდებარეობა შეურჩევია თავისი ნებით და, მით უმეტეს, არც მისი პროექტის შედგენით გადაუღლია გონება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფემ ეს დიდმნიშვნელოვანი საქმე, რვა წლის წინათ, თავის ერთადერთ ძესა და მემკვიდრეს პერისადს მიანდო, კაცს, რომელიც სახელმწიფოშიც და მის ფარგლებს გარეთაც სამი თვისებით იყო ცნობილი და სახელმოხვეჭილი: უდიდესი განათლებით, მრავალ ენათა სრულყოფილი ცოდნით და საოცარი სისასტიკით, თუმცა ეს უკანასკნელი სრულიადაც არ უშლიდა ხელს სამეფოს მთავარი ქურუმისა და პირველი ვეზირის მოვალეობის შესრულებაში.

ბოსფორის მმამავლ მბრძანებელს, არა მხოლოდ გვირგვინოსანი მამის სასუფევლის, არამედ მომავალში საკუთარი სამარხისთვისაც უდიდესი შრომა გაეწია. მოეკლო ეგვიპტე, ინდოეთი, შუამდინარეთი და საბერძნეთი, მოეხილა იმ დროის ყოველი მეტ-ნაკლებად ცნობილი ნაგებობა და საბოლოო არჩევანი აკლდამა-სამალავზე შეეჩერებინა, თუმცა ათენიდან წამოყვანილ არქიტექტორ დრიოდესათვის ამ განზრახვის მხოლოდ საწყისი ნაწილი გაემეღვნებინა.

ხანდაზმული დრიოდე, რომელიც ცხოვრებისეულ შეცდომებს ნაკლებად უშვებდა, საკმაოდ გვიან მიხვდა, რომ განდიდების მანიით შეპყრობილ რიგით ტირანთან კი არა, ლომის მინაგვან მელიასთან ჰქონდა საქმე, მაგრამ თავადაც არანაკლებ გაიძვერამ და შორსმჭვრეტელმა, თავზე ქონი წაისვა და თვალებში ნაცარი შეიყარა, თუმცა სამაგიეროს მიზღვა გონების შორეულ კუნჭულში საიმედოდ მიჩქმალა და შენიღბა.

პერისადის განზრახვით, რომელიც მან ათენშივე გაანდო არქიტექტორს, უნდა აშენებულიყო რიგითი აკლდამა-დრომოსი, დაახლოებით სკვითთა ყორღანის მაგვარი, რომელიც, ჩვეულებრივად, მიწით იქნებოდა დაფარული და ბუნებრივ ბორცეს მიემსგავსებოდა, მაგრამ მეფისწულის ცბიერება იმაში გამომჟღავნდა, რომ ასეთი სამარხი ერთი კი არა, სამი უნდა შექმნილიყო და მთავარი მათგანი, ერთ-ერთი აკლდამიდან მიყვანილი ხვრელით, მიწისზედა სამუშაოების ჩაუტარებლად უნდა, გამოიყენებულიყო.

ამ გეგმის გაცნობისთანავე დრიოდემ დამკვეთს გამჭრიახობა მოუწონა და გუნებაში სარკასტულად ჩაიცინა, რადგან მისთვის უმთავრესი ის თანხა იყო, რომელსაც გარჯისათვის არგუნებდნენ, ხოლო ბოსფორის მეფეთა სამარხს რიდის გაძარცვავდნენ, ათი თუ ასი წლის შემდეგ, ეს ქოშის შესაკერავზე ეკიდა.

პერისადის აზრით, სამივე ყორღანის მშენებლობას, სამი ათასი მონის შრომით, ორი წელიწადი უნდა ჰყოფნოდა. დრიოდემ ვადა რეალურად ჩათვალა, გასამრჯელოდ ხუთასი ფინიკიური მინა ისურვა, რომლის ნახევარიც წინასწარვე მიითვალა, ცოლსა და ვაჟს დაემშვიდობა და შორეულ გზას დაადგა.

ბოსფორის სახელმწიფოში ჩასული არქიტექტორი, თუმცა ბევრი სმენოდა ამ ახლად ძალამოცემულ სამეფოზე, გაოცა მისმა სიმდიდრემ და სიმძლავრემ. სამყაროს ცენტრის ჩრდილოეთით მდებარე ეს ქვეყანა, სულ მალე, შესაძლოა, ათენსა და სპარტასაც შეტოქეობდა, ხოლო მონათა რაოდენობით თუ არ აჭარბებდა, ტოლს, უდავოდ, არც ერთს არ უდებდა.

ლეკკონ პირველმა მშენებლობისათვის გაცილებით მეტი — ოთხი ათასი მონა გამოიმეტა, რამაც ნაწილობრივ გააოგნა კიდეც დრიოდე, რადგან მონათა შრომა რომ ნებისმიერი პოლისის უზრუნველყოფის პირველწყაროს წარმოადგენდა, ისევე კარგად უწყოდა, როგორც პლატონმა.

მაგრამ მომდევნო საღამოს მას გაცილებით მეტი გაოცება ელოდა, როდესაც მეფის მცველთა უფროსმა საიდუმლო თათბირზე მიიწვია და პანტიკაპეონის აკროპოლისის ერთ-ერთ დარბაზში წარუძღვა, სადაც არქიტექტორს ქვეყნის გამგებელი და მისი მემკვიდრე ელოდნენ.

საუბარს პერისადი წარმართავდა. მან მეტისმეტად შორიდან დაიწყო, ეგვიპტეში მოგზაურობა გაიხსენა და განსაკუთრებით ვრცლად ფარაონთა პირამი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დების აღწერაზე შეჩერდა. დრიოდეს პირველხანად ეშვიც კი შეეპარა, მამაშვილს ხეოპსის სამარხის მაგვარი მშენებლობა ხომ არ განუზრახავთო, ამას არა თუ ბოსფორის, თვით სპარსეთის ხაზინაც ვერ გასწვდებოდა, მაგრამ თითქოს მისი ჩანაფიქრი ამოიკითხაო, უფლისწულმა თავადვე აღნიშნა ეს, და სხვათა შორის ისიც მოიგონა, რომ მიუხედავად პირამიდების გრანდიოზულობისა, ვერც ხეპსუს, ვერც ხუფუს, მანკაურასა და მზის სხვა შვილთა სამარხები გადაურჩა ძარცვასა და იავარქმნას, რადგან ის აურაცხელი სიმდიდრე, რაც მათ აკლდამებში და სარკოფაგებში იყო, ქვასა და კლდეს კი არა, ქვესკნელს გაარღვევინებდა ადამიანთა უდიდეს სენს — სიხარბეს.

— ხილულსა და განძარცულ დიდებას, უხილავი და ხელშეუხები სჯობს! — მოიშველა პერისადმა ძველი ლათინური ანდაზა და მთავარ სათქმელზე გადავიდა.

მან მეფესა და არქიტექტორს გააცნო ის იდეა, რომელსაც აკადმის მალავდა და რომლის განხორციელებასაც აპირებდა. აკლდამა-ყორღანთა აგება და შექმნა ჩვეულებრივი სატყუარა უნდა ყოფილიყო. ყველას — დიდებულებს, მსახურებს თუ მონებს უნდა სცოდნოდათ, რომ განზრახული მშენებლობა მიმდინარეობდა და ერთადერთი იყო, მაგრამ ყოველივე ეს სხვათა თვალისასახვევად და გასაბაიბრუებლად მოხდებოდა.

სატახტო ქალაქ პანტიკაპეონიდან ნახევარი დღის სავალზე არსებობდა წრიული ფორმის უზარმაზარი, მთლიანი კლდოვანა ქვის საბადო, სადაც გვირაბებად შეჭრილ სამტეხლოებში ბოსფორელ დიდებულთა სასახლეების, ციხედარბაზებისა და სამარხებისათვის, აგრეთვე ქალაქის თეატრის, პალესტრასა და გიმნასიონებისათვის აურაცხელი რაოდენობით იჭრებოდა სხვადასხვა ზომის ქვის ფილები.

ესოდენ დიდ მშენებლობას, როგორსაც სამი აკლდამა-ყორღანის განხორციელება მოითხოვდა, უთვალავი რიცხვი დენობის ქვის მასალა უნდა დასჭირვებოდა. დრიოდეს, აკლდამების აგების პროცესში, ყველასაგან ფარულად და შეუმჩნეველად, ვითომც უფრო მკვრივი ქანების ძებნის საბაბით, უნდა შეექმნა ლაბირინთი, რომელიც როგორც სიგრძით, ასევე სირთულით, მინოტავრისათვის აგებულ, მეფე მინოსის ლაბირინთს ბევრად გადაეჭარბებდა.

მეფის ოფიციალური დაკრძალვის შემდგომ, რომელსაც რჩეულთა მხოლოდ ვიწრო წრე დაესწრებოდა და, ამიტომაც, ადრე თუ გვიან, მისი ნეშტის ადგილსამყოფელი ყველასათვის ცნობილი შეიქნებოდა, ფარული გვირაბით სარკოფაგი და განძეულობა გადატანილი იქნებოდა მთავარ სამალავ ყორღანში, ხოლო იქიდან, ასევე მიწისქვეშა გზით, ლაბირინთის ცენტრში, რომლის ყოველი კედელი ამოშენდებოდა, შეინიღბებოდა და პირვანდელ სახეს დაუბრუნდებოდა.

პერისადმა საუბარი დაამთავრა, ხელის თითები მორიგეობით გაატკაცუნა და ცბიერი ღიმილით დრიოდეს შეაცქერდა, თითქოს ეკითხებოდა, როგორ მოგწონს ასეთი გეგმა-ხრიკიო.

ჩაფიქრებულმა და მოღუშულმა არქიტექტორმა ცოტა ხნით იყუჩა, იცოდა, სიტყვას, როგორც ღვინოს, დახანება ფასს შემატებდა, შემდეგ კი უარყოფის ნიშნად თავი გააქანქარა.

ასეთი მოურიდებელი უარით შეურაცხყოფილმა ლეკკონ პირველმა სამეფო საკარძლის სახელურს მუშტი გაგულისებით დაჰკრა და თვალები რისხვით დააკვესა, მაგრამ პერისადმა წარბები შეჰყარა, მოიღუშა და მეფე იმწამსვე დაწყნარდა. ნათლად ჩანდა ამ სახეშეშუპებულ გაიძვერას არა მხოლოდ სახელმწიფოს მართვის სადავეები ეპყრა ხელთ, არამედ გვირგვინოსანი მბრძანებელიც მუშტში მოექცია და თავის ნებაზე ათამაშებდა.

— რა უშლის ხელს დიდ არქიტექტორს ჩვენი ჩანაფიქრის განხორციელებაში, იქნებ ის, რომ მარადიულის და

ეროვნული ბიბლიოთეკა

განუმეორებლის შექმნა არ ხელეწიფება?! — იკითხა უფლისწულმა და დამცინავად ჩაიქირქილა.

დრიოდე, იმის მისანიშნებლად, რომ გაკილვა ყურად არ იღო, აუღელვებლად წამოდგა და დარბაზში დინჯად გაიარ-გამოიარა.

— უპირველესად დრო, — როდესაც პერისადს გაუწორიანწორდა, მაშინდა თქვა, — იმას, რაც უფლისწულმა შემოგვთავაზა, სულ მცირე, ათი წლის გამუდმებული შრომა დასჭირდება, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ოთხი ათას მონას ერთიც არ მოაკლდება, — აქ მან ხელი ზეცისკენ შემართა, — მოირები კი, მოგეხსენებათ, არავის ეკითხებიან, როდის გაწყვიტონ ბედის ძაფი.

პერისადი იმწამსვე მიხვდა, რომ დრიოდე მოირებს მეფის გამო იშველიებდა. და ამით მის ასაკოვნებაზე მიანიშნებდა.

— გვიჩვენონსან არქონტს არსად ეჩქარება, — მოურიდებლად წარმოსთქვა, — ხოლო მონები ბოსფორს ყამთა სვლასთან ერთად, უფრო და უფრო მოემატება, — აქ მან მამას გვერდულად გახედა და იმანაც, დასტურის ნიშნად, ქუთუთოთა დახრით დაუკრა კვერი.

— საუბედუროდ, უკვდავი არც არქიტექტორია, იგი კი, თავადაც ხედავთ, საკმაოდ ხანდაზმულია, — საკუთარი თავი ფარად იმარჯვა დრიოდემ.

პერისადი ცივი და გამჭოლი მზერით შეაცქერდა ხუროთმოძღვარს, ყორნის ბოლოსავით შავი, მოკლე ულვაში ქვედა ტუჩით მოისინჯა, თითქოს ამოწმებდა, ადგილზეა თუ არაო, და მრავლისმთქმელად გაიღიმა.

იგი მშვენივრად ხვდებოდა, ეს ცბიერი ბერძენი თავს რომ იფასებდა და უბრალოდ ვაჭრობდა. ჯერ კიდევ უშუალო გაცნობამდე, მას დრიოდეს შესახებ ყოველგვარი ცნობა ჰქონდა მიღებული და შეკრებილი. ისიც კარგად უწყოდა, სამყაროს დედაქალაქში იმყამად ბარე სამი ხუროთმოძღვარი მაინც რომ იღწვოდა, რომელთაც მასზე მეტი დიდებაც ჰქონდათ მოპოვებული და შეკვეთებიც მიღებული. ამასთანავე, ამ ხელმოცარულ კაცს, დიდი ხნის სანუკვარი ოცნება და აუხდენელი ოცნებაც ჰქონდა, რომლის განსახორციელებლად ფული ისევე სჭირდებოდა, როგორც მშრალზე ამოგდებულ თევზს წყალი.

დრიოდეს სანუკვარი ჩანაფიქრი კი იმაში მდგომარეობდა, რომ როგორმე ერთადერთი ვაჟიშვილი ევპატრიდებში, ათენის ფაქტიურ განმგებლობაში დაეფუძნებინა. ეს ახალგაზრდა, ნიჭიერი კაცი, როგორც განათლებითა და ორატორული ნიჭით, ასევე მიზანდასახულობითა და ძალგულოვნებით, ამ პატივს უდავოდ იმსახურებდა, და თუ მამის დახმარებით იგი დასახულს მიაღწევდა, მომავალში დრიოდე-უმცროსის სტრატეგოსობასა და ტირანობას წინ ვეღარაფერი გადაეღობებოდა.

პერისადმა ისიც განჭვრიტა, თუ რატომ ესწრაფოდა ესოდენ ეგოისტი და განდიდების მაძიებელი კაცი მონაგარის აღზეევებას.

რამდენიმე წლის წინათ, როდესაც დრიოდე ათენის უპირველეს ხუროთმოძღვრად იყო მიჩნეული, საბერძნეთის ფაქტიურმა განმგებელმა დემოსთენემ მას ეპიდავრში ასაშენებელი თეატრის პროექტი დაუკვეთა. არქიტექტორმა დავალება პირნათლად შეასრულა, დათქმული გასამრჯელოც მიიღო, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი — დემოსთენეს იგივე დაკვეთა პოლიკლედ უმცროსისათვისაც მიეცა და საკუთარი თვალსაზრისით არჩევანი ამ უკანასკნელს არგუნა, ხოლო უკვდავებას თითქმის ხელჩაჭიდებულ დრიოდეს ხელის თითებში ქუსლი ჩაჰკრა და ოლიმპოდან თავდაყირა გადმოუძახა.

ახლა, თუ გაწბილებული ხუროთმოძღვრის შთამომავალი საბერძნეთის ტირანის კვერთხს ხელში მოიგდებდა, ძამის ღვაწლსაც გაიხსენებდა და ძის წლობით ნალოლიავებ ოცნებას ბორცს შეასხამდა.

— ბრძენმა დრიოდემ ახლახანს აღნიშნა, რომ უკვდავი არც არქიტექტორია, — მშვიდად შეახსენა პერისადმა.— ისტორია კი ვვამცნობს, ხუროთმოძღვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი მაშინ ჰპოვებს მარადისობას, როდესაც გრანდიოზულსა და განუმეორებელს შემქნის... ნუთუ ხელოვანი უარს იტყვის ღმერთებთან გატოლებაზე, მაშინ, როდესაც ჩვენ აძის საშუალებას ვაძლევთ?!

პერისადის ტირადა ორაზროვანი იყო, იგი, ერთი მხრივ, ლაბირინთსა და აკლდამა-ფრომოსზეც მიანიშნებდა და, ამასთანავე, დიდი საფასურის მეოხებით მისი ოცნების აღსრულებასაც გულისხმობდა.

— ყოველი ახალი წლის დასაწყისში დრიოდე მიიღებს ორ ტალანტს, იგივე სოლონის ას ოც მინას, — მეფური გულუხვობითა და თავმოწონებით განაცხადა ლეგკონ პირველმა და ამით ყველა სადავო საკითხი მოგვარებულად ჩათვალა, მაგრამ იგი ცუდად იცნობდა ბერძენი არქიტექტორის ბუნებას და გულუბრყვილობით შენიღბულ მელაძუობას.

— ღმერთების ნებისა და თანხმობის გარეშე დიდი საქმე არ წყდება. — შთაგონებული ხმით განაცხადა დრიოდემ და ამით პირდაპირ პასუხს თავი აარიდა.

პერისადმა კვლავ დამცინავად ჩაიქირქილა. იგი ცხადად კითხულობდა დრიოდეს აზრებს, ისიც მშვენივრად იცოდა, ხელოვნების მფარველი ღმერთები მისი ხელზე მოსამსახურე ბიჭები რომ არ იყვნენ.

— აპოლონი ხვალვე განგვიცხადებს თავის გადაწყვეტილებას! — დარწმუნებით თქვა მან.

არქიტექტორმა წარბების ზეაწევით შუბლზე ღრმა ნაოჭები დაისხა. — როგორ? — უნდოდ იკითხა, — რაიმე ზეციურით?

დონდღლო, მომჩვარული სხეულისათვის შეუღებელი და წარმოუდგენელი სისწრაფით წამოიჭრა უფლისწული, მარჯვენა ხელი მსხვერპლზე თავდამსხმელ კობრასავით გაიქნია და გაუშიმ, თითქმის ცხვირთან მიუტანა შემკრთალ დრიოდეს და უბგერო, ცივი ხმით დაისისინა:

— სს... სს... ის გვისმენს... გვისმენს...

პერისადის აგზნებული პირისახე არაამქვეყნიურის, ზეადამიანურისა და, ამასთანავე, შეშლილის ნიღბით იყო დაღდასმული, და მისგან ნათელმხილველის ისეთი ურყევი რწმენა და სიმტკიცე გამოსჭვიოდა, რომ დრიოდემ თავისდაუნებურად ზურგს უკან მიიხედა, იქით, სადაც უფლისწულს ცივი, უაზრო და ჭრელი თვალები მიემართა.

დარბაზის ვრცელ, დასავლეთ კედელზე დიდი ოსტატობით შექმნილი სცენა იყო წარმოსახული, რომელიც ხელოვანს ზღვის ნაირფერი კენჭებით შეესრულებინა. მოღიმარსა და გამარჯვებულ აპოლონს შემზარავი ურჩხული დაეთრგუნა, ზედ გადასჯდომოდა, ფეხებით შეებორკა და მიწას აკრავდა. ჩრდილდნების მოლაციცე შუქზე შერკინებულთა სხეულები ოდნავ მოძრაობდნენ და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს შეტოქება ჯერაც არ იყო სრულად დამთავრებული.

ღრმად მორწმუნე დრიოდეს შიშის ჟრუანტელმა დაუარა, მთელი სხეულით შეაძიგძიგა, მსწრაფლ შემობრუნდა და პერისადის დამცინავ მზერას შეეფეთა, რომელიც სავარძელს მიბრუნებოდა და ნახევრად წამოწოლილი იჯდა.

— ხვალ დიდი ბერძენი სტუმრის სამგბლოდ, ქალაქის ამფითეატრონში, ქვეყნის მტრების და ტყვეების საჯარო დასჯა მოეწყობა, — აედოსივით მელოდიური ხმით ამცნო მან, — არქიტექტ იმედს გამოთქვამს, რომ სანახაობა ხუროთმოძღვარს სიამეს მოჰგვრის.

განცდილით და ამ საოცარი კაცის სახეცვლილებებით გაოგნებულმა დრიოდემ მადლობის ნიშნად თავი დახარა და წასვლის ნებართვა ძლივს ამოილულლუღა.

ლეგკონ პირველმა მემკვიდრეს გადახედა და მხოლოდ შემდგომ შემართა ხელი, რაც თათბირის დატოვების უფლებას იძლეოდა.

არქიტექტორი აკროპოლისის კიბეს ჯერ კიდევ არ იქნებოდა ჩაცილებული, რომ მეფე მოუთმენლად აწრიალდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუზარადივით მძიმე გვირგვინი მოიხადა და მუხლებზე დაიდო.

— არიან ადამიანები, რომელთა დაყოლიება გაცილებით ძნელია, ვიდრე ჩვენი დიდი პაპის აიეტის ხარების უღელში შებმა, — დიდაქტიკური შეგონებით თქვა მან. — რას მოიმოქმედებს უფლისწული, ამ პლებეიმ რომ უარი გვითხრას და გაგვაწბილოს?

მემკვიდრემ მზეზე მთვლემარე კატასავით მინაბა ჭრელი თვალები.

— კითხვას, რომლის პასუხიც წინასწარვეა ცნობილი, აზრი არა აქვს, — მშვიდი დარწმუნებით წარმოთქვა. — დრიოდე ხვალ საღამოსვე შემოგვითვლის მსახური პირით თანხმობას.

ლევკონ პირველმა დაღლილი კეფა მოიქექა.

— ყველამ უწყის, ბოსფორის მეუფე ბრძოლის ველზე რომ მუდამ ლომი იყო და მტრის ჩანაფიქრის ამომცნობ-მჩხიბავიც, მაგრამ ახლომდგომთა ზრახვანი ხშირად ბნელით მოცული იყო მისთვის, — აქ მეფემ ცოტა ხნით შეიცადა, ეტყობოდა, რაღაცას წყვეტდა, ღირს თქმად თუ არაო, — ნუთუ დრიოდემ ათი წლის ვადა გულმართლად გვამცნო? — მაინც იკითხა.

— თითქმის, — იყო პასუხი.

ლევკონ პირველმა დანანებით გადაიქნია ჭაღარა თავი, თითქოს ლაბირინთის დამთავრებას მისი სიკვდილი უცილობლად უნდა დამთხვეოდა.

— მიკვირს, როგორ ენდობა ჩემი მემკვიდრე კაცს, რომელსაც ძაღლის მზერა აქვს და მგლის ბუნება.

უფლისწულმა კისერი მოიღრიცა და სიბრალულით გამოხედა, ისე შესცქეროდა, როგორც მოყვარული შვილი ვონდაბინდულ მამას.

— ათას ოთხასი წლის წინათ, ეგვიპტის დიდმა ფარაონმა ამენემხეტ უფროსმა თავის მემკვიდრეს სენუსენტრუს შეგონება უთხრა, რომლის ჭეშმარიტებაც მარადიულია; ახლავე მოგახსენებთ, — თქვა, სავარძლიდან დინჯად წამოდგა, დარბაზის უშორესი, ნაკლებგანათებული კუთხისკენ გაემართა და გაუჩინარდა.

ცოტა ხნის შემდეგ, თითქოს ქვესკნელიდან ამომავალი მშრალი, შრიალა ხმით, ყოველგვარი განცდისა და ინტონაციის გარეშე, სიტყვებმა მდორედ, ექოს გამოცემით იწყო დენა.

— ერიდე ქვეშევრდომებს... ნუ მიუახლოვდები მათ და ნურც მარტო დარჩები. არ ენდო ძმას, ნუ სცნობ მეგობარს, ნურც იყოლიებ სანდო ადამიანს, რამეთუ ეს უაზრობაა. როდესაც გძინავს, თავად დაიცავი გული შენი, რადგან უბედურების ჟამს ადამიანს არა ჰყავს მცველი!

უპირველესი ფარაონის ეს უძველესი აზრი, მეფეთათვის თავისი პირდაპირი სიმართლით იმდენად ცხადი და შემზარავი იყო, რომ თვით ძალგულოვნებით ცნობილმა ლევკონ პირველმა მუხლებში ჩადგმულ გვირგვინს არწივის კლანჭებივით ჩაეწნა თითები და თავზე ჩამოიხსნა.

იმავ წამს დარბაზის ჩაბნელებული კუთხიდან შვილის ნაცნობი და სარკასტული ხითხითი შემოესმა და შემდეგ თეთრ გიმატიაში გამოხვეული პერისადიც გამოჩნდა.

— გვირგვინოსან მამას ბოსფორის სამეფოს მემკვიდრე არასოდეს შეეცილება ტახტს, — თითქმის მხიარული კმაყოფილებით წარმოთქვა მან, — რადგან მას ოქროს სიმძიმე კი არ იზიდავს, არამედ ძალა-უფლება და მოქმედების თავისუფლება, რომელიც მშობელმა კარგა ხანია თავისივე ნებით დაუთმო.

ლევკონ პირველი ცხოვრებაში პირველად შეკბენდა, მაგრამ ეს არასასიამოვნო გრძნობა იმან გაუქარწყლა, რომ მიხედა, პერისადმა სრული ჭეშმარიტება გაანდო.

— თუ უფლისწული სცნობს ფარაონის შეგონებას და ეთანხმება მას, — წეღანდელ ნათქვამს მიუბრუნდა იგი, — იქნებ მამცნოს, როგორ აპირებს ჩვენი სახელმწიფოს კიდევ მეტად გაძლიერებას, ახალ ხალხთა და მიწათა შემომტაცებას უომრად, ხოლო თუ დიად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩანაფიქრზე ხელი არ ჩაუქნევია, მაშინ თავად საზღვრებს გარეთ მყოფი, ვის იმედზე დასტოვებს დედაქალაქს, სადაც უთვალავი ტახტის მოცილე ეყოლება, ანდა იქნებ პერისადს ჰყავს მსახურნი, რომლებიც უპატიოსნო სინდისს ერთ პატიოსან ქვაში არ გასცვლიან?

მეფემ ამ სიტყვით, წეღანდელი შეცდუნებისათვის სამაგიერო მიუზღო მემკვიდრეს, კერძოდ, იმით, რომ აგრძნობინა, შენი, როგორც მამაკაცის არასრულყოფილების ამბავი ჩემთვის ცნობილია და ჩემსავით ეაკის იმედზე ვერასოდეს მიატოვებ დედაქალაქსო.

პერისადმა მისი ნათქვამი ცალ ყურში გაატარა, ულვაში მოიწიწკნა, სავარძელს მიუბრუნდა და წინანდებურად, სანახევროდ წამოწვა.

— ბოსფორის მომავალი ხელმწიფე. გამეფების დღიდან ერთხელაც არ დასტოვებს ქალაქს, არა იმიტომ, რომ ჩანაფიქრი უარყო, არამედ უბრალო ჭეშმარიტების შეცნობის გამო.

ძალგულოვნებით და უშიშროებით ცნობილი ლომი, რომელსაც მბრძანებელი მამა სჯაბნის კიდეც, ვერასოდეს გაუტოლდება ცხრაფეხას, რადგან უმძიმესი შერკინების ყამსაც კი, მისი ცხრავე საცეცი ცალ-ცალკე იბრძვის და ამასთანავე ყველა ერთდროულად, ყოველი მხრიდან იცავს თავს და გულს, ამიტომაც, ნებისმიერი მათგანის მარცხი საბოლოო შედეგზე ზემოქმედებას ვერ მოახდენს.

ლეკონ პირველიც, თავის მხრივ. მშვენივრად მიხვდა მემკვიდრის სარკაზმს და შუბლიდან ღაწვზე ჩამომავალ ნაიარევზე უნებურად ჩამოისვა მარცხენა ხელის თითები, მაგრამ გულში სხვა გაიფიქრა: ცხიერებით ოდისევსსაც აჭარბებსო, და ამ დასკვნის უტყუარობაში რომ ერთხელაც დარწმუნებულიყო, ახლა სხვა შეკითხვა მისცა:

— რა იმედი აქვს შორსმჭვრეტელს, რომ დრიოდე, რომელმაც ოქროს გულისთვის სამშობლო და ოჯახი მიატოვა, ლაბირინთში არ დაიტოვებს ერთ ისეთ ხვრელს, რომლის შემწეობით პერისად პირველს მამის მდიდრულ ტაძლავს გაუძარცვავს და მის ნეშტს ტურების საჭიჯნს გახდის?

რულმორეულ, ოთხმის მთვლემარე უფლისწულს ხველანარევი სიცილი აუტყდა, მას სიამოვნება მიანიჭა ამ გულუბრყვილო შეკითხვამ.

— რამდენი შესასვლელ-გამოსასვლელიც უნდა ჰქონდეს ჰადესს, იქიდან თავის დაღწევა მაინც არავის ძალუძს, — აუხსნა მან. — დრიოდეს ჩონ-ჩხი მეფეთა სამარხის მუდმივ მცველად დარჩება!

●

მეორე დღეს უფლისწულის ბრძანებით, სატახტო ქალაქ პანტიკაპეონში სახელმწიფოს მოღალატეების და მონობაზე უარისმთქმელ ტყვეთა საჯარო დასჯა მოეწყო.

ამფითეატრონში, რომელიც ათენისაზე გაცილებით მომცრო იყო, ბერძენი ხეროთმოძღვარი მეფისა და მემკვიდრის გვერდით დაბრძანეს.

— დღეს, — ავკაციური ღიმილით ამცნო პერისადმა, — ჩვენი დიდი სტუმრის საამებლად და თვალგასახარად ასი კაცი შეაღებს ტარტარის კარს.

თუმცა დრიოდე უმიზნო ხოცვა-ყლეტის მომხრე არასოდეს ყოფილა, მაინც დიდად ნასიამოვნები დარჩა, როდესაც საყვირივით მაღალი ხმით, არენის გამრიგემ ტრიბუნებზე შეკრებილთ უფლისწულის ნათქვამი ამცნო.

მიუხედავად იმისა, რომ პერისადის სადიზმი და დაუნდობლობა საქვეყნოდ იყო ცნობილი, არქიტექტორი მაინც გაოცა იმ უსაშველო სისხლისღვრამ, რომელიც უფლისწულს თავად მოეფიქრებინა.

ტყვეთა პირველი წყება, ოცდახუთი კაცი, რომელნიც უდავოდ ახლახანს დამარცხებული მეოტებისა და სინდების ტომთა მეომრები იყვნენ, დედაშობილანი შემოყარეს არენაზე.

ტრიბუნების პირველ რიგებში მსხდომ მაყურებლებს სურვილისამებრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეზოდასხვა საომარი იარაღი ჰქონდათ მოტანილი — მშვილდისრები, სასროლი შუბები და ფარდულები.

ამფითეატრონზე შეკრებილი ბრბოს თავაშვებულ ღრიალში, უბედური ტყვეები ორმოში გამომწყვდეული — კურდღლებივით ამოხოცეს, უკვე განგმირულ და უსულო სხეულებს თავები წაჰკვეთეს და მსურველებს ხუთ-ხუთ დრაჰმად მიჰყიდეს.

მეორე სანახაობად არენის მსახურებმა სახელმწიფო მოღალატენი, კვლავ ოცდახუთი კაცი, შემოიყვანეს, მათი ოჯახებით, ცოლებით და შვილებით,, ჯალათებმა მამაკაცები საჯაროდ ძელებზე გასვეს, ერთმანეთის მიყოლებით და მორიგეობით, ისე რომ მომდევნოს მის წინ მდგომის ტანჯვა-წამებისათვის ეყურებინა და წარმოედგინა, თუ რა საშინელება ელოდა.

ასეთ სანახაობებს მიუჩვეველმა დროოდემ გულისრევა იგრძნო და წამოდგა, მაგრამ პერისადი გიმატის გულისპირში წასწვდა და თვალებში იმდაგვარად ჩააცქერდა, რომ ბერძენ სტუმარს შიშის ერუანტელმა ფეხის ფრჩხილებამდის ჩაუარა.

— საუკეთესო თავშესაქცევი ახლა იწყება, — ჭრელი და გამოცეცხლული თვალების მინაბვით ამცნო უფლისწულმა და დაკბენილი ტუჩები ენით მოილოკა.

დროოდეს წამით მოეჩვენა, რომ პერისპირ მიბჯენილი თეთრი, ჰინდური კობრა ესაუბრებოდა. ასე იყო თუ ისე, სამეფო ლოჟა მაინც უნდა მიეტოვებინა, რათა ყელში მობჯენილი კუჭის წვენი ამოენთხია. როგორც ჩანს, ეს პერისადმაც შეატყო, ხელი შემართა და ორმა მსახურმა გაფითრებული სტუმარი კიბეზე ჩააცილა.

გათავისუფლებული და ოდნავ სულმოთქმული დროოდე იმავე მსახურებმა საიდუმლო ხვრელით ამოიყვანეს უკან. ესეც ერთგვარი პატივისცემის მიმნიშნებელი: მოქმედება იყო, მეფე სიცოცხლეშივე უცხადებდა ნდობას იმას, ვისაც სიკვდილის შემდგომაც ანდობ ნდობოდა.

ამფითეატრონი აღარ ღრიალებდა, ამის სანაცვლოდ თავშეუკავებლად ხარხარებდა და გამაყრუებლად უსტვენდა. რომაულ სავარძელში მისვენებული ლეკვარ პირველი სასმისით ხელში თვლემდა, პერისადი კი კვლავ ტუჩებს იკვნეტდა და მოკლე ულვაშს იწიწკნიდა.

სახელმწიფოს მოღალატეთა დასჯა დამთავრებულიყო, მაგრამ სისხლისღვრა გრძელდებოდა; არენაზე ჩასული მოხალისე პლებეები დასჯილთა ოჯახებს აუპატიურებდნენ, მაყურებლები ბეცებადქცეულ მამაკაცებს შეძახილებითა და ტაშისცემით აძხენვებდნენ. უმწეოთა წივილ-კივილი და გოდება საყოველთაო ხორხოცში ინთქმებოდა.

როდესაც ყოველივე დასრულდა, ნამუსახდილი ქალები და ბავშვები ჯალათებმა ქომებივით დაკლეს, საზიდრებში ჩაყარეს და არენიდან გაიტანეს.

— ამბროზია მეფის საუკეთესო მეგობარს! — მწივანა, მაღალი ხმით იყვირა პერისადმა. შემდეგ ზეწამოიჭრა, ორთავე ხელი ზეცისაკენ აიშვირა და ქანდაკებასავით გაირინდა.

არქიტექტორს, ძვირფასი თვლებით მოოჭვილი თასით, ლალისფერი სასმელი მიართვეს, იმანაც, ყელჩახრიწულმა და ნაწლავებგამომშრალმა, მოზრდილი ყლუპი მოსცა და იგრძნო, ცეცხლი და სამსალა რომ ერთდროულად ჩაყლაპა. გავარვარებული ნაკვერჩხალი მიიწევდა მისი სტომაქისაკენ და ზზად ყველაფერს თუთქავდა და დადავდა. სპაზმებმა სული შეუხუთა, თვალებიდან ცრემლები ჩამოეღვარა და იმავ წამს საოცარი შვება განიცადა, თითქოს გონდაკარგული ცივსა და ანკარა წყლით სავსე აბაზანაში ჩაუშვეს. შემდეგ მთელ სხეულში ძალის სასიამოვნო მოზღვავება იგრძნო, უცნობი ჯადოსნობის შემწეობით კვლავ ჭაბუკად მოექცა და ნეტარებისაგან, რომლის მაგვარიც არასოდეს განეცადა, თვალები მიბლიტა.

რამდენ ხანს იყო ასე, ამდაგვარ მდგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომარეობაში, ვერ განსაზღვრა, თითქოს გონება სხეულს გაეყარა და სადღაც, ოლიმპოს მთის ზევით ლაჟვარდში, ღმერთების სიახლოვეს, თავისუფლად გაინავარდა. მხოლოდ ხანგამოშვებით მის სმენამდე რაღაც შორეული, გაურკვეველი ძახილი აღწევდა. ყური გაიმახვილა და ბგერების გარკვევას შეეცადა.

— კია... კიან... ფა, — ნელ-ნელა, აუჩქარებლად იქმნებოდა რაღაც უცნობი სიტყვა, მაგიური ძახილი, რომელსაც ყოველი მხრიდან ექო ეხმიანებოდა. შემდგომ ეს სიტყვა, ბრძანება თუ თხოვნა, უფრო და უფრო გამოიკვეთა, რეალურად იქცა და როდესაც დროიდემ ნაძალადევად აზიდა ქუთუთოები, კვლავ ზეცისაკენ ხელებშემართული პერისადი იხილა, რომელიც ეგვიპტელ ქურუმთა გვარად პირისახით ღმერთს უცქერდა, ხოლო თვალებით ამფითეატრონის ტრიბუნებზე ფეხზე წამომდგარ ხალხს.

ბრბოს საოცარი, მისტიკური აღგზნება დაუფლებოდა და სამეფო ლოჟისაკენ ხელებგამოწვდილი რაღაცას თხოულობდა და ეშუდარებოდა, უეცრად პერისადმა გველური მოძრაობით სხეული გაკლაკნა, მკლავები მათრახებივით დაიქნია და გვირგვინოსანი მამისაკენ გაიშვირა.

— კიანფა.—მხოლოდ ტუჩების მოძრაობით დაიჩურჩულა მან და იმავ წამს ხუთი ათასმა კაცმა ეთრდოულად გიჟური სასოწარკვეთით ღრიალა:

— კიანფა!

ლევკონ პირველმა, ისევე, როგორც დროიდემ მძიმედ, ნაძალადევად გაახელა თვალი. ეტყობოდა, ისიც ისევივე ნირვანაში იყო, როგორიც ცოტა ხნის წინ მისი სასატაო სტუმარი, შემდგომ მძიმედ, გაჭირვებით იწყო წამოდგომა და თანდათანობით ძალა მოიცა. ღმერთების სასმელი ხელმეორე ზემოქმედებას იწყებდა, ამას დროიდეც გრძნობდა და როდესაც მეფე მთელი სხეულით აიმართა, მის თვალებს შუქმინათებული ბრილიანტის ცივი და სხივის ამრეკლი ელვარება მიეცა; მან სანახევროდმოხრილი მკლავი მხარსუკან გადაიქნია, ტრიბუნებზე მდგომ ხალხს მზერა მოავლო, მოულოდნელად მუშტი მოკრიფესავით მკვეთრად ზეცისკენ შესტტორცნა და ისტერიული ხმით ღრიალა.

— კიანფა!

ბრბომ აიწყვიტა, რაღაც ზებუნებრივი ექსტაზით აღტკინდა, თითქოს ბოროტ სული შეუსახლდაო სხეულში და გონებაში. კიოდნენ, ტიროდნენ, იცინოდნენ, სამოსს იბდღვნიდნენ და შეუჩერებლად, სულმოუთქმელად გაჰყვიროდნენ ამ ერთადერთ სიტყვას:

— კიანფა... კიანფა... კიანფა!

არენის დასაცლეთი კარი ხრიალითა და ჯაჭვების ყრრიალით გაიღო და შუბმომარჯვებულმა მცველებმა ორმოცდათამდე ტყვე მამაკაცი შემოყარეს, ყველანი ახალგაზრდები და ჯან-ღონით სავსენი. ამ თმაწვერმშვებულ, ირმის ტყავებით შემოსილ ხალხში დროიდემ ჩრდილოეთის სტეპებში მომთაბარე სკვითთა მეომრები შეიცნო. არქიტექტორი ლოგიკური აზროვნების უქონლობას არასოდეს უჩიოდა და იმისდა მიხედვით, თუ როგორ წელგაბართული და ამაყადმომზირალნი იდგნენ ეს დამარცხებული მეომრები, ოლად მიხვდა, რომ ახლა იმათი სისხლი უნდა დაღვრილიყო, ვინც მონურ შრომასა და უსიტყვო მორჩილებაზე უარი განაცხადა.

ტყვეების შემოყვანისთანავე უჩვეულო, სამარისებური სიჩუმე ჩამოდგა, თითქოს თვით ზეესმა უბრძანა ადამიანებს ხმის გაკმედა და უძრავად დგომა. ახლა ყველა მეფეს შესცქეროდა, რომელიც კვლავინდებურად ცისკენ მუშტებშემართული გაქვავებულიყო და როდესაც ლოდინი, რომლის აზრსაც არქიტექტორი ვერ ხვდებოდა, აუტანელი შეიქნა, ლევკონ პირველმა დინჯად, აუჩქარებლად დაუშვა მკლავები და იმავ წამს, ზურგს უკან მდგომმა ორმა მსახურმა სწრაფად მოახადა ქარვისფერი მოსასხამი, რომელიც ნიკაპიდან კოჭებამდე ფარავდა.

— კიანფა! — შიშნარევი ძოწოლით

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გამაღმერთებელი აღფრთოვანებით ამოიხრიალა ბრბომ.

ლეგეონ პირველს მართლაც რომ არნახული, მზერისათვის ძნელადაღსაქმელი ოქროსფერი სამოსი ეცვა, ახლად ამომაფალ მზესავით მოკაშკაშე და სხივმფრქვეველი. მსახურებმა მეფეს გვირგვინი მოხადეს და ოქროს მუზარადი დაჰხურეს. ამის შემდგომ მბრძანებელი შებრუნდა, ხალს ზურგი აქცია და საიდუმლო გვრიგაბში გაეჩინარდა.

არენაზე მდგომ ტყვეებს იარაღი ჩაუყარეს, — შუბები, ნაჯახები, სხვადასხვაგვარი ორლესულები და მახვილები, ყველაფერი საუკეთესო და ნარჩეგი. მათ სახეებს გაოცება და დაბნეულობა დაეტყო, ჩანდა, ამას არაფრით ელოდნენ.

დრიოდემ მკლავზე მსუბუქი ხელის შეხება იგრძნო, პერისადი კვლავ ცივი და დაწვრილებული თვალებით შემოსცქეროდა.

— დიდ ხეროთმოძღვარს იქნებ დაუჯერებლადაც ეჩვენოს, მაგრამ ღმერთების თანასწორი მამაჩემი ახლა მარტოდმარტო შეებმება მტრის ორმოცდაათ მეომარს და დაამარცხებს მათ.

დრიოდემ უპირველესად ის გაიფიქრა, სმენა ხომ არ მატყუებსო და შეცბა, მაგრამ როდესაც უფლისწულმა ნათქვამი გაუმეორა, არდაჯერების ნიშნად თავი გაიქნია, თუმცა ასეთი სულსწრაფობა იმწამსვე ინანა.

პერისადმა მრავლისმთქმელად გაიღიმა, იმ ცბიერი ღიმილით, რომელიც ეგზომ არ მოსწონდა არქიტექტორს და ყურთან ტუჩები მიუმარჯვა.

— ამ დიდებულ გამარჯვებაში და საზეცვლილებაში მას აპოლონი დაეხმარება, — საიდუმლოდ ამცნო, აუჩქარებლად წამოდგა და არენის აღმოსავლეთ მხარეს მარჯვენა ხელი მიაშვირა, მარცხენა კი ზეცისაკენ შემართა.

ამ ნიშანზე ამფითეატრონის აღმოსავლეთის კარი ამოძრავდა და ყერიალით აიზიდა, ცოტაოდენი ხნის შემდეგ კი იმ მხრიდან მძიმე და დგანდგარა ნაბიჯების ხმა მოისმა, იმდაგვარი, თითქოს აბჯარასხმული მაკედონური ფალანგა საზეიმო მწყობრით მოაბიჯებდა. ფეხზემდგომი მოქალაქენი ისეთი აღფრთოვანებით და ძრწოლით მისჩერებოდნენ შემოსასვლელს, თითქოს იქიდან რომელიღაც ყოვლისშემძლე ღმერთი უნდა გამოჩენილიყო.

და გამოჩნდა კიდეც.

ხუთი ათასმა კაცმა, კიდევ ერთხელ, ხმაშეწყობილი აღტკინებით ამოიგმინა:

— კიანფა!

დრიოდეს გული ლამის ყელიდან ამოუფრინდა. პირველანაგ ის გაიფიქრა, რომ ჰალუცინაციები დაეწყო და წყეული სასმელი ზემოქმედებას აგრძელებდა.

აღმოსავლეთის მოფარღალავებულ კარში უზარმაზარ ურჩხულს შემოეყო თავი, ლორწოიანი ნეტოტები დაებერა, ჰაერს ყნოსავდა და ჩასისხლიანებული თვალებით არენას ზვერავდა.

ამდაგვარი დრაკონის ხსენება მხოლოდ და მხოლოდ უძველეს თქმულებებსა და ზღაპრებში თუ იქნებოდა შემორჩენილი. განცვიფრებულმა არქიტექტორმა ჯერ გამეტებით მოიჭიჩა ცხვირზე ხელი, შემდეგ კი მთელი ძალით გაიქნია თავი, მაგრამ დაძაბულმა მზერამ ერთხელაც დაარწმუნა, რომ არც ძილბურანში იყო და არც რაიმე ელანდებოდა, ერთადერთშიდა შეეპარა ეჭვი, იქნებ ეს კოლოსიც ოდისევსის ოდინდელი თვალთმაქცობის გამეორება�ა.

ამასობაში ამაზრზენმა დრაკონმა ზანტი ნაბიჯებით იწყო შემოსვლა არენაზე და ამფითეატრონის პირველ რიგებში მსხდომნი ადგილებიდან წამოცვივდნენ, უკანა რიგებს მიაწყდნენ და იქ მოკალათდნენ. დრიოდეს თითქოს სადღაც ენახა კიდეც ეს საშინელება, ანდა რაღაც ამდაგვარი. გონება დაძაბა და ლეგეკონ პირველის დარბაზის კედელზე გამოსახული, აპოლონის მიერ შებოჭილი ურჩხული იცნო, წინა ღამით რომ შიშის ძრწოლა მოჰგვარა, იცნო და უნებურად გაეღიმა, ხოლო ამ ქმნილების უზადო ხელოვნებამ პირდაპირ აღტაცებაშიც კი მოიყვანა. ასეთი მოძრავი, ორიგინალური კოლოსი ბოსფო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რელთა მაღალ საინჟინრო და სამშენებლო ხელოვნებაზე ღაღადებდა, ამასთანავე, მექანიკისა და მათემატიკის დიდებულ ცოდნაზეც მიანშნებდა.

დრაკონს, თავთან შედარებით, სხეული მოკლე და არაპროპორციული ჰქონდა, მთლიანად მუქი-მოყვითალო ფერისა და ლეგვონ პირველის წეღანდელი სამოსის სპექტრის განმეორებას წარმოადგენდა, მაგრამ როდესაც ამ ქვესკნელის საფრთხობელამ კუდის ნაცვლად, პირველის ანალოგიური მეორე თავიც შემოიყოლა, დრიოდეს შემქმნელებს გუნებაში ფანტაზიის ჭარბი გაქანება უსაყვედურა, რადგან კარგად იცოდა, ბერძენთა უმდიდრეს მითოსშიც კი მსგავსი საოცრება არსად იყო ხსენებული.

თავებს შორის არსებული ტანი, ერთიმეორესთან შეერთებულ კისერს წარმოადგენდა და რვა მოკლე და დაგვაჯულ ფეხზე იდგა, რომელთაგან ოთხს აღმოსავლეთისაკენ ჰქონდა მიმართული ბრჭყალები, ოთხს კი — დასავლეთისაკენ.

წვეული ჰიდრა მუცელს მიწაზე მოთრევდა და ამის გამო მაინცდამაინც მაღალი არ ჩანდა. სამაგიეროდ მოსავსავე თავები, სიდიდით აფრიკულ სპილოსა რომ არ ჩამოუვარდებოდნენ, მეტისმეტად შემზარავნი იყვნენ. ყურებამდე გაბეულ ყბებში სამრიგად ხანჯლებივით ჩაწყობილ ეშვებს მოკლე ლაშები ვერ ფარავდა, თვალები მრგვალი და შედედებული სისხლისფერი ჰქონდა და ქუთუთოებიც კი, ისევე როგორც მთელი სხეული, კუს ბაკანივით მკვრივი, ერთიმეორეს ფილებივით მიჯრილი ჯაშანით იყო დაფარული. ფანტასტიკური ცხოველი ზანტი მოძრაობით მიიწევდა არენის კედელზე აკრული, შიშისაგან დაზაფრული ტყვეებისაკენ, ამ ბარბაროსებს ხომ წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რომ ადამიანის გონებას ასეთი საშინელი ურჩხულების შექმნა და მოძრაობაში მოყვანა შეეძლო.

როდესაც ათიოდე ნაბიჯზე მიუახლოდა, დრაკონი შედგა, ორიენ ბოლოდ დაიღო და ხროტინით იწყო ჰაერის შესუნთქვა, სხეულმა კი თვალსაჩინე მატება და ზრდა. ამ დროს ერთი სკვითთაგანი, როგორც ჩანს, გონს მოეგო და არცთუ მთლად მოხერხებულად, გაუბედავად სტყორცნა შუბი. ბუნიკმა ურჩხულის შუბლზე გაიცურიალა, ლითონის შეჯახების ხმა გამოსცა და წინდის ჩხირივით ასხლეტილი, არენაზე დაეცა.

ამასობაში სხეულმა სიდიდით თავება გადაამეტა, გასკდომამდე გაიტეხა, რაღაც მსტვენავი ხმა გამოსცა და იმ წამსვე, მეწინავე თავმა ყბები ძმაუწა, შეჩხერ კბილებს შორის დარჩენილი ღრეჩოებიდან მოყვითალო-მოყავისფერო სითხის ჭავლი შადრევნივით გამოაჩქეფა და კედელ მიკრულ ტყვეებს ისეთი ძალით შეასხა, რომ უმეტესობა ადგილზევე ჩაეცა და ჩაკვეხო.

თვალი დახამხამებამდე წაქცეულებიც და ფეხზე მდგომნიც ბანგდაღეულებს დაემგვანენ; ძლივძლივობით, დამბლადაცემულებივით ამოძოკავებდნენ კიდურებს, სახეზე უდიდესი ტანჯვა ალბეჭდვოდათ და ფრჩხილებით ხორცის გამობდღვნას ცდილობდნენ.

რვა ფეხი კვლავ ამოძრავდა, ოთხი წინ და ოთხიც უკუსვლით, ალოგიმი მყოფ ტყვეებს მიუახლოვდა და ახლა დრიოდემ უკვე საკუთარ თვალებსაც აღარ დაუჯერა. დრაკონი ორად მოიკაკვა, თავები ერთიმეორეს შეეტაკა, ყბები გახსნა, ორივე ხახიდან ლერნის უხსენებელივით უგრძესი ორი ენა გამოსრიალდა და იმ ერთ-ერთ ფეხზე მდგომს, რომელმაც შუბის ტყორცნა მოახერხა, კოჭებზე შემოეგრაგნა, წაკვეცია, ჰაერში თავდაყირა აიტაცა, აუჩქარებლად შუაზე გაგლიჯა, ხანჯლებივით კბილებით ყველას დასანახად ნაჭერ-ნაჭერ დააქუცმაცა და ჩანთქა.

მეფის სპპატიო სტუმარს გონება დაებინდა, სავარძლიდან ჩაქანდა და ნიშნისგებით მოღიმარი პერისადის მუხლებთან გაიშოტა.

. . .

იმავე საღამოს დრიოდეს მსახურმა

ხელმწიფესა და უფლისწულს ამცნო, რომ არქიტექტორი ლაბირინთის მშენებლობაზე თანხმობას აცხადებდა.

●

აღწერილი ამბებიდან რვა წლის შემდეგ, მაშინ, როდესაც აკლდამა-სამალავისა და ლაბირინთის მშენებლობა დასასრულს უახლოვდებოდა, ლეკონ პირველი გარდაიცვალა. ახლა მისი მუმიციფირებული ნეშტი მესამე მიწისქვეშა ყორეანში განისვენებდა და იქ ელოდა მუდმივ ადგილსამყოფელში გადაბარგებას.

მეფის გვირგვინსა და კვერთხს კანონიერი მემკვიდრე — პერისადი დაეუფლა, რომელსაც ამ ხნის განმავლობაში კიდევ მეტად განემტკიცებინა და გაეძლიერებინა ბოსფორის სახელმწიფო.

არქიტექტორ დრიოდს ბედმა უმუხთლა, მართალია, მან შეძლო ჩანაფიქრის პირველი ნაწილის შესრულება და ვაჟიშვილს ევპატორიდან ქცევა, მაგრამ ათენსა და საბერძნეთის ტირანის უდიდესმა მტერმა, დემოსთენემ მათი განზრახვა დროულად განჭვრიტა და რამდენიმე წლით უფრული სითხის მოშველიებით დროიდე უმცროსი იქ განაწესა, სადაც თანამდებობებს მამათა დახმარებით არ ანაწილებდნენ.

დრიოდს სანუკვარი ოცნება და დასახული მიზანი განეხორციელებელი დარჩა, მაგრამ იგი არ ეკუთვნოდა იმ ადამიანთა რიცხვს, ვისაც დიად იდეებზე საბოლოოდ ხელის ჩაქნევა სჩვეოდათ. მან თავად, სხვათა დაუხმარებლად ჩაითქვა მსოფლიოს მერვე საოცრების შექმნა, მხოლოდ ამ ჩანაფიქრის ხორცშესასხმელად უსაშველოდ დიდი თანხა იყო საჭირო და ასეთი საგანძური მას მხოლოდ ერთ ადგილზე ეგულებოდა — ლეკონ პირველის სარკოფაგში.

ლაბირინთის პროექტი, რომლის დედანი პერისადის საიდუმლო საცავში ინახებოდა, ხეროთმოძღვარმა ცოტაოდენ შეცვალა, და გონებაში, უთვალავ, სხვადასხვაგვარად დახლართულ გვირაბებს ერთი მთლად უმნიშვნელო, პატარა ხვრელი მიუმატა, რომელიც ლაბირინთის ცენტრში მოთავსებულ მეფეთა სამარხს გარე სამყაროსთან უმოკლესი მანძილით დააკავშირებდა. ამ გადაწყვეტილების აღსრულებას თითქოს ვერაფერი უნდა გადალობებოდა წინ, მაგრამ დრიოდემ იცოდა ერთი უდიდესი დაბრკოლება, რომლის გადალახვასაც ჰერმესის ცბიერება სჭირდებოდა, და ეს ზღუდე პერისად პირველი იყო.

ბნელსა და უკუნ ოთახში კატისა და თაგვის თამაშს ჰგავდა მათი მრავალწლიანი ჭიდილი.

გაიმარჯვებდა ის, ვინც მოწინააღმდეგის ხრიკებს უკეთ განჭვრეტდა და განსაზღვრავდა.

და ამ რვა წლის განმავლობაში გადაწყვეტილებები მრავალგზის შეიცვალა და მეტოქეებმა სულ სხვადასხვაგვარი ხიფანგები დაუგეს ერთიმეორეს.

●

წინა ღამის თქეშიდან დარჩენილ გუბურაში, რომელშიც უფროსჯო ჯარისკაცს ტალახით შეთხიპნილი ჩექმები ჰქონდა ჩაყოფილი, ამომავალი მზის სხივებით ვარდისფრად შეღებილი, გაწეწილი ღრუბლები მოჩანდა. ერთი წყება რომ ტაატით გადაივლიდა გუბურის მთელ სიგრძეს და გაქრებოდა, მომდევნო, დათქმულივით, თავში გამოჩნდებოდა. ასე მორიგეობით ენაცვლებოდნენ ღრუბლის ფთილები ერთიმეორეს და უფროსჯო ჯარისკაცს თავშესაქცევი არ ელეოდა.

რძისფრად ასარკული სრუტის შუაწელზე, რომელსაც თითქოს სიღრმეც არ გააჩნდა, ორი ნაკრისფერი ნაღმისანი მიცურავდა, რიგში ჩაყენებული მოძრავი სამიზნეებივით დინჯად და აუჩქარებლად. ხან ერთიდან და ხანაც მეორიდან კანტიკუნტად, მჭახედ ისმოდა ზარბაზნების ზათქის ხმა, აშკარა იყო, ვალის მოსახდელად რომ აჭუხებდნენ, რადგან კაპიტნებმაც და მეზღვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურებმაც მშვენივრად იცოდნენ, მარჯვენა ნაპირზე სულიერის ჭაჭანებაც აღარ იყო.

უფროაჯო, რომელსაც გუბურის წყალი კოჭებამდე სწვდებოდა, ორად მოხრილი და ქედჩადრეკილი იჯდა, თითქოს წამისწამ პირსაქმების დაწყებას ელოსო. ხელისგულები შუბლზე ჰქონდა მიწყობილი, ცერა თითებიც საფეთქლებზე მიებჯინა და ასე ჩასცქეროდა ღრუბელთა ანარეკლის მონაცვლეობას. ამ უმნიშვნელო საქმით იმდენად იყო გართული, რომ ზარბაზნების გრუხუნსა და ზათქს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა.

ზღვის მხრიდან მოვარდნილ ქარს, გამთენიისას რომ წამოუბერა, წინა ღამის ნამუსრევი მთლიანად ჩრდილოეთ სანაპიროზე გამოეტანა და მოექუჩებინა, თითქოს სტიქიონი დაწუნებული საჩქარივით უბრუნებდა ხმელეთს იმას, რაც არაფერში ესაჭიროებოდა.

გადაბრუნებული ნავები და კაპარჭები, აყროლებული თევზებივით რომ მოუჩანდათ საღებავაქერცლილი მუცლები, სახელდახელოდ შეკოწიწებული, შემდეგ დაშლილ-დაფანტული ტივებისა და ბორნების ნარჩენები, რკინის ცარიელი კასრები, კლდოვან ნაპირზე შეხეთქებისას უცნაურ, მგმინავ ხმებს რომ გამოსცემდნენ, ფიცრები, ძელები და მანქანათა გაცვეთილი საბურავები— შველა-ხსნის მთხოვნელ ადამიანთა ბაგეებივით რომ მომრგვალებულიყვნენ, სანახევროდ ტანსაცმელშემოძარცვულ ჯარისკაცთა პირქვეჩამხობილი, გაბერილი გვამები და სხვაც მრავალი, წვრილმანი და უსარგებლო, რაც ზღვისათვის სრულიად გამოუსადეგარი იყო, — ყოველივე ეს, სანაპირო ზოლის გასწვრივ, მთელ სიგრძეზე განაწილებულიყო და სუსტ ტალღებზე ტაატი ირწეოდა, მიდი-მოდიოდა, თითქოს ქანს იღებდა და თავისთავად ცდილობდა დამრეც ნაპირზე ასვლა-აბობღებას.

ამ უთვალავ საგანს გუბურასთან ჩაცუცქული ჯარისკაცი თითქოს ვერ ამჩნევდა, ვერ ხედავდა. იქნებ გონებას და მზერას, მისგან დამოუკიდებლად, უარი ეთქვა ამგვარი არარეალური, არაბუნებრივი სურათის აღქმაზე, ანდა ხილულს იმდენად შეეძრწუნებინა, სულით-ხორცამდე ისე შეეძრა, რომ საგულდაგულოდ წაეშალა და მეხსიერებიდან საბუდამოდ განედევნა ქოსი, რომლის არსში გარკვევაც მას არ შეეძლო.

თითქმის დაწმენდილ, ფსკერდალექილ გუბურაში პატარა მწერი ჩავარდნილიყო, ჯარისკაცმა იგი მორიგი ღრუბლის ანარეკლის გაცილებისას შენიშნა, ამაოდ ასხმარტალებდა სველ ფრთებსა და ღონემიხდილ კიდურებს. ჩანდა, აღარაფერი ეშველებოდა, ყოველმხრივ განწირული იყო. კარგა ხანს, გულდაგულ უცქირა იმის გაწამაწიას, შემდეგ მოუძიებლად, ხელის მოფათურებით, მიწიდან ნაზამთრი ბალახი ამოგლიჯა, ფესვები წააძრო და ღერო ცხვირწინ ჩაუგდო. მწერიც იმწამსვე ჩაეჭიდა, ჯერ საცეცებით ჩაებღაუჭა და წინა კიდურებიც მკლავებივით ზედ გადაეწყო; ცოტა ხანს შეიცადა, სული მოითქვა და გაჭირვებით, რის ვაი-ვაგლახით ამობღდა, ცახცახით აითრია დამძიმებული სხეული, ბალახის ღერს ცურვის არმცოდნე ადამიანივით მუცლი გადააწვა და გადაეკიდა, თუმცა წყალში ჩარჩენილ უკანა კიდურებს წონასწორობის შესანარჩუნებლად მაინც ასხმარტალებდა და ახვანხვალებდა.

უფროაჯოს რაღაც გაახსენდა, ჯერ ბუნდოვნად, შემდეგ ცხადად. მწერის უმწეო გაწამაწიამ მოაგონა ის, რაც წინა ღამით გადახდენოდა და რის დავიწყებასაც ინსტინქტურად ცდილობდა. საფეთქლებზე შემოსალტულ ცერა თითებს მთელი ძალით დაეწვა და ახლად კბილამოგლეჯილივით ამოიგმინა, ამოიხრიალა და რამდენჯერმა გამეტებით გაიქნ-გამოიქნია თავი.

ამასობაში მწერმა ნაწილობრივ მოიკრიბა ძალ-ღონე და ახლა ერთი-მეორეს მიკრული ფრთების დაშორიშორებას შეეცადა. ბოლოს, დიდი ჯაფის საფასურად ესეც მოახერხა, განაცალკევა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აიღერა და ნიავს გასაშრობად მიუშვირა.

ახლა იგი ბაგირზე გასულ ახალბედა ჯამბაზს წაგაგდო, ქოლგის დახმარებით რომ ცდილობს ბალანსირებას და წონასწორობის შენარჩუნებას.

ჯარისკაცი ოდნავ წინ წაიხარა, რათა უკეთ დაჰკვირვებოდა ყოველგვარ წვრილმანს, და უეცრად გუბურაში უცნობი მამაკაცის წვერმრეული სახე შენიშნა, რომელიც უაზრო, გონდაბინდული თვალებით ფსკერის სიღრმიდან სადღაც მაღლა, უსასრულობაში იცქირებოდა, და როდესაც იაზრა, რომ ეს სასოწარკვეთილი, დაღლილი და მობერებული პირისახე მის ორეულს წარმოადგენდა, თავი ცისკენ აიღერა, კისერი ტკივილამდის გაჭიმა და ბუნაგდანგრეული მგელივით დაიყმუვლა.

ცოტა ხანს რომ დასცოლოდა, ალბათ, იმის გახსენებას და დადგენასაც შესძლებდა, რატომ და რის გამო მომხდარიყო ერთი დღე-ღამის განმავლობაში ესოდენ დაუჯერებელი ცვლილება მის გარეგნობაში, მაგრამ იმ დროს, როდესაც კვლავ დააპირა საკუთარი ორეულის შემოწმება, მწერმა ოდნავ შემშარალი, შემსუბუქებული ფრთები აამოძრავა, აიქნია, აფრენა სცადა და სწორედ აქ უმუხთლა ბედმა. ჯერ საყრდენი ბალახის ღერო შეუტორტმანდა, ამოუტრიალდა და იმედმიცემული, კვლავ გუბურაში გადაეშვა. წვრილმა, ოდნავ ხილულმა წრეებმა, რომლებიც მწერის ჩაკარდნილი სხეულიდან ყველა მიმართულებით დაიძრა, ფსკერიდან მომზირალი წვეროსანის სახე ჯერ დაანაწევრა, შემდეგ გადაშალა და გააქრო.

შარაგზაზე დაოთხილი ცხენის ფლოქვებისა და რკინით შესალტული ბორბლების ხმა გაისმა. კოფოზე ორნი ისხდნენ. მესამე ფორანში ჩაფენილ თივაში ჩაწოლილიყო და თავით-ფეხებამდე ჯვალოსმაგვარი ფარდაგი წაეხურა.

გახვითქულ ქუთანა ცხენს თვალები გადმოცევნაზე ჰქონდა. ამ საქმისათვის განკუთვნილს არ ჰგავდა, საფერხე უფრო ეთქმოდა. კოფოზე მსხდომნი კი განუწყვეტლივ უკიეინებდნენ და ბრტყელ, ბაბთიან ქამარს დაუნდობლად უფაპუნებდნენ. მესამე ხმაგაკენძილი გარინდულიყო, მხოლოდ კბილებს აღრჭიალებდა ხანგამოშვებით.

უფარაჯო ჯარისკაცს რომ გაუსწორისწორდნენ, მაშინღა გამოიხედეს და როდესაც გასცდნენ, ფორანი მკვეთრად შეაჩერეს, საგულდაგულოდ დააკვირდნენ და ერთიმეორეს რაღაც გადაულაპარაკეს.

კოფოზე მსხდომთაგან ერთ-ერთი წამოდგა და დაუყვირა, ცოტა დაახანა და შემდეგ ისე იღრიალა, ლამის ყელი გაგლიჯა.

გუბურასთან თავჩამხობილ ჯარისკაცს ნირიც არ შესცვლია. თუმცა იმ მანძილზე იმყოფებოდა, ძახილი უეჭველად უნდა გაეგონა.

— რა მოხდა? — იკითხა ფორანში მყოფმა, — რას გაჰკივით?

— იქ ვიღაც ჩვენნაირია, — მიუგო ფეხზე მდგომმა და ერთხელაც დაიყვირა. მწოლიარემ ფარდაგი სანახევროდ გადაიძრო, იდაყვებს დაებჯინა, წამოწევა სცადა, მაგრამ ვერ შეძლო, ამოიგმინა და შეიგინა.

— მიდი, ნახე, — ერთ-ერთს უთხრა. — დაჭრილი იქნება.

— რაღაც არა ჰგავს, — იეჭვა მეორემ, აღვირი რომ ეჭირა. — დამშვიდებული ჩანს, დეზერტირის სუნი დაჰკრავს.

— ვივაჭროთ თუ ვიმკითხაოთ? — ხმაში ბრაზნარევი ხრინწი შეეპარა კისერწამოწეულს, — ნახეთ-მეთქი! — ბრძანებით დაუმატა და თივაზე უღონოდ დაეშვა.

ფეხზე მდგომი იმწამსვე ჩამოხტა, „ყოფას ვუტირებ!“ — კბილებში გამოსცრა, უფრო თავისთვის, ვიდრე სხვის გასაგონად და იარაღის ბუდეზე ხელმიდებული შარა-შარა გაიქცა.

ჯვალოწამოფარებულმა მაინც გაიგონა მისი ქადილი.

— წეღანდელივით არ აუტიო, მანოხინ, — უკვე დაშორებულს მიაწია, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენი და სხვისი იცოდე, აქ მომგვარე, თავად გავერკვევი.

— მაგეებში ბადალი არა ჰყავს, — შეეხმიანა კოფოზე დარჩენილი და ცხენს გამოცდილ მეეტლესავით დაუწრუპუნა, თუმცა ფეხის ის მოცვლასაც არ აპირებდა.

ნამინდვრალს რომ მიაღწია, აკოშინებული მანოხინი მაშინვე გადავიდა ნაბიჯზე, ყოველ შემთხვევისთვის ბუდე გახსნა და იარაღის ტარი მოსინჯა. ახლა ყოველგვარი ხაფანგი მოსალოდნელი იყო და სიფრთხილეს თავი არ სტკოდა. უფარაჯოსაკენ გეზაღებული მიდიოდა და იმის მაყურებელს გაავება ცეცხლივით ედებოდა და დაგავდა, იმდენად, რომ მთელი სხეულით ცახცახებდა და ირთოდა.

„მზდალი ძაღლიშვილები, — დუდღუნებდა თავისთვის, ყბისკუნთებდაგარული — მშიშარა ძაღლიშვილები... პირველსავე გასროლაზე ნიფხვები ამოავსეს და შაშხანებს ჯოხის ცხენებივით გადაალაგეს...“

მანოხინი მომხდარი მარცხისა და უბედურების მიზეზად ახალგაწვეულებს თვლიდა. უფრო კი იმათ, ვინც მომხდურს ზურგი უჩვენა და ბრძანების მიუღებლად მიატოვა პოზიცია; მტრის სიძლიერეს საერთოდ არ აგდებდა სათვალაში, რადგან მტკიცედ და შეურყეველად სწამდა, რომ ომში იმარჯვებს ის, ვისაც მეტი სიმამაცის და თავგანწირვის უნარი აქვს. ასეთებს ნებისყოფის მაქსიმალურად გამომყღავნება ძალუძთ და შიშველი ხელითაც შეაჩერებენ უმძიმეს ტანკს. უმთავრესია რწმენა და საკუთარი სიცოცხლის ზვარაკად გაღება.

გუბურასთან ჩაყუნცულ, კვლავაც მწერის გაწამაწიის მაკვერალ ჯარისკაცს ზურგის მხრიდან მიუახლოვდა, პისტოლეტი ამოიღო, ფეხზე შეაყენა და შემდეგღა ყურიალა:

— საჯდომს იშრობ დედაგაღლეტილო? აეთრიე ფეხზე!

იმის შეყვირებაზე უფარაჯოს არათუ შიში, შეკრთობაც არ დასტყობია, მხარიც არ შეტოკებია, და როდესაც მანოხინმა მთელი ძალით ამოჰკრა პანღური, ჩილაკ ჯოხივით ახტა, ყინულზე ფეხაცურებულივით აიქნია ხელები, ჰაერშივე შემოტრიალდა და გუბურაში ნახერხით გატენილი ტომარასავით მოადინა ზღართანი.

წამოდგომა არც უცდია, ასევე ლაჯებგაჩაჩხული წამოჯდა, წუმპედაცეული ყვითელი წყალი ცაცია ხელით პირსახიდან ჩამოიწმინდა და თავზემდგომს გაოგნებული ამოაჩერდა.

მანოხინს უკიდურესი გაგულისება ყვრიმალებზე წითელ ფორაჯებად დაჭყროდა და მოსდებოდა.

— თავს იყრუებ, ძუკნიშვილო, — დამუქრებით დასჩხავლა, — თუ კაპიტულაცია გამოაცხადე და გგონია, საშენო ტყვია აღარ დამრჩა?!

გუბურაში მჯდომი მძიმე-მძიმედ წამოიმართა, არაბუნებრივად, აუჩქარებლად ირჯებოდა, შემდეგ ჩექმის წვერებზე შემდგარი ისე ფრთხილად გამოვიდა წუმპიდან, როგორც წყალში მოსროლილი კატა და მანოხინს იმდაგვარად ნირშეუცვლელი გაუჩერდა წინ, თითქოს იმას შემართული პისტოლეტი კი არა, ბუზების სატყეპი ჭაკვებოდა ხელში.

ტალახიანი ხელი ჯერ გიმნასტურაზე შეიწმინდა, შემდეგ კი თვალებზე ჩამოისვა.

მანოხინს ახლა გაოცება აღებეშდა სახეზე, თითქოს ადამიანს კი არა, კოსმოსიდან მოვლენილ არსებას შესცქეროდა. უფარაჯომ რომ ხელისგული ჩამოისვა სახეზე, იმწამსვე იგრძნო, რომ იგი რაღაცით განსხვავდებოდა რიგით მოკვდავთაგან და შემდეგდა აღიქვა ცხვირს აქეთ-იქით, ერთიმეორისაგან სრულიად განსხვავებული თვალები რომ ესხდა, იმდენად მკვეთრად სხვადასხვანაირი, თითქოს ერთი გარსიდან ერთდროულად ორი არსება იმზირებოდა.

თენგიზ ჩალაური

... და არ იყო ჩვენს შორის ბგირი

მარცხენა, მაისის ზეცასავით კამკამა ცისფერი, მარჯვენა კი — უმთვარო ღამესავით შავი, მხოლოდ კარბონატივით გამჭირვალე და სხივმფრქვეველი.

— თქვენ აქ საიდან გაჩნდით? — ისეთი უშუალო გულუბრყვილობით შეეკითხა უფარაჯო, თითქოს ქუდმოხდილი უჩინმაჩინი სდგომოდა წინ.

— ციდან ჩამოვცვივდით, სხვაგვარად როგორ, — უკვე შერბილებული ხმით აუწყა მანოხინმა, რადგან ახლაღა შენიშნა მთლად ჭკუათმყოფელთან რომ არ ჰქონდა საქმე, — იარაღი და ფარაჯა სად გაქრა? — მაინც მკაცრად ჰკითხა და პისტოლეტი ბუდეში ჩააბარუნა.

ჯარისკაცმა ზღვის მხარეს გადაიქნია თავი.

— იქ დარჩა, — ისე უგერგილოდ აცნობა, ეტყობოდა, მომხდარში ჯერხნობით სრულად ვერ გარკვეულიყო, — მე კი გამომრიყა.

— გამომრიყა... — გამოაჯავრა მანოხინმა. — ტივტივა ხარ თუ ფუნა, შენი ნაწილი სად არის?

უფარაჯომ მხრები აიწურა:

— აბა, რა ვიცი, — თავი იმართლა, — ტივებზე ვისხედით, მერე აღარაფერი მახსოვს, ექიმიც გვერდით მეჯდა, რაღაცას მეუბნებოდა, ვეღარაფრით ვიხსენებ, რას... ჰო, მგონია, გადავრჩითო...

— მაინც რას გადავურჩითო? — ღვარძლიანად ჩაეკითხა მანოხინი და ბასუხს აღარ დაელოდა, — გამიძეს! — უბრძანა და თავით-ფეხებამდე გაწუწული წინ ხბოსავით გაიგდო; მიჰყვებოდა და თავისთვის ფიქრობდა: „ჯერ მთლად ძუძუმწოვარაა, უბრალოდ, ამ შავტუხებს ყბები აღრე ეღინღლებათ და ასაკზე ხნიერად გამოიყურებიან“.

როდესაც ფორანთან მიიყვანა, თივაში ჩაწოლილს მკლავი თვალებზე გადაედო და ილაჯწართმეული, სუსტი ხმით კვნესოდა, კბილების ღრჭიალის თავიც აღარ ჰქონდა, ღიწვებიც გაფითრებოდა და დაწვრილებული ცხვირიც სანთლისას მიუგავდა.

— ეგორიჩ, ძვირფასო, — შეშფოთებით ჩასძახა მანოხინმა და ხელისგულით შუბლიდან ცივი ოფლი მოსწმენდდა. — გატყობ, ძლიერ გიჭირს, მაგრამ ცოტაც გაუძელ, სადაცაა მივალთ, ორი ნაბიჯიღა დაგვრჩა.

ფორანში მწოლიარემ მკლავი პირისახიდან შეშასავით გადმოიგდო, თავის შეუტოკებლად, მხოლოდ თვალის კაკლების გადმოტრიალებით, ამოჰხედა იმედისმომცემს და ძალისძალად შეატოკა სიმწრით მოკუმული ბაგე.

— იქ რას აკეთებდი? — უფარაჯოს ჰკითხა, მკაცრად და მომთხოვნელად.

— ვიჯექი, — მიამიტად მიუკო იმან, — ღრუბლებს ვუცქერდი, იქ მწერი იხრჩობოდა.

ფორანში მწოლი საკუთარ ყურებს არ ენდო, შეშფოთდა კიდეც, გონება ხომ არ მებინდებაო.

— რასაო? — მანოხინს გადაეკითხა. — რას ვუცქეროდიო?!

იმას კი უკვე მყარად ერწმუნა, შერეკილთან რომ ჰქონდა საქმე, პირველად ხომ არ იყო, დედის კალთას აბდღვნილ ბიბუუებს სიკვდილთან შეყრისას უარესიც ემართებოდათ, ამიტომ აღარც გაიოცა და აღარც მოერიდა.

—შარავალში ფიში-ფიშს ვშვებოდი და თან ღრუბლებში პეპლებს ვუთვალთვალებდიო! — ღვარძლიანად ამცნო და გალიმება სცადა, მაგრამ მომტირალსავით დაეღიმიჯა პირისახე.

უფარაჯო კი ამასობაში გონს მოეგო, თანაც იმდენად, რომ მოსმენილის გაახრებაც შეიძლო.

— შეურაცხყოფას რატომ მაყენებთ? — იმ მოწყფესავით განაწყენდა, მასწავლებელმა რომ სახედარი უწოდა. — მე ხომ ყველაფერი აგიხსენით, ცურვა არ ვიცი და მაგიტომ ჩამოვრჩი ნაწილს, წყალში ვიხრჩობოდი.

ფორანში მყოფმა რაღაც იაზრა, კვლავ გაჭირვებით წამოსწია თავი.

— რამდენი ხანია რაც გაგიწვიეს? — ჰკითხა.

— ერთი კვირაა, — მიუგო იმან და ახლა ეგორიჩს აღებეჭდა სახეზე განცვიფრება, როგორც ჩანს, მანაც შენიშნა უფარაჯოს სხვადასხვაფერი თვალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წუხელ მთელი ღამე იქ იყავი, გადასასვლელზე?

— გუშინწინაც იქ ვიყავი, ვერაფერი ვიღონე, — უფარაჯომ თავი ჩაქინდრა და სახეზე ისეთი მწუხარება აღებეჭდა, ტირილს აღარაფერი უკლდა, ჩანდა, მეხსიერება იღვიძებდა და კინოპროექტორივით იმ კადრებს ახსენებდა, რომელსაც სულით-ხორცამდე შეეძო და შეეძრწუნებინა.

ეგორიჩი ყველაფერს მიხვდა, ერთი თვალის შევლება და გუშინწინაც იქ ვიყავიო, სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ცხადლივ წარმოედგინა, რაც უნდა განეცადა ბიჭს, რომელსაც, ვინ იცის, იქ ჯოჯოხეთსა და ადამიანთა საყასბოში მოხვედრამდე ქალთმიც არ ჰყავდა დაკლული, ყოველივე განჭვრიტა და კიდეც კარგად გაუძლიაო, — გაიფიქრა.

— წავედით, ბიჭებო, — თქვა, — წავედით, თორემ დიდხანს მეტის ამტანი მართლაც აღარ ვარ.

მანოხინმა კოფოზე შეხტომა დაიარა, მაგრამ უფარაჯო სახელოში წასწვდა და შეაყოვნა.

— ხომ ვერ მეტყვით, რა სჭირს? — ჩურჩულით დაეკითხა.

მანოხინმა გაოცებით და დაბღვერით გადახედა, მშობიარე რომ არ ეწვათ ფორანში, თავადვე უნდა მიმხვდარიყო, — ორპირად უქრისო, გაიფიქრა, შემდეგ მოიხარა, ვითომც ჩექმას ისწორებდა და უფარაჯოს დასანახად, გამართული თითები ორივე მუხლებზე სამართებელივით გადაისვა.

— გასწით, რაღას ელოდებით! — ამოიხრიალა ეგორიჩმა. — გაუტიეთ, ვიდრე სული გამძრობია!

ფორანი დაიძრა, მანოხინი კოფოზე შეხტა და ძველი ადგილი დაიკავა, შემდეგ უფარაჯოს გადმოხედა.

— შემოჯექი, — უთხრა, — მივალთ და ადგილზე გავერკვევით. აქ გამოჩნდება არწივი ხარ თუ კურდღელი.

— მე ფერშალი ვარ, — უბრალოდ ამცნო იმან, თან ფორანს ხელჩაკიდებული გაჰყვა. — ექიმობაზე ვოცნებობდი! — როგორღაც მორიდებით დაუმატა. თითქოს უკადრისი გაამხილა.

მანოხინმა მომუშტული მარჯვენა რისხვით დაუქნია.

— დაგწყევლოს გამჩენმა, — შეუძახა, — გასამჯელოს ხომ არ ელოდები? ვერა ხედავ, კაცი რა დღეში გაკვავს... პეტრე, გაიჩერე! — მხარზე ხელი დაჰკრა გვერდით მჯდომს, შემდეგ აღვირი გამოსტაცა და გამეტებით მოქაჩა.

ქურანას ლაშის ახვევა არ დასჭირვებია, იმწამსვე შედგა.

ჯარისკაცი ფორანზე აბობღდა, როგორღაც მოუხერხებლად, შეეტყო სოფელი რომ არ იყო, ფეხაუდგმელი ჩვილივით ხოხვით მიუახლოვდა მწოლიარეს, გვერდით მიუჯდა და ფარადგი ფრთხილად გადახადა.

— ახლა ამის დრო არ არის, — ძალდატანებით თქვა დაჭრილმა, ეტყობოდა, სული კბილით ეჭირა, — სადაცაა შავი ძაღლიშვილები სანადიროდ გამოვლენ. ვიცი მაგათი, მოგვიმწყვდევენ და ხაფანგში მოყოლილი წრუწუნებივით შანთებით გაგვხდიან ტყავს... გარეკე პეტრუშა, გააქანე, არ არის-მეთქი მაგის დრო!

ვიდრე ეგორიჩი თავის სათქმელს ლუღლუღებდა, უფარაჯო ჯარისკაცმა ქვედა კიდურები შეუმოწმა, ფრთხილი, უმტკივნეულო შეხებით მოუსინჯა, ჩანდა, რაღაც-რაღაცეები გაეგებოდა ამ საქმისა, ჭვინტებით ერთიმეორეს შეპირისპირებული ჩექმები რომ დაინახა, უკმაყოფილოდ აიპრიხა ცხვირი, მიხვდა, ძვლებდალეწილ და ფეხებწართმეულ კაცთან რომ ჰქონდა საქმე.

— არტახები რატომ არ დაადეთ? — საყვედურით იკითხა, — ასე როგორ შეიძლება!

მანოხინმა გააკვები გაუსწორა თვალი, საფეთქელთან თითი დაიტრიალა, ან მაგის დრო სად გვქონდა, ანდა არტახებს ვინ მოგვაშავებდაო?

— გასწი, კაპიტანო! — ახლა კი გამწარებით იღრიალა ეგორიჩმა, ეტყობოდა, უკანასკნელი ძალ-ღონის ფასად, — გასწი-მეთქი, გიბრძანებთ!

პეტრუშამ დაურიდებლად გამოგლიჯა ალვირი მანოხინს, შემდეგ ქამარი გაატყლაშუნა, ცხენის გავას უწია და ფორანი კვლავ დაიძრა, აჭრიალდა, ღოღიალით შეუყვა ალმართს, რომელიც იქით და იქით უფრო ამრეცი ხდებოდა. ქურანა ცხენიც, ალბათ, ამის გამო არ იკლავდა თავს.

უფარაჯო ფერშალი კვლავ ფეხებწართმეულს დასაცქეროდა.

„ჩემებში შედეგებული სისხლით ექნება სავსე, — ფიქრობდა თავისთვის, — ფეხზე გახდა ახლა სისულელეა, ბარძაყებზე სალტეები უნდა შემოვუჭირო, იქნებ არტახების მაგვარი რამეც გავაჭერხო“.

— სად მივდივართ? — ხმამაღლა შეეხმიანა კოფოზე მსხდომთ.

— არ არის შენი საქმე, — დაუღრიალა მანოხინმა. — სადაც ჩვენ, იქაც შენ.

— დრო, — თქვა უფარაჯომ და დაჭრილს ფეხქვეშ თივა შეუფინა, ფორანის რიკულებამდის აუმაღლა, — რამდენი ხანი დაგვჭირდება, თუნდაც დაახლოებით?

წინმსხდომებმა ერთიმეორეს კითხვით გადახედეს, რაში აინტერესებსო, ბოლოს თითქოს რაღაც იაზრეს.

— სამი საათი მაინც, — ამცნო პეტრუშამ, — თუ ცხენი არ დაგვივარდა. ფორანში ფეხმორთხმით ჩამჯდარ ჯარისკაცს მანოხინმა კითხვით გახედა, იმან კი პასუხად თავი გაიქან-გამოაქანა, ვერ გასძლებსო, ანშშნა.

ქურანას გამეტებით დასცხეს ქამრის ბალთა და ისიც ბუზანკალშემჯდარივით შეხტა და ფორანიც გაახტუნა, დაჭრილმა სიმწრით დაიღმუვლა.

— სად ოხრობაში მიერეკებით, ტანკი ხომ არ გგონიათ, ცხენია, ხორციელი, ორი საათია მოვარბენინებთ, დაგვივარდება და უტყლაშუნეთ მერე...

არც ერთი რომ არ გამოეხმაურა, ცოტა ხნის შემდგომ, უკვე მისულფერებულმა დაიქადნა, ისე რომ თავადაც არ სჯეროდა ნათქვამისა:

— ჩემი ნუ გედარდებათ, ბიჭებო, ბერ იარაღეს ამაზე უარესებთანაც გაუძლია, პირველი ხომ არ არის.

კვლავ არავინ გამოეპასუხა, პირიქით, ცხენი გააჩქარეს.

თითქმის სრული სახით აღმართში იარეს და თუმცა დაჭრილის გარდა, ფორანს ყველანი ფეხით გაჰყვნენ, ქურანას მაინც გაუჭირდა, სუნთქვას სიცხიანი მოხუცივით კვნესას აყოლებდა, ნამდვილად არ იყო ტვირთის სათრევად გაჩენილი, აღარც ახალგაზრდა ეთქმოდა, მაგრამ მონდომებას არ აკლებდა, თითქოს ხვდებოდა, ადამიანის სიცოცხლე მის ცხენურ გამძლეობაზე რომ იყო დამოკიდებული.

ფორანი აღმართის საზღვარზე რომ გადარახრახდა და დაბლა თვალუწვდენელი ხრიოკი გადაიშალა, უფარაჯომ იუნჯნულად და იმედგაცრუებულმა თქვა: — თქვენ რა... აქ აპირებთ თავის შეფარებას?

წინმიმავალმა მანოხინმა დაუცადა, და როცა უფარაჯო წამოეწია, ჩრდილოეთისაკენ მიანიშნა.

— იმ ადგილებში მიწისქვეშა სამალავებია, ადრე ჩვენი შტაბი იყო იქ, ეშმაკიც ვერ გაიგნებს გზა-კვალს, ნამდვილი ლაბირინთია.

უფარაჯომ უნდობლად შეხედა, ალბათ, იმედს მაძლევსო, გაიფიქრა.

— ვინ გათხარა, — მაინც ჰკითხა, — თქვენ?

— არა, — უპასუხა იმან. — ძველისძველია, მიეალთ და თავად ნახავ.

ცხენი ჩორთზე გადავიდა. ახლა ფორანი მიარბენინებდა თავდაღმართში, და მიმყოლნიც მორიგეობით შეახტნენ არახრახებულ ოთხთვალას.

იარაღეს მიწისფერი ედო, აღარც კვნესოდა და აღარც კბილებს აღრჭიალებდა, თვალთა უპეებში სილურჯე შეჰპარვოდა.

ქურანა ლაბირინთის ჩამავალ თავდაღმართზე დაეცა, ორასი ნაბიჯიც აღარ ექნებოდა დარჩენილი გვირაბის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესასვლელ ყელამდე, უკანა ფეხები რომ აყალო მიწაზე აუცურდა და ქამანდგამოკრულივით გავა ჰაერში აკენვენა. წამოდგომა არც უცდია, ილაჯ ჰქონდა წართმეული, მხოლოდ გზის პირზე რამდენჯერმე გამეტებით დაჰკრა თავი, თითქოს ნანობდა, ეს რა ღმერთი გამიწყრაო, პეტრუშა კოფოდან გადმოვარდა და მხარი ილრძო, მანობინი, თითქოს წინასწარ ელოდაო, ცხენი ჯერაც არ დავარდნილიყო, რომ უკვე მიწაზე იდგა და გამჩენს უნათლავდა. უფარაჯო ფერშალი დაჭრილს სახელოებში ჩაფერნიდა და ძლივს შეაკავა გადაფერდებული ფორანდიან რომ არ გადაგორებულიყო. იმან მხოლოდ სუსტად დაიკვნესა და რაღაც გაურკვეველად წიბუტბუტა, ეტყობოდა, გონება ეცლებოდა და ებინდებოდა.

ლაბირინთის მისასვლელთან, ტაფასავით ჩაზნექილ ღრმულში, ათასამდე ადამიანი ბუდედანგრეული ჭიანჭველებივით ირეოდა და ფუთფუთებდა, იმათ მხლიელს ახალი წარღვნა ეგონებოდა და, მართლაც ასე იყო. გერმანელები მეორედ ილებდნენ ქერჩის ნახევარკუნძულს და ვისაც მათი შარშანდელი „სიკეთე“ ახსოვდა, დედაწულიანად აყრილიყო და ამ ერთადერთი თავშესაფრისაკენ აიღო გეზი. საზიდრებით, ფორნებით, ავტომანქანებით თუ საკუთარი მუხლის იმედით, თვალისჩინდაკარგულ მლოცველთა გვარად, ყველა წინმიმავალს ასდევნებოდა და იმედივით ჩასჯიდებოდა.

ტომრებშამოკიდებული, ხანდაზმული გლეხები და პირტიტელი ჯარისკაცები, მოთქმით მოტირალი დედაბრები თუ თავშეხვეული მეზღვაურები, ჩვილებატატებული ახალგაზრდა ოდედები და პატრონებსადევნებული უჯიშო ფინიები, აზმუვლებული საქონელი, აკრიახებული ქათმები, უკლებლივ ყველა ზარდაცემული და სასოწარკვეთილი, ტალახსა და წუმპეში ერთიანად მოთხუპნულ-მოზუზნული, ცხოველური შიშით დაზაფრული, გამეტებით მიიწევდა ჯურღმულის ჩასასვლელისაკენ, თითქოს იქ, დაბლა, გულმოწყალე ადამიანური სამოთხეში მუდმივ განსასვენებელ ადგილებს ანაწილებდა.

ქურანას წაქცევისთანავე მანობინი იარცევს მივარდა, ბეჭებქვეშ მკლავები შეუყარა და ფარდაგიან-თივიანად ფორანიდან გადაინთრია, უფარაჯო ფერშალიც შეეშველა, ძმიმე ხალიჩასავით გადაეწოდა, თავადაც გადაჰყვა და გზისპირზე დაასვენებინა.

წაქცეულ ცხენთან ჩაცუცქული პეტრუშა ფეხმოტეხილ კატასავით გაშზარებული ენაოდა, მარცხენა ხელით მარჯვენა მხარი ჩაებღუჯა და მთრთიალივით ჩამოკონწიალებული მკლავის სახსარში ჩაბრუნებას ცდილობდა. თავჩაქინდრული ოდნავ წამოიმართებოდა, დაიძაბებოდა, ამოიხრიალებდა და კვლავ ჩაიყუნეცებოდა, თითქოს ოჯახის მარჩენალ ოთხფეს დასტირისო.

ქურანა კი იწვა, გაშოტილი, ოფლმომსკდარი, ბგხეთქილი სხეულიდან მდუღარეგადასხმულივით ასდიოდა ოხშივარი და დიდრონი, ცრემლჩამდგარი თვალებით მოქუფრულ ზეცას ასცქეროდა.

— ცხენი მაინც გამოხსენით, უღმერთოებო! — სადღაც მაღლიდან, ბოხი ხმით იყვირა ვიღაცამ. — ხომ ხედავთ, თავს იჩეჩავს.

ფერდობზე ჭარმაგმა გლეხმა ჩამოირბინა, თითქმის ჩამოსრიალდა. ალბათ, შეატყო, რომ პირუტყვისათვის აღარავის ეცალა, ჩექმის ყელიდან ხისტარიანი დანა ამოაძრო, ქურანას ყელზე მიბჯენილი თასმა გადაუჭრა და ცალუღილაგან გაათავისუფლა, იმანაც ხროტინ-ხრიალით ჩაისუნთქა ჰაერი და ერთხელაც დაჰკრა თავი მიწას.

— მარისკა, მარისკა, სადა ხარ, ხმა გამეცი! — აბორგებული ხალხის შუაგულიდან ისეთი მაღალი, მწვანანა ხმით იკივლა ვიღაცამ, რომ საყოველთაო ღრიანცელს გადააჭარბა და დაფარა კიდეც.

გვირაბის ჩასასვლელთან ორჯერ ზედიზედ გაისროლეს, დაახანეს და ერთიც მიაყოლეს. ამ ხმაზე, როგორც და-

საბუდებლად აკიკვივებულმა ბეღურებმა ტაშის შემოკვრაზე, ყველამ ხმა გაიმინდა, გაყუჩდა, გაილესა, მაგრამ წამის შემდგომ ხალხი ძველებურად აზმიანდა და ახორხოცდა.

მანონინმა და უფარაჯო ფერშალმა იარცევს თავისაგან რაღაც საწოლისმაგვარი მოუწყვეს, ფარდაგი დააფარეს და ზევიდან საკუთარი ფარაჯა წაახურეს.

ამასობაში გლეხმა ქურანა წამოაყენა, ლაგამში ხელი ჩაავლო და ჩამოფანჩულ წარბებქვეშიდან ბრაზიანად გადმოხედა მანონინს და უფარაჯოს.

— ცხენი გჭირდებათ? — გამოსძახა და პასუხსაც აღარ დალოდებია. — თუმცა, რა თავში იხლით! — დასაკვნა და აღმართს აუჩქარებლად შეუყვა.

— ეი, შენ, — მიადევნა მანონინმა, — შორს არსად წაიყვანო, შეიძლება რამეში გამოგვადგეს.

გლეხმა აგდებულად აუქნია ხელი, თითქოს ონავარ ბიჭებუჭებს ტუქსავდა, თუმცა ქურანა მაინც შემოაბრუნა, გაეაზე ხელისგული დაჰკრა და მათკენ გამოაგდო, მაგრამ იმან მხოლოდ ორიოდე ნაბიჯი გადმოდგა და ოჩანივით შედგა, აქედანაც ეტყობოდა, როგორ უცახცახებდა სხეული და მუხლები.

— მარისკა, მარისკა, სადა ხარ, დაიკო! — კვლავინდებურად გაისმა მწვანა ხმა და შემდეგ ორთქმავლის საყვირივით გაბმით გაადგრძელა; — მ ა რ ი ს კ ა ა!

პეტრუშამ ვერაფერი გააჯერხა, ეტყობოდა, ვერ ბედავდა ნაღრძობი მკლავის ძალუმად ჩამოკვრას, ძველებურად ჩაცუცქული იჯდა, თავზე ჭრელთავსაფრიანი დედაბერი დასდგომოდა და რაღაცას ეკითხებოდა თუ თხოვდა, მაგრამ საყოველთაო ღრიანცელში ვერაფერს აგებინებდა.

— ცოტა ხანს ვაცადოთ და მერე ჩავიყვანოთ, — თქვა მანონინმა, — დაბინავდეს და დამშვიდდეს ეს ხალხი, თორემ ეგორიჩიანად გადაგვთელავენ.

უფარაჯომ იარცევს პულსი გაუსინჯა, ცისფერი თვალი მოეჭუტა და შავით დასცქეროდა, ბოლოს ქუთუთოებიც გადაეწია. დაჭრილს სახეზე მიწისფერი ედო. ცხვირიც გაწვრილებოდა და სანთლისას მიუგავდა.

— დიდხანს მაინც ვერ გაატანს, — ხმაჩაკმენდილმა ამცნო, — რა ხანია, ჰიპოკრატეს ნიღაბი აღეკვ.

მანონინი ნაბულზე მდგომ მეძეებარივით გაირინდა, წეღანდელივით ხომ არ აუტრიაო, გუნებაში გაიფლო და ამიტომაც შეპარვით ჩაეკითხა:

— ჰიპოკრატეს რაო?..

უფარაჯომ თავი გააქნია, ახლა ახსნა-განმარტების დრო და ადგილი ნამდვილად არ იყო, წმიმიმართა და პეტრუშას მიაშურა.

გვირაბის ჩასასვლელთან კვლავ გაისროლეს.

— წესრიგი, ამხანაგებო, წესრიგი და სიმშვიდე, ყველანი დავტეკვით! — ღრიალებდა მაღალი, აწოწილი მეზღვაური და მაუზარს ჰაერში იქნევდა, მაგრამ ამ სროლას აღარავინ შეუშინდა, პირიქით, დაჭიმითებული ბრბო მეტი სიშმაგით მიაწყდა ჯურღმულის შავად დაბჩენილ ხახას. მეზღვაურმა ერთხელაც დააქუხა და ზედ ისეთი გინება დაატოთო, შავი ზღვის ფლოტის ბოკანის გარდა, ქვეყნად რომ ვერავინ მოიფიქრებდა.

ჭრელთავსაფრიანი დედაკაცი, ახლა უფარაჯოს მიეტმასნა. ის კი პეტრუშას არწმუნებდა, მკლავი დამანებე და ბუდეს თავისთავად მოვაძებნინებო.

— ქრისტიანები არა ხართ? — ხმაში მუდარა გაირია დედაბერმა, — ადამიანური ენა ხომ გესმით, რამ დაგამუნჯათ, გამაგებინეთ, როდის დაბრუნდებიან ჩვენები... როდის? ამ ჯოჯოხეთში თუ ჩავეყარენით, მერე... მერე ვინ მოგვხედავს, ვინ დაგვიხსნის, მითხარით, ბიჭები, სიმართლით გამაგებინეთ...

მხრის სახსარმა მოულოდნელად გაიტკაცუნა და პეტრუშამ უფრო შეკრთომისაგან, ვიდრე ტკივილისაგან, შეჰყვირა.

— რა გითხრათ, დედილო, ჩვენც რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ვიცით. — ყველას სანაცვლოდ უპასუხა უფარაჯომ და ზურგი უჩვენა.

დედაბერს თვალებში სასოწარკვეთა ჩაუდგა, და თავსაფრის ბოლო ტუჩებში მოიქცია, ზედა ყბაზე ერთადერთი კბილიღა შერჩენოდა, ქვემოთებს ჯერჯერობით არა უშავდათ.

— არ ვიშითო... არ ვიშითო... — ნირწამხდარი აჩიფჩიფდა. — მაშ ვინ იშის... ვინ?.. ღმერთო, შენ გვიშველე... ღმერთო! — სწრაფად, რამდენჯერმე გადაისახა პირჯვარი და ფერდის გაყოლებაზე წატუსტუსდა, ეტყობოდა, აღარ იცოდა, რა ეღონა, დარჩენილიყო თუ შინ გაბრუნებულიყო, იღლიაში ამოჩრილი ბოღჩა ბალღივით ჩაეხუტებინა მკერდში, თითქოს დიდი საგანძური ჰქონდა შიგ გამონასკვული.

გვირაბის თავზე უეცრად დაიგრგვინა, დაიქუხა, მიწისა და კლდის ნამსხვრევები ცაში ატყორცნა და ტაფობში შექუჩულ ხალხს ზრიალით თავზე გადმოაყარა.

ქალები ერთხმად აკივლდნენ. ჭურვის აფეთქების დროს კი არა, შემდეგ — ქვა და ღორღი რომ გადმოეგნათ თავზე; ბავშვები დედებს მიეკვრნენ და კალთებში თავები ჩამალეს, ცხენებმა და საქონელმა პატრონებს აღვირ-საბელი წაჰგლიჯეს და დაოთხდნენ, გზადაგზა ხალხიც გადათელეს, მამაკაცები აღმუვლდნენ, სხვადასხვა მხარეს გაიფანტნენ, უმეტესობა ლაბირინთის ყელში ჩატმასვნას შეეცადა და იქ უზარმაზარი ზედახორა მოეწყო, ისეთი, თავსა და ბოლოს რომ ვერ მოუნახავდა ადამიანი.

ქვეშმოყოლილებმა ტანი რომ ვეღარ აითრიეს და ვეღარც გაიმართნენ, უძლურთა უძეელესი ხერხი — ბილწსიტყვაობა მოიშველიეს და სოდომ-გომორს ერთიანად გადაჭარბეს.

აფეთქებისთანავე მანოხინი იარაღებს გადაეფარა და კინაღამ გაგუდა, თავად კეფაზე ხელები შემოისლტა, ქვათაცვენას კინკრიხო რომ არ ჩაემტვრია. უფარაჯო ფერშალიც იქვე ჩაცუცქულიყო, პეტრუშაც მიწას გაჰკვროდა, მხოლოდ ქურანა იდგა ნირშეუცვლელად, კვლავინდებურად მთელი სხეულით ცახცახებდა და დიდრონი, ყულიანი თვალებით ცისკენ ახედვას ლამობდა, წინა ფეხებთან ჭრელთავსაფრიან დედაბერს დაეჩოქა და ქედდადრეკილი გამალებით პირჯვარს იწერდა.

— მარისკა, მარისკა, სადა ხარ, ხმა გამეცი! — ტირილნარევი ხმით კიოდა ახლად მოწიფული გოგო და ცეცხლწაკიდებულივით აღმადაღმა დაჰქროდა; ხან ვის მიაწყდებოდა და ხან ვის, მაგრამ დამხმარე და ნუგეშმცემელი არავინ ჰყავდა.

დაჭრილის გამოქვაბულში ჩაყვანის ცდა სრული უაზრობა იყო, გზას მაინც არავინ დაუთმობდა. აღარც ადგილზე დატოვება შეიძლებოდა, რაიმე დროებითი საფარი მაინც უნდა მოეძიათ. მანოხინმა, — წავედითო, — ბრძანა; თავად წინ ჩაუდგა დაჭრილს და იმისი ფეხები ოთხთვალას ხელნებიგით ამოიდო იღლიაში. უფარაჯო ფერშალმა მხრებიდან ასწია, პეტრუშაც შეეშველათ და გაჭირვებით შეუყვნენ აღმართს, რადგან, ჯერ ერთი, რომ, თავად იარაცვი ზორბად მოსული კაცი აღმოჩნდა, და მეორეც, გონდაკარგული და მოწყვეტილი ადამიანი, როგორც წესი, ჩვეულებრივზე მეტად მძიმდება, იქნებ იმიტომ, რომ მიწა იზიდავს თავისკენ.

თხუთმეტი ნაბიჯიც არ ექნებოდა გადადგმული, რომ ცისფერკაბიანმა გოგომ ჩაუბრინთ, აზლუქუნებული ხოდა, ზედმეტი მღელვარებისა და ძახილისაგან ხმა ჩასწყვეტოდა, შლეგიანივით შემოანათა თვალები და გასცდათ თუ არა, იმავ წამს კვლავ გამაყრუებლად აფეთქდა ჭურვი, ახლა კი მთლად ახლოს, გვერდით.

ფეხზე მხოლოდ უფარაჯო დარჩა, გამოუცდელობით მოუვიდა. ივრძნო, ზურგში როგორ ძალუმად დაებდღვნა რაღაც უხილავი, შეაბარბაცა, შეატორტმანა და კინაღამ წააქცია, ყურის ნიჟარებში კი თითქოს ბამბები ჩაუჩურ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეს და სმენა დაუხშეს. მაინც გაშეშებული დარჩა, თუმცა გრძნობდა, როგორ უახლოვდებოდა ციდან საშიშროება, კეფით და თხემით აღიქვამდა, შემდეგ მონაცვლებით გარშემო მოზრდილმა ქვებმა იწყეს ცვენა, ერთმა ლამის ცხვირ-პირი ჩამოათალა და პირდაპირ ფეხის თითებთან დაეფშვნა. არაფერი უგრძვნია, ხეირიანად შეკრთომაც ვერ მოასწრო, მხოლოდ ის ცისფერკაბიანი გაახსენდა, წედან რომ გვერდით ჩაურბინათ, მთელი ტანით, ჯოხივით გახევებული შეტრიალდა და მზერით მოიძია.

ვოგოც ასევე იდგა, გამართული, გაქვავებული, ნირშეუცვლელი და თავჩახრილი ისეთი დაკონებით ჩასცქეროდა რაღაცას, თითქოს მთელი ცხოვრება რომ ეძებდა, ახლა გზაზე უპატრონოდ დაგდებული ენახა, შემდეგ ხელები აუჩქარებლად წინ გაიშვირა და თითებიც კი გაფარჩხა, ეტყობოდა, წაწვდენასა და აღებას აპირებდა, მაგრამ ვერ ბედავდა.

უფარაჯო ჯარისკაცმა უნებლიეთ მისი ხელების მიმართულებას გააყოლა თვალი და მიწას დახედა. ცისფერკაბიანი ვოგოს ფეხებთან, შეფერდებულზე, დედაბრის თავი ეგდო, აფეთქებული ჭურვისგან წაგლეჯილ-წაცლილი, მაგრამ... ჯერაც ცოცხალი. მუშტის სიდიდემდე გაფართოებული, ბუდეებიდან გადმოცვენილი თვალები საოცარი სისწრაფით, ერთიმეორის საწინააღმდეგოდ ტრიალებდნენ, ყბები კაკაპაში, ტკაცატკეცით იღებდნენ და იხურებოდნენ, ენა სავსავებდა, რაღაცის თქმას ცდილობდა, ხოლო კისერს ამოყოლილი გრძელი ვენები და არტერიები ტალახში სხმარტალებდნენ, იგრიხებოდნენ და შორიახლო დაგდებულ ჭრელ თავსაფარს სისხლის შადრევნებს აჩქეფებდნენ.

ქუთანა ცხენიც იქვე იდგა. სრულიად უნებელი და კვლავინდებურად ზეცისაკენ თავაღერილი. ფერდები და კანჭები წითლად დალაქვოდა და დატალვოდა, ერთი კი იყო, აღარც კანკალებდა და აღარც თრთოდა.

შუადღის ხვატისაგან გავარვარებულ გზაზე მეფის მცველებს ორი ფეხშიშველი მონა მიჰყავდათ. კისერზე შემოსალტული რგოლები, რომლებზეც მათი სახელები იყო ამოტვიფრული, კოჭებზე დადებულ ბორკილებთან მოკლე ჯაჭვით შეეერთებინათ და ამით მონებისათვის ნახევარ ნაბიჯზე მეტის გადადგმის საშუალება მოესპოთ. ამიტომაც იყო მტკაველის სიმაღლე მტვრის ფენაში, რომელიც გავარვარებული ღადარივით წვავდა და თუთქავდა ფეხსაცმელებს, ჩოჩიალით რომ მოაბიჯებდნენ და ბუღს აყენებდნენ.

წინმომავალი, მაღალი, დეკეკაცის აღნაგობის ტანშიშველი კაცი, წლობით მზის გულზე მძიმე ფიზიკური შრომას ეთიოპელი ზანგივით გაერუჯა, თუმცა მხრებზე ჩამოყრილი ჩალისფერი თმა და ღია, მომწვანო თვალები მის სულ სხვა წარმომავლობაზე მეტყველებდა.

მეორეს, დიდთავასა და ფეხებმოღრეცილს, მოკლე, დაბდღვნილი გიმატია ეცვა. წვრილი მაჯები და ჩავარდნილი მკერდი ნათლად ადასტურებდა, ეს მონა მძიმე გარჯისათვის თითქმის გამოუსადეგარი რომ იყო და ამ მიზნით მის მეყიდველს ფული სიმახინჯის არარსებული ქალღმერთისათვის შეწირულად უნდა ჩაეთვალა.

მიუხედავად ამისა, იგი ნებისმიერ ჯანმრთელ მონაზე ათჯერ მეტად იყო შეფასებული და ღირდა კიდეც.

მცველები გარდიგარდმო მიჰყვებოდნენ, გადატრუსულ-გამხმარ ბალახზე მიაბიჯებდნენ და შარავგზის მტვერში მხოლოდ იმ მიზნით თუ შევიდოდნენ, რომელიმესათვის მათრახი გადაეკრათ და ზურგზე ტყავი აეძროთ.

თვით ყოვლის განმაჭვრეტი ჰერაც კი ვერ აღმოაჩენდა ამ ორ ბედკრულს შორის რაიმე მსგავსებას და, მიუხედავად ამისა, ისინი ღვიძლი ძმები იყვნენ, ამასთან, რაც კიდევ მეტად შეუსაბამო იყო — ტყუპი ძმები.

ორთავე მათგანისათვის აღსასრული

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღე დამდგარიყო და პერისად პირველის ბრძანებით, ახლა დასასჯელად მიჰყავდათ, ერთი გაქცევის მცდელობისთვის, მეორე ჯარში ცოდნისათვის.

ოდითგანვე ყოველი ქვეყნის დესპოტსა თუ ტირანს სიკვდილით დასჯის სხვადასხვა მეთოდი ჰქონდა მოწონებული და შერჩეული. ჩინეთში, ცინის სამეფოში, განწირულს ბლაგვად გადაჭრილ ბამბუკებზე გულაღმა აწვენდნენ და ტანზე სიმძიმეებს ჰკიდებდნენ. ბამბუკი, რომელიც დღე-ღამეში მეტრამდე მატულობს სიმაღლეში, მცენარისათვის დამახასიათებელი მეთოდურობით რამდენმე მტანჯველი საათის განმავლობაში საცერივით ცხრილავდა ადამიანის სხეულს.

ეგვიპტის ფარაონები ხელფეხშეკრულ კაცს უდაბნოს თაკარა მზის ქვეშ დასვამდნენ და უთვალავი რაოდენობით საგანგებოდ დამშეულ კაციჭამია ჭიანჭველებს გადაყრიდნენ თავზე.

ბირმის ანირუდები მოსაკვდინებელს ჯაჭვის პერანგს ჩააცმევდნენ და დამჭიმებით იმდაგვარად შემოასატავებდნენ, რომ ჯაჭვებს შორის ხორცი ბურთივით გამოჩრილიყო, შემდეგ ბასრი იარაღით ხორცს კანს აცლიდნენ და გატყავებულ კაცს გამოუცხადებდნენ, იმპერატორმა ბუდას თანხმობით თავისუფლება მოგანიჭაო; და მართლაც სიკვდილმისჯილს ოთხივე მხარეს უხსნიდნენ გზას, მაგრამ რა იცოდა ბოლოკივით გაფცქვნილმა ბედკრულმა, რომ აუტანელ სატანჯველს, მას რომ ელოდა, ერთადერთი რამ კურნავდა — თვითმკვლელობა.

მონღოლეთის ყაენები გაცილებით ჰუმანიურნი იყვნენ, დასასჯელს მხოლოდ და მხოლოდ ხერხემალში ამტვრევდნენ და ზურგის ტვინს უწყვეტდნენ.

ქართველი მეფეები მოღალატეს ძელზე სვამდნენ, ხოლო ჯალათი ისეთი ოსტატი უნდა ყოფილიყო თავისი საქმისა, რომ ძელი ანალური ხვრელიდან ლავიწის ძვლამდე გაეტარებინა და ამასთანავე ისეთი სიფრთხილით, რომ გზად არც ერთი სასიცოცხლო ორგანო არ დაეზიანებინა. ძელზე გასმულს ეთი დღეღამე მაინც უნდა ეცოცხლა.

ბოსფორის სახელმწიფოში პერანგიან პირველმა, ჯერ კიდევ ტახტზე ასვლამდე, სიკვდილით დასჯის ახალი ხერხი მოიგონა, რომლის უმთავრესი დანიშნულება არა მხოლოდ სიცოცხლის სხეულიდან წამებით განდევნა იყო, არამედ მონებზე მისი თვალსაჩინოებრივი ზემოქმედება და შემეცნება.

დამნაშავეს, უმეტეს შემთხვევაში გაქცევის მცდელობისას შეპყრობილ მონას, ქვის კარიერის შუაგულში უზარმაზარ ლოდზე გულაღმა გააწვენდნენ და პირველზე შედგმულ მეორე ლოდს, ოცდაათი კაცი რომ ძლივს ძრავდა, ფეხებზე დასცემდნენ, მაგრამ ამით არ ამთავრებდნენ დასჯას. ძალებგადალეწილ კაცს ხელებს ზურგზე გაუკრავდნენ და ცხვირწინ სპილენძის თასით წყალს შემოუდგამდნენ, იმ ანგარიშით, რომ მწყურვალს ენის წვერით შეესვა მაცოცხლებელი სითხე. დროთა განმავლობაში წყალი წვეთწვეთობით კლებულობდა და უფროდაუფრო ძნელადმისაწვდომი ხდებოდა.

სამტეხლოებში მიმავალი მონები ყოველ დილა-საღამოს უყურებდნენ ამ საშინელ წამებას, ისმენდნენ არაადამიანურ ზარდამცემ ბღავილს და ისევ გამუდმებულ შრომაში სიკვდილს ამჯობინებდნენ ასეთი ტანჯვით სულის ამოხდომას.

შარაგზაზე მიმავალ ძმებს და მათ მცველებს ხაფანგში მოყოლილი ტურის ყმუილ-კივილის მაგვარი ხმა შემოესმათ, რასაც მალე ხრწნადი ძმორის სიმყარალეც დაერთო. წინამიმავალს მუხლი მოეკვეთა, მთელი სხეულით ერთიანად აცახცახდა და მტვრის ბუღში პირქვე ჩაემხო.

იმავე წამს ოთხმა თანმხლებმა გრძელი მათრახები ამოქმეკდა. ხარის ტყავისაგან მოწნული, ცერა თითის სიმსხო ღვედები გაავებული ცხპიტებივით მიესიენენ მიწაზე გართხმულს, სისინებდნენ და წიოდნენ, წუთში წიოლად შეუ-

ღებეს და დაუფლითეს ბეჭები და ზურგი, მაგრამ პირქვე ჩაწოლილი თითქოს ქვად ქცეულიყო, ხმაჩავარდნილი იწვა და წამოდგომას არც ფიქრობდა. როდესაც უკანმომავალი მოადგა, რაღაც გაურკვევლად დაიყვირა და ძმას ფერდში დაბორკილი ფეხი წაჰკრა.

— ადექი, დათპუ, — ბოხი, მომთხოვნი ხმით უბრძანა. — ცისაგან განწირულს მიწა ვერ გიხსნის!

ტყუპისცალი მართლაც წამოდგა, ჯერ მუხლზე წამოიჩოქა, შემდეგ დაჭრილი ირემივით აიქნია თავი, ტანიც ააყოლა და ჯაჭვების ყრილიათი წამოხტა.

— ხედავ? — უთხრა ერთმა მცველმა მეორეს, — თუტუს მათრახზე მწარე და მწველი ენა ჰქონია!

ორთავეს გაეცინა, სხვებსაც, და რაც მთლად მოუღონელი იყო, თვით დიდთავა გონჯსაც; მიბოლრიკობდა, ხითხითებდა და თავს ბუზებით შეწუხებული ხბოსავით აკანტურებდა. ასე თავის ქანქარით გაუსწორისწორდა სიკვდილის ღოდს, რომელსაც პერისადმა, შემქმნელ-გამომგონებლის უფლებით, ცერბერის ყბა უწოდა. ახლა მხოლოდ ცამეტი საფეხურის ავლღა იყო საჭირო და ძმები იმის გვერდით აღმოჩნდებოდნენ, ვისი ბედიც უნდა გაეზიარებინათ, მაგრამ ეს მხოლოდ მეფის მობრძანების შემდეგ მოხდებოდა.

დათპუ ძმას გვერდში ამოუდგა და შიშისაგან გაფთრებული მიაჩერდა ცერბერის ყბებში მოქცეულ არსებას, რომელსაც ერთ დროს ადამიანი ერქვა და ახლა მათკენ ჩამოფერდებულ ქვედა ლოდზე ისე გაჭიმულიყო, როგორც პროკრუსტეს ტყვე. ესეც პერისადის გათვლილი იყო, რათა ყოველ გამვლელს თვალნათლივ ეხილა, რად ჯდებოდა თავისუფლების სიყვარული.

თეძოებიდან წამოსული, განგრეხილი გამოწეული სიშავე განწირულს ხერხემლამდე ამობობღებოდა, წელქვეშით მთლიანად დაეწულულებინა და აეყოლებინა. კაცი ცოცხლად ლეკებოდა და ამას ვერც **ამჩნევდა,** რადგან მთელი არსებით იმ თასისაკენ მიიწევდა, [illegible] ... რომ ედგა ... ანდამატზე [illegible] იხიდავდა. კისრის მალები წყლის ფრინველივით გაწყვეტამდე გასჭიმვოდა, გადმოკარკლული თვალები ჟურჭლისათვის მიეპყრო და ერთი გამუდმებული ხავილი ამოსდიოდა ყელიდან.

მაგრამ ყველაზე საზარელი მისი ენა იყო, საქონლის ღვიძლივით გალურჯებული, დასივებული და წარმოუდგენლად დაგრძელებული, რომელიც გავარვარებული სპილენძის თასის კიდეზე ჩამოდო და წვერის სავსავით ცდილობდა როგორმე მის ძირზე შემორჩენილ სითხეს მისწვდომოდა.

წყლულებზე, დახეთქილ ტუჩებზე და ენაზე უამრავი მწვანე ბუზი დასეოდა და ერთიანად დაეფარა.

თუტუმ ფეხის ფეხზე მიდგმით აიარა ცამეტივე საფეხური, ლოდებს შორის მომწყვდეულს მიუახლოვდა, სწრაფად მოიხარა და ვიდრე მცველები რამეს იაზრებდნენ, სპილენძის თასი ენაზე გადმოუპირქვავა.

ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელი, არაადმქვეყნიური ნეტარების ღმუილი აღმოხდა ტანჯულს, თითქოს ყოველგვარი სიამოვნება, რისი განცდაც კი სულიერ და ხორციელ არსებას სიცოცხლის მანძილზე უნდა ეგრძნო, ერთ მოკლე წამში არგუნეს, თვალები ნეტარებით მილული, ღაწვებზე წყვეილი კურცხალი შვებით გადმოუგორდა, მთელი სხეულითი ოდნავ გაიცახცახა და სული განუტევა.

ერთ-ერთმა მცველმა მათრახი ქამანდივით მოიქნია, თუტუს ყელზე შემოასალტა, გადმოქაჩა და ცერბერის ყბიდან თავქვე გადმოუთახა. ძირს დაცემაც არ აცადეს, ყველა მათრახიანი ერთად მისცვივდა, წრედ შემოერტყნენ და ეშმაკის იარაღი აამოქმედეს.

ტყუპისცალი ცოტა ხანს გაოგნებული უცქქეროდა, როგორც ჩანს, მის გონებას სწრაფი აზროვნება არ ეხერხებოდა, ვერც მიმხვდარიყო, ასეთი რა დანაშაული ჩაიდინა მისმა ძმამ, და, შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საძლოა, ვერც მიხვდა, ერთი კია, გენისა თუ სისხლის კარნახით უცებ ისკუპა, ძმას ზედ გადაემხო და უზარმაზარი სხეულით ისე დაფარა, რომ ფეხის ფრჩხილებიც კი აღარ დაუტოვა მათრახის დასაკერელად.

მცველებმა ცოტა ხანს იმასაც უყურეს, მერე წასწვდნენ, გრძელი თმებით დათრიეს და აჰქარეს, რაგდენიმე კოჭებზე დადებული ბორკილებიდანაც ასწია და ასე ციმციმ იატაცეს ჰაერში, მაგრამ როდესც მიწას დახედეს, იქ აღარავინ დახვდათ, ძმას ძმა მკლავებში ისე მოემწყვდია, როგორც ქორს წიწილა და ცოცხალი თავით დათმობას არც აპირებდა.

— გაუშვით! — გაისმა მშვიდი ხმა და ამ სუსტ, მაგრამ მბრძანებლურ სიტყვაზე მცველებს ელეთმელეთმა დაპკრთა, დაზაფრულებმა მონებს ხელი უშვეს, მიწაზე დაყარეს და თავად ქვის ლოდს ცემის მომლოდინე ფინიებივით აეკვრნენ.

პერისადმ პირველი დრიოდეს თანხლებით მობრძანებულიყო, ორივენი მონების მხრებზე შედგმულ, მოჩრდილულ ტახტრევნებში ისხდნენ. ბოსფორის მბრძანებელს სადად და ხალვათად ეცვა, სხეული არავითარი რეგალიებით არ დაემძიმებინა, მაშინ, როდესაც უკვე ღრმად მოხუცებულ დრიოდეს მკერდზე სახელმწიფოს პირველი ხუროთმოძღვრის ნიშანი — მუშტისტოლა ოქროს გულქანდი ეკეთა.

მტვერში თავფეხიანად ამოგანგლული, დასისხლიანებული ძმები ერთიმეორეს ჩაეჭიდნენ, წაეხმარნენ და ისე წამოდგნენ. თუტუ რატომღაც ცალუბად იღიმებოდა, ამასთანავე ისე ფარულად, როგორც ბალღი, რომელსაც ეცინება, მაგრამ თავს იკავებს, უფროსები არ განვარისხოო.

— რა ახარებს დიდთავა გომბეშოს? — იკითხა პერისადმა და ტახტრევანიდან წინდაჩოქილი მონის ზურგზე ჩამოდგა ფეხი.

— ვიდრე მიწაზე ვნებივრობდი და თქვენნი ყურმოჭრილი ქოფაკები ზურგს მეხანდნენ, ჩემს დიდ მასწავლებელთან შეზვედრაზე ვოცნებობდი. — უკვე გულია ხითხითით უპასუხა თუტუმ და ამოგანგლულ, გაოფლილ ცხვირ-პირზე ხელისგული ჩამოისვა.

პერისადს ჯერ გაეღიმა, მისი ლაღი სიცილი თუ გადაედო, შემდეგ შეუოკებელი ხარხარი აუვარდა, ოთხზე მდგომი მონის ზურგზე ჩამოჯდა, მუცელზე ხელები მიიბჯინა და ისე აფხუკუნდა.

— დრიოდე, — უთხრა არქიტექტორს, როდესაც სული მოითქვა. — ღმერთებს ეფიცავარ, სულ ტყუილად გასწირე ეს კაცი, ჩემი მეფური სიტყვის გადათქმა რომ შემეძლოს, ამ თავკომბალას ტახტის ფეხზე მივაბამდი და წუთითაც არ მოვიშორებდი გვერდიდან, განა დასაფასებელი არ არის კაცი, რომელსაც ასეთი მტანჯველური სიკვდილი ელის და იუმორის გრძნობას მაინც ინარჩუნებს?

დრიოდემ თუტუს თვალი აარიდა და გაფითრდა, თითქოს ერცხვენებოდა გამცემად რომ დასახელეს, სინამდვილეში მოსალოდნელი ხიფათის შეგრძნება აფრთხობდა, მისი ყოფილი მონა და ნამოწაფარი ორლესულივით საშიში იყო, ერთის მხრივ, უსაზღვრო ენაკვიმატობით და მეორეც — საჭიროზე მეტის ცოდნით.

— გვარგვინოსანო, — თავის მდაბლად დაკვრით მოახსენა, — ღმერთების საკადრისი სიტყვა ბრძანეთ, როდესაც ეს მახინჯი გომბეშოს შეადარეთ, და განა ბაყაყი კაცად შეიძლება მოვიხსენიოთ მხოლოდ იმის გამო, რომ მას სიცილი ეჯერხება?

ეს ყოველივე მოხუცმა ხუროთმოძღვარმა მეტისმეტად ხმადაბლა თქვა, რათა მოშორებით მდგომ თუტუს მისი ნათქვამის აზრი არ სმენოდა.

მაგრამ პერისადს საკუთარი ჩანაფიქრი და განზრახვა ჰქონდა, თანაც, წვრილმანებში გათვლილი. მას სურდა მოწაფისა და მასწავლებლის შეტაქებით სრულყოფილად გარკვეულიყო ერთ საკითხში, სძულდათ თუ არა მათ ერთმანეთი.

— გესმის, თუტუ, — როგორც ტოლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორს, ისე მიმართა მონას. — შენი ბრძენი გამზრდელი ჩემს კარაულს ადასტურებს და, როგორც ვხედავ, ღირსიც ხარ, თუ ამდენი წლის ერთგულებით მეტი ვერ დაიმსახურე.

— დიდი დრიოდეს ენით თვით ჭეშმარიტება ღაღადებს. — ხუმრობანარევი თეატრალობითა და ხელების ზეცისკენ აშვერით დაუთანხმა დიდთავა და ძველებურად ახითხითდა, ამასთანავე იმდენი სითავხედეც გამოიჩინა, რომ ქვის კიბეს მიუახლოვდა და პირველსავე საფეხურზე ჩამოჯდა.

— ეს საინტერესოა, — თითების ტკაცუნით კმაყოფილება გამოხატა პერისადამ, წამოდგა, მტვერში ქვაფენილივით ჩაწოლილ-ჩაწყობილ მსახურთა ზურგებზე გადაიარა და თუტუს წინ აღიმართა.

— რატომ ღაღადებს მისი ენით ჭეშმარიტება, ნუთუ შენ აღიარებ, რომ მართლა გომბეშო ხარ და მეტი არაფერი? — ჰკითხა გამამხნევებელი და ცბიერი ღიმილით.

ფეხთით ჩამომჯდარმა უსახურმა ქონდრისკაცმა მეფეს მრავლისმთქმელად ამოხედა და პერისადს სახეზე უდიდესი განცვიფრება აღებეჭდა, თუტუს ერთიმეორისაგან მკვეთად განსხვავებული, სხვადასხვა ფერის თვალები ჰქონდა, მარცხენა მაისის ულრტბლოცის თაღივით ცისფერი და მიმზიდველი, მარჯვენა კარბონატივით შავი და სხივმფენარი.

გაახსენდა ინდოეთში ყოფნის დროს, ჯერ კიდევ უფლისწულობისას, ნეპალის საზღვართან კლდეში გამოკვეთილ სამლოცველოში საიდუმლოდ და დიდ საფასურად ქურუმმა უპირველესი ბუდას ქანდაკება რომ უჩვენა. ფეხმორთხმით მჯდომ იმ ოქროს ქანდაკს ცოცხალი ადამიანის სწრაფი და მეტყველი თვალები ჰქონდა, და რაც კიდევ მეტად საოცარი, ზუსტად ისეთი, როგორიც თუტუს. მაშინ ქურუმმა განუმარტა, რომ სხვადასხვა ფერის თვალები ზეციურისა და მიწიურის მიმნიშნებელიაო.

თუტუმ მარჯვენა ქუთუთო მოჭუტა და ახლა მხოლოდ ცისფერი მისჩერებოდა მეფეს, შემდეგ საჩვენებელი თითი ფრონველის ნისკარტივით მოკაკვა და კეფაში ჩაიკაკუნა.

— დიდი ხნის წინათ, — მწვიდი, წყნარი ხმით დაიწყო მან, — ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფოს პირველ ბრძენსა და ვეზირს, რომელსაც როგორც გონიერ ადამიანთა დიდ უმეტესობას, თავზე ღერი თმაც არ ჰქონდა, შუბლზე ბაყაყი ამოუვიდა.

ღიმმორეულმა პერისადმა დრიოდეს გახედა, რომელიც მათ უახლოვდებოდათ და თუმცა მსახური ფარშევანგისფრთიანი საჩრდილობლიერ მზისაგან ფარავდა, ხუროთმოძღვარის თავს მაინც სპილენძის ახალთახალი ქვაბის ბზინვარება და ლაპლაპი გაჰქონდა.

— დაუჯერებელია, — ხმამაღლა გაიოცა მბრძანებელმა. — ბაყაყი თავზე?

— დიახ... დიახ... — დაუდასტურა თუტუმ, — ამოუვიდა და ისე ამოებურცა, როგორც მსხვილი მეუეკი, და იოლი მისახვედრია, ამ საზიზღარმა არსებამ ესოდენ მოულოდნელი გამოცსადებით, დიდი უსიამოვნება მიაყენა დიდგვაროვან ბრძენს.

— შემდეგ, შემდეგ რა მოხდა? — ხითხითით დაინტერესდა გვირგვინოსანი და მორიდებით მდგომ დრიოდეს ანიშნა, გვერდით ამოსდგომოდა.

— თითქმის არაფერი, — მხრების აყრით აუწყა თუტუმ, — დიდებულმა დასტაქარი იხმო რათა ის თავზედი, როგორც ხორცმეტი, მოეკვეთა, და როდესაც მკურნალმა ჰკითხა რითი გემსახურთო, რა გაგჭირვებიათო, ვიღრე ბრძენი სატკივარს აუწყებდა, ბაყაყმა დაასწრო და ადამიანის ენით უპასუხა, უკანალში რაღაც სისაძაგლე გამომეჩარაო!

პერისად პირველი კვერცხმოწოლილი ქათამივით აკაკანდა, ხოლო დრიოდემ სისხლდადენამდე მოიკვნიტა ტუჩი, მცველები და მსახურნი, თუმცა მონათხრობის დედააზრს ვერ მიხვდნენ, ხელმწიფის წამხედურობით ერთხმად ახარხარდნენ და ჩაბეირდნენ. ერთადერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღიდთავა მახინჯი იჯდა ნირშეუცვლელი, მხოლოდ ეგ იყო, ახლა მარცხენა ქუთუთო მოეჭუტა და შავი, ეშმაკურად აციმციმებული თვალით მისჩერებოდა ყოფილ მასწავლებელსა და მწვრთნელს.

— ეზოპეს სადარი იგავია, — აღნიშნა სულმთქმელმა პერისადმა. — შენ რას იტყვი, დრიოდე?

მოხეცა არქიტექტორს ახლა ღაწვები წამოფაკლვოდა, ამდაგვარი შეუფაცხყოფა მისთვის ჯერ არავის მიეყენებინა, წყალრეცა არ გამოადგებოდა, მბრძანებელი პასუხს ელოდა.

— დანამდვილებით ვიცი, — ყალბი ხმით ამოიხრიალა მან, — ბაყაყი მაინც მოიკვეთა და იმან, ვის გონებაზეც იგი ალმოცენდა, ფეხის დაკვრით გასრისა.

პერისადმა თიხა მოზეკილად მიიჩნია და ახლა ქოთნის გამოყენას შეუდგა, ხოლო ყურს, რომელ მხარესაც მოეპრიანებოდა, იქიდან მიაბამდა, ეს მისი უფლება იყო.

— შენ როგორ ფიქრობ? — ჰკითხა ნარფერთვალა ოხუჯს, რომელსაც ფეზზე წამოდგომა გუნებაშიც არ გაუვლია.

თუტუმ ორთავე თვალი გაახილა.

— ეგ ჯერ კიდევ საკითხავია, ვინ მოიკვეთა, ბაყაყი თუ ბრძენი, ხოლო რაც შეეხება გასრესას, უდავოა, ბაყაყი გაიტყლეტებოდა, რადგან არათუ სახელმწიფოს აღზევებულ პირთ, არამედ რიგით მოკვდავთთაც, მათზე მაღლამდგომნი გინდ თანამდებობით, გინდ ქონებით, ანდა ნიჭით, ჭირის დღესავით სძულთ და თუ შესაძლებლობა მიეცათ, ფეხის დადგმას და სულის გაცლას არ დაამადლიან, ეს ყველა ჰრსების უძველესი სენია და ბუნებისგანაა დაკანონებული.

პერისად პირველმა ცოტა ხანს დაკვირვებით უცქირა დიდთავა გონჯს, თან ცალყბა ღიმილი სახეზე დასთამაშებდა და ლოყას უნაოჭებდა.

— ტყეუი, გველის წიწილო, ტყეუი და ცრუობ! — ეუცრად იკივლა და არც თუ მთლად გამეტებით, მკერდში ფეხი ჩასცხო, — შენ გინდა დამარწმუნო, რომ უთვალავ ქვეშევრდომთაგან ყველა ჩემი მტერია?! არა და არა, მე მაგ ვუყვარვარ, ისინი ჩემზე ლოცულობენ და ღმერთებს მსხვერპლს სწირავენ, სხვას ვერც ვირწმუნებ და ვერც დავიჯერებ!

აქ გვირგვინოსანმა ზეციერ ხელი იმდაგვარად შემართა, როგორც იქ, ამფითეატრონში, და დრიოდეს შიშმა და მოგონებამ თავზე გადაჭიმულ კანზე თითქოს ცეცხლი წუკიდა.

— ო, აპოლონ, მანათობელო და მწყალობელო, — კვლავ თვალმისაცემად ყალბი ტონით განაგრძო პერისად პირველმა. — შენ მზის სხმალლიდან დასცქერი ჩემ საუფლოს, ყოველივეს გრძნობ და სჭვრეტ, მტერსა და ორგულს თვალნათლივ ჰხედავ, იცი მათი გულსნადები ბნელი ზრახვანი, და ახლა მე, შენი ვაჟის, ლევკონ პირველის შვილი და მემკვიდრე, გთხოვ და გემუდარები, რათა მოუვლინო მათ რისხვად! და სასჯელად არსება იგი, დამარცხებული და მოთვინიერებული შენგან — კ ი ა ნ ფ ა!

თითქოს ექსტაზში შესული და გაავებისაგან თავდავიწყებული ბოსფორის მბრძანებელი სრულიად მოულოდნელად შემობრუნდა და ზურგს უკან მდგომ დრიოდეს მზერა გაუსწორა.

მოხუცი ბერძენი მომჩვარულიყო, მოკუნტულიყო და ერთიანად გახვითქული მთელი სხეულით ციებიანივით კანკალებდა.

— ო, კეთილშობილო დრიოდე, — ხმა მაღლა მიმართა პერისადმა, — შენ ერთიღა დამრჩი ერთგული და კეთილმოსურნე, მხოლოდ შენღა გენდობი. — ეს სიტყვები ისეთი ნათელი დაცინვით იყო ნათქვამი, რომ ხუროთმოძღვარს ხაფანგში მოყოლილ ვირთხასავით აუწრიალდა თვალები.

— მარადის... მარადის... — ჩაიჩიფ-ჩიფა მან და თავი უმდაბლესად დახარა.

ასე ქედჩადრეკილს და შეშფოთებულს, გაახსენდა, როგორ იყიდა კუნძულ დელოსზე, სპარსელი მონათვალჩრისაგან, თითქოს პრაქსიტელის ხელით შექმნილი ტყვე ბიჭი და იმ მშვენების

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვერდით მდგომი, მისივე ტყუპის ცალი დიდთავა მაზინჯიც, მხოლოდ იმის გამო, რომ წყეულმა სპარსელმა ქათმის ფასად დაუთმო. შემდგომ ის თავდიდა აპოლონისაგან კურთხეული აღმოჩნდა და რამდენიმე წლის განმავლობაში სრულყოფილად შეისწავლა ყოველივე, რასაც მან, ათენის პირველმა ხუროთმოძღვარმა, მთელი სიცოცხლე შეალია.

რამდენი დიდებული ნაგებობა დაამშვენა დრიოდეს განსაკიდებლად თუტუს ნამოქმედარმა, და აკლდამა-დრომოსიც ხომ ძირითადად მისი ნამოღვაწარი იყო. ხუროთმოძღვარი არც აპირებდა მის გაწირვას, აპოლონის ტაძრის დამთავრების შემდეგ გათავისუფლებასაც უპირებდა, მაგრამ პერისადმა აიძულა, მისმა გაუთავებელმა ხრიკებმა და უმთავრესად იმისმა შიშმა, რომ ბოსფორის განმგებელი, რომელმაც პირველი დღიდანვე ამოიცნო ერთგულ მონაში მისი მარჯვენა ხელი, ძვირადღირებულ არქიტექტორს უმუხთლებდა, შარშანდელი თოვლივით გააქრობდა და დაწყებულ საქმეს მის ნამოწაფარ მონას დაასრულებინებდა. ამიტომაც მთავარი დრომოსის დამთავრებისთანავე თავადვე გაანდო თუტუს ლაბირინთის მშენებლობის საიდუმლოება, თუმცა ის თავადაც მშვენივრად ხვდებოდა ამას, შემდეგ პერისადთან დაბეზღა, რითაც სასიკვდილოდ გასწირა, მაგრამ ბოსფორის ხელმწიფე გაიძვერობის მეფეც აღმოჩნდა და წლისთავზე, როდესაც დრიოდეს მეტოქის ძალები მიწაში ეგულებოდა, ცოცხალი და უვნებელი წარუდგინა, თუმცა ახლა მას ყოვლისშემძლე ზეესიც ვეღარ იხსნიდა, რადგან საერთო მშენებლობა სადაცაა დასრულდებოდა.

დრიოდემ გამოცდილებით ისიც უწყოდა, რომ მგელი, რომელმაც მთელი ფარა შესანსლა, უკანასკნელ ერკემალს ცოდვების მიტევების გამო არ დაინდობდა, და სულ მალე მისი ჯერიც დადგებოდა, მაგრამ ვიდრე ლეკონ პირველს მარადიულ განსასვენებელში არ გადაასვენებდნენ და კედლებს არ ამოაშენებდნენ, იგი ხელშეუხებელი იყო. ფაქტი კი იმ ლათინურ სიბრძნეს ადასტურებდა — ბედნიერია ის, ვინც იმ დღეს კვდება, როცა სიკვდილი სურს!

პერისადმა მცველებს ნიშანი მისცა და გოჭივით აპყავლებული დათჰუ გაკოჭეს, ხელ-ფეხი გაუკრეს და ხელში ატატებული ცერბერის ყბისაკენ წაიყვანეს.

თუტუ დინჯად წამოდგა ქვის საფეხურიდან, ბოსფორის მბრძანებელს წინ გაუჩერდა და თვალი გაუსწორა.

— ღმერთების ნების წინააღმდეგ თვით მეფენიც არ მიდიან! — თქვა მან.

პერისადმა უბგეროდ ჩაიქირქილა.

— მე რითი ვეწინააღმდეგები მათ სურვილს? — იკითხა.

— ერთ დღეს დაბადებული ძმები, ჰერას ნებით, ერთ დღეს უნდა მოკვდნენ, — იცრუა თუტუმ.

პერისადმა ჭრელი თვალები კატასავით მინაბა.

— მაგდენი არ ვიცოდი, — ღიმილით მიუგო. — მაგრამ შევასრულებ, ახლავე მის გვერდით მიგაწვენ.

დიდთავამ თავი გაარტრტება და ცალი თვალი კვლავ მოჭუტა.

— მე რომ მაგ სასჯელისათვის არ გაკვდი გამიზნული?

მცირე ხანს ორთავენი სდუმდნენ, მშვიდად და აუღელვებლად, მხოლოდ დრიოდეს ავადმყოფ გულს გაჰქონდა ბაგაბუგი და ყელიდან ამოხტომას ლამობდა.

— მაშ რისთვის? — დაინტერესდა პერისადი.

— არ ვიცი, — თქვა თუტუმ, — მაგრამ მთელი წლის განმავლობაში ტყუილად არ შემინახავდი, რაღაც სხვა გჭონდა განზრახული და იცოდე, თუ ძმა სიკვდილით დამისაჯე, ნაჭერ-ნაჭერ რომ ამქნა, შენს სურვილს მაინც არ შევასრულებ, ჩვენ ერთი ბედი უნდა გვეწიოს.

ამ მკერდჩავარდნილი ქონდრისკაცის ნათქვამში იმდენი სიმტკიცე და ნებისყოფა იგრძნობოდა, რომ პერისადი მიხვდა, სიმართლეს ამბობდა. მან მხოლოდ

ცერი შემართა და დათჰუ მიწაზე დაუშვეს.

— ხომ ხედავ, — აღნიშნა მან. — მე თხოვნას გისრულებ, შაგრამ სიცოცხლეს არ გიბრძენებ, იგი შენ ხელთაა, რადგან ძმებს ერთად გნებავთ სიკვდილი, ერთად დაიხოცებით.

აქ მბრძანებელმა უკლებლივ ყველას ხელი აუქნია და მოშორებით პატარა ბორცვზე მიანიშნა. მცველები და თვით მოხუცებული დრიოდეც. ძუნძულით გაიქცნენ იქით, მხოლოდ თუტუ დარჩა ფეხმოუცველელად.

როდესაც ყველანი მინიშნებულ ადგილზე გამწკრივდნენ, პერისადმა თქვა:

— ვფიქრობ, რომ დრიოდემ, ამ ბებრმა კობრამ, ლაბირინთში ერთი ხვრელით ზედმეტი გათხარა, ჩემთვის ეს საშიშროებას არ წარმოადგენს, რადგან გველაძუა სამუდამოდ დარჩება ბოსფორში, მაგრამ სურვილი მაქვს დავრწმუნდე ჩემს ვარაუდში, ამიტომაც თქვენ ორს გიშვებთ ლაბირინთში, თან ორი კვირის საგზალს გარგუნებთ, უკან მობრუნება ცერბერის ყბაა, ხვრელით გამოსვლა — სამეფოს პირველი ვეზირობა და ხუროთმოძღვრობა, შენი ბედი შენს ხელთაა.

დიდთავა მონამ პირველად დახარა თავი მეფის წინაშე, მას ორივე თვალი მოჭუტული ჰქონდა.

●

უფარაჯო ჯარისკაცს სამარადჟამოდ დაამახსოვრდება დედაბრის ტანს წაგლეჯილი, ჯერაც ცოცხალი თავი, ცისკენ მაცქერალი, სისხლით მოთხვრილი ქუთანა და ხელებგაწვდილი ცისფერკაბიანი გოგო. მომავალში მას უმეტესი საშინელებებისა და საოცრებების ნახვაც მოუწევს, მაგრამ გონებაში დამღად აღბეჭდილი ეს სურათი იმდენჯერ და ისე უადგილოდ ამოუტივტივდება და წარმოესახება, რომ სიცოცლეს გაუმწარებს.

როგორც იქნა, ცოცხალ-მკვდარი იარცევი ჯაჯღანით, ვაი-ვაგლახით და მუქარით ლაბირინთში კიბესავით მხრებზე გადებული ჩაიტანეს, ამისათვის ფორნინის დაშლა და საკაცის შეკოწწიწება მოუხდათ, ითასგვარ ხვრელებში გააძვრინეს, ჰოსპიტალში მიიყვანეს და სამხედრო ქირურგს მიანდვეს.

ქირურგს პატარა, კოტიტა ხელები, მრგვალი თვალები და დაღლილი, კეთილი ზღარბის გამომეტყველება ჰქონდა, ამასთანავე, თეთრის ნაცვლად, ბროწეულისფერი ხალათი ეცვა, იქნებ სხვა ფერიც, მაგრამ მხრჩოლავი ჭრაქის შუქზე ასე ჩანდა.

იარცევს გონს მოსვლაც არ აცალეს და ჰარიჰარად თეძოებში ფეხები წაჰკვეთეს; კიდურების უსარგებლო, ქვედა ნაწილები ორი დღიღამის უძინარმა სანიტარმა გამთენიისთანავე ყოფილი პატრონისაგან ორმოცაოდე ნაბიჯის მოშორებით ჩაფლა, და მიწას რომ აყრიდა, იმ დროს იარცევიც გარდაიცვალა, წუთით ადრე კი თვალი გაახილა და „ცხენს ნუ უკაპუნებთო“ საწოლის კიდეზე ჩამომჯდარ ქირურგს ‹სთხოვა, რომელიც ღილიანელი ოგანეზოვი აღმოჩნდა და ახლა თავჩამხობილი თვითუნებურად იმას ანგარიშობდა, წინა ღამით ჩვიდმეტი მკლავის ამპუტაცია ჰქონდა ჩატარებული თუ მეტისა, კანჭები და ტერფები ზედმიწევნითი სიზუსტით ახსოვდა — ოცდასამი იყო, იარცევის ორიანად. „უბატონოდ ხმასაც არ გავცემთო“ დაამშვიდა მომაკვდავი და ცოტაოდენ ხანში თვალებიც სამუდამოდ დაუხუჭა.

იმ ღამით ყოველი ლტოლვილი, დიდი თუ პატარა, ლაბირინთებთან გერმანელების გამოჩენას ელოდნენ, მაგრამ ისინი ქერჩის ხელმეორედ დაპყრობას ზეიმობდნენ, მოკლედრუნჩიან უკრაინულ ღორებს ხოცავდნენ, ქალებზე და უმანკო ქალწულებზე ნადირობდნენ და ერთმანეთს ტირის სამიზნეებზე ჩამომსხდარ ებრაელ ბავშვებზე სროლაში ეჯიბრებოდნენ, ისინი კი — ბავშვები და ქალიშვილები, მეტისმეტად „თავხედურად“ იქცეოდნენ, ხმამაღლა ტიროდნენ, კიოდნენ, ეწინააღმდეგე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბოდნენ და ამით უმაღლესი რასის წარმომადგენლებს სადღესასწაულო განწყობილებას უფუჭებდნენ.

თვრამეტი მაისის ის ღამე, ყირიმის საოკუპაციო ჯარების მთავარსარდალმა, გენერალ-პოლკოვნიკმა ენნეკემ, ესესელთა წამხედურობით, მზეთუნახავის გარეგნობის გოგონასთან გაატარა, რომელიც ფრონტის საროსკიპოებისათვის განკუთვნილ ათასამდე ტყვე ქალში ამოარჩია და ის უბედური თუმცა დილამდე ტანჯა და ჯიჯგნა, სადისტური ენერგიით ვერ დაიკმაყოფილა, გამთენიისას ქალიშვილი საამბანოში შეათრია და იქაურობა რომ არ დასვრილიყო, ონკანის ქვეშ თავი შეაყოფინა, წყალი მოუშვა და ფოლადის სამართებლით საძილე არტერია გადაუსერა. სწორედ მაშინ მოახსენეს, რომ აჯიმუშკაის კატაკომბებს ათი ათასი წითელი ჯარისკაცი და თითქმის იმდენივე ადგილობრივი მცხოვრები შეეხიზნაო, ძირითადად ებრაელები, და ენნეკეს ამ ცნობაზე იმ მსუნაგი კატის კრუტუნი აღმოხდა, რომელსაც ქვეშევრდომმა ფისუნებმა ამცნეს, რომ მის კუთვნილ სათაგურში ოცი ათასი უკბილო წრუწუნა გამომწყვდა და ამ სასიხარულო ფაქტით ისე აღეგზნო, რომ მოკლე, შავი ულვაში კბილებით მოიწიწკნა და ნეტარებით ჩაიქირქილა.

მთავარსარდალმა ბერლინიდან სასწრაფოდ გამოითხოვა საგანგებო დანიშნულების ქომეური „ზონდერკომანდოს“ — ნაწილები და მიწისქვეშა ნაგებობათა და ლაბირინთების სპეციალისტი. ამასთანავე, ცნობაში მეცხოვნეთა რაოდენობა საამბავად გაზარდა. რათა მისი დამსახურება შესაბამისად გაზრდილიყო და დამხმარეთა ჩამოფრენამდე კატაკომბების ორმაგი და ისეთი ურღვევი ალყა ბრძანა, რომ არათუ წრუწუნა, ბეღურაც კი ვერ გადმოფრენილიყო მისი ნება-სურვილის გარეშე.

ოცათასამდე მიწიქვეშა ხიზანთაგან სამი ათასი დრიოდეს ლაბირინთს შეეხიზნა, დანარჩენი კი მის საწინააღმდეგო მხარეს არსებულ კატაკომბებში მალა და გამაგრდა.

ეს გვრიალები უძველესი ლაბირინთისაგან ისევე განსხვავდებოდა, როგორც პატარა სოფლის კლუბი დიდი თეატრისაგან, მაგრამ საშენი ქვის მოსაპოვებელად ადგილობრივი გლეხებისა და ხელოსნებისაგან საუკეთესო მანძილზე ნათხარი ეს სამტეხლოები, როგორც სამალავი და თავშესაფარი სჯობდა კიდეც ბერძენი ხუროთმოძღვრის მიერ შექმნილ ლაბირინთს, რადგან უფრო მეტად დაქსაქსულიც იყო, ქვაბურებიც მეტი ჰქონდა და მათი დამაკავშირებელი ბვრელებიც იმდენად ვიწრო იყო, რომ აქ ჩასაფრებული ერთი მეომარი ათ მომხვდურს გაუმკლავდებოდა და უკუაგდებდა.

და მაშინ, როდესაც ჯურღმულში გამომწყვდეული, სასოწარკვეთილი და განწირული ოცი ათასამდე ადამიანი, მეხთატეხაში მოყოლილი ცხვრის ფარასავით გზააბნეული, უთავბოლოდ აწყდებოდა ერთმეორეს; როდესაც სიცოცხლისა და სიხარულისათვის დაბადებული ძრწოლვით ეკითხებოდნენ ერთურთს „ამ უკუნეთის უკუნში რას გვიმზადებს ბედისწერაო“. როცა შიშით რძეგამომშრალი დედები ფრჩხილებით იგლეჯდნენ ძუძუსთავებს და საკუთარი სისხლით ანაყრებდნენ პირმშოთ, ხოლო უნაღდეს მამაკაცებად დაბადებულთაც კი ეჭვი შეეპარათ საკუთარ თავში, რადგან უმწეო ქალებისა და ბავშვების დაცვა არ შეეძლოთ, სწორედ იმ დროს მრავალი უცნაური და არაბუნებრივი რამ მოხდა.

უპირველესად ის, რომ დედლებმა მამლებივით იწყეს ყივილი და ძროხებმა მგლებივით მორთეს ყმუილი, ხოლო გვრიალებში ჩარეკილი ცხენები უკანა ფეხებზე აიყალყნენ და კენტაჯრებივით შესაჯდომ უნაგრებს დაუწყეს ძებნა, და მაშინ, როდესაც სამყარო ცარკის ჯამბაზივით თავყირაზე უნდა შემდგარიყო, მოხდა კიდევ უფრო დიდი საოცრება — კაცი გამოჩნდა, ერთი შეხედვით ჩვეულებრივი. ხორციელი, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ კლდეზე და ყინულზე მეტად ცივი, უსისხლო და უგრძნობელი. მას გახუნებული, ურომბებო კიტელი ეცვა, მარჯვენა ხელი მესამე და მეოთხე ღილებს შორის იდაყვამდე ჰქონდა შეჩზურთული და საკუთარ გულს ისე მძლავრად უჭერდა არწივივით კლანჭებს, რომ პულსირებისა და ფეთქის საშუალებას არ აძლევდა.

მაიორი ხანნი — ასე ეძახდნენ ამ გაურკვეველი ეროვნების უასაკო კაცს, რადგან ყველამ იცოდა, რომ „ხანნი“ მისი ფსევდონიმი იყო და, ამასთანავე ზოგიერთები იმასაც ამბობდნენ, დედამიწის დაბადება ახსოვსო, — წკვარამ სიბნელეშიც კი ფეხშეუცდომლად, დინჯად დაადიჯებდა და მშვიდი, აუღელვებელი ხმით ყველასათვის გასაგებ, მოკლე, ლაკონურ ბრძანებებს იძლეოდა. მას ჩინით მაღლამდგომი ორი პოდპოლკოვნიკი და ერთი პოლკოვნიკიც კი უსიტყვოდ დაემორჩილნენ, რადგან ყველა მიხვდა, რომ ის ერთადერთი პიროვნება იყო, მისაც უთვალავ გვირაბთა შორის დფფანტული და დაქსაქსული ხალხის შემოკრება, გაერთიანება და დარაზმვა ხელეწიფებოდა და ეს იმით, რომ უკუნ ბნელეთსა და ყიამეთშიც ყოველივეს ისე ჯვრეტდა და ხედავდა, თითქოს ნათელმხილველად იყო დაბადებული, ამასთანავე, ლაბირინთის სქელ, მასიურ კედლებში ისე გადი-გამოდიოდა, როგორც დანა ჭონში. ყველა გრძნობდა და თავადაც ცხადად ეტყობოდა, რომ თავით-ფეხამდეს მთლიანი გრანიტისგან, ანდა უფრო მკვრივი მასალისაგან იყო შექმნილი თუ ჩამოსხმული.

ხანნმა პირველად კლდე რომ გაარღვია და ერთი გვირაბი მეორესთან დაკავშირა ყველამ ის გაიფიქრა, მოგვეჩვენაო. შემდეგ სხვა მხრიდან რომ შემოანგრია კედელი და შემოაბიჯა, — იქნებ არ გველანდებაო, მაგრამ საბოლოოდ, თავადაც რომ გავიდ-გამოვიდნენ იმ მოფარღალავებულში — ნამდვილად შესძლებიაო, ირწმუნეს, მხოლოდ ერთი გაუკვირდათ, ან რქები რატომ არ ადგას თავზე, ანდა მაცხოვრის ეკლიანი გვირგვინიო.

ამ უტეხმა კაცმა შეძლო ის, რასაც მიახლოებითაც ვერავინ მოახერხებდა, — სრულიად სხვადასხვა ჩამთავალობის ოცი ათასი ადამიანი, რომელიც იმყამად ოც ხეირიან ჯარის კაცადაც არ ღირდა, კვლავ ოცი ათას მეომრად აქცია, სხვა რწმენა ჩაუნერგა და სხვა-გვარი გული ჩაუდგა. თუმცა თავად მაინც კენტ მეცამეტედ დარჩა, უკარებად და გარიყულად. ერთი კი სამუდამოდ დაამკვიდრა, მის სიტყვას კანონის ძალა მიეცა და იქნებ უფრო უმეტესსაც, ამიტომაც, როდესაც განაცხადა, მანოხინი ჩემი მსახვრალი მარჯვენაო, და ეს არჩევანი ერთი შეხედვით გადაწყვეტა, არავინ შეპაექრებია, რატომ მაინცდამაინც ეგო, ვინაიდან ყველამ იაზრა, რომ მიწისქვეშეთს ახლებური, დროისა და გარემოების შესატყვისი კანონები ესაჭიროებოდა. ყოველგვარი განსჯის, მტკიცებისა და სენტიმენტების გარეშე. და ამ კანონების დედააზრი ორად ორი სიტყვითაც შეიძლებოდა გამეტევნებულიყო „საჭიროა შესრულდეს“! ან „საჭირო იყო და არ შესრულდა“! რაც თავისთავად სიეოცხლისა და სიკვდილის სინონიმებადაც ჩაითვლებოდა; და ერთიც, მანოხინზე სწრაფად, საზრიანად და სინდისის უქეჯნელად ამ საქმეს ვერავინ გაუძღვებოდა, მისი ყველას უნდა შინებოდა, მას კი არავისი. მხოლოდ ხანნი რჩებოდა მის ზემდგომად და აკი ტარტაროზზე უმეტესადაც ზაფრავდა მისი თუნდაც წამიერი შეხედვა. ეს კი მეორე დღესვე გარნიზონის უფროსის ერთმა მოქმედებამ ჩაუნერგა, რომლის ფიზიკური არსის ახსნაც, მიუხედავად ყოველმხრივი განსჯისა, ვერ შეძლო. ხანნის ბრძანებაზე — კავშირი დაემყარებინათ დრიოდეს ლაბირინთში მყოფ მკირე გარნიზონთან, ორმა ოფიცერმა და ერთმა ადგილობრივმა მკვიდრმა უარი განაცხადა იმ საბაბით, ფაშისტების ალყის გარღვევა

თენგიზ ჩალაური

..და რა იყო ჩვენს ზორის ბგირი

შეუძლებელია და დავალება თვითმკვლელობას უდრისო, მაშინ გარნიზონის შტაბის წევრების წინაშე ახსნა-განმარტების მისაცემად წამომდგარ იმ სამ კაცს ხანინმა წარბშეყრით შეხედა და თვალისდახამხამებაში გააქო. ვერავინ მიხვდა, მიწამ ჩაყლაპა თუ კლდემ შეისრუტათ, არათუ იმათ კვალ, ქამრის ბალთებსაც კი ვეღარსად მიაგნეს.

მანოხინმა „მარჯვენახელობა“ ჩაიბარა თუ არა, მაშინვე უფარაჯო ფერშალი დაიბარა, რადგან ჯერჯერობით ის ერთადერთი იყო, ვისზეც ეშვის მიტანა შეეძლო. როდესაც ყოველივე დაწერილებით გამოჭკითხა, მიხვდა, რომ დანაშაული არ ჰქონდა, მაგრამ ვინაიდან მთელმა მიწისქვეშეთმა გაიგო დაკითხვის ამბავი, ყველას თვალნათლივ უნდა ეხილა, ეს მოდი-წადის თამაში რომ არ იყო და თავზე ხელგადასმით არ მთავრდებოდა.

— როგორ ფიქრობ, — ჰკითხა საბოლოოდ, — მოღალატედ ჩაითვლები თუ არა?

უფარაჯოს რომ ეპასუხა, კიო — დახრეტედ, ეთქვა — არაო, — კიდევ მეტად დაეუჭვებდა, იმან კი მხრები გამოუნიისას გაღვიძებული მამალივით აიჩეჩა და, „თქვენ უკეთ იციოთო“, გულუბრყვილოდ მიუგო და გაიღიმა.

სიცოცხლე რომ ყოველი სულდგმულის უდიდესი საგანძურია, მანოხინმა კარგად იცოდა, მაგრამ იმასაც მიხვდა, ამ ბენტერას ამჟამად ჭუჭყიან საცვლადაც არ ეღირება.

— წახვალ და წყალს მოიტან! — უბრძანა და გამოძიება იმით დაამთავრა.

უფარაჯო ფერშალი შებრუნდა, ხის სათლები აიღო და ისე აუღელვებლად გაეშართა გვირაბის გასასვლელისაკენ, თითქოს ჭიშკარს იქით კოდის წყლის მოსატანად მიდიოდა. არა და, უკვდავების წყაროზე უბეიროს ნაცვლად გგზავნილ ნაკარქექის მეტი იმედი უნდა ჰქონოდა უვნებლად უკან მობრუნებისა, ვიღრე მას, რადგან იმ წყალს მხოლოდ ორი მთისტოლა ბუღა დარაჯობდა, აჯიმუშკის ჭას კი ისეთი ურჩხული შემოგრაგნოდა, რომელსაც [illegible] თავი და ხელი და ტყვიამფრქვევი გაეჩნდა, არავინ უწყოდა.

უფარაჯო რომ ხაროდან ამოძვრა და სათლების ქნევით და სტვენა-სტვენით ჭის მხარეს გაეშურა, შტურმფიურერი გუზმანი, რომელსაც ამ მონაკვეთის დაცვა ჰქონდა დავალებული, საკუთარი ოცეულის პირელი ჯარისკაცებს პოლოონელი ქალების ანატომიური უპირატესობის დეტალებს უმარტავდა და მათკენ არხეინად მომავალი მოწონაალმდეგის ჯარისკაცი რომ დაინახა, გოიცები-საგან ორჯერ დაასლოკინა. „ნათელზე უნათლესია, უკანასკნელი კატეგორიის დებილია, გაიფიქრა, და შემდეგ: ჩანს, რუსებს ტყვია დანანებიათ ამ იდიოტი-სთვისო“, ამცნო გარშემოკრებილთ. ამიტომაც იმ სოროებში შეყუჟული „თხუნელების“ დასაცინი რომ არ შექმნილიყო, ყეყეჩს სათლების ავსება აკადა და უკან გაბრუნებულს თითქმის ნახევარი საათი ეხვეწა და ემუდარა, თქვენი გარნიზონის უფროსებთან ულტიმატუმის ფურცლები წაიღეო, მაგრამ იმან შორს დაიჭირა, ზედმეტად სქელ ქაღალდზეა ნაბეჭდი და მე რომ მჭირდება, იმ საქმეში არ გამომადგებაო. მაშ, გიეი რისი გიეი იყო. ბოლოს ერთი ფილა შოკოლადი აჩუქა და როგორღაც დაიყაბულა.

ის ბრიყვიც სტვენა-ჭიკჭიკით წავიდა, ბულბულივით არაკაკებდა, სავსე სათლებით ხელდაჭიმული მიბანცალებდა და ზურგს უკან ერთხელაც არ უცდია ძახდა.

„შლეგი დასაკმე და უკან მიჰყევიო“, იძაზე ზედგამოკრილი იყო ეს ნათქვამი, შეორე გზობაზე რომ მოლაყუნდა, ულტიმატუმის ქაღალდი აღარც ახსოვდა, დავიწყებოდა. გუზმანმა დაეცალა ფურცლები შარვლის ჯიბიდან ამოართვა და გაწეწრთნილი ძაღლივით კბილებით დაიჭერინა. ორი სათლი წყალიც არ დაინანა, დაუმადლებლად და სინდისს უქეჯნელად გაატანა და ერთხელაც რომ გაბედო აქ გამოჩენა, უეჭველად დგასაჭურისებო, დიმუქრა.

მომდევნო დღიდან ის ჭა, რომლიდა-

ნაც უფარაჯო ჯარისაცცმა სულ უდაგიდარაბოდ ამოხაპა წყალი, ისეთ სასაკლაოდ იქცა, რომლის ტოლფასი სისხლი და სიცოცხლე არც ერთ წარმართულ სამსხვერპლოს არ ექნებოდა შეწირული და შეწოვილი.

ჩვიდმეტ ათასამდე ხიზანს ყოველდღიურად დარწყულება სჭირდებოდა, სხვებს არა უშავდათ, მაგრამ გონდაბინდულ მძიმედ დაჭრილებს და ბავშვებს რას შეაგენებინებდნენ, როგორ აუსნიდნენ; ამიტომაც შუაღამისას ათეულობით ჯარისაცცი, ოფიცრების თანხლებით, სხვადასხვა ჭურჭლით და ავტომატებით აღჭურვილნი გამოცვივდებოდნენ და ატყდებოდა ხოცვა-ჟლეტა, წვეთი წყალი პეშვი სისხლი ჯდებოდა, ბრძენი ჰატი კი არსად ჩანდა, რომ ხოროთში შეემართა, საყვირი მიეცა და „წყლის დროებითი ზავი“ დაემკვიდრებინა. თუმცა ესეც ფუჭი გამოდგებოდა, რადგან ყოველთვის არსებობდნენ ადამიანები რომლებსაც ჯუნგლის კანონები ზედმეტად ჰუმანურ ლმობიერებად მიაჩნდათ.

შაბათ დღეს მაისის მზემ ღილდანვე მოიქაჩლა თავი და ჭის გარშემო ხრწნადი ხორცის ისეთი სიმყრალე დააყენა, რომ შტურმფიურერ გუზენმს გონება გაუნათა და გაუხსნა. იდეა, რომელიც ამ არიელის ტვინის ჰემისფეროებში დაიბადა, უმაღლესი რანგის მეცნიერ-მელიორატორსაც კი შურით აღავსებდა. გუზენმანმა ამ იდეას იმწამსვე ფრთები უბოძა, ოთხ ჯარისკაცს უხმო და დაზოცილების ჭაში ჩაყრა უბრძანა. თავის მხრივ, ფიურერისა და სამშობლოს ჰეშმარიტმა რაინდებმა ერთხელაც დაამტკიცეს დადებული ფიცის მარადიული ერთგულება, მხოლოდ იმაზე დასწყდათ ჩვილი გული, რომ ჭა მეტისმეტად ღრმა აღმოჩნდა და მიცვალებულთა გვამებით მხოლოდ სანახევროდ შესძლეს მისი ამოვსება, მაგრამ ღმერთკაცმა ოდინმა მთლად არ გასწირა შრომისმოყვარე ნაზიერნი — სწორედ იმ დროს, იქვე გამავალ შარაგზაზე, ერთიმეორეს ჩაბღაუჭებული ოთხი უსინათლო მოხუცი მოუვლინა, და ჯარისაცცებმაც ფეიერლისშემძლეს მაღლი მოახსენეს, იმ მათხოვრებს ქინჩებში წასწვდნენ და ჭაში ცოცხლად ჩაუძახეს.

მიწისქვეშა მეცხიზოვნეებმა ამასობაში წყლის მოპოვების ახალი ხერხი აღმოჩინეს და ამაში მათ ის პატარა მარისკა დაეხმარათ, რომელსაც კატაკომბებში ჩასვლის დღეს ასეთი გამწარებით ეძებდა უფროსი და.

წყურვილისგან მისავათებულმა პეტრუშამ, ლანდიკით რომ დაბორიალებდა გვირაბებში, ჭრაქის მკრთალ შუქზე მუხლებზე დაჩოქილი გაწნიკული გოგო შენიშნა, რომელიც ქვის კედელს კოცნიდა, და იმით შეწუხებულმა ბავშვს რაღაც უბედურება სჭირსო, წინაალმდეგობის მიუხედავად, ძალისძალალით აბდღვნა იგი ქვას, მკერდში ჩაიხუტა და იმწამსვე მწყურვალის ალღოთი იგრძნო, რომ მარისკას ტუჩები სველი ჰქონდა. აღმოჩნდა, რომ ლაბირინთის ნესტიანი კედლებიდან წყლის წვეთწვეთობით გამოწუწვნა შეიძლებოდა. მართალია, ამ ხერხს უარყოფითი **მხარეც გააჩნდა, ხაოიან კირქვაზე ბაგეების ხანგრძლივი მოძრაობა ტუჩებიდან** სისხლის დენას იწვევდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს სისხლიც ხომ სითხე იყო, თუმცა მდარე ხარისხისა, მაგრამ წყალში გახსნილი მაინც არ დაიწუნებოდა. როგორც კი ეს ამბავი გახმაურდა და ცნობილი შეიქნა იმ დედაბრებმა, რომლებსაც არც თოფის სროლა შეძელოთ და აღარც საცვლების თრევა, მოითათბირეს, პირი შეკრეს და იმავ საღამოს ღვთისშობლის ხატს საამბოროდ მიახლოებული მლოცველებით კატაკომბების კედლებს მიადგნენ, მიეტმასნენ და მარისკას აღმოჩენილი ხერხით დაჭრილთათვის წყლის შეგროვებას შეუდგნენ, რადგან ქირურგ ოგანეზოვის ნათქვამით ყველასათვის ცნობილი შექმნილიყო რომ ბევრი მათგანი უკვე საკუთარი შარდის სმასაც აღარ თაკილობდა.

ერთი აღმოჩენა, როგორც წესი, მეორის წინამორბედია. ვიოკოვის ქარხნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ შეხვნული რომელიღაც მუშათაგანი სხვებზე გამჭრიახი აღმოჩნდა და გვირაბის ჭერზე არსებულ პატარა ნაპრალში ხის სოლი ჩაჭედა, ქვეშ ჯარისკაცის მუზარადი მიუმარჯვა და ერთი დღე-ღამის შემდეგ სამი მოზრდილი ულუპი სითხე შეაგროვა.

ოდითგანვე ასე იყო, რომ გაჭირვებული ადამიანი ღმერთს სთხოვდა შველას, დალხენებულს კი ისეთი სურვილები ებადებოდა, რაშიც ეშმაკი და მაცდური უფრო გამოადგებოდა ხელშემწყობად და დამხმარედ.

ქერჩის წმინდა ვასილის ეკლესიის მაღალღირსი მღვდელი ალექსეი ბონდარენკო, რომელსაც დასაწყისში რატომღაც ყველა ეჭვის თვალით უყურეროდა, მუხლჩაუხრელად დაბოტებდა კატაკომბებში და საკმევლის კმევით მორწმუნეს თუ ურწმუნოს ბედის მორჩილებას და ღვთის იმედს უნერგავდა. ხანინი რომ არა, მანონინი მამაო ვასილის მაცხოვრის მოსაყვანად გაგზავნას უპირებდა, მაგრამ გარნიზონის უფროსმა ერთი წინადადება უთხრა: მოძღვარი, რომელიც გაჭირვების ჟამს მრევლს არ მიატოვებს, ყოველმხრივ პატივისცემას იმსახურებსო, და დანაქადნევი გადათქმევინა, თავისთვის კი სხვაც გაიფიქრა, მღვდელი ჭირთათმენისაკენ მოუწოდებს ხალხს და ამ შემთხვევაში ჩვენს წისქვილზე ასხამს წყალსო, და სულ მალე ყველა თვალნთნლივ დარწმუნდა, რომ სიკეთისა და პატიოსნების ჭეშმარიტ მსახურს, რა რწმენისაც უნდა იყოს, ხალხისათვის ყოველთვის შეუძლია სარგებლობის მოტანა.

ამასობაში კატაკომბებში მყოფი ყოფილი მაღაროელები, ინჟინერ საყვარელიძის თაოსნობით, ჰორიზონტალური გვირაბის გაყვანას შეუდგნენ შორეული მლაშე ჭის მიმართულებით, რომელსაც გერმანელები იყენებდნენ და წაბილწვას არც ფიქრობდნენ. მანძილის ნახევარი თითქმის გათხარეს, მაგრამ ერთი საბედისწერო შეცდომა დაუშვეს, ზედაპირს სახიფათოდ მიუახლოვდნენ და სქელმა ჰაირიხმა, რომელიც ოდესღაც ჰამბურგის საოპერო თეატრში ჰობოიზე უკრავდა და ახლოლუტური სმენით იყო დაჯილდოებული, მიწისქვეშ ხმაური გაიგონა და იმავ წამს შტურმფიუერერ გუზემანს აცნობა, იმანაც, როგორც დიდი მხედართმთავრული ნიჭით გამორჩეულ კაცს შეეფერებოდა, ერთხელაც გამოამყოვანა ბრწყინვალე სტრატეგიული ალღო, ჯარისკაცებს საზიდრით ფუგასური ბომბი მოათრევინა, „მღრღნელების“ მიწისქვეშა ადგილსამყოფელიც იმავე სქელი ჰაირიხის დიდი ყურების დახმარებით ზედმიწევნით სიზუსტით განსაზღვრა და ჭერი თავზე დაამხო.

შემდეგი მთელი დღე-ღამის განმავლობაში მიწისქვეშეთიდან გარკვევით ისმოდა ლოდებით ჩაქოლილი ჯერაც ცოცხალ ადამიანთა კვნესა და გმინვა. ახლა მუსიკის არამცოდნენიც ნათლად აღიქვამდნენ ამ ხმებს და ესესელთა ოცეულმა მთელი დღე ნამაზის მკეთებელთაგვარად მიწაზე შუბლდამხობილმა გაატარა: ერთიც იყო, იმ კაკანათში გამომწყვდეულთაგან რომელიღაც ქუდებედნიერი დაუზიანებელი გადარჩენილიყო და ახლა, აღმოსავლურ ენაზე ღრიალებდა, შიგდაშიგ გერმანულ სიტყვებსაც ურთავდა, მალიმალ ჰიტლერს ახსენებდა და თხოულობდა საყვარელიძისაგან დედამისისათვის საჩუქრად რაღაც საგანი გადაეცათ, მაგრამ კერძოდ რა, ამას ვერც გუზემანი მიხვდა და ვერც მისი ჯარისკაცები.

სხვა საშველი აღარ ჰქონდათ და ალყაში მოქცეულებმა ახლა თვით ლაბირინთში დაიწყეს ჭის თხრა. ამჟამად ვერტიკალურისა, მაგრამ საქმე მძიმედ და გაჭირვებით მიიწევდა წინ. ვიღაცამ ისიც მიფიქრა, ხანინს ეთხოვოთ, მისთვის კლდეში გასვლა იგივეა, რაც ჩვენთვის მდინარეში ჩაყურყუმალებაო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ხანინს ქვაში გაღწევა მხოლოდ მაშინ შეეძლო, თუ ორივე მხარეს ადამიანები იყვნენ და მათი დაკავშირება იყო საჭირო.

გენერალ-პოლკოვნიკ ენნეკეს თხოვნა

ბერლინში ყურად იღეს, ქიმიური ნაწილების მეტი რა გააჩნდათ, ამ მხრივ არც გასჭირვებიათ. მხოლოდ იმ სპეციალისტის მოძებნა გაუძნელდათ, ვინც ლაბირინთების კარგი მცოდნე იქნებოდა, და ბოლოს იმასაც მიაკვლიეს.

ძველბერძნული ისტორიისა და არქეოლოგიის დოქტორი ფონ ბაბენბერგი თვით დოქტორმა გებელსმა მიიღო, ნაციის სახელით დახმარება სთხოვა და სანაცვლოდ დიდი პატივი აღუთქვა.

არისტოკრატი დაუხანებლად დათანხმდა, რადგან ბებია ისეთი წარმომავლობისა ჰყავდა, რაც მის წმინდა სისხლის არიელობას ეჭვის ქვეშ აყენებდა და უარის შემთხვევაში არც ქონების კონფისკაცია ასცდებოდა და არც პანღურის კვრით საკონცენტრაციო ბანაკში განწესება.

ფონ ბაბენბერგი და საგანგებო დანიშნულების ქიმიური ნაწილის უფროსი, ესესელი შტურმბანფიუერერი ვალტერ გეინეციუსი ქერჩში ჩამოფრენის დღესვე შეუდგნენ ობიექტის შემოვლასა და შესწავლას, მაგრამ აღმოჩნდა, რომ კატაკომბების ფართობი გაცილებით უფრო ვრცელი იყო, ვიდრე მათ წარმოედგინათ, და დოქტორმა აღნიშნა, საქმე ამ ტიპის ნაგებობათა ერთ-ერთ საოცრებასთან გვაქვსო, ამასთანავე უკმაყოფილებაც გამოთქვა, რომ არქეოლოგიის ცნობილ სახელმძღვანელოებში მასზე მეტისმეტად ზერელე ცნობები იყო მოცემული.

ლაბირინთების და კატაკომბების ჩრდილოეთი ნაწილი მათ გენერალ ენნეკეს მიერ ნაბომები, საკმაოდ შეფერთხილი „ოპელით“ გაირახრახეს, ხოლო სამხრეთი მხარე უგზოობის გამო ფეხით უნდა გაეკლოთ და გაეტკეპნათ.

მუდამ წყნარად მოსაუბრე ფონ ბაბენბერგი, როგორც არისტოკრატს შეეფერებოდა, დახვეწილი გემოვნებით იყო ჩაცმული, ამ შუახნის, წარმოსადეგ კაცს არც სპილოსძვლისსახელურიანი ხელჯოხი დავიწყებოდა, რომელიც, მისივე თვალსაზრისით, სოლიდურობას მატებდა.

ხოლო შტურმბანფიუერერი გეინეციუსი მეტისმეტად ენაჯარტალა, ტრაბახა და ამასთანავე მხიარული კაცი აღმოჩნდა, რაც მისი პროფესიის ადამიანისათვის ჩვეულებრივ თვისებად უნდა ჩათვლილიყო. იგი სხვათა გვარად ტყვიას, და, მით უმეტეს, ბომბებს ხომ არ უშენდა მშვიდობიან მოსახლეობას, არც ჯარისკაცთა სისხლით ითხვრიდა ხელებს, უბრალოდ, მეტად სუფთა და უმტკივნეულო საქმეს აკეთებდა — გაზის მანქანებში წამლავდა და ჰგუდავდა დედამიწის „ჯარბ“ მოსახლეობას, ეგრეთ წოდებულ „არასრულფასოვან“ ადამიანებს, და კანტის ფილოსოფიურ სენტენციას — „ომის დროს არაფერი უნდა ჩაიდინო ისეთი, რაც ომის შემდგომ დამშობილების საშუალებას მოგიპობსო“, ყოველთვის ამჯობინებდა ფაშიზმის ერთ-ერთი იდეოლოგის აზრს: „ჩაიდინო ყველაფერი, რაც გინდა, — ეს არის ნამდვილი თავისუფლება!“

სხვათა შორის, ადამიანთა ასეთი ხერხით გაყლეტას ვალტერ გეინეციუსი მეცნიერულ „ექსპერიმენტს“ უწოდებდა და ამდაგვარი გამომენებლობისა და აღმოჩენებისაკენ თავადაც დიდ მიდრეკილებას იჩენდა.

— პატარა, ბრიყვი მაჩვებივით ამოვახრჩობ ყველას, — ტრაბახობდა შტურმბანფიუერერი ყოველი ხვრელის დანახვაზე, ფუმფულა ლოყებს ბერავდა და ფშუილით უშვებდა ფოსგენსა და დიფოსგენს. — პატალა, ბლიკვი მაჩვებივით, ენას უჩლქედა და დოქტორ ბაბენბერგს შესაცინებდა, — ოცი ათასი ერთ ჩაბერვაზე, ოცი ათასი იუდეველი და სლავი, — ნეტარებით იმეორებდა. — რა ამბავი ატყდება ბერლინში... ნამდვილად რკინის ჯვარს მარგუნებენ, მუხის ფოთლებით, ნახავთ თუ არ ამიხდეს, უსათუოდ და-

ფონ ბაბენბერგი გაცილებით გონებადამჯდარი კაცი იყო, ტყუილად ხომ არ ჰქონდა დოქტორის ხარისხი. მას ნაბიჯ-ნაბიჯ შემოეკლო მსოფლიოს ყველა ცნობილი ლაბირინთი — კრეტის, ფაიუმის, სამოსის, პორსენის, და მათ შესა-

ხებ ჰეროდოტეს, დიოკორის და სტრაბონის ცნობებიც ზედმიწევნით შეესწავლა. ამასთანავე იმის უნარიც ჰქონდა, დაახლოებით მაინც წარმოედგინა, თუ რა მოცულობის იქნებოდა ეს უსასრულო კატაკომბები, და ეჭვი არ ეპარებოდა, მათი გაზით ამოვსება ტექნიკურად მეტისმეტად რთული საქმე რომ აღმოჩნდებოდა. რაც შეეხება კატაკომბების საორიენტაციო სქემის შედგენას, ეს თითქმის შეუძლებელიც იყო, მაგრამ მაინც გულდაგულ ინიშნავდა პლანშეტში ყოველ შემჩნეულ წვრილმანს და იმ უდიდეს სამუშაოზე ფიქრობდა, რომელიც ბრმად, ინტუიციაზე დაყრდნობით უნდა ჩაეტარებინა და ამით თავი საფრთხეში ჩაეგდო, რადგან თუ პარტიზანთა წინააღმდეგ ჩატარებული ოპერაცია წარმატებით არ დასრულდებოდა, ფაშისტები, რომელთაც მაინცდამაინც გულზე არ ეხატებოდათ არისტოკრატები, უპირველესად ჯოხს მასზე გადატეხდნენ.

საგონებელში ჩავარდნილი დოქტორი და მომავალ საკმარო საქმეებზე მეოცნებე შტურმბანფიურერი ხვეში ჩამავალ საცალფეხო ბილიკს ჩაუყვნენ და შორიდანვე შენიშნეს ხუთი თუ ექვსი გერმანელი ჯარისკაცი, აბრიალებული კოცონის გარშემო საქმიანად რომ ფუსფუსებდნენ და მიმოდიოდნენ. შორსმხედველმა ფონ ბაბენბერგმა გარკვევით დაინახა, როგორ ჩამოსდო ერთერთმა მათგანმა ცეცხლის აქეთ-იქით ჩასმულ ორკაპა ჯოხებზე ნედლ სარზე წამოცმული გოჯი, რამაც მისი ამხანაგების აღფრთოვანება და ხმამაღალი აღტაცება გამოიწვია: მაგრამ აქ სრულიად მოულოდნელი და უჩვეულო ამბავი მოხდა, მათ პირდაპირ ფლატეზე წამოზრდილი ხშირი ბუჩქნარიდან უეცრად ორი გამურული არსება გამოხტა, ჯარისკაცებს გონს მოსვლა არ აცალეს, ავტომატების გრძელი ჯერი დააყარეს და მწყერის უმწეო ბარტყებივით ამოჟუჟეს. დახოცილებს ჯერ იარაღი აართვეს, ჯიბეებიც ამოუსუფთავეს, მდელოზე გაშლილი სუფრა თავისი ხორაგიანად ფუთად გამოკრეს და კოცონზე შემოდებული გოჯიც თან გაიყოლეს.

ყველაფერი ეს იმდენად სწრაფად დასრულდა, რომ გაოგნებული დოქტორი ხეირიანად ვერც გაერკვია მომხდარში, ხოლო ვიდრე ვალტერ გეინციუსმა პენსნე ცხვირზე მოირგო და დამფრთხალი თხასავით იტრიალა, ის ორი ტურტლიანი არსება ნადავლიანად კვლავ ბუჩქნარში გაუჩინარდა და უკვალოდ გაქრა.

მართალია, ამ ფაქტმა ბაბენბერგი გვარიანად დააფრთხო, მაგრამ ის პრობლემა, რომელიც ბილიზე ჩამავალს აწუხებდა, უეცრად გადააჭრეკინა, ლაბირინთისა და კატაკომბების სქემები ყოველგვარი თავისტეხვის გარეშე შესრულდებოდა და რამდენიმე დღეში გენერალ-პოლკოვნიკ ენნეკეს საწერ მაგიდაზე აღმოჩნდებოდა, ხოლო თუ მას ამ ნახაზების სრულყოფილებაში ეჭვი შეეპარებოდა, კეთილი ენება, გვირაბებში ჩაბრძანებულიყო და დედანთან იქ შეემოწმებინა.

დოქტორი ნაცისტთა მომხრე და მით უმეტეს მოყვარული არასოდეს ყოფილა, მას როგორც დიდგვაროვან არისტოკრატს და განათლებულ კაცს, ჭირის დღესავით სძულდა ეს ბრიყვი, თავხედი, და გაზულუქებული ადოლფისტები, ფარულად მონარქისტული ხელისუფლების მომხრე იყო და, ბუნებრივია, არც კომუნისტები ეხატა გულზე, ამიტომაც მეგობართა ვიწრო წრეში ხშირად იშველიებდა თავისსავე გამონაგონსა და ლათინურად ნათარგმანებ ანდაზას — „ბოროტის ბოროტი ბოროტი არ არის“, თუმცა დარწმუნებული იყო, რომ ადრე თუ გვიან, ფაშისტები მაინც გაიმარჯვებდნენ, ამაში მათი ელვისებური წარმატებები არწმუნებდა, და წინასწარ იმასაც საზღვრავდა, რომ მისი მომავალი, როგორც მეცნიერისა, დიდად იქნებოდა დამოკიდებული იმათ ნება-სურვილზე, ვის მომადლიერებასაც ამჟამად ცდილობდა.

თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ უმაღლესი რასის ხუთი თუ ექვსი ადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიანის სიცოცხლე, ერთი მკლავის სიგრძე გოჭის წერა გახდა, რადგან მათზე იმყამად თავდასხმას არავინ აპირებდა, მით უმეტეს, ბრძანების გარეშე. მაგრამ როდესაც აქლოშინებული მარისკა უფარაჯო ფერშალთან მივარდა, რომელიც ამ ბოლო დროს რატომღაც ხშირად აკითხავდა მის დაიკოს, და აღშფოთებულმა ამცნო, ფაშისტები გოჭს წვავენო, თითქმის კუჭგაუქმებულ კაცს მოთმინებამ უღალატა და იმწამსვე პეტრუშა მოძებნა. დიდ სჯა-ბაასზე და თავდასხმის გეგმის შედგენაზე დრო ალარც დაუკარგავთ, მეგზურად მარისკა გაიყოლეს, რომელიც თრითინასავით დაძვრებოდა გვირაბებში და შემდეგ რაც მოხდა, ნათლად ითქვა.

მართლაც რომ თავყირაზე დგებოდა დედამიწა. თუ ადრე ადამიანის სტომაქს ეწირებოდა უთვალავი ცხოველი და ფრინველი, ახლა ჩვეულებრივი უჯიშო ღორის ნაშიერს ენაცვალა ხუთი და, შესაძლოა, ექვსი არიელი ჯარისკაცი.

შტურმბანდიუფრერმა გუზემანმა, სქელლუა ჰაინრიხის ყურების შემწეობით ჩატარებულ ოპერაციას დიდზე დიდი პრაქტიკული გასაჭანი მისცა, და ახლა მიწისქვეშა გარნიზონის წინააღმდეგ ქერჩის ნახვევკუნძულზე მყოფი ყველა გერმანელი სამხედრო მუსიკოსი იბრძოდა. ნაცისტურ დღესასწაულებს, პარადებსა დ აღლუმებს ყოველგვარი სასულე ორკესტრის გარეშე ატარებდნენ, რადგან დამკვრელები აჯიმუშკის კატაკომბების თავზე დაბობტებდნენ და სმენად ქცეულები მიწას ეკვროდნენ და აყურადებდნენ.

ხან სად და ხან სად, გამუდმებით ისმოდა ფუგასური ბომბების აფეთქების ხმა და გრიალი. ირღვეოდა ლაბირინთის ჭერი, იქოლებოდა ათეულობით ადამიანი, მაგრამ ეს თავიდან, შემდეგ მიწისქვეშა გარნიზონის უფროსმა ხანიმა ყოველივეს სწრაფად აუღო ალღო და უპირველესად ხმამაღალი ლაპარაკი და ხმაური აკრძალა, შემდეგ კი თავადაც ჩამოაყალიბა „მსმენელთა“ ნაწილი, რადგან ფუგასურ ბომბებს აფეთქებამდე ბუდის გათხრა ესაჭიროებოდა და როგორც კი მოალყენი კატაკომბების თავზე ჩხრიკედელაობას იწყებდნენ, „მსმენელები“ განგაშს სტეხდნენ და ხალხს იქაურობას აშორებდნენ, ამასთანავე აფეთქებების შემდეგ გაჩენილმა ხვრელებმა ფაშისტებს ერთი თავსატეხიც მიუმატა, დაბინდების შემდეგ იქიდან მოწინააღმდეგის ჯარისკაცები ამოდიოდნენ და ღამეულ თავდასხმებს აწყობდნენ. ამის კონტრილეთად გენერალ-პოლკოვნიკმა ენნეკემ პროექტორების დადგმა და მათულნლართებით იზოლირებული მთელი ტერიტორიის ხელისგულივით განათება ბრძანა, მაგრამ იმ წყეულ მიწისქვეშეთელებს ვიღაც უზბეკი ქონდრისკაცი აღმოაჩინდათ, ისეთი მოცუცქნული, რომ ბალახშიც კი არ ჩანდა; ის ჯუჯა თავისზე ორჯერ გრძელ სნაიპერის თოფს დათრევედა და ხუთას ნაბიჯზეც კი ერთ გასროლას კმარობდა, მაგრამ პროექტორებს ვინ ჩიოდა, ვი იმას, ვინც გაბრიყდებოდა და იმ დროს გარეთ ცხვრის გამოყოფას შეეცდებოდა.

და მაინც, ყველა ესესელი ოფიცერი და ჯარისკაცი დარწმუნებული იყო, რომ აჯიმუშკის სიმაგრე ადრე თუ გვიან ნიფნიფის ხუხულასავით დაემხობოდა, ხოლო ტყვედჩავარდნილებს იმ შვიდი ათასი კაცის ბედი ეწეოდათ ბაგეროვში რომ მოიმწყვდიეს. ამათაც საკუთარ ხელით გაათხრევინებდნენ საფლავებს და ტანკებით ცოცხლად გადატკბანდნენ. ქერჩის საოკუპაციო ჯარების მთავარსარდალს მათთან გამოსამშვიდობებელი „გულთბილი“ სიტყვაც კი მომზადებული ჰქონდა, რომელიც ასე მთავრდებოდა:

„თქვენ, ჭუჭყიანი ღორის ნაშიერნო, იმდენად გყვარებიათ მიწა, რომ მიუხედავად ჩემი ბრძანებისა, არ ისურვეთ დღის სინათლეზე ამობობღა, ამიტომაც ცოცხლებს და უვნებლებს ნებას გრთავთ, თქვენს სათაყვანებელ მშობლიურ მიწას სამუდამოდ და სამარადჟამოდ დაუბრუნდეთ“.

ათი და შესაძლოა თხუთმეტი ათასი

ადამიანის ცოცხლად დაფვლის ამ გრანდიოზულ, ტოტალურ სცენას, ერთი გარემოება აყენებდა ჩრდილს, — რაკი ფიურერის დაბადების დღე თითქმის ერთი თვის წინათ იყო, საიუბილეო საჩუქრად ვეღარ გამოდგებოდა, თუმცა ეს ფაქტი მას ნებისმიერ დროს უდიდეს სიამოვნებას მოჰგვრიდა.

ამას ყოველივეს მოეკლებოდა, მაგრამ ვირთაგვასავით ხაფანგში მოყოლილ საყვარელიძეს ვერაფერი მოუხერხეს. ამ ერთი კაცისათვის ნახეკარტონიანი ბომბიც კი გაიმეტეს. და მაინც ენა მუცელში ვერ ჩაადგინეს. მესამე დღე სრულდებოდა და ზმას არც ხმის ძალა აკლდებოდა და არც ჰიტლერის დიდის ნახვის სურვილი უნდოდებოდა.

●

მანოხინი, რომელზეც ხმები დაირხა, სიბრალულის ნასახიც არ გაჩნიაო, საკმაოდ გულჩვილი კაცი აღმოჩნდა. მან ქურანა მხოლოდ მეხუთე დღის გარიჟრაჟზე დააკლვევინა, როდესაც მიწისქვეშეთში არათუ ოთხფეხის, ფრინველის სახსენებელიც კი აღარსად შემორჩენილიყო. როგორც ჩანს, კაპიტანმა არ დაივიწყა მისი ადრინდელი დამსახურება და თავგამეტება, როდესაც მთელი დღე შეუსვენებლად აქეთ მოაჭენებდნენ.

შემდგომში სნაიპერი ხოჯაევი, რომელიც ყოფილი მეჯოგე აღმოჩნდა, წვრილი, წიწკინა ხმით უყვებოდა ჯარისკაცებს, ცხენისა და კვიცის დაკვლის მეტი რა მინახავს, მაგრამ მაგდაგვარს არაფერს გადავყრიდარო, იმასაც უმტკიცებდა, ოთხფეხებში ცხენებზე ჭკვიანი და გონიერი პირუტყვები არ არსებობენ, არც მეტად მოსიყვარულენი და ერთგულნი, მაგრამ სხვათაგან გამორჩეულნი კიდევ იმითაც არიან, რომ სიკვდილის მოახლოებას ერთი დღით ადრე გრძნობენ და წუხილნარევ ჭიხვინს იწყებენო.

მანოხინმა რომ მზარეულს ქურანას წვნიანად გარდაქმნა უბრძანა, იმან — მაიდანიკოვმა — იმწამსვე ხამრა ... ვი მოძებნა, რადან თავად წარმომბინთ დონელი კაზაკი იყო და ცხენის, თუნდაც ჯაგლაგის დაკვლას საკუთარი სიდიდრ-სიმამრის საღვეზელო ხორცად დაკეპვა ერჩივნა, ამტომაც ამ წყეულ საქმეს ყოველთვის გამოცდილ ხოჯაევს ანდობდა, თავად განზე გადგებოდა და საჩვენებელ თითებს ყურებში ბოლო სახსრამდე იჩურთავდა.

ქურანა ადგილზე არ აღმოჩნდა, გარეთ ვერ გავიდოდა, ყარაულში მდგომნი უცილობლად შენიშნავდნენ. პატარა ოთახის მაგვარ ქვაბურში სადაც ის იყო გამომწყვდეული, ქვის იატაკში ჩასობილ რკინის პალოზე საბელიდა იყო შემორჩენილი, მაგრამ არც გაწყვეტილი იყო და არც გაგლეჯილი. აქედან მხოლოდ ორი გზა ჰქონდა. ერთი გვირაბის გასასვლელისაკენ, სადაც თრითონაც ვერ გაძვრებოდა შეუჭრნეველი, მეორე — ლაბირინთის სიღრმისაკენ, იმ მხარეს, სადაც სიცივისაგან შეწუხებული ხალხი კონსერვის ქილაში ჩაწყობილი შპროტივით ეტყუპებოდა ერთიმეორეს, იმდენად მჭიდროდ, რომ ფეხის ჩასადგმელი ადგილიც აღარსად რჩებოდა.

და მაინც ქურანას აქ გამოეკლო გამთენიამდე, ათას კაცზე ისე გადაებიჯებინა, ჩლიქიც კი არავისთვის ეკრა, ერთსაც არ შეხებოდა, ფუგასური ბომბით ჩამონგრეულ ჭერს მისდგომოდა და ლილისფრად შეფერილ ქერჩის ულრუბლო ზეცას აჰყურებდა.

ნიკიტა მაიდანიკოვმა შაქრის ბოლო კვნიწი აძლია, მაგრამ კრიჭა ვერ გაახსნევინა. თავისი ულუფა ას ოცი გრამი წყალიც გაიმეტა, ჯამში ჩაუსხა, მაგრამ ხუთი დღის მწყურვალმა ქურანამ არც იმას დააკარა პირი, მხოლოდ წამით გადმოატრიალა მოელვარე, ამომშრალი თვალები, გვერდითმომდგარს შეხედა, ლაშები აიცახცახა, წინა ფეხები მოაკცა, მოუხერხებლად დაწვა, ამოიხვნეშა და კისერი გადაადგო.

არც ხოჯაევს და არც მაიდანიკოვს ქურანას ხორცისათვის პირი არ დაუკარებიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ საღამოს ხანინმა შიკრიკის პირით ხალხს ამცნო, რომ ბავშვებს, ქალებს და მოხუცებს კატაკომბების დატოვების უფლება ეძლეოდათ, მაგრამ ფეხი არავინ მოიცვალა, სუოსათ-სანოვაგე, კარტოფილი, ფქვილი და შაქარი ელეოდა, კუთვნილი ულუფა პეშვს მხოლოდ ბალლს თუ შეუფარებდა. ადგილობრივმა მაკბოვრეველმა, ყოფილმა ქვისმტეხელმა პაპა ოსტაპმა რომელსაც თანასოფლელები ჩამოფანჩული ულუპაბები გამო თახვს ეძახდნენ, საიდანღაც მთელი ტომარა ჭარხალი მოათრია, შემდეგ ბიჭებიც გაიყოლა — თხუთმეტი კაცი, და იმათ კიდევ სამი ტომარა მოიტანეს, თან ერთი „შმაისერის“ ავტომატიც მოაყოლეს, სანაცვლოდ ხნულებში ოთხი კაცი დატოვეს და მათთან ერთად პაპა ოსტაპიც, მაგრამ „ბებერი თახვი“ ცოცხალი გადარჩა. ფრიცების პატრულს რომ გადაეწყდნენ და სროლა ატყდა, იარაღიანი ხალხი ჩაწვა და თავდამსხმელებს სანაცვლო მოსაკითხი გაუგზავნეს, მოხუცმა კი თავს უშველა, უკან გამოიქცა, თან სანახევროდ სავსე ზურგჩანთაც გამოიყოლა, მაგრამ ბედმა კი არა, ჩინდაკარგულმა თვალებმა უმტყუნეს, ბილიკი იქ მოალანდეს, სადაც ხრამი იყო, და განგებამ რომელიც ეშმაკს დასდგომოდა მსახურად, თავდაყირა გადაშვებულს ბეჭებქვეშ მოზრდილი ლოდი დაახვედრა.

ეჭვი არ არის, დასახიჩრებული ადამიანის დანახვა ისე არავის გაეხარდებოდა, როგორც მოენის ასაყვანად გამოგზავნილ ყბედ პეტრს და ენაბლუ იოპანს.

ყოჩაღი ესესელები დაჩიჩქვილ მოხუცს დილა-სისხამზე წაეწყდნენ, გონს მოიყვანეს, თითო-თითო ლაზათიანიც უთავაზეს, ხელები სისხლით მოითხვარეს, უფროსებთან რომ პირნათლად წარდგენილიყვნენ და შტურმბანფიუერერ გეენციუსს მიჰგვარეს. იმანაც თარჯიმანის პირით ისე სხაპასხეპით დაიყარა კითხვები, რომ პაპა ოსტაპს თუნდაც დიდი სურვილი ჰქონოდა, პასუხების გაცემას მაინც ვერ მოახერხებდა. ის კი, ოა თუ რაიმეს თქმას, შეგებებულ ნებაზად პირის გაღებასაც არ აპირებდა, რადგან მათთვის ესეც ზედმეტ პატივად მიაჩნდა, მხოლოდ იმას ნაღლობდა, ჭარხლიანი ზურგჩანთა სად ოხრობაში დაეკარგეო.

კოლმეურნეობის ყოფილ თავმჯდომარის თეთრად შეფეთქილ უკრაინულ ქოხში, იმავე თავმჯდომარის საწოლზე გათხლაშულ ვალტერ გეენეციუსს მოხუცის დამუნჯებამ და გაჯიუტებამ ირონიული ღიმილი მოჰგვარა, გამოცდილ ფელდფებელ ფისნერს უხმო, და იმან გაკოჭილ პაპა ოსტაპს ხელის ფრჩხილებქვეშ, ნუნებში მსხვილ-მსხვილი მახათები შეუყარა და სასწაულიც მოახდინა — მუნჯს ენა ამოადგმევინა.

— რამდენი ჯარისკაცი კატაკომბებში? — უკვე . გულდამჯდარად ჰკითხა თარჯიმანმა.

ბერიკაცმა მართლაც თახვივით დაიხვალა და ულვაშები უფრო ჩამოიგრძელა.

— არ ვიცი, — მიუგო, — ბევრზე ბევრი, მაგდენი თვლა არ მისწავლია.

— კიდევ დარჩათ იმ ჭუჭყიან ღორებს რაიმე სათქვლეფი თუ უკვე გამოელიათ? — დაინტერესდა შტურმბანფიუერერი.

— საკვების მეტი რა აქვთ, — გაიოცა პაპა ოსტაპმა, — საქონლის ჯოგიც ჰყავთ და ცხენების რემაც, კარტოფილი და ფქვილი ხომ თავზე საყრელად აქვთ მომარაგებული.

გენეციუსმა ფელდფებელს თვალი ჩაუპაჭუნა და იმანაც ნეკა თითქვეშ ერთი მახათი მიუმატა ამ „ხუმარას“.

— თუ ამდენი რამ მოგეპოვებათ, ჭარხლისთვის რადატომ იხოცავთ თავებს, თქვე ბრიყვებო? — მოჩვენებით გაიოცა შტურმბანფიუერერმა და საწოლში მხარი იცვალა.

კედლის საათის გუგულმა ზამბარების ყღარუნით ორჯერ გამოპყო თავი ბუდიდან, მაგრამ თითქოს ოთახში მყოფებისა შეეშინდაო, ხმის ამოუღებლად შეხტა უკან.

—უკრაინული ბორშჩი მოგვენატრა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და უპარხლოდ არ გამოგვივიდოდა, — სრული სერიოზულობით აუხსნა პაპა ოსტაპმა, — ოდითგანვე ეგრე ვხარშავდით და ახლა ნაღდად ვერ ვუღალატებდით ჩვევას... უპარხლო ბორშჩი ხომ იგივეა, რაც უგვირგვინო მეფე.

თარჯიმანს, რომელსაც იუმორის რაღაც ნასახი აღმოაჩნდა, ხარხარი აუტყდა და როდესაც მოხუცის ნათქვამი უთარგმნა, ვალტერ გეინეციუსსაც გაეცინა, — კეთილი, კეთილი, — ვითომ დიდსულოვნად მიუტევა ცუღლუტობა, — ახლა თუ არ გინდა იქ გაგამგზავრო, სადაც ბორჩს შენისთანა ბრიყვებისაგან ხარშავენ, მითხარი, რამდენი ამოსასვლელი აქვს იმ თქვენს სოროს, კარგად ვიცი, ძველი ქვისმჭრელი ხარ და ეგ მაინც გეცოდინება.

მოხუცმა კედლის საათს მზერა მიაპყრო „როგორ არ დამითვალა გუგულმა წლები, — წყენით გაიფიქრა, — ნუთუ ისიც მიხვდა!...“ — თან ტუჩებს აცმაცუნებდა, თითქოს რაღაცას ანგარიშობდა, — მოგახსენებთ... — კარგა ხნის დუმილის შემდეგ უთხრა, — ზედმიწევნითი სიმართლით გეტყვით, რამდენი ჩასასვლელიც აქვს, ამოსასვლელიც იმდენივეა.

შტურმბანფიურერმა წარბები დაიკოხა, მაგრამ გაკერპებულ ბერიკაცს თავი არ გაუყადრა, პირიქით, იმის გასაღიზიანებლად, ღვარძლიანად ჩაითხითხოცა.

— როგორ ფიქრობ, — გამოცანასავით დაუსვა კითხვა, — რამდენ ხანს შეუძლია ადამიანს უსასმელოდ და უწყლოდ გაძლება? — თქვა, მაგიდაზე შემოდგმულ კათხას გადმოსწვდა და ქაფდაშრეტილი ლუდი ხვრეპა-ხვრეპით მოსვა.

ნუნებში მახათებგაყრილმა პაპა ოსტაპმა უნებურად ამოიკვნესა.

— თქვენ უკეთ მოგეხსენებათ ხერ ოფიცერო, მე გაუნათლებელი კაცი ვარ. — მაინც მშვიდად უპასუხა.

თარჯიმანმა მოუზომელი სილა გაავწნა, „ხერ“ კი არა, „ჰერ“ უღრიალა.

გეინეციუსმა ჩექმებიანი ფეხები საწოლის თავიდან გადმოჰყარა და მისი აღნაგობის კაცისთვის შესაფური სისხარტით წამოჯდა.

— მე გეტყვით, — ხიშტივით მიაშვირა თითი ბერიკაცს, — თქვენისთანა ნაბუშრებმა დიდი-დიდი, ერთი კვირა გაუძლონ, მაგის თავდებიც არა ვარ, მერე ბრმა კნუტივით აკნავლდებით, აი, ჩვენ, — აქ მან მკერდზე მჯიღი დაიბაგუნა. — წმინდა სისხლის არიელი მეომრები, თუ დაგვეჭირდა, სამ კვირასაც გავძლებთ, გესმის... ოც დღეზე მეტს!

პაპა ოსტაპს ყური უწოდა, აუტანელი ტკივილისაგან გულის წასვლას ისედაც აღარაფერი უკლდა, უგონოდ მთვრალივით ადგილზე ბარბაცებდა და თვალებიც აცაბაცა გაურბოდა.

—აქლემი თვენახევარს უძლებს, — ჩახლეჩილი ხმით ამოიხავლა, — გინდა ჯიშიანი იყოს და გინდ უჯიშო.

შტურმბანფიურერმა კარგა ხანს მრისხანედ უცქირა თვალებმილულულ მოხუცს, რომელსაც ტუჩები სისხლისდენამდე დაეკვნიტა, მაგრამ იმას ქუთუთოებიც არ შეტოკავები. როდესაც მბრძანებლურმა მზერამ ზემოქმედება ვერ მოახდინა, გეინეციუსი კვლავ ბალიშებზე გადაესვენა, ფეხები საწოლის თავზე შემოაწყო და მშვიდად თქვა:

— გაიყვანეთ და იმ ძუკნის გვერდით ჩამოჰკიდეთ, წავიდეს და ზოგ-ზოგიც თავის წვეროსან წმინდანებთან იმახვილოიტყვაოს.

ყოველგვარ გამძლეობას აქვს ზღვარი და მით უმეტეს ამ ხნის გატანჯული მოხუცისგან გასაოცარი არც უნდა ყოფილიყო, რომ სასიკვდილო განაჩენის მოსმენისთანავე მუხლებში ჩაიკეცა, იატაკზე ბრაგვანი მოადინა და გონება დაკარგა.

შტურმბანფიურერს ზიზღით დაეღიმჭა პირსახე, იგი ვერ იტანდა სისუსტის ვერანაირ გამოვლინებას, სასწრაფოდ გაიქნია ხელი და მცველებმა — ყბედმა პეტერმა და ენაბლუ იოჰანმა მომჩვარულ ბერიკაცს ჩექმებში ხელები ჩასჭიდეს, ტომარასავით გაათრიეს და პარმაღზე დაადგეს.

იქ კი, ქოხიდან მოშორებით მდგომ

ხემდე მისი თრევით თირკმელები რომ არ ჩასწყვეტოდათ, თარჯიმანმა წინაარიდან ყინულივით ცივი წყლით სავსე ვედრო გამოარბენინა და თავზე გადაავლო, მაგრამ ვითომ გულშენაღონებმა პაპა ოსტაპმა წინასწარვე ხახა დააბჩინა, ჯავლს მიუშვირა და გვარიანად დარწყულებულმა — „მამაზეციერი მოგიზღავთ სამაგიეროსო“, ვითომც დალოცა და ფეხზეც მკვირცხლად წამოდგა.

გზის პირას მდგომ ვერხვამდე პაპა ოსტაპმა ისე იარა, რომ შიშის ნატამალიც არ შემჩნევია, მაგრამ იქ უეცრად მთელი სხეულით აცახცახდა და კბილების ღრჭიალი აუტყდა.

— ერთი ეს მითხარი, შე იუდა ისკარიოტელო, — თვალები დაუკვეესა თარჯიმანს, — ამან რაღა დაგიშავათ, რას ერჩოდით? — ჰკითხა და ნიკაპით ტოტზე ჩამომხვრჩალ ახალგაზრდა ქალზე მიანიშნა.

თარჯიმანს ფაქტზე დაჭერილი წიწილაჭამია ძაღლივით მიწისკენ გაექცა თვალები, ეს კი იმიტომ, რომ არის დანაშაული, რომელიც სამშობლოსა და ხალხის მოღალატესაც კი აწუხებს და ცისკენ ახედვას უშლის.

— ეგ ჩვენ არ გვიქნია, პაპა, — თავჩაქინდრულმა ამოოლუღლუღა, — თავდადე... ასე ვთქვათ, პირადი ნებით... ჩამოიკიდა თავი, საკუთარი სურვილით.

მოხუცმა სუსტი მხრები შეატოკა, მაჯების გათავისუფლება სცადა.

— რომელი შენი პაპა მე ვარ, — შეუტია, — პაპაშენი და ი იმისი ცოლი ახლაც კვერცხებზე სხედან და ახალი გველისწიწილების გამოჩეკვას ცდილობენ. მარიამ რა დაგიშავათ-მეთქი, ამ ღვთისნიერმა ქალმა, რისთვის გასწირეთ, მხოლოდ იმიტომ, რომ თავმჯდომარის და იყო და იმის ბავშვებს ზრდიდა?!

ამასობაში ენაბლუ იოჭანი მოხერხებულად აცოცდა ხეზე, ტოტზე გადაებღოტა და მარიას გვერდით თოკის ბოლოს დაუწყო გამობმა, ყულფი ჯერაც გამოუნასკვავი ჰქონდა.

— მე არაფერ შუაში ვარ, ბრალი არა მაქვს, — ხრინწი გაერია ხმაში თარჯიმანს — გუშინ დილით ოთახებს რომ ალაგებდა, თავად სთხოვა შტურმბანფიურერს, საჭმლის ნარჩენებს ნუ გადაყრიდა, ბავშვები მშივრები მეხოცებიანო, ჰოდა, იმან... ხო იმან... მარიას უჩუმრად ნასუფრალს რაღაც ფხვნილი მოაყარა, ამ სულელმა კი თავისთვის ვერ გაიმეტა, პატარებს აჭამა და სამთავეს წამებით ამოხდა სული... მე ბრალი არა მაქვს, არ ვიცოდი, მაგას რა მომფიქრებდა...

ბერიკაცმა კვლავ გაალრჭიალა კბილები, თვალებმოჭუტულმა უცქირა თავჩაქინდრულს.

— ფხვნილი შავი იყო თუ ყავისფერი? — უეცრად ჰკითხა.

— არა, — სწრაფად მიუგო იმან, — თეთრი, მთლად თეთრი, როგორც პურის ფქვილი, ისეთი ქათქათა და ფხვიერი.

— ო, ღმერთო, — ამოიგმინა პაპა ოსტაპმა და თვალები ზეცისაკენ აღაპყრო, — ღმერთო, მომიტევე მე უგნურს, თუ ოდესმე რაიმე თხოვნით შემიწუხებიხარ, მხოლოდ ეს უკანასკნელი ვედრება ამიხდინე, შემისრულე, მეტს ხომ ვეღარაფერს გთხოვთ... წამით დამიბრუნე ჩემი ახალგაზრდული ჯანი და ღონე, მხოლოდ ერთი წამით დამიბრუნე!

იქნებ მართლაც შეისმინა ყოვლისშემძლემ მისი ვედრება, ანდა იქნებ თავად შეიძლო, ერთი კია, პაპა ოსტაპმა თარჯიმანს, რომელიც მთელი თავით მაღალი იყო მასზე, ისეთი ძალით ამოჭკრა ჩექმის ჭვინტი სანაშენოში, რომ ორთავე კვერცხი ჩაუჩეჩქვა და სამუდამოდ გაულაყა.

ალბათ, ამიტომაც იყო ყულფში თავგაყოფილს პირისახეზე ნაამები კაცის ღიმილი რომ ედგა და ულვაშებიც თავისთავად მაღლა აპრეხოდა.

თარჯიმანი რომ დაკოდილი კერატინით აჭყეარდა, იმ დროს შტურმბანფიურერთან სტუმრად მომავალმა ფონ ბაბენბერგმა კარიბჭეში შემოდგა ფეხი და იფიქრა, სულზე მომისწრია, ჩემი თანამემამულენი ღორს კლავენო, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ ქოხში აღრენილი გენეციუსის მეტი არავინ დახვედრია, არც ღორი და, მით უმეტეს, არც კაცი, თუმცა ვერც ამან შეუცვალა საზეიმო განწყობილება.

საათნახევრით ადრე, „დიდი გამჭრიახობით და გერმანული პუნქტუალობით შესრულებული სამუშაოებისათვის“, თვით გენერალ-პოლკოვნიკმა ენნეკემ, ამაღლებული და პათეტიკური ტონით, ფიურერისა და ნაციის სახელით მადლობა უთხრა, როგორც ვერმახტის უკეთესი იდეების თანამზრახველსა და ხელისშემწყობს.

დოქტორ ბაბენბერგს ეჭვიც არ შეჰპარვია იმაში, რომ მიწისქვეშა გარნიზონს უახლოეს ხანში დამარცხება და განადგურება არ ასცდებოდა, რადგან ესესელთა რჩეული ბატალიონები იმ წმინდა სისხლის ბულდოგის თვისებისანი იყვნენ, რომელიც მან დრეზდენში მსახურების იმედზე დასტოვა — ძაღლიც და ესესელებიც, თუ რაიმეს ყბებში მოიგდებდნენ, კბილებიც რომ ამოელეწეთ, მაინც არ დათმობდნენ.

რაღა თქმა უნდა, გამარჯვებულები კატაკომბებშიც ჩავიდოდნენ, იქაურობასაც შეამოწმებდნენ, მაგრამ ლაბირინთის სრულ გამოკვლევასა და ზუსტ აღწერას წლები სჭირდებოდა, მათ კი საამისოდ დრო არასოდეს ექნებოდათ, რადგან დედამიწაზე ჯერ კიდევ უამრავი ქვეყანა რჩებოდა დასაპყრობი და დასამონებელი.

ამყრალებული გუნების მიუხედავად, შტურმბანფიურერმა დოქტორ ბაბენბერგს კონიაკი შესთავაზა და მაღალფეხიან ბროლის ჭიქაშიც ჩამოუსხა, და არა იმიტომ, რომ გულზე ყვავილად ეხატებოდა, პირიქით, მთლად უმნიშვნელო მიზეზის გამო, ბაბენბერგი შორეული ნათესავი და ახლო მეგობარი იყო ფონ პაპენისა, ეს უკანასკნელი კი ამჟამად რაიხსკანცელარიაში მიმდინარე თამაშში ისეთი რანგის კოზირს წარმოადგენდა, რომელსაც არათუ რიგითი შტურმბანფიურერის, არამედ გენერლებისა და ადმირალების გაჭრა და თამაშიდან გაყვანაც კი არაფრად უღირდა. ამიტომაც ექცეოდა ესოდენ ადამიანურად ამ ორი სხვადასხვა კატის რძით გაზრდილ „ორთვალა ჯენტლმენს“.

— ვალტერ, მშვენიერი იდეა მინდა შემოგთავაზოთ, — ფამილარულად და არისტოკრატთათვის დამახასიათებელი ქედმაღლობით მიმართა ფონ ბაბენბერგმა, — ჩემთვის ცნობილი შეიქნა, რომ აქვე, ლაბირინთების სიახლოვეს, ძველბერძნული ტიპის დიდებული სამარხია შემორჩენილი, გული მიგრძნობს, რაღაც ახალს და საინტერესოს ვნახავთ, იმედი მაქვს, შემომიამხანაგდებით.

პირდაპირ სახელის მიმართვით შეურაცხყოფილმა და ცხვირგათეთრებულმა შტურმბანფიურერმა გუნებაში ჯერ ყველა „ფონს“ შეუკურთხა, შემდეგ სამარხის შემქმნელ-ამშენებელს და საბოლოოდ, როგორც კი შეეძლო, ზრდილობიანი უარი მოახსენა არქეოლოგიის თუ რაღაც ჯანდაბის დოქტორს, თან სინანული გამოთქვა, სამსახურებრივი მოვალეობა ამის დროსა და საშუალებას არ მაძლევსო. თუმცა მიანლოებით მაინც რომ სცოდნოდა, რაც ფონ ბაბენბერგს ერთი საათის შემდეგ შეემთხვეოდა, სინანულისა და რევერანსებისაგან უდავოდ თავს შეიკავებდა.

შემდგომში ამ უარის მიზეზი შტურმბანფიურერმა იმით ახსნა, რომ ბედნიერ ვარსკვლავზე იყო დაბადებული და იმან იხსნა.

იქნებ ცხოვრებისეული შეუსაბამობაა, მაგრამ ფაქტია, რომ ბედისწერისა იმ ადამიანებს სჯერათ ყველაზე მეტად, ვისაც თავად აქვთ გარემოებისაგან ბოძებული ისეთი უფლებები, რომ სხვათა ბედისა და ცხოვრების გამგებლობა შეუძლიათ.

ვალტერ გეინეციუსი ამას სამიოდე თვის შემდეგ მიხვდება, როდესაც მისი ბედ-იღბლიანი ვიღაც „არასრულფასოვანი“ ადამიანის ნება-სურვილზე იქნება დამოკიდებული.

●

პერისად პირველმა ლაბირინთში შესამწყვდევ ძმებს მართლაც მეფური გუ-

ლუხვობით არგუნა საგზალი, არაფერი დაეკლო, ორ კვირას კი არა, ერთ თვესაც თავზესაყარელად ეყოფოდათ, თხის ტიკით წყალიც დაახვედრა, მაშხალები და კაკ-აბედიც არ დაივიწყა და ბორკილებიც იქვე, შესასვლელში ააყრევინა.

— დღეიდან მონა ძმები პანტიკაპონის სრულუფლებიანი მოქალაქეები არიან, — ისეთი თავმომწონებით განუცხადა, თითქოს სახელმწიფოს საზღვარზე მდგომთ ოთხსავე მხარეს უხსნიდა გზას, — ხოლო თუ ისინი ჩვენს სამეფოში დარჩენას ისურვებენ, დიდება და პატივი არ მოაკლდებათ.

მოშორებით მდგომ მცირერიცხოვან მეცველებს და მონებს მბრძანებლის ეს სიტყვები არ გაუგონიათ.

თუტუ მუხლებზე დაემხო, წვივებზე შემოხვია მეფეს მკლავები, პანტიკაპონის მოქალაქეობა ამის უფლებას ანიჭებდა, მხრები უცახცახებდა და როდესაც პერისადს ტირფებზე რამდენიმე ცხელი კურცხალიც დაედენთა, მიხვდა, რომ ნაირთვალა მახინჯი ტიროდა და მეტისმეტად გაიოცა, ალბათ, ჩემი წყალობის მნიშვნელობა სრულად ვერ განსაზღვრაო.

— რისთვის მიხდის მადლობას პატარა კაცი? — ეპითეტი შეუცვალა დიდთავა გომბეშოს.

— თავისუფლებისათვის. — ამოისლოკინა თუტუმ.

ხელმწიფემ წინ დაჩოქილის გამეღობებულ კეფას დამცინავად დახედა.

—ამისათვის მას მოლად მცირედის გაკეთებაღა დასჭირდება,—მრავლისმთქმელად აღნიშნა, — ლაბირინთის გავლა.

— ეგ მართლაც მცირედია, — დაეთანხმა თუტუ, — უმთავრესი ის არის, რომ დღეიდან მონა აღარა ვარ და თავისუფალი ადამიანი მქვია.

პერისადმა უბგგროდ ჩაიქირქილა.

— ნუთუ რაიმეს ნიშნავს სიტყვა, რომელსაც ძალა არა აქვს და, შესაძლოა, არც არასოდეს ექნეს?

თუტუ წამოდგა, მხრები გაიღაღა და თუმცა ის კვლავ იმდაგვარ ქონდრისკაცად დარჩა, როგორიც იყო, მაინც საოცარი რწმენა და ნებისყოფა იგრძნობოდა მის ხმაში.

— ვისაც მონობა არ გამოუცდია, იგი ამას ძნელად მიხვდება. — მოურიდებელი სიმართლით აღნიშნა.

მეფე და ყოფილი მონა ლაბირინთის შესასვლელთან იდგნენ, პირველი ჯურღმულისა და ბნელეთისაკენ მომზირალი, მეორე კი ჩამავალი მნათობისაკენ მაცქერალი და მაინც ორთავეს ერთი საფიქრალი და საწუხარი ჰქონდა.

ცოტაოდენი ხნის შემდგომ პერისადმა მარჯვენა შემართა და როდესაც უფროსი კირითხერო სირბილით ეახლა, საჩვენებელი თითით მიწაზე მიანიშნა და იმანაც, იმავ წამს მათ შორის გრძელი თასმა გაატარა და გვირაბის ყელზე ლარად გაჭიმა, ათამდე დამხმარე კალატოზმა კი კუბებად დაჭრილი ქვის ზიდვა იწყეს და კედლის ტიხარის ამოქვითკირებას შეუდგნენ.

— წავიდეთ, — სთქვა დათპუმ, რომელსაც ახლაც არ სჯეროდა, რომ ცერბერის ყბას გადურჩა, — ამ საქმეს უჩვენოდაც მოამთავრებენ.

— არა, — მკაცრი ხმით შეაჩერა თუტუმ და სანოვაგიან აბგებზე ხელი უტაცა, — ჯერ ზედმეტი და დამამძიმებელი მოვიშოროთ.

წასასვლელად ფეხგადადგმული ხელმწიფე შეჩერდა, შემობრუნდა და გულისყურით დააკვირდა მათ საქმიანობას.

თუტუ მორიგეობით ხსნიდა აბგებს, სურსათი ამოჰქონდა და იქვე ტიხარის ახლადამოყვანილ პირველ ფუძეზე ალაგებდა. მან სწრაფად, თვალის ერთი შეელებით გადაარჩია ის, რაც გამოუსადეგარად მიიჩნია, მხოლოდ გამძლე და ყუთიანი საკვები ჩააბრუნა უკან, შემდეგ აბგები ლაბირინთის კედელთან მიაწყო, თავადაც იქვე ჩაჯდა, თავი ჩაქინდრა და გაირინდა.

დათპუმ ჯერ იჭვნეულად უცქირა ტყუპისცალს, თითქოს ჩაღაცის თქმაც დააპირა, მერე მაშხალა ანთო და გვირაბში გაუჩინარდა.

— რას ელოდება ბონიერი მოწაფე? — დაინტერესდა პერისადი — ნუთუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ მასწავლებელს, რომელიც საიდუმლოს ამცნობს და გზას გაანგებინებს?

ქედჩადრკილმა ჯუჯამ უარყოფის ნიშნად თავი გააქნია.

— მზის ჩასვლას, — ამცნო, — მზის ჩასვლას და ღამის დადგომაა, ახლა მხოლოდ უკუნღაა ჩვენი შემწე.

— დიდი ვერაფერი დამხმარეა. — შემგონებლურად აღნიშნა პერისადმა, რომელიც ფეხის მოცვლას ადარც აპირებდა, — მაინც რისი იმედი აქვს ახლა თავისუფლებით გაბედნიერებულ ადამიანს?

თუტუმ მშვიდად, უდრტვინველად გაუსწორა მზერა ბოსფორის მეუფის ჭრელსა და დამცინავ თვალებს, შემდეგ მძიმედ შემართა ხელები და მოკაკული შუა თითი შუბლზე მიიკაკუნა.

კედელ-ტიხარი სწრაფად მაღლდებოდა. კალატოზები მუყაითობით თავს აწონებდნენ მბრძანებელს.

დათპუ მალე მობრუნდა, მას ბალღობიდანვე ეშინოდა სიბნელის, სასოწარკვეთილი მიაჩერდა მზის ნათელს, რომელსაც სისუსტე ეძალებოდა.

უსაზღვროდ მშვენიერი, მინავლებული ნაკვერჩხლისფერი მნათობი, ჰორიზონტზე შემომდგარიყო და თითქოს სამარადჟამოდ ეთხოვებოდა იმათ, ვისაც მომავალი დღის განთიადის ხილვა ბედისწერით ადარ ერგებოდათ.

არაადიდეს ჰყვარებია დათპუს ასე ძლიერ მზე, არც არასოდეს უგრძვნია ესოდენ მწველად მისი სხივების სითბო და ცხოველმყოფელობა. ინსტინქტურად, თავისდა უნებლიედ გაიშვირა ხელები მისკენ, თითქოს პეშვზე დაისვა, შეყოვნება შესთხოვა და სრულიად მოულოდნელად ჩუმი, მელოდიური ხმით სიმღერა დაიწყო, რომელშიც ვედრება, მუდარა, სიყვარული, სინანული და ტკბილი ერთდროულად ჩაწნა და ჩააგვირისტა.

ბალღის მიერ მომაკვდავი დედისათვის ნამღერ გამოსათხოვარს ჰგავდა ეს თითქმის მივწყებული და ახლა ხელმეორედ შობილი მელოდია.

— ო, დელაო დელა, დილიაო დელა, დილია დელასა... — ღაღადისიდა თინებდა დათპუ ყველასათვის ამ სიტყვებს, რომლის აზრი, მნიშვნელობა და ტკბილხმოვანება მხოლოდ იმ გვარტომის ხალხმა უწყოდა, რომელთა სისხლიც მის ძარღვებში ფეთქავდა. მიმოდიოდა და უნებურად აიძულებდა აღევლინა ის ჰიმნი, რომლითაც მისი წინაპრები უპირველესი ხანიდან ესალმებოდნენ და ეთხოვებოდნენ ამქვეყნად ყველაზე დიდსა და ძლიერ მფარველ ღმერთს — მზეს.

გათელილი ბალახივით მძიმედ წამოიმართა თუტუ, ძმას მიეახლა, მოკლე, სუსტი მკლავები წელზე შემოაჭდო და ლოყით ფერდზე მიეტმასნა. ძნელზე ძნელი სათქმელი იყო, როგორც მშობელს, ისე ეკვროდა თუ როგორც პირმშოს იმდაგვარად იხუტებდა.

კედელ-ტიხარი უკვე თვალებამდეს სწვდებოდა ტანმორჩილ ტყუპიაცალს და ისიც თანდათანობით დგებოდა ფეხის თითებზე, რათა მნათობი თვალსაწიერიდან არ დაჰკარგოდა.

დათპუ კი გალობდა, ღიღინებდა, ერთ დაუმთავრებელ ჰანგად კვნესოდა იმ უძველეს მელოდიას, რომლის არც დასაბამი უწყოდა ვინმემ და არც დასასრული.

პერისად პირველი კერპივით გარინდულიყო, ჩამავალი მნათობისაკენ ექცია პირისახე. შეჰყურებდა და გრძნობდა, რომ აუტანელ ტკივილს და უდიდეს ნეტარებას ერთდროულად განიცდიდა, თითქოს სიცოცხლე მდორე მდინარისგვარად გამოედინებოდა მისგან, სამყაროს უვლიდა და კვლავ უკანვე უბრუნდებოდა და უერთდებოდა.

კრიოსურონიც თითქმის ჩქამდაუცდენლად ადუღაბებდნენ ქვებს, მაგრამ წუთითაც არ გაუვლიათ გონებაში მშენებლობის შეჩერება, რადგან საკვლილს შიშს გაცილებით დიდი ყურები ჰქონდა, ვიდრე სიცოცხლის სიმღერას.

როდესაც კედელმა კაცის სიმაღლეს მიაღწია და მნათობიც გაუჩინარდა, დათპუმ ისეთი საოცარი ხმით ამოიკვნესა ბოლო ბგერა, რომ ბოსფორის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მბრძანებელს რომელიღაც მგრძნობიარე ნერვი გაუწყვიტა და სხეულში ქვეწარმავალივით გაკლაკნა.

— ასეთი იადონის ენა მართლაც დიდებული შესაწირავი იქნებოდა დიდი ჭელიოსისათვის, ვნანობ რომ იგი სპილენძის გავარვარებულ თასში ჩადებული არ მივართვი ცეცხლოვან რაშთა მპყრობელს... დიდად ვნანობ!

პერისადის ეს გესლნარევი ნატვრა ძმებმა ტიხარს იქითაც გაიგონეს და თუტუმ დამცინავად ჩაიხითხითა.

— ბოსფორის მპყრობელი, თუ გონება არ მოალატობს, მაგას ვეღარასოდეს ეღირსება, — დაჯერებით გამოსძახა. — თუმცა, ვგონებ, ვცდები, მას ჯერ კიდევ შეუძლია კეღლის დანგრევა, ჩვენი შეპყრობა და ნების ასრულება.

გვირგვინოსანმა რისხვით დაჰკრა მუშტი თავისავე ბრძანებით ამოშენებულ ტიხარს.

— კარგად დაიმახსოვროს თავხედმა თავკომბალამ ჩემი ნათქვამი, — მუქარანარევი ხმით დაიქადნა. — ჩვენ ერთხელ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს, ღმერთების რჩეული არასოდეს ცდება.

— იგი ერთხელ უკვე შეცდა, — იყო მშვიდი პასუხი.

— როდის?

— როდესაც თავი ყოვლისშემძლედ წარმოიდგინა და უბრალო ჰეშმარიტებას ვერ მიხვდა.

— რომელს? — იკითხა მბრძანებელმა.

— უსამართლობის ჩამდენი რომ საბოლოოდ ყოველ გაწვალებულზე უბედურია!

ხელმწიფემ პაექრობის გაგრძელება უაზრობად მიიჩნია, შებრუნდა და სწრაფი, აჩქარებული ნაბიჯით ტახტრევანს მიაშურა.

კეღელი ამოიქოლა და ნათელი უკუნისაგან საიმედოდ გაიმიჯნა. ლაბირინთში უჩვეულო სიწყნარემ დაისადგურა, აუტანელმა, ზარდამცემმა და შიშისმომგვრელმა.

— ახლა რაღას ველოდებით, თუტუ? — მოუთმენლად ჰკითხა ძმამ, — ავანთოთ მაშხალები და მივენდოთ ბედს, უქმად ჯდომა არაფერს გვარგებს.

ტყუპისცალმა ფიქრიანად ამოიხვნეშა, თვალები დახუჭა და შებლზე ხელისგული შემოიტყლო.

— არ არის საჭირო, — შემდგომ ურჩია, — სინათლე ხელს შეგვიშლის და შეგვბორკავს, ჩვენ ამკამად თვალის ჩინის დაკარგვას უნდა შევეგუოთ და, რაც მთავარია, ის მოვიფიქროთ თუ როგორ მოვიქცეთ და რა მოვიმოქმედოთ.

— კი მაგრამ, რატომ, როდესაც საშუალება გვაქვს ნათელში ვიაროთ? — გაიოცა დათჰუმ.

თუტუმ ხმაც აღარ გასცა, კვლავინდებურად გვირაბის კედელთან ჩაიყუნცა, გაირინდა, გაყუჩდა და სულხორციანად განმარტოვდა. ძმამ ძმის ახირება იწყინა, მაგრამ საყვედური მაინც არ დასცდენია, რადგან მონობაში გატარებულმა მრავალი წლის გამოცდილებამ ასწავლა უსტყვოდ დამორჩილებოდა ტყუპისცალს, ვინაიდან, როგორც წესი, საბოლოოდ ის მუდამ უფრო შორსმჭვრეტელი აღმოჩნდებოდა ხოლმე, ამიტომ ამკამადაც სრულიად მიენდო, იმდაგვარად, როგორც ერთი ბრმა დაექვემდებარება მეორეს, უმეტესად გამოცდილსა და გონიერს.

მძიმედ, ზოზინით გადიოდა დრო. თუტუ კი დადარაჯებული კატის მოთმინებით იჯდა და გამუდმებით ერთსა და იმავე კაცზე ფიქრობდა, და ის მისი ყოფილი პატრონი და მასწავლებელი დრიოდე იყო. თუტუ კარგად ხვდებოდა ერთ აუცილებლობას, თუ მას ამ ჯურღმულიდან თავის დაღწევა სურდა, აქედანვე სრულყოფილად უნდა განესაზღვრა და განეჭვრიტა ბერძენი ხუროთმოძღვრის ჩანაფიქრის სიღრმე, ლაბირინთის შექმნის პრინციპი და ის უმთავრესი საიდუმლო ხრიკიც, რომლითაც იგი პერისად პირველის გაცუცურაკებას აპირებდა, ახლავე უნდა შეეღწია ყოფილი მწვრთნელის გარსსა და გონებაში და მისი თვალით შეეხედა და აეწონა ყოველივე — წარსულიც, აწმყოც და მომავალიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვირაბის კედელს მიყრდნობილმა ნამოწმაფარმა მთელი ამ უზარმაზარი ნაგებობის დაახლოებითი სქემაც კი მოხაზა წარმოსახვაში. უდავო იყო, რომ ერთადერთი ჭეშმარიტი გასასვლელი აკლდამა-დრომოსის მხარეს, ჩრდილოდასავლეთით იქნებოდა მიმართული, იქ სადაც, წესით, მეფეთა მუდმივი განსასვენებელი უნდა ყოფილიყო, რადგან ყორღანიდან ლეკვურ პირველის ნეშტის გადმოსასვენებელ საიდუმლო ხვრელის გათხრაზე დიდ დროს და აურაცხელ მუშახელს არც აშკამინდელი მეფე დახარჯავდა და არც მისი ხუროთმოძღვარი.

თუტუს არც იმაში ეპარებოდა ეჭვი, რომ უზომო გამდიდრებაზე მეოცნებე დრიოდე თავის საშველად გამიზნულ გვირაბს მეფეთა აკლდამას არ აუქცევდა და მათი განძეულობის საშშიბლოში გატაცებას შეეცდებოდა. ამ დასკვნიდან კი ის მტკიცდებოდა, რომ მიწის ზედაპირზე ამავალი საიდუმლო ხვრელი ლეკვონ პირველის აკლდამის სიახლოვეს იყო მოსაძიებელი და საპოვნი.

ამ ფიქრებსა და განსჯებში გართული თუტუ, ძმის შემკრთალმა და დაძაბულმა ხელისტაცებამ გამოაფხიზლა, „იქ რაღაცაა...", შეშფოთებული ხმით უჩურჩულა დათჰუმ და ნიკაპი ლაბირინთის სიღრმისაკენ მიაქცევინა.

მართლაც იმ მხრიდან რაღაც იღუმალი, გაურკვეველი შრიალი უახლოვდებოდათ, თითქოს ჯურღმულის მუცლიდან სტვენითა და ქროლვით რომელიღაც უზარმაზარი არსება მოფრინავდა და მოკროდა მათკენ. გვირაბში ჩაგუბებული ჰაერიც კი შეტოკდა, შეირხა და ამოძრავდა.

— ბნელეთის მოციქულები, — დაიხავლა დათჰუმ, — მოირბი მოდიან ჩვენი სულების წასაყვანად, — სასოწარკვეთილმა აღმოთქვა მერე და დამფრთხალი ზღარბივით მოიკუნტა, ბურთივით მოამრგვალა უზარმაზარი სხეული, ძმის ფეხებთან ჩაემხო და ერთიანად აცახცახებულმა თავზე ხელები წაიფარა.

უცნაური ხმა კი საოცარი სიჩქარით მოისწრაფოდა, აფრებატკაცუნებული ხომალდივით მოფრინავდა და ვემ ნათლად იგრძნო, თუ როგორ მოაღწია უკანასკნელ მოსახვევს ის საშინელებამ და რა ზარდამცემი შხუილით შემოიჭრა გვირაბში.

ახლა უკვე თუტუსაც უმტყუნა სიმტკიცემ, შემკრთალი მიეტმასნა კედელს და მისმა ამ უნებლიე მოძრაობამ მთლად დააფთა დათჰუ, შლეგიანივით წამოიჭრა, ამოქონილი კედლისაკენ გაქანდა და იმავ წამს მისმა სასოწარკვეთილმა ღრიალმა მთელი ლაბირინთი შეძრა და შეანზაზანა.

ამქვეყნად ერთადერთი ახლობლის აღსასრულის შეგრძნებამ ყოველივე დაავიწყა თუტუს, ხელებგაშვერილმა მიაშურა სისხლხორცს, მთელი სამყაროს უკუნეთს მოჰხვია მკლავები, როგორც საცერში ისე გაატარა, გაცხრილა და ძმას მაინც მიაგნო.

კედელ-ტიხართან ჩაჩოქილ დათჰუს უზარმაზარი, სლიპინა არსება შემოჰხვეოდა თავზე, უთვალავი საცეცით თმებში ეჭიდებოდა, ეგრაგნებოდა და ფუთფუთებდა. თუტუ ორთავე ხელის თითებით ჩასწვდა, ჩაჰკლაწჰა, აგლეჯა სცადა და იმავე წამს, სწრაფად განჭვრეტის უნარმა ერთადერთი საშველი უკარნახა, დაუხანებლად მიატოვა ტყუპისცალი, აბგებთან მიირბინა კაქ-აბედი მონახა და მაშზალა ანნო.

აფუთფუთებული შავი მასა დათჰუს თავ-კისერზე რომ ეხვია, ცეცხლის მიახლოებისთანავე დაიშალა, დანაწევრდა, და უთვალავ ღამურად ქცეული კვლავ ლაბირინთის სიღრმეში გაუჩინარდა.

ვიდრე თუტუ ნახევრად გონდაკარგულ ძმას მოასულიერებდა, ღამურების გუნდმა კიდევ ორჯერ სცადა ტყეებიდან თავის დაღწევა, მოიერიშეებივით მიაწყდნენ ახლად ამოშენებულ ტიხარს და უკუიქცნენ.

ცოტაოდენი ხნით გაირინდა თუტუ და შემდეგ გეზაღებული მონადირე რომ ნადირის კვალს აღმოაჩენს და მის უტყუარობაში დარწმუნდება, იმდაგვარი სიხარულით შეჰყვირა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განა შეეძლო ამ ჯურღმულში გამომწყდეულ ადამიანს ღამურებზე უკეთესი მეგზური ენატრა და თუ ლაბირინთიდან რაიმე გასასვლელი მართლაც არსებობდა, უკუნის ამ ბინადრებზე უკეთ ვინ შეძლებდა მის მიგნებას და ალმოჩენას?

— ახლა კი წავიდეთ! — იმედიანად თქვა თუტუმ, მაშხალა ჩააქრო და ჯულის ტიკი ბეჭზე შეიგდო.

რთული და უდიდესი საიდუმლოებით მოცული გზა ედოთ წინ ძმებს, მაგრამ როგორც ჩანდა, თუ ადამიანი ბუნებისაგან ბოძებულ კარგებასა და ალღოს სრულად გამოიყენებდა, მას ყოველივე წინააღმდეგობის დაძლევა შეეძლო. თუტუს შინაგანად ყოველთვის სწამდა ამისა და ამიტომაც იმედს არასოდეს ჰკარგავდა.

ღამურებმა მართლაც უდიდესი სამსახური გაუწიეს გამოუსავლეთში გამომწყდეულ ძმებს, დასაწყისში ისინი ერთ მთლიან გუნდად შეკრულნი დაქროდნენ გგირაბებში, ემჩნეოდათ, გასასვლელის ამოქოლვამ დიდად შეაშფოთად და დააფრთხოთ, მაგრამ შემდეგ, დროთა განმავლობაში, გონს მოეგნენ, პატარ-პატარა ჯგუფებად დანაწევრდნენ და ყოველი გაწმტოების ცალ-ცალკე შესწავლა და შემოწმება დაიწყეს.

მეტისმეტად ცოტა რამ იცოდა თუტუმ მათ შესახებ, მაგრამ ის მცირედიც, რაც კი ოდესმე გაეგონა და დაეხსომებინა, პირველხანად საკმარისი აღმოჩნდა, დანარჩენში თავად უნდა გარკვეულიყო.

მზის ნათელის მოძულე ეს უცნაური არსებები, დღისით გამოქვაბულებს, ჯურღმულებს, უპატრონო სახლებსა და ბნელ სარდაფებს აფარებდნენ თავს, ხოლო ბინდის ჩამოდგომისთანავე სარჩო-საბადებლის მოსაპოვებლად არემარესა და ტყე-ღრეს ედებოდნენ, მწერებზე ნადირობდნენ, ხილის წვენითა და ყვავილთა ნექტარითაც იკვებებოდნენ, თუმცა ამჟამად ყველაფერზე საჭირო და საყურადღებო მათი ის თვისება იყო, რომ წკვარამ სიბნელეშიც კი გეზეშეუცდომლად იგნებდნენ გზას, ფეხს ეხლებოდნენ და არასოდეს ცდებოდნენ.

ცხრა დღეღამე იარეს ძმებმა მართლაც ობობას ქსელივით დახლართულ ლაბირინთში და რაც მეტი დრო გადიოდა, მით უფრო ირწმუნდებოდა თუტუ, რომ საბერძნეთის ვერც ერთი არქიტექტორი ვერ გაუტოლდებოდა ცბიერებაში დროიდეს, ღმერთებს მართლაც ლაბირინთის შესაქმნელად მოევლინათ იგი ამ ქვეყანაზე და ღამურების თანდაყოლილი ალღო რომ არა, ძმები ვერასოდეს შესძლებდნენ უთვალავ ცრუ გასასვლელების, ათასგვარი ხლართისა და სატყუარების განჭვრეტასა და გგირდის ავლას.

იმ განშტოებებს, სადაც ღამურები არ დაფრინავდნენ, ძმები დაუხანებლად გვერდს უქცევდნენ, მხოლოდ ფრთების ტყლაშუნსა და უცნაურ წრიპინს მიჰყვებოდნენ. თუტუმ მეგზურობა დათჰუს მიანდო, ხერხად ჩინდაკარგულ ადამიანთა უძველესი გამოგონება მოიშველია, მაშხალის ტარი საცეე ჯოხად მიუმარჯვა და გგირაბის კედელზე მიკაკუნებით უკუნეთში სიარული ასწავლა, თავად კი კვალში ჩაუდგა და ერთ გამახვილებულ სმენად იქცა.

მესამე დღეს თუტუმ პირველად იგრძნო გუმანით ლაბირინთის კედელზე მოფუთფუთე მასა. მაშხალა აანთო და ერთიმეორეზე მტევნის მარცვლებივით ახუნძლული კი არა, როგორც დასვენებისა და ძილის დროს სჩვეოდათ, არამედ გაფაქტული და განცალკევებული უთვალავი ღამურა იხილა, მაშინ კედელი გულდაგულ შეისწავლა და მასზე სწორი გზარები აღმოაჩინა, შემდეგ დათჰუს დეკაცური ძალის შემწეობით მთლიანი კარი შეაღო და მეორე მხარეს, სულ სხვა გგირაბში გადაინაცვლა.

ცხრა დღეღამის განმავლობაში სამჯერ განმეორდა ასე და საიდუმლო გასასვლელებს ყოველთვის ღამურებმა

თენგიზ ჩალაური

...და არ იყო ჩვენს შორის გმირი

მიაგნეს, მხოლოდ ერთმა გააოცა და დაეჭვა თუტუ, და თუმცა განუწყვეტლივ ფიქრობდა ამ ძნელად ამოსახსნელ ამოცანაზე, მაინც ვერ განჭვრიტა იგი. ყოველი ცრუ გასასვლელი, გვირაბი და ხვრელი, ისევე როგორც სამივე საიდუმლო კარი, ორჯერ მეტი სიმაღლესიგანის იყო, ვიდრე ამას საჭიროება მოითხოვდა, და რადგან მეფეც და ხუროთმოძღვარიც ლაბირინთის უმოკლეს ვადაში დასრულებას ესწრაფოდნენ, ჩანდა, ამ ზედმეტ შრომას რაღაც მიზანი და დანიშნულება ჰქონდა, მაგრამ რა, ამას ვერაფრით მიხვდა.

მუდმივ ძიებაში გადიოდა დრო, უძლურდებოდნენ ძმები, ძლივსღა მოითრევდა თუტუ ფეხებს და მაინც წინასწარ განდგომილი ულუფის ორ მესამედს ტუპისცალს ეკუთვნოდა, რადგან იცოდა, ფიზიკურად ძლიერს უმეტესი საკვები და სასმელი რომ ესაჭიროებოდა.

მეცხრე დღეს თორმეტი ყლუპი წყალიღა იყო დარჩენილი მოჩვარულ ტიკში და ახლაც ორჯერ მეტი ერგუნა დათჰუს და პირველად მაშინ აღრიალდა იგი, ბალღივით გულამოსკვნინ იტირა, სლოკინ-სლოკინით. თუტუს არ დაუშლია, გაყუჩებული იჯდა და კვლავ რაღაცას ფიქრობდა. სწორედ მაშინ გაახსენდა პატარაობისას ერთი ვაშლის გამო რომ გალახა ტყუპის ცალმა, და ბაბუამ, რომელიც მთელს მხარეში იყო სიბრძნით განთქმული, როგორ გაჭრა სამ ტოლ ნაწილად ის ვაშლი და ხელისგულზე დაწყობილი როგორ [illegible]ეწოდა [illegible].

— თითო-თითო ჩვენ და ეგ ვისა? — ჰკითხა თუტუმ.

— ეს მესამეს, — მიუგო ბაბუამ.

— ჩვენ რომ ორნი კართ? — გაიკვირვა დათჰუმ.

— ამქვეყნად ორი არაფერი არ არის, — მშვიდად აუხსნა ბაბუამ. — ერთხელ და სამუდამოდ დაიხსომეთ, სადაც ორია, იქ მესამეც არსებობს.

მხოლოდ ახლა მიხვდა თუტუ ბაბუას ნათქვამის ღრმა აზრს, ის მესამე, პირველისა და მეორის ურთიერთობა და დამოკიდებულება იყო, რომელ[illegible] ცოცხალი და მგრძნობიარე, როგორც ჩვენი ბალღი და მისი გაზრდა-დაკვაქცებაც იმ ორის ურთიერთსიყვარულს და პატივისცემას ექვემდებარებოდა.

ცივსა და ნესტიან გვირაბში ერთმანეთს ჩაკრულ-ჩახუტებულ ძმებს, სწორედ იმ მეცხრე დღეს ესიზმრათ ერთი და იგივე სიზმარი.

საერთო აკვანში ჩაკრულ ტყუპებს ფეხთით მიმჯდარი დედა ნანას უმღეროდა, მაგრამ ჩვილებს შიოდათ და არ ძინებებდნენ, მაშინ დედა წამოდგა, კარი გამოაღო და ქოხში ახლად აპოძვალი ბარჩხალა მზე შემოახედა, შემდეგ ჩვილები აკვნიდან ამოსხა, აიტაცა და ყოველ მათგანს კუთვნილი ძუძუ არგუნა.

თუტუს წოლხვედრი ძუძუ რძეგამოცლილი აღმოჩნდა.

გაღვიძებისთანავე უამბო დათჰუმ ძმას სიზმარი, მხოლოდ დასასრული დაუმალა, რადგან ცუდად ენიშნა, — ორივეხი გვარიანად გამოვძეხითო, — იცრუა. თუტუმ მხოლოდ ჩაიხითხითა, ალარ გაუმბიარა რომ თავადაც ზუსტად იგივე სიზმარი ჰქონდა ნანახი. შემდეგ დამდუღრულივით წამოხტა და სასწრაფოდ მაშხალა აანთო.

— რომელ მხარეს გამოაღო დედამ კარი?

დათჰუმ გვირაბის მოპირდაპირე კედელზე მიანიშნა და როდესაც თუტუმ ის მხარე გაანათა, იქ უთვალავი, დაბარებულივით მომლოდინე ღობოვა დაუხვდა.

ეს კარს ძმები ბოსფორის მეფეთა საიდუმლო განსასვენებელში შეჰყავდა.

●

გმირი დროთ და გარემოებამ უნდა წარმოაჩინოს, მეომარი გმირი კი — ომმა, სხვა მხრივ, შესაძლოა, იგი რიგით ხარაზად ანდა სამეცნიერო დაწესებულების ვითომ იმედის მომცემ მუშაკად დარჩეს და იმადვე დაასრულოს წოლხვედრი წუთისოფელი, მაგრამ თუ ადამიანი გმირად არ არის დაბადებული,

თუ ბუნებისგან სათანადო ნებისყოფა, თავგანწირვა, უსაზღვრო სიყვარული და სიძულვილიც ერთდროულად არა აქვს ბოძებული, იგი გმირი ვერ გახდება, თუნდაც ვეფხვივით გულადი იყოს, მელიასავით ცბიერი და ამასთანავე გარეგნოსთან ქამელეონივით შერწყმისა და შეხამების უნარიც ჰქონდეს.

ფონ ბაბენბერგი ბავშვობიდანვე მიხვდა, მეომარ გმირად რომ არ იყო მოვლენილი ამქვეყნად, შიში და სიმხდალე დაბადებიდანვე თან დაჰყვა და თუმცა ყველა ცნობილი ხერხი და ღონე იხმარა ამ სამარცხვინო ნაკლის დასათრგუნად, მაინც ვერაფერი გააწყო, ვერც სხეულის გაკაჟებამ უშველა, ვეღარც სპორტმა და ღამღამობით ტყე-ღრეში ხეტიალმა ჩამოაცილა კკალში ჩამდგარი, ატროფიალებული მაჯლაჯუნა, რომელიც ყოველი ბუჩქიდან და ხის ტოტიდან უთვალთვალებდა. საბოლოოდ თავადაც ირწმუნა უკურნებელი სენი რომ სჭირდა, და ერთხელ და სამუდამოდ ბიბლიოთეკებისა და წიგნსაცავების შშვიდ, უდრტვინელ მყუდროებას მიენდო.

დროთა განმავლობაში იმ უცნობი უცნაურის შიში, თავადაც რომ არ უწყოდა რა ერქვა — სიკვდილი, ეშმაკი თუ ავადმყოფობა, ნელ-ნელ გაუნელდა, გადაავიწყდა და ახლა, ამ ჯოჯოხეთსა და ქაოსურ ორომტრიალში რომ მოხვდა, სადაც უგონიერესი ადამიანის სიცოცხლეც კი ხუთეკრამიან ტყვიის ნაჭერს გაწონასწორებოდა და გათანაბრებოდა, იმ მძიმენებულმა, თითქმის განდევნილმა უცნაურმა გაიღვიძა, ახალი ცეცხლოთა და სიმხურვალით შემოენთო და ვაივაგლახით მოპოვებული სულიერი სიმშვიდე ფერფლად და ნაცრად უქცია.

ხოლო მას შემდეგ, რაც საკუთარი თვალით იხილა, ხუთი თუ ექვსი ჯარისკაცის არსებობა როგორ ენაცვალა ერთ გაწწიკულ გოჭს, კუდზე ცეცხლწაკიდებულ კატასავით დაფრთხა და თავზარი დაეცა, მხოლოდ ისღა დარჩა სანუგეშო, გენერალ-პოლკოვნიკმა ენნეკემ უახლოეს დღეებში ბერლინში ტრიუმფალურ დაბრუნება; რისთვისაც მალად მცირედის და გარდაუვალის დაკონკრეტებაღა იყო საჭირო — კატაკომბებში გამომწყვდეული მოწინააღმდეგის განადგურება.

ფონ ბაბენბერგს სრული მორალური უფლება ჰქონდა, ქერჩის ძველებური სასტუმროს კომფორტაბელურ აპარტამენტებში გამოკეტილი გულმშვიდად დალოდებოდა ამ ამბავს, რადგან ერისა და ქვეყნის წინაშე პირნათელი იყო — დაკისრებული ვალდებულება შესრულებული ჰქონდა, მაგრამ იგი — არისტოკრატი და უძველეს რაინდთა შთამომავალი, თუ შინაგანად არა, გარეგნულად მაინც შარავანდედით მოსილ გმირად უნდა დაბრუნებულიყო ადმოსავლეთის სისხლიანი ფრონტიდან და ამიტომაც სოკუპაციო ჯარების მთავარსარდალს, რომლის საიდუმლო პატაკსაც, მისი, როგორც მეენერის, შომავალი უდავოდ დაექვემდებარებოდა, სხვათა შორის სთხოვა ჯიმუშაის ტერიტორიის ერთხელაც შემოვლისა და ლაბირინთის სქემების დაზუსტების ნებართვა, თუმცა იმ ღვთისაგან დაწყევლილი ადგილების შორიახლო გაკარებასაც არ აპირებდა.

შტურმბანფიურერ ვალტერ გეინეცუსსაც იმიტომ მიაკითხა, ერთი ისეთი მოწმით მეტი რომ ჰყოლოდა, ვინც საჭიროების შემთხვევაში მის თავდადებასა და გულადობას დადასტურებდა და თავს დააკანტურებდა, თორემ ბოსფორის მეფეთა აკლდამა-ყორღანამდის მყარად გატკეპნილი შარაგზა მიდიოდა და ამ შუადღისას მოწინააღმდეგის ალყაში მოხვედრილი წითელარმიელები იქ სასეირნოდ რომ არ გამოლაგდებოდნენ, ამაში ეჭვიც არ შეჰპარვია.

ომის დროს რომ სიფრთხილესაც ცოდნა და გამოცდილება უნდა, ეს ისტორიისა და არქეოლოგიის დოქტორმა უდავოდ არ იცოდა, როგორც ის, ხიფათი რომ ბოროტი სულივით ყოველთვის და ყველგან შეიძლება გამოგეცხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოს და სადარბაზო ბარათის წინასწარ მორთმევით თავი არ შეიწუხოს.

ამიტომაც იყო, რომ მეოცნებეთვალებიანი მძღოლი, რომელიც მოფარფლალავებული „ოპელით“ მის განკარგულებაში იმყოფებოდა და დიდი საბრძოლო გამოცდილებით ვერ დაიკვეხნდა, ფონ ბაბენბერგმა შუა გზაზე შეაჩერა და სპილოსძვლისთავიანი იმ ხელჯოხით, რომლითაც, როგორც უძველესი რელიქვიით თავს იწონებდა, სამხრეთისაკენ მიანიშნა.

— გუნტერ, თუ მხედველობა არ მღალატობს, იქ ქანდაკების მაგვარი რაღაცა დგას.

მძღოლმა გულდაგული შეათვალიერა შარშანდელი შამბნარითა და ახლად ამოყრილი ბალახით შეფერილი ნამინდვრალი.

— დიახ, ჰერ დოქტორ, — დაუდასტურა. — მართლაც ჩანს რაღაც ასეთი, სფინქსის მაგვარი.

ფონ ბაბენბერგმა მაინც შიშნეული მზერა მოავლო იქაურობას, შემდეგ ჭარბი სიფრთხილისათვის გუნებაში თავი დატუქსა, „რა უბედურება გემართებაო“, მანქანის კარი გამოაღო, მშვიდად გადმობრძანდა და, როგორც სჩვეოდა, ამაყად ნიკაპაღერილმა, ხელჯოხის მანერული მოშველიებით, ახლად აღმოსაჩენ და იქნებ საყოველთაო აღიარების მომტან ისტორიულ ობიექტს მიაშურა.

გუნტერმა რიგიანად ფეხის ჩადგმაც არ აცალა, იმწამსვე პატარა ცისფერყდიანი წიგნი ჩანიშნულ ადგილზე გადაშალა და ქვეყნად ყველაზე სასიამოვნო საქმიანობას, ჰაინეს ლირიკის დაზეპირებას მიჰყო ხელი. მიუხედავად იმისა, რომ ლახუზენების გვარეულობაში ყველა ზრდასრული მამაკაცი ავტომექანიკოსი იყო და თავად გუნტერიც დიდებულად ერკვეოდა ამ საქმეში, მის გაუმხელელ ოცნებას და მისწრაფებას პოეტობა წარმოადგენდა, ამასთანავე არც მეტი, არც ნაკლები — ჰაინეს რანგის მგზნობა, და რამდენიმე ლექსი საკუთარი შემოქმედებისა „ენციკლოპედიანის“ ფსევდონიმით გაგზავნილი ჰქონდა ბერლინის ცნობილ ლიტერატურულ ჟურნალებში, მაგრამ იქაური რედაქტორები ამჟამად მაინცდამაინც თავებს არ იხოცავდნენ ლირიკის პატივისცემითა და გამოქვეყნებით.

მზე ჩამავალი, მზე სხივ-ფინარი
მთის ორწოხებში ისე კვდებოდა...

ამ სტრიქონებს იმეორებდა გუნტერ ლახუზენი, როდესაც მარცვლების ტკბილხმოვანებისა და მზის სიკვდილთან საკუთარი ბედ-ღიბალის შეპირისპირების წარმოდგენისაგან უნებლიე ცრემლი მოეძალა და იმის გაზრებამ, რომ ფონ ბაბენბერგი სენტიმენტალური ქალიშვილივით აქვითინებულს წაადგებოდა თავს, წიგნი გვერდზე გადაადებინა, მჯიღებით თვალებიც ამოაშრალებინა და არქეოლოგიის მკვლევარიც მოაძებნინა, მაგრამ იგი არსად ჩანდა, არც სფინქსის ქანდაკთან და არც სადმე სხვაგან.

შეშფოთებული გუნტერი დამდუღრულლივით გადმოხტა მანქანიდან და ქანდაკების მიმართულებით გაიქცა, თან გზადაგზა ხელებს რეპორიერით იმარჯვებდა და „ჰერ დოქტორს!“ ოთხივე მიმართულებით უხმობდა, ხოლო იმის წარმოდგენა, რა დღე დაადგებოდა მას, ესოდენ დიდ პიროვნებას რომ რაიმე უბედურება შემოხვეოდა, მის ხმას ძალასაც მატებდა და სასოწარკვეთილის ინტონაციასაც ანიჭებდა.

— ჰერ დოქტორ! — ერთხელაც მთელი ძალით ღრიალა და უეცრად იგრძნო, რომ ბოლო სიტყვა უკვე ფეხქვეშ მიწაგამოცლილმა აღმოთქვა, შემდეგ ჰაერში ყირამალა გადატრიალდა, როგორც მაღლივი სართულიდან გადმოგდებული ძველი ტახტი, ისე დაეხეთქა რაღაც მკვრივსა და მაგარს, და თავფეხიანად დაიშალა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო ქუთათელაძე

ივლისი თბილისში

დამსკდარ ასფალტზე
გაშლართულა გულაღმა ხვატი,
უდღეურ ჩრდილებს
ერეკება ღამის სიმძიმე
და დღეებს მკაცრს
და ხვატივით მარტივს
მიჰყავს ცხოვრება
უცნაურად ფეხარეული.

მზეგარეულ საწამლავის
ქარვისფერ სითხით —
ივლისის ხანგრძლივ სიმარტოვით
ივსება ქუჩა,
ქალაქს აყრია იებივით
წვეთები სიცხის
და გამლღვალ ტვინში
უნიათო მუსიკას უკრავს.

დაბადების დღე

ვარ ერთგულების უსაზღვრო ქიმზე.
ვდგევარ და ვუსმენ უსაზღვრო მოტივს
და უყვავილო ვარდების ტოტი
ჩემს თვარ ჩარჩოში სიმღერად რჩება.
მოღიავებულ სარკმელში სივრცე,
იანვრის სივრცე მიდის და მოდის
და როგორც ფუნჯი ფერთა მოლოდინს,
ისე ვუპყრივარ სიცივეს ხელში.
და რომ გაშალოს შეკრული მუჭა
გადავიმსხვრევი ვით მყიფე ბროლი...

და ეკლიანი ბარდების ტოლი
ერთ დროს რომ დარგო სარკმელთან
პაპამ
ცრემლებს, რომელიც უკვე არა მაქვს,
უჩუმრად ვყლაპავ და მერე ვდგები.
ვდგები და ისევ ვეწვევი ამინდს,
უამინდობას მწარეს და ზვიადს
და სულერთია გატყდება ბოლოს
ბროლი, რომელსაც სიმშვიდე ჰქვია.

გუნება

ჩამოვა ჩემი მწვანე მიმინო,
დამაფრინდება ნამიან მხრებზე,
ნამიან მხრებზე, რაკი წვიმაში
ვდგევარ და ვხარობ,
ვდგევარ და ვხარობ!
მემსხვრევა მკერდზე ნამცეცა წვეთი,
მემსხვრევა გული წვეთივით ცოდა...
ათას ბუდიდან ამოფრენილა
ათი ათასი მცირე სამყარო...
და ჩნდება სივრცე თვალების წილი,
და ჩნდება ფიქრი გონების წილი,
და ჩნდება კარი წვალების წილი, —
„როდის გაალებ და დაისვენებ...“
გამზეურებულ ტყეების ფერით,
შეწუხებული ტაძრების ჩრდილი
ნელა მიღოღავს საღამოსაკენ
და ათინათებს მაინც იფერებს.

ვით ფარვანების პაწია ლანდი
გადაილეკავს აჭრილ სტრიქონებს,
ისე ჩაწვება თაკარა სივრცე
მზეჩამოღვენთილ ნაქერალებში;
ჩუმი ზუზუნი ისევ იელვებს,
ისევ იელვებს, როგორც სიმღერა
და ამ სიმღერის ორომტრიალში
დაეფინება მიწას დაკემსილს; —
მიწას დაკემსილს თეთრი გვირილით,
და წარმართული ლურჯი ხატებით,
ია-იებს რომ შემოუნახავთ,
უტარებიათ ამ ჩვენს მიწამდე
და ჩამოთლილი გულის ნაწილი,
როგორც ფიქრი და როგორც ალერსი
ალუბლის ბაღში აყვავილდება,
სანამ საზამთროდ არ გაიავდრებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვინ იცის, როგორ ბრუნდება თოვლი,
როგორ ბრუნდება წარსული ქარი?..
თუ წარსულ ქარებს ახლები ცვლიან,
თუ ძველ თოვლს ცვლიან ახალი
თოვლით,
მაშინ რატომ ჰგავს ასე საოცრად
ბავშვობის ქარი სიბერის ქარებს?..
რატომ წვიმს ისე, როგორც ოდესღაც,
ჩემს აქ მოსვლამდე წვიმდა და
თოვდა?!.
ოღონდ ეგ არის, იმ წარსულ წვიმებს
შემოუნახავს დარი შემოდგომის
და რაც მიდიხარ, უფრო მუქდება
წვიმების ბოლი;
უფრო სველდება შენი ბილიკი,
ნაფეხურებში იგუბებს წყალი...

...და თბილ წვიმაში თამაშობს ბავშვი
(ბავშვი, რომელსაც ვეღარ შეხვდები),
ამის შემყურეს ისე გაყრჟოლებს,
თითქოს ფეხშიშველს გაგვევლოს
თოვლში.

ნაძვის ხე

როცა ბავშვობის თეთრ ქალაქებს
ნაძვის ხით რთავენ,
ნაძვის ხეს რთავენ
ჭრელა-ჭრელა ციმციმა ფერით
და ზამთრის ქარებს
მოაქვთ თოვლი
და თოვლზე მტვერი,
რაღაც ნაცნობი სიხარულით ივსება არე.
და წლითიწლობით
ემატება მზე გამჭვირვალე
მთებსა და ველებს,
გზებსა და მგზავრებს...
და მერე ღამე,
ახალ წლის ღამე,
როცა გაგიღებს გულსაც, სხეულსაც,
დგეხარ — ნაძვის ხე
და დგეხარ გარეთ
გაყინული და თოვლად ქცეული...
მერე ვიღაცა დაგკიდებს ზარებს,
ვიღაცა — ალერსს,
ვიღაცა — ტკივილს,
ვიღაც გაგყიდის,
ვიღაც გიგანებს,
მაგრამ გარედან ისევ ბრჭყვიალებ,
ისევ ციმციმებ,
ისევ მზე გივლის! —
რადგან გარედან ყველაფერი
მოსართავია,
ის ნაოჭებიც,
დაღლილი მზერაც
და თბილი ქუდიც...
და დამნაშავე შენი თავია,
რომელსაც უკვე ვერაფრ-ით უვლი.
როცა ბავშვობის თეთრ ქალაქებს
ნაძვის ხით რთავენ,
ნაძვის ხეს რთავენ
ჭრელა-ჭრელა ციმციმა ფერით
და ზამთრის ქარებს
მოაქვთ თოვლი
და თოვლზე მტვერი,
რაღაც ნაცნობი სიხარულით ივსება
არე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაყვალა გონაშვილი

სამი რაში

მე მარტო დავრჩი, როგორც ყოველი
ასული, თავზე შეყვარებული,
ვინა მყავს სატრფოდ? ჩემი ტკივილი
და ერთი ციდა ჩემი კრებული.
ჩემი სიმაღლით, სიმაღლის რწმენით
ვფიქრობდი, რომ მზის ვიყავ
სწორფერი,
რა უსასრულო მეგონა ღმერთო,
წუთივით მოკლე წუთისოფელი,
დრო მოგორავდა, გზა-გზა ამსხვრევდა
ჩემი ოცნების კუთხე-კუნჭულებს
და უმართლებდათ ბედი, რატომღაც,
ნაცარქექიებს და ხუთკუნჭულებს.
თუმც მაფრთხილებდა ბედის მწერალი,
წადი, დადექ წვიმაში, ქარში,
გზად ჩამოიცლის მწვანე, წითელი
და ღამესავით ტანშავა რაში.
მწვანე და შავი ცხენი დაგლეჯავს,
მხოლოდ წითელის მოსწი სადავე,
კარგად გახსოვდეს, ვეძანა რაში
ბედნიერების გზებით გატარებს.
არ დავუჯერე, ტანთ ვერ მოვირგე
უდარდელობის ჭრელი მანტია,
თუ სადმე ქვეყნად ხარობს ეკალი,
ყველა უკლებლივ გულზე მატყვია
და ერთადერთი ოცნებით ვცხოვრობ,
სხივი შევმატო დღეებს ბინდიანს,
სხვები შემსდგარან მზისფერ რაშებზე
და გაკვალული გზებით მიდიან.

მოლოდინი

თანდათან უფრო მეცვალა ალღო,
თანდათან უფრო გამკაცრდა თვალი
და იშვიათად თუ მეწვევიან
ბედნიერება და ლექსის ბუკარი.
სადაც წავედი, ყველგან წავაწყდი
მოვალეობის გაუვალ მესერს,
გარეთ მარტია, მე კი მარტო ვარ
და სიყვარულზე აღარ ვწერ ლექსებს.
თუ სიყვარულზე აღარ ვწერ ლექსებს,
ეს იმას ნიშნავს, რომ უკვე მოვკვდი
და მასვენია გულზე მზესავით
ამღერებული იელის ტოტი.
ნეტავ თუ მოვა ვინმე ოდესმე
და მონატრების სანთელს ამინთებს,
მე ვდგევარ, როგორც დამზრალი ფშატი
და ველი უფრო მზიან ამინდებს.

ხეო სიყმინდისა

ხომხლის მთაზე ზვრების ნაცვლად საზამთროს
ბაღჩები დამხვდა.

ინდი-მინდი, ინდი-მინდი,
რად მაწვება თვალზე ბინდი,
ვაი, როგორ მომენატრა
მზეზე მოშრეტული შინდი,
იკლი-ბაკლოს ხეობაზე
გადებული ბეწვის ხიდი.
პაპი, ეხვდები, შუბლშეკრული
მუდამ რატომ მესიზმრები,
იცი, შენგან გაკვალული
წაიშალა ძველი გზები,
გავერანდა ხომხლის მთაზე
სხივით სავსე ჩვენი ზვრები.
სულ საზამთროს ბაღებია,
ჩირად ფასობს თურმე ვაზი,
ამომიშრა საღმრთო ღვინო,
გამიმწარდა ალვახაზი,
მოხვეევია ჭიგოს ენებით
ვაზის ნაცვლად უსურვაზი.
ინდი-მინდი, ინდი-მინდი,
რად მაწვება თვალზე ბინდი?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

. . . . . .
ვაზო, ჩემო დობილო,
ჩემებრ ბედს მინდობილო,
ვაი, როგორ გაგწირეთ,
როგორ გავერანდი,
როგორ შემოგგჩვია
დაო, მაყვალ-ბარდი.
მიტოვებულ ქალივით
ჩუმად იცრემლები,
არვინა გყავს მოზარე,
უწადილოდ კვდები,
ჩვენო საგალობელო,
შენ, ნათლულო მზისა,
ნინოს თმით დახლართულო
ხეო, სიწმინდისა,
გაჩუქურთმეთ ტაძრებზე,
ვით ღვთისმშობლის ხატი,
გვინათებდა სტრიქონებს
შენი ათინათი.
წინათ შენი პატრონი
როგორც ცოლს და მხეკალს,
გიცავდა და გეტრფოდა,
გიკოცნიდა მტევანს.
ახლა არვინ აკვნესებს
მზის ოქროსფერ ზარებს,
ახლა შენი ცრემლები
ჩვენ წყლით გავაზავეთ,
დრო წავიდა, როს სატრფოს
შენკენ მოუხაროდა,
გაიაფდა ცხოვრება,
გაგიხუნდა ქალობა.
. . . . . .
ჩემო ფუძის ანგელოზო,
პაპის ლანდო, ყოვლადწმინდა,
რა ვქნა, ბევრჯერ წავფორხილდი,
გზებზე ბევრჯერ გამიწვიმდა,
ძველ იარებს ვიშუშებდი,
რით ვუწამლო სევდას ახალს,
დამიღვინდა ღვინობის თვე,
ვეცქერ ხომხელს ნავენახარს,
მანუგეშე დედამიწავ,
შენ ერთი ხარ მომსწრე ყოვლის,
ცის კალთაზე მტევანივით
მზე დამწიფდა შემოდგომის.

ძვის ქალაქი

— ეს რა ქალაქია?
— მოჯადოებული!
აქ შესვლა საშიშია!
— რატომ?
— ყველა საქმიანობს, არავის სცალია,
და მხოლოდ ძაღლი ცნობს პატრონს.
— ვინ ცხოვრობს ქალაქში?
მუდამ მოფუსფუსე,
მუდამ წარბშეკრული ქმრები.
ჯადოსი არ გჯერათ? შეხეთ,
წამოზრდიათ
თავზე ჯიშიანი რქები.
ხოლო ეს ქალები...
ცრემლი არ გეგონოთ!
თვალებზე მზის სხივი ბრწყინავს,
აქ ყველა მარტოა, ხოლო ერთგულება
მერწმუნეთ, აქ ფასობს ჩირად.
აქ არვინ გაგიშლით გულს, როგორც ხალიჩას,
ღიმილით ვინ დაგაპურებთ,
შეხედეთ, ხეები ფოთლების მაგივრ
ისხამენ ქაღალდის ფულებს.
რას შვრებით, წაქცეულს ხელს უწვდით, გაგიყდით?
სიკეთეს როგორა ბედავთ?
რაო? სიყვარული, რაო მონატრება?
რაო, მამული და სევდა?
თქვენ რაღაც გეშლებათ,
დატოვეთ ეს მხარე,
მიხედეთ საკუთარ ბინას,
თქვენ ნუთუ ტირიხართ? თუმცა სულ ერთია,
აქ ყველას ღრმა ძილით სძინავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაცაა...

სადაცაა, —
ორმოცდაათს მივაწევ,
სადაცაა, —
თავს დავუკრავ სიბერეს.
მე შენ გეტყვი, —
ვერ შევიშნობ სიხარულს!
მე შენ გეტყვი, —
წუხილს ვერ შევიფერებ!
მე შენ გეტყვი, —
ვერ გავუგებ სიკვეთეს!
მე შენ გეტყვი, —
გამოაცებს ღალატი!..
განა თვალში ახლა გამოვიხედე!
განა ტყვილა წყალი ვნაყე აქმდი!
ბევრი რამის
ვიცი ავან-ჩავანი,
ბევრი რამე
დამრჩა გაუგებარი...
სიცოცხლეა,
სიცოცხლეა მთავარი, —
მარადიულ სიცოცხლეზე მყეფარი...

სინანული —
ვიბზნილე და ვიუქმე,
სიყვარული —
ბღუჯა-ბღუჯად ვარიგე...
სათნოების გზაზე
დამხვდა სიმუხთლე,
მაგრამ მაინც
მიწა ცას შევარიგე...

ბედი მდევდა,
ბედი მგვემდა — უშტარი,
მივყვებოდი
წუთისოფელს — ბინდიანს...
როგორ არა! —
კი მყოლია მუშტარი,
მაგრამ სული როდი გამიყიდია!
ცოდვა-მადლის
მეც ვათრიე ჭაპანი,
ვარდი ვთესე, —
ამოვიდა ეკალი...
სიძულვილი
რას მიზამდა, — ჯაბანი,
სიყვარულო, შენ რომ არ მოგეკალი...
მეც მყავს ჩემი
კუბოს ფიცრის გამთლელი,
(ყველას, ყველას
თავის ხატი უყურებს...)
ხათრიანი ლექსის
ვუნთე სანთელი
სამშობლოის წკვარამსა და უკუნეთს...

სადაცაა. —
ორმოცდაათს მივაწევ,
სადაცაა, —
ვეახლები სიბერეს.
რა გგონია! —
ვერ შევიშნობ სიხარულს?
რა გგონია! —
წუხილს ვერ შევიფერებ?

ბავშვი

შენ რომ კითხულობ,
იმ ლექსში მე ვარ, —
ღამეულ ხმებით შემკრთალი ბავშვი...
გესმის ოცნების ტოტების მტვრევა
და განწირული წყვეტება ქარში? —
იქ მე ვარ...
ჩემი ვედრება ისმის
იმ დამწყდარ სიმთა გაბზარულ ხმაში...

შეისმინევი ვედრება მისი, —
შეიწყნარევი შემკრთალი ბავშვი...
მის ბედისწერას ლოდინი ჰქვია,
ბეოდება რაღაც დაიდგ ედაში...
იგი მაშინვე დაიხლის ტყვიას,
როდესაც მასში მოკვდება ბავშვი...
მისი ცხოვრების უდაბურ ხვატში
ბევრი იმედი მიჭკნა და მიხმა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენ არ გეგონოს ის მართლა ბავშვი, —
ის იხედება სამყაროს მიღმა...
ის გამოარღვევს მალე ბნელ წიაღს,
ჯერაც უხილავს იპოვნის ცდაში...
მიაგნებს რაღაც ძვირფასს და დიადს
და გაფრინდება მიწიდან ცაში...

. . .

გესმის ოცნების ტოტების მტვრევა
და განწირული წყვეტება ქარში?
შენ რომ კითხულობ,
იმ ლექსში მე ვარ, —
ღამეულ ხმებით შემკრთალი ბავშვი...

დედაჩემის ღამეები მტეხს...

აქ, ქალაქში,
ვეთბუნები მზეს,
იქ, — სოფელში,
თოვლია და ცივა.
დედაჩემის
ღამეები
მტეხს,
დედაჩემის
ღამეები
მტკივა.

იყო წლები, —
ვერ დასდებდი წუნს,
არის წლები, —
ჩარებული ოხრად...
დედაჩემის
ღამეები
წუხს,
დედაჩემის
ღამეები
ოხრავს.

აქეთ მე ვსვამ
მარტოობის ბანგს,
იქით ის სვამს
მოლოდინის შხამს...
(არის ყოფნა: — ჩემი თავი მძაგს...
არის ყოფნა: — ყოფნის აზრი მწამს...)

აქ, — ქალაქში,
ვეთბუნები მზეს,
იქ, — სოფელში,
თოვლია და ცივა.
დედაჩემის
ღამეები
მტეხს,
დედაჩემის
ღამეები
მტკივა.

იყავ, მინათე...

წუხელ მესიზმრე: —
თეთრად ჰყვაოდი
ჩემი ოცნების ლურჯ ნაპირებთან...
რად მსჯიდა ღმერთი ბნელი ქაოსით,
შენს გამოჩენას თუ აპირებდა?!

რად მსჯიდა ღმერთი
უსიყვარულო
დღეებით,
ფიქრს რად მითაკარებდა?
მე გული მსურდა,
გული — ნუგეში,
მაგრამ იმ გულთან ვინ მაკარებდა?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და აჰა! —
წუხელ ჩემში სუნთქავდი
და ირგვლივ ნათლის ფერი სუფევდა.
რა სათნოებად ამოსუფთავდი
ყოველდღიური ყოფის წუმპედან!

იყავ! —
მინათე ბნელი ქაოსი
და მოლოდინის ციებ-ცხელება...
ყრუ მდუმარება სასაფლაოსი
შორს, ცათა მიღმა მიესვენება.

იყავ! — გშვენია,
იყავ! — გიხდება
სიზმრის ცისფერი ტანისამოსი...
ღმერთო, რა წყნარი შუქით ირთვება
ყოველდღიური ყოფის ქაოსი!

ოხრავს აკაკი... გოდებს ილია...

(მე-19 საუკუნის მიწურული)

ოხრავს აკაკი, გოდებს ილია:
„დაქცეულია...
  დამხობილია...
    ჩახერგილია...
      ჩაღობილია .
და მაინც ბედის კმაყოფილია,
ჰაი, ჰაი, რომ კმაყოფილია...
ძლივს მიზოზინობს...
    ძლივს მიღრიცინობს...
(ეაი, შენ, — ჩემო რწმენის ქვითკირო!)
გასაცინარი სანამ ვიტირო,
ან სატირალი სანამ ვიცინო?“
ოხრავს აკაკი, გოდებს ილია:
„დაქცეულია...
  დამხობილია...
    ჩახერგილია...
      ჩაღობილია...
და მაინც ბედის კმაყოფილია,
ეაი, რომ მართლა კმაყოფილია...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანო ჯანელიძე

ციკლიდან: „ჩავლილი დღესასწაულები“

როგორ ველოდით, როგორ ველოდით!..

როგორ ველოდით,
როგორ ველოდით
სოფლის უბრალო და ლამაზ პარადს...
აქ ბავშვობისას როცა ვმღეროდით
და თავზე გვადგა კეთილი მამა!..

აქ ბავშვობისას როცა ვმღეროდით,
ის ხმები სულში დღესაც წკარუნებს,
ახლა აჩრდილი უცხო შემოდის
და ვუხმობ ჩავლილ დღესასწაულებს.

ვეღარ შევხვდებით, ვიცი ამ შობას,
ვერ ვნახავთ სოფლის უბრალო პარადს,
სად გაიპარა ჩვენი ბავშვობა,
პატარა ბიჭი სად გაიპარა?!.

ნიშანი

ვკარგავ და ვიძენ,
ვიძენ და ვკარგავ, —
ეს არის ჩემი მარადი განძი,
გზა ბედისწერის, ო, როგორ ჰგავდა
ნიშან-სვეტებით აღნუსხულ მანძილს.

მანძილს, რომელსაც ვერ ჩავათავებ,
ვიღაც ჩემს კარებს ისე ჩაკეტავს,
დამემგზავრება ჭაღარა მთვარე,
მთვარე მომართმევს ვერცხლის
კარეტას.

აჩრდილები კი მიმანიშნებენ,
გვერდი ვუქციო ამ ღრეებს, ამ ქვებს...
შვილო, შემინდე და თან მიშველე,
რომ ტკივილს ჩემსას სიმღერას ვარქმევ.

გაბუაწვერა ქალაქის გზაზე

აქ ვინ დაგაგდო, გაბუაწვერა,
აქ, ამ ქალაქის ხვატსა და ჯანყში,
რა განჩინებამ,
რა ბედისწერამ,
აქ ვით ესწრაფვი ზეცასთან კავშირს?!.

და თუკი მოდის,
აქ როგორ მოდის
ის საოცარი ხმები სოსანის?!.
გახსოვს, ყმაწვილი მე ვიყავ ოდეს,
შენ — გაჩენიდან ჭაღაროსანი?!.

ნეტავ აქ ყლორტი ვით აიყარა
შენმა ჭრილობამ მწველმა და ღიამ?!.
აქ ის არ მოვა, ვინც შენ გიყვარდა
და არ გიამბობს ამბებს ნაღვლიანს.

●

ისევ მოგართმევ მე თეთრ ზიზილებს,
ყვითელ ბაიებს დაგიწყობ ფერხთით
და ლურჯ სიზმრებში მეც წავიძინებ
და სიზმრად ვიტყვი, რაც ცხადად ვერ
ვთქვი.

და სიზმრად ვნახავ, შენს თლილ
თითებზე
დაუნჯდებიან ვითარც იები,
გამოუთქმელი როგორც სიკეთე
და ცრემლს დაღვრიან მონანიებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ფრთა ფლამინგოს სივრცეს გააპობს,
თითქოს ფრინველი ფრინველს შეასკდა
და ვიგრძნობ ღაწვზე შენს წმინდა
ამბორს,
ვით ზიარებას უკვდავებასთან.

და უკვდავების წილად და ფასად
ვიგრძნობ ბაგეთა შენთა სილბილეს,
კვლავ ძველებურად შენს გვერდით
დამსვამ
და მარადისად გადამიბირებ.

●

რა დაკინებით გხვდები და გხვდები,
თითქოსდა ვამტვრევ ჩაკეტილ კარებს,
ქარს სადღაც მიაქვს ძვირფასი ხმები,
ისე რომ არც კი ტოვებს ნაკვალევს.

წინკარში აღარ მღერიან დები,
თვალდაშრეტილნი ჩანან ოდები
და სამწუხაროდ ამ შეხვედრებით
კიდევ და კიდევ უფრო ვშორდებით.

ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘ

ვით ცა უთეთრეს თოვლით მთოველი,
აქ თოლიები ფრენენ გუნდებად
და ველი ხომალდს, ხომალდს,
რომელიც
ალბათ არასდროს არ დაბრუნდება.

მაინც ვდგავარ და მაინც მოველი,
მაინც იმედის სხივი ციალებს
და ველი მგზავრებს, მგზავრებს,
რომლებიც
შემორჩნენ უცხო მერიდიანებს.

●

ისევ გრძელდება ცხოვრების ფარსი
და დასასრული არა აქვს ლოდინს,
სიზმრად შეხვედრას რაღა აქვს ფასი,
როდესაც ცხადში იგი არ მოდის?!.

ცხრცახებს მწუხრის ფერმკრთალი ბადე
და მოდგა მკრთალი შენი სახება,

ეს სიხარულიც კი სევდას ბადებს
და ვუსმენ ნაცნობ გადაძახებას.

გაიშრიალეს ქარში ვერხვებმა,
დაქანაობენ ქარში ვერხვები,
სიზმრად რას ნიშნავს ჩვენი შეხვედრა,
როდესაც ცხადში ჩვენ არ
შევხვდებითო?!.

ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲔᲑᲐᲖᲔ ᲤᲘᲥᲠᲘᲡ ᲓᲐᲘᲮᲡᲔᲜᲘ

უკვდავებაზე ფიქრს დაიხსენი
და როცა სხეულს, ნაცრადქცეულს,
შენ დაიმკვიდრებ,

მიწის სიღრმიდან ამომზიდე მძლავრი
ფესვებით
და სურნელებად მომფინე მინდვრებს.

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲓᲦᲔ ᲒᲐᲜᲬᲘᲠᲕᲘ

დაშლილა ჩემი იმედის ტივი, —
კიდეც ვიცინი და კიდეც ვტირი.

დანისლულია ჩემი სავალი,
მონიშნულია გოჯი სამარის.

სუფველაფერი არის, არც არის,
ბაჯაღლოს ნაცვლად ხელში ნაცარი.

რისი მაცნე და რისი მისანი,

როცა გაჩრილა მკერდში ისარი?!.

ან რა კამათი უცხო ასულთან,
სუფველაფერი როცა დასრულდა?!.

ფრთებდამსხვრეული, მკერდგაპობილი,
ვწევარ ნაპრალთან მოკვდავ ორბივით.

უკანასკნელი ყინვა და თოშვა,
გაღმა ნაპირი უკვე არ მოსჩანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშნობის ვარდები

დაწყვილებულან ჩემი ტოლები
და მიჰყვებიან კუთვნილ ბილიკებს,
მე კი მოწყენილს, განმარტოებით,
ვარდებს ნიშნობის ვინ დამირიგებს?!.

ვინ დამირიგებს წილხვედრ ყვავილებს,
ბედო, ყოველთვის რად იგვიანებ?!.

ამაღამ ისევ ოთვას აპირებს
და დამიშუშებს მკერდზე იარებს.

სევდიანი და თვალდაშრეტილი
ის ჩემსკენ ილტვის კვლავ დაუქვეთ.
ბრწყინავს დამრეცზე სისხლის
წერტილი
და საფლავშიაც მეწვის ბეჭები.

გაღმა ნაპირზე

ვაი, რა ადრე დაშორდი ნაპირს,
ვაი, რა ადრე გაინაპირე!..
შვილო, უშენოდ რა ვუთხრა აპრილს,
შვილო, აპრილი მანდ რას აპირებს?!.

მდინარის პირად ვერცხლისფერ ბადით,
შვილო, საშენო გაკიდეს ფიქრი,
შვილო, იქ, გაღმა თუ არის დარდი,
ცრემლი თუ არის მდინარის იქით?!.

აქეთ კი, აქეთ, ნურაფერს მკითხავთ,
აქეთ ყოველი წაგავს ფიქალს,
აქეთ რა არის? — დათმენა ჭირთა
და ხსოვნისათვის დაცლილი ჭიქა.

ვიგონებ უშბას

რევაზ მარგიანს

ვინ შეაბრუნებს ცხოვრებას აღმა,
როცა დამმართზე ჩარბის თქარუნით?!.
ყოველ ნაბიჯზე წინ მხვდება ნალმად
ხან სიძულვილი,
ხან სიყვარული.

არ დაბრუნდება დღეები ყრმობის,
„წარილტვნენ, განჰქრნენ სიზმრებრივ
ჩქარად".

და კენესის ჩემი დაჭრილი ორბი,
დანარცხებული სისხლიან ქარაფს.

მასველებს ცხელი ცრემლების თქეში,
ზედ მკერდზე კენტი ყვავილი ჰყვავის,
ვიგონებ იებს ჩახლართულს თმებში,
ვიგონებ შენგან ნაჩუქარ ყვავილს.

ვიგონებ უშბას, შენისლულს სულ
მთლად
და ნაპრალები გულზე მაჩნდება,
მეხლება შენი დაღლილი სუნთქვა
საბედისწერო გამოსარჩლებად.

ვიგონებ წვიმას ჩამოღვრილს მხრებზე,
ვიგონებ ცრემლით გათქვირულ ზამბახს
და შენს ნაკვალევს ვეძებ და ვეძებ,
რომელსაც ალბათ ვერასდროს ენახავ.

გარდასულზე ისევ ჰყვება წვიმა

შენ ბგონია, მხოლოდ თოვლი დნება,
მარტოოდენ ყვავილები ჭკნებიან?!.
ნახე, როგორ ჩამომჭკნარა დედა,
ნახე, როგორ მოფარფატებს ბებია?!.

გარდასულზე ისევ ჰყვება წვიმა
და ეს ქარიც ბედთან როგორ დავობს?!.
ნახე, ღაწვზე ცრემლი როგორ
ბრწყინავს,
ჩემო სუსტო, სევდიანო დაო?!.

ნუღარ დარდობ, მეც იქეთკენ მივალ,
უკან ვტოვებ ჩხენიშსა და ღანირს
და გიგონებ მწუხარეს და მტირალს,
მაღალ შუბლზე ერთადერთი ღარით.

შენ ბგონია, მხოლოდ თოვლი დნება,
მარტოოდენ ყვავილები ჭკნებიან?!.
ნახე, როგორ ჩამომდნარა დედა,
ნახე, როგორ მოფარფატებს ბებია?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანანა ამირეჯიბი

სადაც არ უნდა წახვიდე

მოთხრობა

— ერთმანეთის შეფასებაში ნუ ავჩქარდებით, მეგობრებო, წინ კიდევ ათი დღე გვიძევს, — მაღალფარდოვნად წარმოსთქვა ზურაბმა.

— განაგრძე, თიკა, კარგის ნუ გრცხვენია, სიმართლის თქმა ყოველთვის რიდის ნიშნავს მაინცდამაინც ცუდის თქმას, — წაახალისა ნესტანმა.

— გავაგრძელოთ. თორემ დავჭამთ ერთმანეთს. პირველი კურსის ბოლო სემესტრში დაკარი ფეხი და, როგორც მამაჩემი ამბობდა, ვიღაც „ბირჟავიკს" გადავეკიდე. ორთვიანი ბრძოლის შემდეგ ჩვენებმა უკან დამაბრუნეს. აქვე უნდა ვთქვა, რომ მათი გადაწყვეტილება სამართლიანად მიმაჩნდა. ამ საქციელით ჩემებს დიდი ტკივილი მივაყენე. ახლობელთა შორის ატეხილ მითქმა-მოთქმას განსაკუთრებით მშობლები განიცდიდნენ. გავიდა დრო. სწავლის პერიოდში ისე მონახვნურად ვცხოვრობდი, რომ ხალხმა თითქმის ყველაფერი დაივიწყა. იმ შემთხვევიდან ხუთი წლის შემდეგ თავდავიწყებით შემიყვარდა ჩემი მეგობრის შინაში. ჩვეულებრივზე უბრალოდ დაიწყო ყველაფერი. იანვრის ერთ საღამოს გამომიარეს, ორი დღით გუდაურში გავქროლდეთო. ბუნებით შინჯდომელი ვარ და თვითონ გამიკვირდა, რომ არ დამეზარა ერთფეროვან დღეთა რიგის დარღვევა, სიხარულით გავყევი. აბა, მაშინ ნორმალურადაც არ შემიხედავს, ეს ღამე მოხდა, ბარში. მის დეიდაშვილს, ვიღაც ნაცნობი ენახა და სიცილის ხმა სხვა მაგიდიდან ისმოდა. მე მას რაღაცის სათქმელად შევხედე და უცბად შევკრთი, იმგვარად მიყურებდა, თითქოს პირველად მხედავდა, გაოცებული და გაღიმებული. მეც დაბნეული ვიჯექი და თვალებში შევყურებდი. ასე ვისხედით. მერე ეკეკა ვცადეთ, არ გამოგვივიდა, რადგან ერთდროულად ძალზე უცხოები და ახლობლები გავხდით ერთმანეთისთვის.

— „თიკა, იცი" — თქვა, მაგრამ წინადადების დამთავრება არ ეწერა, მიიკო მოვარდა ბოდიშით, რამდენ ხანს მიგატოვეთო, ანეგდოტების მოყოლა დაიწყო. არაფერიც არ მესმოდა. უყურშეყრილივით ვიყავი მეორე დღესაც და ძალიან გამიხარდა თბილისში რომ გამოვემგზავრეთ. იმ დღიდან ვეღარც ვკითხულობდი, ვეღარც დისერტაციაზე ვმუშაობდი. გული დამიმძიმდა, ძილი დამეკარგა. მხოლოდ ის მედგა თვალწინ, მაღალი, მხრებგანიერი. იქნებ გარემო რომ შევიცვალო, მუშაობა შევძლო-მეთქი, ავიღე წიგნები და ორი კვირით ფასანაურში წავედი. არაფერი არ გამოვიდა. სავარძელში ვიჯექი და სასტუმროს ჩაბნელებული ოთახიდან თვალმოუცილებლად გავყურებდი გამჭვირვალე ფარდის იქით აღმართულ უზარმაზარ თოვლიან მთებს და ჩემს სიმძიმილთან მეპატარავებოდა. ერთ საღამოს კარზე დამოკაკუნეს. ის იყო! ჩემი წინათგრძნობა გამართლდა, შემოვიდა და თვალებით ის მთები შემოიყოლა. გული მომეწურა. სავარძელში ჩაჯდა და მომაჩერდა. მე მის წინ კედელზე მიყრდ-

ნობილი ვიდექი. ოთახში ღამის ნათუ-
რა ენთო და იქაურობა ირეალურ სამ-
ყაროს ჰგავდა.

„თეკა, ...ეკი...“

„ვიცი“.

„ყოველ წამს შენზე ვფიქრობ“.

„ვიცი“.

„ძილი გამიტყდა, აღარაფერი შე-
მიძლია“.

„ვიცი, ვიცი“.

მუხლები მიკანკალებდა, ტახტზე ჩა-
მოვჯექი. გაუნძრეველად ვისხედით დი-
დხანს.

„შენც თუ ისე იყავი, როგორც მე — ცუდი დღეები გადაგიტანია“.

არაფერი ვუპასუხე. ისევ თვითონ თქვა:

„ჩაიცვი, გარეთ გავიდეთ“.

გათენებამდე ვიარეთ თოვლში, მერე მანქანაში ჩავსხედით და თბილისში წავედით. შემდეგ სამი თვე, საერთო ნაცნობების წრეში, უფრო ხშირად მიიკოსთან ვხედებოდით ერთმანეთს. ბოლოს, როცა შეეატყვეთ, ვერ მოვიგებდით ბრძოლას საკუთარ თავთან, შინაურებისთვის ორივე მივლინებაში წავედით, სინამდვილეში კი გუდაურში ამოვყავით თავი. იქიდან დაიწყო და და დიდხანს გაგრძელდა ერთად ყოფნის სევდანარევი და მშფოთვარე სიხარული. აქვე გეტყვით, რა საჭირო იყო ის ბრძოლა, ანდა რატომ გახდა სევდა ჩვენი თანამგზავრი. როგორც დიდი გამსახურდია იტყოდა, იგი „ერისთავების მხოლოდშობილი ძე იყო“, აკაკსახელიც მისი ნაწარმოების ერთ-ერთი გმირისა დაარქვეს. მეტი არავინ ებადთ და სხვაც არავინ ეგულებოდათ უკეთესი. შესაფერისი საცოლე ძნელად თუ მოიძებნებოდა და თავიდანვე ვიცოდით ჩვენი ურთიერთობის წინააღმდეგი რომ იქნებოდნენ. ერთხელ დედამისს უთქვამს მიკოსთვის, ძალიან მაწუხებს ჩემი შვილის და „ვიღაცა თინას“ ხანიერი ურთიერთობაო. ჩვენი სიყვარულის და ერთად ყოფნის სურვილი კი არა და არ ცხრებოდა. ჩემიანებსაც აევსოთ მოთმინების ფიალა. იქ აღარ მედგომებოდა და ჩემს [illegible]ბინან გამოკეტილ ბინაში გადავედი საცხოვრებლად. არავითარი ჯორებისთვის არ გვეცალა. შემოვიარეთ შუა აზიისა და ბალტიისპირეთის ქვეყნები. სალაპარაკო და მოსაგონებელი ბევრი გვქონდა.

ურთიერთობა გულითად მეგობრობაში, ერთად ყოფნის ჩვევაში, საქმეებისა და სურვილების გაზიარებაში რომ გადაიზარდა, სწორედ მაშინ დაიწყო რღვევა ჩვენმა დამოკიდებულებამ. იგი ჭეშმარიტი კაცი იყო და დროდადრო „განაბლების“ ცდუნება სძლეოდა. მეც ჭეშმარიტი ქალი ვიყავი და ამ ცდუნების გამო ჩემი ლტოლვა მისდამი ილეოდა და იფერფლებოდა. ბოლოს ჩემი ძმების და მშობლების არ ვიცი მერამდენე თხოვნას და ბრძანებას დავყევი, წერტილი დავუსვი ამ უაზრო ურთიერთობას და ისევ მათთან გადავსახლდი. კიდევ წელიწადმა გაიარა, ისევ ვხედებოდით ერთმანეთს. იმ პერიოდში ბევრს ვფიქრობდი, ბევრ რამეს მივხვდი. გავიგე რაში მდგომარეობდა ჩემი ცხოვრების მცდარი წესი. სისულელეს ჩავიდენდი და მერე ეს სისულელე სიჭკვიანე მეგონა-ხოლმე. ჩემზე ის კი არ ახდენდა გავლენას, რომ ოფიციალური ბოლო არ ჩანდა, არამედ მისი გაუბედაობა, მისი მერე და მერე დანახული უმწეობა მაღიზიანებდა. ქალები კაცებისაგან შეუპოვრობას, გაბედულებას მოვითხოვთ, ისევე, როგორც კაცები ჩვენგან სიმშვიდეს და გონიერებას. საპირისპიროს აღმოჩენის შემდეგ შინდან გარეთ გადვიართ კიბის შემდეგი საფეხურებით: გაღიზიანება-გულგატეხილობა-განურჩევლობა და ბოლოს გაგულცივება. რამდენჯერმე დავშორდით ერთმანეთს და ისევ შევრიგდით. ნათქვამია, შეძახილმა ხე გაახმოო. ჩვენი ხეც ნელ-ნელა ჭკნებოდა და ჩანდა, მალე ხმობასაც დაიწყებდა. ერთხელ, ერთ-ერთი უხმო ჩხუბის შემდეგ, გულწრფელად ვეთხარი, აღარ მიყვარხარ-მეთქი.

„არა მჯერა, რომ აღარ გიყვარვარ. თუკი ჩემთვის არა ხარ სულ ერთი, არ შეიძლება შენთვის ვიყო“.

როდესაც ჩემი საპასუხოდ ნათქვამი გავიცინობიერე, გავოცდი, მართლა აღარ მყვარებია-მეთქი. ნათქვამი კი ასეთი იყო:

„ჰოდა, თუკი სულ ერთი არა ვარ და გიყვარვარ, ცოლად მომიყვანე“.

ამის გამგონე დიდხანს იყო გაჩუმებული. მერე ტკივილიანი ხმით მითხრა:

„მართლა აღარ გყვარებივარ, თიკა“.

„რა ვიცი, იქნებ მეჩვენება“, — შემრცხვა მე.

„ამ წლის განმავლობაში აზრად არ მოგსვლია ამის თქმა“.

„ყველაფერს დასასრული აქვს, როგორმე ხომ უნდა დამთავრდეს ჩვენი ურთიერთობა“.

„ჩემი სახით დასაკარგავიც არაფერი გაქვს“.

„იცი რა, ქალის და კაცის ურთიერთობის რაღაც მონაკვეთში აუცილებელია ხოლმე ბავშვის გაჩენა, მაშინ აღარ არის ურთიერთობა უაზრო. შენ ეს არ გინდა“.

„არ შემიძლია, ერთ დღეს დაიბოცებიან ჩემი მშობლები“.

„აღარ მიყვარდა, მაგრამ ეს სიტყვები და მისი გარდაქმნა გულში მაინც ლახვარივით მომხვდა.

„არ შეგიძლია და გავათავისუფლოთ ერთმანეთი“.

„მაგას მართლა ამბობ, თიკა? ბავშვის გაჩენას ქორწინების მოწმობის ფრიალი რად უნდა“?.

ამაზე სულ გაეგიჟდი.

„ხალხს რომ თავი დავანებოთ, მეც მყავს დედ-მამა, ძმები... წადი, სჯობია“...

„მართლა, თიკა“?

„ჰო, მართლა, სულ წადი“.

გაიხარა კარი და წავიდა. ცრემლი მომადგა, გული მომეჭუფრა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, თითქოს ნათურა გადაიწვაო, ჩემს არსებაში ისეთი ტკაცანი გაიღო რაღაცამ და მოქუფრულმა გულმაც გადაიკარა. მე ეს ტკაცანი ფიზიკურად ვიგრძენი, მერე სუფთა ფრაცელზე დაღვრილი მელანი რომ ამოვაშორა, ისე დამემართა. მხოლოდ ლაქა დარჩა. ამ ლაქასაც დრო წაშლის, დრო ხომ უნიკალური საშელია-მეთქი, ვიფიქრე და მთლად გამოვიდაო. არც მონატრება, არც დანახვაზე გულის შეძვრა, არაფერი ამდაგვარი არ მემართებოდა. მაშინ კიდევ ერთ რაღაცას მივხვდი, ზომაზე მეტად ეგოისტი ვყოფილვარ. მაიკო მეტყოდა ხოლმე, ბორტი ხარ, ზუსტად ისევე აკმაცოფებ თვალებს, როგორც წინათო. იმან ცოტა ხანს მიყურა ფორიდან, მერე სადღაც მთებში წავიდა. მალე ჩამობრუნებული, მაიკოსთვის უთქვამს, ვერ გავჩერდიო.

მისი ჩამოსვლის შემდეგ რამდენიმე დღეში ზეცა გაუშავდათ მის მშობლებს. მათ ერთადერთ შვილს, საკუთარი სახლის წინ მანქანა დაეჯახა და უაზროდ დაიღუპა. მაიკო რომ მოვარდა ჩემთან და ეს ამბავი შემატყობინა, ისე შევხვდი, როგორც ნაცნობის უბედურებას ვიცხადებთ-ხოლმე.

„არ გადამრიო. უი, საწყალი, საცოდავი!“

მერე სავარძელში ჩავჯექი და გავჩუმდი. მაიკომ ერთი გოცებით შემომხედა და წავიდა. მე ავდექი და ლიბების რღვევა დავიწყე. მატყლი გავოცხე, გავწეწე და ჩვენი დამზრდელი აკენის ლიბიდან დაწყებული, ყველა თავიდან შევკერე. მთელი კვირა მოვანდომე ამ საქმიანობას. მაშინ ერთხელ კიდევ მივხვდი, დიდი სიმძიმილის დროს ოხვრისა და ცრემლის მაგივრად, ვირის ჭაპანში შებმა რომ მომიხდება ხოლმე. შრომა განცდის სიმძაფრეს მიქარვებს. ხმას არ ვიღებდი. ერთი მნიშვნელოვანი საქმის გადაწყვეტა აოგადაწყვეტაზე ვფიქრობდი, ეტყობა, ეიეც მოგრილებდა განსაცდელის პაპანაქებას. დასაფლავების დღეს მაიკომ ერთხელ კიდევ მომაკითხა. მის მშობლებს უთხოვიათ, დასაფლავებაზე მოვიდესო. არ

მანანა ამირეჯიბი
სადაც არ უნდა წახვიდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავედი. იმათი საცოდაობის ცქერის არავითარი სურვილი არა მაქვს-მეთქი, ვუთხარი. ორმოცი დღე და ღამე დედამამას მის საფლავზე ეძინა თურმე. დაილივნენ, დახმნენ, მაგრამ მაინც ცოცხლობენ. ჭირს მართლაც სცოდნია ადამიანის გაქვიტკირება.

ნახევარი წლის შემდეგ, რვა თვის ფეხმძიმე, მის მშობლებთან მივედი, თუ რამე დამემართოს, „ბავშვი თქვენ წამოიყვანეთ-მეთქი, ვუთხარი და წამოვედი.

ბავშვის გაჩენა მისი სიყვარულის გამო არ გადამიწყვეტია. მათი გვარის ერთ შტოს მოსპობა რომ ეწერა, სინდისის ქენჯნამ შემიპყრო და მისი მშობლების უნაპირო სიბრალულმა გადამადგმევინა ეს ნაბიჯი.

არ მიიღო განგებამ გულის ჩაურეველად, მხოლოდ გონებით მიტანილი ზვარაკი. ბავშვი მშობიარობისას დაიღუპა. მე კი, რაგორც ხედავთ. მშვენივრად ვგრძნობ თავს, — ირონიულად დაასრულა თიკამ.

— შეცდომები ნამდვილად აშკარაა, გვიან თქვა ზურაბმა. — ქალები სატანის მეორე ნახევარი ხართ ბუნებით.

— არსებობს სიყვარულზე, დედაშვილობაზე, მეგობრობაზე უფრო მაღალი გრძნობა, რომელსაც ვერ გავასამართლებთ, გამოსავალს ვერ მოვუძებნით, — ეს არის სამშობლოს სიყვარული. ყოველი ჩვენი საქციელი საბოლოოდ სამშობლოსადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით უნდა იყოს მართალი, სხვა შემთხვევაში შეცდომის დაშვება და პატიება შესაძლებელია. ცნობიერად თუ არაცნობიერად, თიკა აქედან გამოდიოდა. როცა ერთი გვარის შტოს მოსპობის შიშის გამო ის ჩაიდინა, რაც გულით არ უნდოდა. აქ არის თავთან და ღმერთთან მართალი. სხვა ყველაფერი, ლაპარაკით დროის გაყვანაა, ჩემის აზრით, — უემოციოდ, მშვიდი ხმით თქვა ნესტანმა.

— რასაკვირველია, ცნობიერად გაკეთა, მაგრამ შერცხვა ამის ფიქრი. — დაამატა ბატონმა ლუკამ.

— თქვენ ქართული ენის მასწავლებელი ხომ არა ხართ? — ჰკითხა ზურაბმა.

ნესტანს ყურადღება არ მიუქცევია მისი კილოსთვის, მშვიდად უპასუხა.

— არა, გეოლოგი ვარ. ყოფილი...

●

შემდეგ დღეებში ყველა თავისებურად ერთობოდა. ზურაბი და ბატონი ლუკა სანადიროდ დადიოდნენ და თითქმის მუდამ კლავდნენ თითო მელიას ან კურდღელს. ერთი ორჯერ დათო და ბაადურიც გაჰყვნენ. ქალები სადილს აკეთებდნენ, სახლს ალაგებდნენ. კაცებზე ჭოროობდნენ. თიკას სულ კარტი ეჭირა ხელში და ყველას მკითხაობას სთავაზობდა. ნესტანს ეუბნებოდა, წესით, სახლში უნდა გარბოდე, სტუმრები მოგდიან, მათ შორის ერთი სიყვარულს გიხსნისო. ამაზე ერთად კისკისებდნენ მარეხი, თიკა და კრავი, ნესტანიც იღიმებოდა. ზურაბი ყოველდამე ელოდა თიკას, რომელიც არ მიდიოდა და ამიტომ გაღიზიანებული, კიდევ უფრო გაენამწარებული ზურაბისაგან ქათინაურებს თიკა კი არა, კრავი იღებდა. ცოტა ახალგაზრდა ვიყო, აუცილებლად მოგიტაცებდიო, ეუბნებოდა. დათო სულ რაღაცას აქმიანობდა და ამიტომ მოწყენილობისა არაფერი ეტყობოდა. ბაადური ან ბუხართან იჯდა და ცეხლს უყურებდა, ან წიგნს კითხულობდა. ორჯერ სახურავიც გადმოთოვლა. მარეხი აღტაცებული იყო, რა კარგი ყოფილა დასვენებაო, თუმცა სახლის საქმე თითქმის მის კისერზე გადადიოდა. სათოვლია და კატა კრავის განმგებლობაში გადავიდნენ, ბანდა და ეარცხნიდა. კატა ისე მიიჩვია, რომ მისი დაბანაც კი მოახერხა. ბატონი ლუკა რაღაცას წერდა, დროის უმტეს ნაწილს ბიბლიოთეკაში ატარებდა. ზურაბს უკვე ბეზრდებოდა იქ ყოფნა, მალიმალ კითხულობდა, ნეტავ ავტობუსი როდის ამოვაო. საშმელს სხვადა-

სხვა დროს მიირთმევდნენ, ვინც როდის მოახერხებდა. ერთი კი იყო, ყოველ საღამოს, ვახშმად, აუცილებლად დიდ ოთახში იკრიბებოდნენ, მასლაათობდნენ, ლექსებს კითხულობდნენ, ამბებს ყვებოდნენ.

ერთ საღამოს გაოცებულებმა გაიხედეს კარისაკენ. კრავი წამოხტა, ბატონმა ლუკამ მისი შეყოვნება მოასწრო და თვითონ გაემართა გასაღებად.

— სტუმრები გვემატებიან, ჯერ კატა, ახლა, ალბათ, მამალი გვეკაკუნებს, — თქვა კარს მიჩერებულმა თიკამ.

ბატონმა ლუკამ კარი გააღო. სიბნელის ფონზე, მაღალი, დათოვლილი კაცი გამოჩნდა.

— მობრძანდით, ბატონო, — შემოიპატიჟა და განზე გადგა ბატონი ლუკა.

მოსულმა ფეხები დაიბაკუნა, ქუდი მოიხადა, დაფერთხა, ზღურბლს გადმოაბიჯა და შეჩერდა.

მობრძანდითო, დანარჩენებმაც ერთხმად შესძახეს. კაცები ფეხზე წამოდგნენ. შემოსულმა გაიღიმა, ტყაპუჭი გაიხადა, ღია კარს იქით გადაფერთხა და მაგიდისკენ იქ მყოფთა ჩამოთვალიერებით გამოემართა. მარეხმა ქუდი და ტყაპუჭი ჩამოართვა.

— აქ დაბრძანდით! — დათომ ბუხრის პირას მდგარი სავარძელი შესთავაზა.

ოცდახუთიოდე წლის ახალგაზრდა კაცი იყო. ცხვირ-პირი გასწორთლებოდა, ხელები დასისხლიანებული ჰქონდა. ისეთი სუსხი შემოიყოლა, კრავიმ ჯემპრს ჩავიცმევო, ჩაილაპარაკა და შეუმჩნევლად გავიდა. მხოლოდ მოსულმა გააყოლა გაკვირვებული მზერა. სტუმარი დაჯდა, გაყინულ ხელებზე დაიხედა და თავი არ აუწევია, ისე თქვა:

— ბოდიშს გიხდით მყუდროების დარღვევისთვის, უცხო ადამიანის შემოჭრა აბა რა სასიამოვნო იქნება.

— აქ ყველანი უცხოები ვართ, — გაეპასუხა ზურაბი.

— პირიქით, ძალიანაც გაგვიხარდა თქვენი მოსვლა, უფრო საინტერესო არ იქნება?

— არჩევანი გაიზარდა? — გესლიანი ღიმილით ჰკითხა ზურაბმა თიკას. თიკას არ უპასუხია, არც ღიმილი გაქრობია სახიდან.

— გმადლობთ, ქალბატონო, — დაგვიანებით გაეპასუხა მოსული თიკას.

— აბა, რისთვის? ოღონდ, თუ ღმერთი გწამთ, მითხარით, როგორ ამოაღწიეთ აქამდე, მარტომ როგორ იარეთ, არ გეშინოდათ?

სტუმარმა მსუბუქად ჩაიცინა.

— რისი, ქალბატონო. გზა მართლაც ძნელი იყო. შვიდი საათი დაბიდან მოვდივარ. შეცდომა დავუშვი, ხევ-ხევ ამოვყევი. მეტად ნუ მომაქცევთ ყურადღებას, გააგრძელეთ რასაც ჩემს მოსვლამდე აკეთებდით, მხოლოდ ის მიბრძანეთ, დიასახლისი რომელია.

— დიასახლისი არა გვყავს, არ ჩამოსულა, — უპასუხა ბაადურმა.

შემკითხველი ზომაზე მეტად დიდხანს მიაჩერდა ამის მთქმელს და მერე ჩაილაპარაკა.

— სამწუხაროა, მე კი დიდი იმედი მქონდა, რომ ვნახავდი, ძალიან მჭირდებოდა.

— ჩვენ ვერ შეეცვლით? — ჰკითხა ნესტანმა.

— ვერა, ქალბატონო, ის დედაჩემის ბავშვობის ამხანაგი იყო და განსაკუთრებული საქმე მქონდა. თქვენ არ იცნობთ დიასახლისს? — რატომღაც გაკვირვებული კილო იგრძნობოდა ბაადურისადმი მიმართულ შეკითხვაში.

— არა, არ ვიცნობ.

მარეხმა სტუმარს თბილწყლიანი თასი მიუტანა.

— ახლა უკვე შეიძლება ხელები ჩაიწყოთ.

— რადგანაც მოიტანეთ, ჩავაწყობ ხელებს, ქალბატონო, ოღონდ, ძალიან გთხოვთ, ჩემი გულისთვის აღარაფერზე შეწუხდეთ, ზრუნვას მიუჩვეველი ვარ და ყურადღება, მადლიერების მაგივრად, გაღიზიანების გრძნობას იწვევს ჩემში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათომ, ახლავე მოვალო და ოთახიდან გავიდა. სტუმარმა მასაც გაადევნა მზერა.

ბაადური ჩაფიქრებული იჯდა სავარძელში, ფეხი ფეხზე გადაედო და ბუხარში ცეცხლს უყურებდა. მერე ახალმოსულს დაკვირვებით შეხედა და ჰკითხა:

— რა გქვიათ?

სტუმარს წლოვანებისათვის შეუფერებელი სიცივე ედგა თვალებში, მკვეთრად, მკაფიოდ უპასუხა:

— თორნიკე.

ბაადურმა სახელი ჩუმად გაიმეორა და ისევ ცეცხლს მიაჩერდა.

თორნიკე ნესტანს უყურებდა დაჟინებით. ქალს თეთრსაყელოიანი შავი კაბა ეცვა. პატარა თავზე აქა-იქ თეთრშერეული ხშირი ხვეული თმა ისე ეყარა, თითქოს არ ეტეკვო. დახვეწილი ნაკვთები ჰქონდა, მაგრამ დაღლილი, უმტყუელო თვალების გამო, მისი სილამაზე თითქოს ხუნდებოდა. გრძელი მკლავები უსიცოცხლოდ ეწყო მუხლებზე და ფიქრით სადღაც ძალიან შორს ჩანდა წასული.

დათო და კრავაი შემოვიდნენ. ახალმოსულმა ღიმილით უთხრა შემობრუნებულს:

— აი, თურმე რატომ აცდენთ სამსახურს, ნამდვილად არ მოველოდი, რომ თქვენც აქ ნანახავდით.

ბაადურმა შენიშნა და ეუცხოვა, რომ ამის მთქმელი ბაგით იღიმებოდა, თვალებით — არა.

ზურაბი გამოცოცხლდა, მოსულს ინტერესით შეხედა და ჰკითხა:

— თქვენ იცნობთ ერთმანეთს?

— ვვითონ, ალბათ, პირველად მხედავს. მის სამსახურთან ახლოს ვცხოვრობ, დილაობით, ბაღისკენ რომ მირბის-ხოლმე, მაშინ ვხვდებით ერთმანეთს.

კრავაის არ შეუხედავს, ოდნავ გასაგონად უთხრა:

— მამამ არ იცის, აქ რომ ვარ...

— მამამ არ იცის? — ჰკითხა გულწრფელად გაკვირვებულმა თორნიკემ. დაბნეულ გოგონას.

—რა მოხდა მერე, ნუ სწუხარ, შენ კი არა, ჩვენ ყველა, ალბათ, ჩუმად ვართ წამოსული, — მიეშველა თიკა.

—გმადლობთ, ქალბატონო, არ მინდა, არ მშია, — შეთავაზებულ საშმელზე უარს ეუბნებოდა თორნიკე მარეხს.

— თქვენ ხომ არა ხართ ის მეცხრე, ვინც დათქმულ დროზე ჩემთან და კრავაისთან ერთად უნდა წამოსულიყო? — ჰკითხა დათომ.

— არა, — ფიქრიანად უპასუხა თორნიკემ. — მე მხოლოდ გუშინ ვნახე განცხადება და მივხვდი, სად უნდა მძებნა ის, ვინც უეცრად დამეკარგა.

— სულ ვფიქრობ, ნეტავ ვინ არის ის მეცხრე, რა დაემართა, რად ვერ წამოვიდა-მეთქი.

— მოცლილი ხარ შენც — ჩაუთრთო ზურაბმა. — აღარ მოუნდა და არ წამოვიდა, უკეთეს ადგილს წავიდოდა!

თორნიკემ ისევ ნესტანს შეხედა, მერე ადგა, თავისი ტყაპუჭიდან მცირე ზომის წიგნი ამოიღო და მიუტანა.

ნესტანმა წიგნიდან სურათი გამოაძრო და ინტერესით დააკვირდა, იქიდან ათიოდე პიონერის ყელსახვევიანი, ერთ წერტილს, — ალბათ. ფოტოგრაფს მიჩერებული მოწაფე იმზირებოდა. სურათის უკან ბაშვური ხელით ჯერ ეწერა: 1952 წელი, კრავაი ლებანიძე თავისი ამხანაგებით, მერე ათივეს გვარი და სახელის პირველი ასო.

ნესტანმა სურათი სწრაფად გადმოატრიალა და ისევ ჩაკირკიტებით თვალიერება დაუწყო. თორნიკე თვალმოუშორებლად უყურებდა ნესტანის ხელს, რომელსაც იმდენად არ ეტყობოდა თრთოლვა, რამდენადაც ფოტოს და განსაკუთრებით ხელისა და ფოტოს ჩრდილს მაგიდაზე. ყველა მოლოდინის სიჩუმით იყო მოცული. ნესტანი კვლავ ფოტოს დაჰყურებდა, მაგრამ დაკვირვებული ადამიანი შეატყობდა, რომ თვალები ახლა იმგვარად ჰქონდა მოწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურული, როგორც გამოსავალის ძებნის დროს იცის ადამიანმა. როგორც იქნა, ოდნავ შეწითლებული თვალები. ყველას გასაოცრად, გოგონაც მიაპყრო და წყნარი, უსიცოცხლო ხმით ჰკითხა. რა გვარი ხარო.

კრავაისთვის შეკითხვა ისე მოულოდნელი იყო, კარგა მოგვიანებით უპასუხა:

— ზედგენიძე, დეიდა ნესტან.

ნესტანმა ბაადურს შეხედა, მერე მშვიდი თვალები თორნიკეზე გადაიტანა და ისევ მოულოდნელი რამ თქვა.

— შენ და ჩემი შვილი ტოლები იქნებოდით, ცოცხალი რომ იყოს. ორმოცდათვრამეტში ხარ დაბადებული?

თორნიკემ შეაცუნებული ხმით უპასუხა: დიახ, ქალბატონო.

— შარშანწინ დამეღუპა.

ცივწყალგადასხმულებივით შეკრთნენ. კაცებმა თითქმის ერთდროულად წაიღეს ხელი სიგარეტისაკენ. ქალები კაი ხანს გაოგნებულნი ისხდნენ, ნესტანის შეხედვას ვერ ბედავდნენ, ისეთი გრძნობა გაუჩნდათ, თითქოს თვითონ ედოთ ბრალი მის უბედურებაში.

ნესტანმა ფოტო ისევე წიგნში ჩადო და ბატონ ლუკას მიაწოდა. ბატონმა ლუკამ სურათი ამოიღო და დაკვირდა. რადგან ნესტანმა წიგნში ჩადებული მიაწოდა, ადგილიდან არავინ დაძრულა სურათის დასახედად. ბატონმა ლუკამ გადმოაბრუნა, წარწერა წაიკითხა და ისევ ინტერესით დააშტერდა, თან იკითხა:

—რითი დაგეღუპა შვილი?

— მომიკლეს, მუცელში გამოუსვეს დანა, ჩხუბში ჩაერია. სამი დღის მერე გარდაიცვალა, ვერ გადავარჩინეთ, — უსიცოცხლო ხმით უპასუხა ნესტანმა.

— ის რა იქნა?

— დაიჭირეს. გაუთავისუფლებიათ, ერთი თვის წინ ქუჩაში ვნახე, გოგოსთან ერთად კინოს ბილეთების რიგში იდგა.

— მამა?

— რა თქმა უნდა, მანაც ძლიერ დაიტანა, კიდევ ჰყავს შვილები, თანაკ პატარები. პატარამ სევდის გადაყრა იცის, — წათვლემის წინ რომ იცის, ისეთი კილოთი უპასუხა.

— რა საჭიროა ეს დაკითხვები, ხომ შევთანხმდით, — ცივად თქვა ზურაბმა.

— რამ გგაძლებინა, შვილო...

— ალბათ, იმან, ბატონო ლუკა, რომ მოკლულის დედა ვიყავი და არა მკვლელის. ეს მაღალფარდოვანი სიტყვები როდია, მეც მიკვირს და იმიტომ ვამბობ, ალბათ-მეთქი. ცოცხალი რომ ვარ, სხვაგვარად ვერ ამიხსნია.

ბატონი ლუკა ჩაფიქრდა. გუმანი ეუბნებოდა, რომ ნესტანს ეს ლაპარაკი სხვა რამისათვის სჭირდებოდა და არა თავისთვის. ამას სხვებიც ხვდებოდნენ, მაგრამ ბატონი ლუკა ქალის უბედურებამ ერთიანად აშალა და ააფორიაქა, გონების სიფხიზლე დაუკარგა.

ნესტანმა ხანგრძლივი მზერა მიაპყრო ბატონ ლუკას, მერე მისი მზერაც გაიყოლა და ბაადურზე შეაჩერა.

„ბებერი სახედარი, — გაიფიქრა ბატონმა ლუკამ თავის თავზე, — სულ გამოვშტერდი“, და მერე ნესტანს მიმართა:

— შურისძიების სურვილი თუ გაქვს, შეგიძლია..

— ღარაფერი შემიძლია, — შეაწყვეტინა ნესტანმა, — დავიღალე და გამოვიფიტე. ზეზეურად კედლმა დავიწყე, იქნებ გეუცხოოთ კიდეც, რომ გამიცოცხლდებოდეს, სიხარულს, ალბათ, ვეღარ შევძლებდი. ასე მგონია, ყველაფერი მის დაბადებამდე იყო გადაწყვეტილი, მერეღა გავიხსენე — ორი-სამი თვით ადრე ბედისწერა ნიშანს მაძლევდა: ჩემს სახლში ყველაფერმა ტაკაცანი დაიწყო. კედლები, ჭერი, მინები იბზარებოდა. აგერ, შეხედეთ რასა ჰგავს სახლი! ეგ სქელი ტაბლაც, თორნიკე, წინ რომ გიდგას, მაშინ გასკდა. ბედისწერა თან დასდევს ადამიანს — დაბადებამდე უკვე განწირულს, — ნესტანს ისეთი ხმა გაუხდა, თითქოს

ჭიდან ლაპარაკობსო. არავის არაფერი შეუთვალიერებია. მხოლოდ თორნიკემ დახედა ტაბლას.

— ბედისწერას თორნიკე, მხოლოდ ბედისწერას ვერ აღუდგები წინ, მაშ ვის რაში სჭრდებოდა ოცდასამი წლის ბიჭის სიკვდილი, მისი დაღუპვით ვის, შეემატა რამე, ქვეყანას თუ ადამიანს? ამიტომ, ბატონო ლუკა, შურისგებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტად მიმაჩნია. თვითონ იცის იმ დიდმა რაღაცამ, ვის რა უნდა მიეზღოს...

ბატონი ლუკა მიხვდა, შეკითხვამ კიდევ გაუმართლა. ნესტანზე მიციებული თორნიკეს თვალებს წაეწყდა და შეკრთა, მხრები აიწურა, დამნაშავესავით შეხედა ნესტანს, ამით ანიშნა, რომ ვერაფრით აათავა კიბე, რომელსაც საფეხური აკლდა და რადგან ფეხქვეშ სიმყარეს ვერ გრძნობდა, წინაც ვეღარ მიდიოდა.

უხერხული, ხანგრძლივი სიჩუმე ისევ ნესტანმა დაარღვია:

— უნდა მაპატიოთ, თავიდანვე რომ არ გითხარით, მე ვარ თქვენი დიასახლისი-მეთქი.. ტყუილი წინასწარგანზრახული არ მქონია. პრველივე დღეს დავაპირე სიმართლის თქმა, მაგრამ თქვენ თვითონ მაყოვნებდით. ისე კარგად გრძნობდით თავს, ვაითუ შევზღუდო საქციელში ან საუბარში-მეთქი, ვიფიქრე და გავჩუმდი. ბოდიშს გიხდით, — ისევ გაიმეორა ნესტანმა, საითითოდ ჩამოათვალიერა სტუმრები და თითქმის ყველა მათგანის თვალებში უსაზღვრო თაყვანისცემა ამოიკითხა.

— არანაირი სენი არ გამეკარა, პირიქით, ასე საღი არასოდეს ვყოფილვარ, — მშვიდად განაგრძო ნესტანმა. მაგრამ, შეეცადეთ, სულმა დამიწყო კვდომა, აქ იმიტომ გამოვიქეცი, წინაპრების სახლში, თქვენც იმიტომ მოგიწვიეთ, უკანასკნელი დღეები გამეტარებინა ადამიანებთან, რომლებიც სიბრალულის გამოხატვით არ მომაბეზრებდნენ თავს.

ნესტანმა თბილი მზერა მოავლო ყველას:

— ამავე მიზეზით, — განაგრძო ისევ, — თავი მშვიდად და დამოუკიდებლად რომ გეგრძნოთ, დამალულია კიდევ ერთი საიდუმლო. ეს მეც არ ვიცოდი. სადაც სიმართლეა — ტყუილიც მუდამ იარსებებს. შევუნდოთ ერთმანეთს ის ტყუილი, რომელიც სიმართლეს არაფერს უშავებს.

დიდხანს ისხდნენ ჩუმად, მერე ბატონმა ლუკამ თქვა:

— ჩვენს მეფეებს შენისთანა მეუღლეები უნდა ჰყოლოდათ.

ლაპარაკი რაღაცნაირად არ ეწყობოდა, არც ამირებდნენ. ის კი იცოდნენ, ახლა დაშლა, ოთახებისკენ წასვლა და დაწოლა ხელოვნური, ყალბი იქნებოდა და აოც არავის უნდოდა. დათო მარეხს უყურებდა და შეეღლო დაეფიცა, რომ ქალი ამ დროის განმავლობაში გამხდარიყო და ფერიც წასულოდა. თიკას ბაგის კუთხეებში ნაოკი ჩაღრმავებოდა. ბაადურს მიტკლისფერი ედო სახეზე. ვითარების შეცვლას ვერავინ ბედავდა. ისხდნენ უქმად, უშინაარსოდ და ამის გამო წუხდნენ. კარავი ადგა და ოთახში გავიდა. თითქოს საქმე გამოიჩინესო, ყველამ თვალი გააყოლა, თქმით კი არავის არაფერი უთქვამს.

მალე შემობრუნდა, შიმელასავით წვრილი, შავ კაბასა და ფეხსაცმელში გამოწყობილი, როიალისკენ გაემართა. შავი თმის ფონზე თვალში საცემად მოჩანდა მისი ფითრისფერი სახე.

დაჯდა და დაკვრა დაიწყო. დათო და თორნიკე როიალის მარჯვნივ და მარცხნივ ისხდნენ. ორივენი ერთნაირად ხედავდნენ, როგორ აეხორკლებოდა ხოლმე ბუსუსები მკლავებზე, როგორ უთრთოდა ნესტოები, რა ნერვიულად იღებდა და აჭერდა პედალზე ფეხსაცმელში დაპატმრებულ პატარა ფეხს. ხან თოვდა იქ მყოფთა გულში, ხან წვიმდა, ხან ქარიშხალი ქროდა. ის იყო გამოდარება დაიწყო, რომ ცამ გაბმულად დაიგრგვინა და მუსიკაც შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყდა. კრავი ცოტა ხანს უძრავად იჯდა, მერე სკამიანად მოტრიალდა და იქ მყოფნი შეათვალიერა. მიღწეული მიზანი აშკარად ჩანდა: ისევ ერთად იყვნენ.

ბატონი ლუკა წამოდგა, კრავაისთან მივიდა, თავზე ხელი გადაუსვა:

— ძილის დროა, ბაბუ, ახლა წყალსაც კი სძინავს. ყველამ ჩვენი ოთახებისკენ გავწიოთ. ძილი მეტად საჭირო და სასარგებლო რამ არის ადამიანისათვის, — ღიმილით თქვა, გოგონას ხელი მოჰკიდა და ოთახამდე მიაცილა, თვითონ ბიბლიოთეკში ავიდა.

იმ ღამეს ბატონმა ლუკამ ორჯერ გაიგონა წყნარი დაკაკუნება, ორჯერ გაიღო და დახურა ბიბლიოთეკის კარი.

უკვე თენდებოდა, როცა სახლში სიჩუმემ დაისადგურა. ვიღაცას, ეტყობა, დიდხანს არ დაეძინა — შუადღისას რომ წამოიშალნენ, დარბაზი დალაგებული, დასუფთავებული დახვდათ.

●

ყველა რაღაც მნიშვნელოვანის მოლოდინში იყო. მხოლოდ იმიტომ, რომ უქმად არ ყოფილიყვნენ, უგულისყუროდ სვამდნენ ზოგი ჩაის, ზოგი ყავას, თან გამალებული ფიქრობდნენ, იქნებ არც ფიქრობდნენ და მხოლოდ გამომეტყველება ჰქონდათ დაძაბული. შუადღე გადასული იყო. საუზმეს კი ახლაღა ამთავრებდნენ. დათომ თქვა:

— უნირო ახალშობილებს ვგავართ, დღე და ღამე ერთმანეთში ავვერია.

ამაზე აჭა-იქ ჩაიცინეს.

ქალები სუფრის ალაგებას შეუდგნენ. უსაქმობა კაცებსაც კი გაუჭირდათ და ფუსფუსი დაიწყეს. ბატონმა ლუკამ სათოფლია გაიყვანა გარეთ. დათო დერეფანში შეშას ჭრიდა. თორნიკე ფანჯრის რაფას მიყრდნობოდა და შორიდან გულგრილად ათვალიერებდა კედელზე დაკიდებულ სურათებს. ზურაბი უაზროდ იყურებოდა გარეთ. ბაადური ისევ ისე, ფეხიფეხზე გადადებული იჯდა სავარძელში და ცეცხლს უყურებდა. მის ფეხებთან კატას მოეკალათებინა და თვლემდა. ბოლოს, ერთ-ერთ დგან მოჩვენებითი ფუსფუსი აღარ შეეძლოთ, თავისაც უნებურად ყველანი იმავე ადგილებზე დასხდნენ, როგორც წუხელ. ფანჯრიდან უკვე შემღვრეული დღე იყურებოდა.

ოთახში ნესტანის მშვიდი ხმა გაისმა:

— წუხელ გითხარით, ერთი საიდუმლო კიდევ არის-მეთქი ჩვენს შორის. ამით განიშნეთ, რომ დრო იყო ისიც გაგვემხილა. ვისაც ეხებოდა, არაფერი თქვა და მეც უნდა გავჩუმებულიყავი. ღღეს შეიძლება ამაზე ლაპარაკი. კრავი და ბაადური მამა-შვილნი არიან. სრულიად შემთხვევით შეხვდნენ აქ ერთმანეთს. ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გადაწყვიტეს აქ წამოსვლა. უნდა ვაღიაროთ, რომ არაფრით შევუწუხებივართ. თუ არ გაამხილეს, მხოლოდ იმიტომ, რომ მათი მამაშვილობა ჩვენთვის ანგარიშგასაწევი არ გამხდარიყო. დათოს კი სკოდნია პირველი ღღიდან, კრავის უთქვამს.

— აუუ, მე კინაღამ ყველა ანგელოზი მეგონა. აბა, გამოტყდით, კიდევ ვინ ვისი საყვარელია ან ცოლი. თქვენ მოგაქვთ თავი კარგ ადამიანებად? — ისე მოულოდნელად გაანჩხლდა ზურაბი, ისე უდროო დროს, რომ ამის შემხედვარე მარეხმა უნებურად ხმამაღლა გადაიკისკისა.

— რას იცინი, იქნებ არც შენ გყავს სამი შვილი, კეთილო ქალბატონო, სულ არ გამიკვირდება, უცხოეთის რეზიდენტი რომ აღმოჩნდე.

მარეხი გაწითლდა, გაჩუმდა.

— რა გაბრაზებს, ზურაბ, ღვთის წინაშე ყველაფერი რიგზეა, რა მოხდა, ვის რა დაუშავდა. ხომ ხედავ, მარტო შენ ბრაზობ.

— კაცი ვარ მე, თიკა, იქნებ რამე ვთქვი რომელიმე თქვენგანზე.

— არ უნდა გეთქვა.

— თქვენ რა გენაღვლებათ, ბატონო ლუკა, მოხუცი ხართ, აქ ყველა შვილებად და შვილიშვილებად შეგფერით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახლა მაგის დრო არ არის, ზურაბ. ნუ მოსდექი ყველას, — წყნარად თქვა ნესტანმა.

ზურაბს უნდოდა ეპასუხა, მერე, ეტყობა, გადაიფიქრა. ძალიან გაბრაზებული იყო და ბოლოს მაინც ვერ შეიკავა თავი.

— რატომ არ უნდა ვეპრანჭოთ! — თიკას გასცინა და ისევ გაბორორტებულმა დაამატა: — თქვენც იდიოტები ხართ და მეც.

— დიდი სურვილი რომ გაქვს, ყველას შეურაცყოფა მიაყენოთ, საკუთარ თავს მხოლოდ ამიტომ იმეტებთ. ასე არ არის? — ჰკითხა თორნიკემ.

— შენც ერთი, ჩამოეხრე აქ და ყველაფერი აურიე.

ეს სიტყვები თორნიკეს აინუნშიაც არ ჩაუგდია. არც თვალების გამომეტყველება შესცვლია, ისევ ცივი მზერა ჰქონდა.

— სურათში, ბატონო ლუკა, როგორც უკვე იცით, თორნიკეს დედა კრავაი ლებანიძე. მე და ბაადური ვართ გადღებული სხვა თანაკლასელებთან ერთად. ბაადური ჩვენთან მხოლოდ ერთ წელიწადს სწავლობდა, მერე ისევ სხვა სკოლაში გადავიდა, ამიტომ, ბუნებრივია, ვერ მეცნო. თორნიკეს აქ მოსვლა უმიზნო რომ არ იყო, თავიდანვე მივხვდი. ამოდენა გზაზე ფეხით ტყუილად არ ივლის ადამიანი. სურათმა ეს ეჭვი გამიმართლა, კრავაის გვარმა დამიდასტურა და სახელმაც თავისი თქვა. ფორნიკე სამი წლის რომ იყო, დედა უკვე აღარ ჰყავდა. აი, დადის თურმე დედის თანაკლასელებთან და აამბობინებს ყველაფერს, რაც მას ეხება. მე რაც ვიცოდი წუხელ ვუამბე. ის ამბავი კი ყურმოკვრით ვიცი, დაწვრილებით — არა. ახლა ბაადურის ჯერია.

ნესტანი გაჩუმდა. ბაადური, თითქოს არაფერი გაუგონია, არც განძრეულა. იჯდა, შუბლი ოფლის წვეთებით დაცვაროდა, ცეცხლს უყურებდა და რაღაცაზე გამალებით ფიქრობდა.

— მამა, — წყნარად გასძახა კრავაიმ.

— ბაბუ, შენ ხომ არ გაისეირნებდი სათოვლიასთან ერთად.

— არა, რატომ, რასაც აქ ვლაპარაკობთ, იმას უმაღლესში არ ასწავლიანო, ხომ თქვა მამამისმა, როდესაც სხვის ამბებს ისმენდა, — თქვა ზურაბმა.

ბაადური სკამიანად შემობრუნდა. ზურგით კედელს მიეყრდნო და თორნიკეს შეხედა:

ძალიან ჰგავხარ დედას, მაგრამ იმას თვალებში შუქი ედგა. მოვყვები ყველაფერს, როდისმე ხომ უნდა ვთქვა სიმართლე... მე სხვა სკოლაში გადავედი და კანტიკუნტად მესმოდა ამათი ამბავი.

ერთხელ ამხანაგებთან ერთად ბარში ვერთობოდი, საღამო იყო. გვიან შევნიშნე, გვერდით მაგიდასთან ჩვენი ტოლი წყვილი იჯდა. არც ჭამდნენ, არც სვამდნენ, არც ლაპარაკობდნენ, გაშეშებულებივით ისხდნენ. ცოტა ხანში ხმაური მომესმა — ვილაცამ ხელი მაგიდას დაჰკრა. მივიხედე, კარში გამავალ ვაჟის ზურგსღა მოვკარი თვალი. თეორკაბიანი ულამაზესი გოგო კი ფერწასული ისევ იმე გაუნძრეველად იჯდა, ბოლოს შევიცანი ჩემი ყოფილი თანაკლასელი. ვერ გადავწყვიტე, მივსულიყავი თუ არა. კიდევ გავხედე, იდაყვებით მაგიდას დაყრდნობოდა, თავი ერთმანეთში თითებგადაჭიმიდილ ხელებზე ჩამოედო და ისე იჯდა. მივედი, გამოვეცნაურე და დაჯდომის ნება ვთხოვე. შემომღიმა. ცოტა ხანს ვისაუბრეთ, მერე ჩემს მაგიდასთან გადმოვიყვანე. ვიცოდი, იქ ყოფნა არ უნდოდა, მალე მოვალ-მეთქი, ბიჭებს დავუბარე და სახლამდე მივაცილე. შემიპატიჟა. შევყევი. სახლში ჩვენი ბავშვის ტირილი ისმოდა. ეს ჩემი ბიჭიაო, მითხრა, ბარიდან რომ გაიქცა, ამის მამა იყოო. დედაც გამაცნო. ცოტა ხანს ვიჯექი. ადგომა და წამოსვლა დავაპირე, დედამ ტელეფონთან დაუძახა. სანამ ტელეფონით ლაპარაკობდა, დედამისისგან გავიგე, რომ

ქმარს ეყრებოდა. თვითონ არაფრის მაქნისია და, მოყვარული ქმარიც გვერდიდან უნდა მოიშოროსო, ნეტავი რისი იმედი აქვს, უმწეო და უნიათოა, როგორც იოლად გაჰყვა, ისევე შორდებაო. სკოლა დაამთავრა თუ არა, მეორე დღესვე გაეკიდა წინადღის გაცნობილსო, — ყველაფრის თქმა მოასწრო დედამ.

ფერწყასული შემოვიდა. მე იგი სწრაფი ცვალებადობით მაოცებდა. იმწამსვე გაიღიმა და სხივებმა სულ გაუნათეს სახე. ხორბლისფერი სახის კანი ჰქონდა, თმა ოდნავ მუქი, თვალები ნაპერწკლიანი, ცხვირპირით კი უზადოდ იმეორებდა შვლის ნუკის უბიწოებას ისეთი გამხდარი იყო, ნიავი წაიღებსო, კაცი იფიქრებდა.

წამოვედი. რამდენიმე თვე აღარ მინახავს, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ არ მახსოვდა. მისი დავიწყება არ შეიძლებოდა.

სტუდენტებმა ნახატების გამოფენა მოვაწყვეთ. მაშინ ცისა და ცეცხლის ფერები მიტაცებდა. ერთ-ერთი სურათი ასეთი მქონდა: ცეცხლისფერ ფონზე ცისფერი ქალიშვილი ჩამავალ მზეს სევდიანად გაჰყურებდა. გვიჩაროდა პირველი გამოფენა და გალერეაში ხშირად შევივლიდით ხოლმე. ერთ დღესაც მივედი და ჩემი სურათის წინ კრავაი დავინახე. იდგა და უყურებდა

„მოგწონს?“ ეკითხე მოულოდნელად.

შემკრთალი შემობრუნდა, მე რომ დამინახა, გაეღიმა.

„კი, მომწონს“.

„შენ რომ ხარ, მიხვდი?“

„როგორ არა, ოღონდ... მე კი არა ჩემი ხატებაა?“

„როგორ თუ ხატება?“

„თუ შეგძელი, დალაგებით გეტყვი, არ გაგიკვირდეს, მე საიქიოს არსებობის მჯერა. ისიც მჯერა, რომ იქაც ისევე გარდაიცვლებიან, როგორც აქ. ალბათ, იმათი საიქიო, ჩვენი სააქაოა. აქ ჩვენი სული ტოვებს თავის საყდარს ანუ სხეულს, თავისუფლება და იქ განაგრძობს არსებობას, რაღაც დროებით შემდეგ იქ გარდაიცვლება, ისევ აქ მოდის და ხორცს ისხამს, როგორც წინათ. ამ სურათზე თითქოს იქაური კრავაია გამოსახული, ხედავ, სხეული სულ არ იგრძნობა, მხოლოდ სული და ხატებაა როგორც საიქიოში“.

ამას ისე სადად და დამაჯერებლად ამბობდა, შეკამათება აზრადაც არ მომსვლია. ისევ სახლამდე მივაცილე, ისევ შემიპატიჟა და დედამისისაგან გავიგე, რომ მუსიკალური სასწავლებელი დაუმთავრებია, მაგრამ არ მუშაობდა. მამას სხვა ოჯახი ჰქონდა.

იმ დღის მერე მოურჩენელი და ყოვლისმომცველი სენი შემეყარა. ჩემი სიყვარულისთვის სენი შემთხვევით არ დამირქმევია. სიხაოსული ნაცვლად შიშის განცდა და ტკივილი მომიტანა, გამაწამა და ჯადოქმნილივით დამთრგუნა. მეც არ ვიცი, ასე რატომ მემართებოდა. ერთხელ მითხრა:

„ასე მგონია, შენი სიყვარული ღმერთმა ჩამაგონა“.

იმის მაგიერ, რომ გამხარებოდა, ელდისაგან კინაღამ წვიქეცი.

„ეს კაბა შენთვის შევიკერე, ასე რომ გიყვარს ცეცხლისფერი, შენ კი არც შეგიმჩნევია“. კაფეში ვისხედით მაშინ ეს რომ გავიგონე, კმაყოფილების ნაცვლად, სურვილი გამიჩნდა, თავი კედლისთვის მიმერტყა. თუმცა არაფერი უცნაური არ იყო ხოლმე მის ნათქვამში, მაგრამ ჩემზე, დღემდე ვერ გამირკვევია რატომ, მომაკვდინებლად მოქმედებდა. სულ ორ კაბაში მახსოვს — თეთრში და ცეცხლისფერში.

დრო გადიოდა და მე გიჟს ვემსგავსებოდი. მშობლებს გამოვუცხადე ცოლს ვირთავ-მეთქი. ისიც ვუთხარი — ვის. გადამეროვნენ, რა დროს შენი ცოლია, ჯერ ოცისაც არა ხარო, სხვისი შვილის მამობა ძნელიაო და ასე შემდეგ. ყურამდეც არ მიმიშვია მათი ლაპარაკი. ვიცოდი, ის არც მარჯვე დასახლისი იქნებოდა, არც მზრუნველი ცოლი, მეტისმეტად უმწეო იყო, მაგრამ ეს ჩემთვის არაფერს ნიშნავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის საღამო განსაკუთრებით მახსოვს, რუსთაველზე მივსეირნობდით, ჩუმად ინსტიტუტებივით მივუყვებოდით პროსპექტს.

„ასე მგონია, რაღაც საშინელი უნდა მოხდეს“, მითხრა. მეც ასე ვფიქრობდი იმ წუთში. იმისაგანაც რომ გავიგონე, სულ გავფუჭდი.

„ამბობენ, ზედაზნიდან ლამაზი გადმოსახედიაო, ხომ არ მაჩვენებდი?“

ხვალვე-მეთქი.

მეტროსთან ვიღაც ნაცნობი შეხვდა მეუღლითურთ. გიიხარა, დაოჯახება მიულოცა. ძველებური, მამიდის ნაჩუქარი ვერცხლის სამაჯური მოიხსნა და მისცა. ნაცნობმა იუარა, ასეთ ძვირფას საჩუქარს შენგან ვერ მივიღებო, თან აღტაცებული თვალებით დაჰყურებდა სამაჯურს. კრავი თავისაზე დადგა. რომ დაგვემშვიდობნენ, მითხრა:

„არ გეგონოს, ასე კეთილი ვიყო, ეს რამდენიმე დღეა გული მიკვნესის და განგებას შეეწირე საყვარელი სამაჯური. როცა ვინმეს ვჩუქნი და ვატყობ უხარია, მეც კარგ გუნებაზე ვდგები ხოლმე“.

სიკეთის გამქაღაldების შერცხვა! მაშინ მივხვდი, რომ ყველაფერს ნიჭი უნდა, ჩუქებასაც კი. უცნაური ლაპარაკი იცოდა, მოულოდნელ რამეს იტყოდა-ხოლმე. სახლთან რომ მივაცილე მითხრა:

„ბავშვი მამას უნდა მივცე, მასთან იცხოვროს, იქ უკეთესად იქნება და უკეთესიც გაიზრდება, მე დედად გაჩენილი არა ვარ. შვილს დედისაგან უსაზღვრო სიყვარულის გარდა, სხვაც ბევრი რამ სჭირდება, მე კი ყველაფერს ვერ ვაძლევ“.

გაყრისას, ხშირად უფრო ასაკოვანი მშობლებიც კი არ ფიქრობენ ბავშვზე და არც იმას დაგიდევენ, სად უკეთესი გაიზრდება მათი შვილი, — უცნაური მოსასმენი იყო მისი ნათქვამი, მაგრამ ძალიან კარგად ვიცნობდი და ვიცოდი, ეს გადაწყვეტილება დიდი სიყვარულიდან მომდინარეობდა.

„მერე შენ როგორ გაძლებ?“ ვკითხე ნაღვლიანად.

„ყოველ წუთს შემძლება ნახვა ღამე... ღამით ვერ დავიძინებ, მაგრამ არა უშავს, ლექსებს ვიკითხავ“.

საოცარი გულმოწყალე იყო. წყალში გადავარდნილისათვის ისევე შეწუხდებოდა, როგორც დედა ან შვილი, მაგრამ გადასარჩენად ვერაფერს იღონებდა. ამის გამო დედამისი ობმოკიდებულ სიკეთეს ეძახდა.

მეორე დღეს ზედაზენზე წავიყვანე ცეცხლისფერი კაბა ეცვა და უსაზღვროდ შვენოდა შემოდგომისპირის ტყეს. სულ გაჩუმებული იყო, თუ რამეს ვკითხავდი, მოკლედ მპასუხობდა. მიაშტერდებოდა რომელიმე ხეს, ან ჰორიზონტს და თან რაღაცას ფიქრობდა.

დანგრეული საყდრის კედელზე ავიდა. იდგა და ხან ჯვარს უყურებდა, ხან მთა-გორებს.

„იქით გაიხედე, რა ლამაზი კუნელია“, ჩამომძახა. ფოთოლშეყვითლებულ კუნელის ხეს მწიფე ნაყოფი შერჩენოდა და ძალიან უხდებოდა. ტოტის მოსატეხად წავედი.

„როგორც ეს ტყე, ისე მიყვარხარ, როგორც ჯვარი და... როგორც სვეტიცხოველი“.

მივიხედე. დავიფიცებ, რომ შუქს აფრქვევდა, ნამდვილად ასხივებდა და მთლიანად შუქის რკალში იყო მოქცეული. ცოტა ხანს გაშტერებული ვუყურებდი. ტოტს რომ ვტეხდი, ისეთი სილამაზეა სუნთქვა მეკვრისო, გავიგონე. მეღიმებოდა, ნეტავი რას იზამს საღამოს ჩემს მშობლებს რომ მივუყვან-მეთქი. ფიქრი დასრულებული არა მქონდა, ვაიმეო, მომესმა. იმ დროს შევასწარი თვალი, ჯერ ჰაერში რომ იყო. დავინახე და გავიგონე, როგორ დაენარცხა ქვებზე. არ ვიცი, იმ წამსვე მივვარდი თუ არა. როცა ავიყვანე და სახიდან სისხლი ჩამოვწმინდე, საშინელება დავინახე, პირიდან და ცალი თვალის სიღრმიდან სისხლი მოსჩქეფდა, ცხვირ-პირი დაგლეჯილი ჰქონდა

არ ყვიროდა, კვნესოდა მხოლოდ. არც ის მახსოვს, მაშინვე თუ მერე, გულში ჩავიკარი და არ ვიცი, რატომ, ხელები ისე მაგრად მოვუჭირე, ხერხემალმა ჭახანი გამოიღო. ეს ჭახანი ყურიდან არ მომშორებია არასოდეს. ალბათ, დიდხანს ვიყავით ასე, ძლივსღა სუნთქავდა. თავი ჩემს მხარზე ედო და ვიგრძენი, სული როგორ ამოუვიდა.

ბაადურამ მხარზე პერანგი გადაიწია ლავიწის ძვალთან ღრმა ნაიარევი ეტყობოდა.

— მერე ეს ადგილი, სადაც თავი ედო, გახუთებული დანის ტარით ამოვიშანთე. არ მახსოვს, რამდენ ხანს ვატარე ხელში აყვანილი. შინ როგორ მივიტანე. სამუდამოდ დამამახსოვრდა — გულზე დაკრეფილი მისი თეთრი ხელები მკედარ მტრედებს ჰგვანდნენ.

ძალიან დიდხანს გაოგნებულები ისხდნენ. ზურაბმა სიგარეტი აიღო, ხელები უკანკალებდა, ვერ მოუკიდა და ისევ ვაზაში ისროლა.

— მერე, მერე რა მოხდა...

— დედამისმა მიჩივლა, შენ მომიკალი შვილიო. თავი ვერ ვიმართლე. აბა, ამ ამბების მოყოლას ხომ არ დავიწყებდი. ალბათ, ელდისაგან გავგუდე-მეთქი, ეს ერთი წინადადება ვთქვი. ათი წლის სასჯელის მოხდის შემდეგ, კიდევ ათ წელს დავრჩი იქ. ესეც იქ შემეძინა, ჩემსავით დარჩენილი პატიმრის შვილთან. ერთი წელია, რაც ჩამოვედი. ძალიან გამიჭირდა მარტოობა. სამშობლოში ვარ და უცხო ქვეყანაში მგონია თავი, ბატონო ლუკა, რა აზრი აქვს? თუ ღმერთმა ინება, უახლოეს ხანში ისევ იქ ვაპირებ დაბრუნებას.

—მეუღლე იქ ცხოვრობს?

— დიარ. ამ ამბავს მოჰკრა თუ არა ყური, მაშინვე გამეყარა და სადღაც წავიდა, სხვა ქალაქში. ეს ჩემთან იზრდებოდა; ხან ჩემს მშობლებთან, სანამ ცოცხლები იყვნენ.

კრავაის მიცკალებულის ფერი ედო, სულერთიანად კანკალებდა.

— ძალიან ლამაზი იყო?

— უცნაურად. როგორც თოვლზე ამოსული ყაყაჩო, — მარეხის ... ვარე ხმას გაეპასუხა სიკვდილის პირზე მისული ხმა. — კრავაი იმის გამო დავარქვი, საკუთარი თავის საწამებლად.

შეფარვით უყურებდნენ თორნიკეს წარბშეყრილი, გულზე ხელდაკრეფილი იჯდა და ეტყობოდა, რაღაც გადაწყვეტილებას იღებდა. გრძნობდნენ, ვითარების შესამსუბუქებლად რაღაც იყო საჭირო, ვერ კი ახერხებდნენ. მერე ბატონმა ლუკამ უმისამართოდ თქვა:

— ერთი ადამიანისაგან მეორის მოკვდინება, რა ვითარებაშიც უნდა მოხდეს ეს, ყველაზე სასტიკი დანაშაულია. ეგ კია, მართლის თქმას კეთილი გული და საღი გონება სჭირდება, მართლის ქმნას კი — შეუვალობა და გულგრილობა. ოცი წლის ბიჭს სად ექნებოდა ყველაფერი ერთად!

მარეხის ხმაში წვიმა ხან ჟინჟლავდა, ხან კოკისპირულად მოდიოდა:

— ბულბულს რომ ხმა წაკვგაროთ, პეპელას — ფრთები, ციცინათელას ამოვკვეთოთ ნათების წყარო და საერთოდ... ყველაფერს წაკვართვთ ის მთავარი, რაც განგებამ მისცა, ხომ დაირღვევა ჰარმონია და გაუსახურდება დედამიწა. მას სილამაზის მეტი რა გააჩნდა...

— მე, მე გავაჩნდი! — ისეთი ხმით შეაწყვეტინა თორნიკემ, მარეხს ენა ჩაუვარდა, ტანში გააზრიალა. — მე დედა მინდოდა მყვარებოდა, რომ მერე ყველა ქალი მყვარებოდა, — ბაადურს უყურებდა და ხმით ყინულს ჭრიდა.

— თქვენი ქალიშვილიც ლამაზია ბატონო, და მე მას ახლა მოვკლავ!

ჯიბიდან რევოლვერი ამოიღო და კრავაის დაუმიზნა.

ისე გათანგულები იყვნენ, ადგილიდან ვერავინ დაიძრა. გაშეშებული ბაადური თვალებში შესცქეროდა თორნიკეს. კრავაი სკამზე ისე ჭანაობდა, ეტყობოდა, რამდენიმე წამში გადმოვარდებოდა.

— არა, მე თქვენნაირი ავაზაკი არა ვარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლვერის ლულამ ბაადურისაკენ გადინაცვლა.

ერთდროულად გაისმა კრავაის წამოკივლება და სროლის ხმა.

ტყვია რბილად ჩაჯდა კედელზე დაკიდებულ ფარდაგში, რევოლვერი დათომ ჩაიდო ჯიბეში. კრიჭაის მისცვივდნენ. მხოლოდ ბაადური და თორნიკე დარჩნენ ადგილზე დაყინული. მერე თორნიკე ადგა, კარი გაიღო და სიბნელეში გაიბიჯა. კრავაი ლოგინში ჩაწვენილს, საბნები დაიფარეს. სიცხე ორმოცს ასცდა, ბოდვას უმატა. კაცები კრიჭაშეკრულნი ისხდნენ. ზურაბმა ბარგის ჩალაგება დაიწყო. სახლში მხოლოდ მისი მძიმე, მრისხანე ნაბიჯების ხმა ისმოდა. კარი გაიღო და თორნიკე შემოვიდა. დათომ უთხრა, გოგონა სიცხით იწვისო, ქალები სასთუმალთან უსხედან, სიცხე ვერ დაუგდეს, უკვე ერთი საათია. ბოდავსო. თორნიკემ მოუსმინა, მერე ტყაბუეში ჩაიცვა, ქუდი დაიხურა, იარაღი მომეცინო, დათოს უთხრა. დათომ იარაღი ამოიღო და ჯიბეში ჩაუდო. თორნიკემ ერთი გამოხედა ბაადურს ავი თვალებით და კარი ისე გაიჯახუნა, ფანჯრებმა ზრიალი დაიწყეს.

შუაღამისას კრავაის სიცხემ ოცდათვრამეტამდე დაიწია. ბოდვა შეწყვიტა. ყველანი აქ მოდითო, თქვა, ჩამოთვალიერა და კარისკენ გაიხედა. წავიდაო, თიკამ უთხრა. რომელი საათიაო იკითხა. პირველი დაიწყოო, მამამ უპასუხა.

— ძალიან მეძინება. ყველანი წადით მე კარგადა ვარ, ახლა დავიძინებ და ხვალ ყველას დაგასწრებთ ადგომას.

სამი საათი იქნებოდა, ბაადურმა მის ოთახში რომ შეიხედა, მშვიდი სუნთქვა გაიგონა და გავიდა. მარეხი ბუხართან, სავარძელში ჩაჯდა, გოგონა ძილს გაიღრმავებს და მერე შევალ, ვაითუ სიმშვიდე დავურღვიოო.

●

ყველაფერი ცეცხლისფერი იყო: თოვლი, მისგან დაზნექილი ხეებიც და არემარეც. მირბოდა, მანძილს ვერ გრძნობდა და ეჩვენებოდა, თითქოს ერთ ადგილას ვბრბოდა. ცეცხლისფერ ღამე ძალიან აშინებდა. მეტი არც არაფერი ედგა თვალებში შიშის გარდა. მალიმალ შედგებოდა, შუქს თოვლზე ისე გაფაციცებით მოატრაბდა, თითქოს რაღაც დაკარგულს ეძებდა. ტუჩები გაფიცხებული ჰქონდა, პირი უშრებოდა სირბილის დროს გზას არ უყურებდა, ტყის ბოლოსკენ, სადაც ეკლესია ეგულებოდა, იქითა ჰქონდა მზერა მიმართული. მირბოდა და შიშისაგან იმასაც კი გრძნობდა, როგორ მისდევდნენ უკან მისივე ნაფეხურები. ისევ შეჩერდა ფარანი რაღაცას მიაშუქა, ნაკვალევი აღმოჩნდა, თავისი ფეხი დაატოლა და მიხვდა. ნაფეხურები კაცისა იყო. სირბილი განაგრძო. ბრაგუნის ხმა შემოესმა, შეჩერდა, თავი ვეღარ შეიკავა და თოვლზე პირქვე დაეცა, გამტანარებული ელოდებოდა, როდის დაიცრებოდა დათვი და დატორავდა. მერე იგრძნო, როგორ დაუჭირა თმა ვიღაცამ და ზევით აქაჩა, ფეხზე დააყენა და ეკლესიის მიმართულებით უბიძგა. უცბად, რაღაცამ მიწას მოსწყვიტა. მისი კვილი ტყეს მოედო, რამდენიმე ხანს ნიწიდან ოდნავ აცილებული მიჰქროდა და მიჰკიოდა, ოღონდ კვილი თვითონ არ ესმოდა, თმაზე ისევ ექაჩებოდა ვიღაც, მაგრამ არ სტკიოდა ან სტკიოდა და ვერ გრძნობდა. ცოტა ხანში ისევ იგრძნო ფეხქვეშ მიწა და კვილი შეწყვიტა. შენიშნა, ცეცხლისფერი გამქრალიყო. თოვლის თვალისმომჭრელი სითეთრე სიბნელეს აათკეცებდა. მიხვდა, ცეცხლისფერი რატომაც გამქრალიყო. ფარანი დაჰკარგვოდა. შეჩერდა თუ-არა ტყიდან ორი მუქი არსება გამოვარდა, თოვლები უბრწყინალებდათ, მისკენ მოჰქროდნენ. ხელები სახეზე აიფარა და ჩაჯდა. ასე აღარც იმათი ფეხის ხმა ესმოდა და აღარც ბრწყინალა თვალებს ხედავდა.

— დაბრუნდი! — მოესმა ისეთი ხმა, რომ ტანში გააზრიალა, ხელები ახლა ყურებზე აიფარა.

— წამოდი! — ადექი, წამოდი! — ეძალებოდა მეორე ხმა. თავს ძალა დატანა, თვალები გაახილა. არაფერი და არავინ ჩანდა ტყის გარდა. ადგა, ჯერ ხეთა ტანის ქვეშ დაბდებულ სიშავეს მიაშტერდა, მერე უკან მოიხედა.

— მამაააა!.. — ეგონა, იკივლა რაც ძალი და ღონე ჰქონდა, თუმცა იმდენად ღონემიხდილი იყო, ხმა ათ ნაბიჯზეც ვერ გაიღწევდა. ძახილზე ხეების ქვეშიდან უზარმაზარი არსება გამოვიდა. მთელი ტანი ბალნით ჰქონდა დაფარული. ხელს უქნევდა, ჩემკენ წამოდიო. ისევ აკივლდა, ხელები სახეზე მიიფარა და ჩაჯდა. ღონე რომ გამოელია, ტირილი დაიწყო. ახლა უკანიდან მოესმა ნაირნაირი ხმები: ხარხარი, ყვირილი, ქუხილი, წამოვარდა. ყველანი ერთად მისდევდნენ: ტყის კაციც, ეშმაკიც, დათვიც. ყველანი კვაში ჩასდგომოდნენ და თავთავიანთი ხმებით მიჰყვიროდნენ. მირბოდა და დაღლილობისაგან ძლივსღა სუნთქავდა. ხმამაღლა სიმღერა დაიწყო: „მზე დედაა ჩემი, მთვარე მამაჩემი, წვრილ-წვრილი ვარსკვლავები და-ძმებია ჩემი“. სიმღერა სირბილს უშლიდა. წაბორძიკდა და ისევ დაეცა. გაურკვეველ ხანს იწვა პირქვე. პირველი, რაც იგრძნო, ის იყო, რომ სახეზე თოვლის შეხება ეამა. წამოდგა, ზედ ხევისპირას წაქცეულიყო, ერთ ნაბიჯზე ღრმა ხევი იწყებოდა. ეკლესიაც ტყის ბოლოს რომ ეგონა, ხევის იქით ყოფილა. პირი ხელებაშუა მოიქცია და გასძახა:

— ეჰეეი, გამოდი, მეშინია!!!

არავინ გამოეხმაურა. ყველაფერი გამოელია: ხმაც, ცრემლიც. ძალ-ღონეც. დაიცალა, დამშვიდდა. ღარ ეშინოდა. ხევში ჩასვლა დაიწყო, თუმცა დარწმუნებული იყო, იქით ვერ გაიღწევდა, ძალა არ ეყოფოდა და აუცილებლად ხევში მოკვდებოდა. ცერიცერ ჭრილი დაღმართს. შუა დაღმართზე მის თავთან რაღაცამ გაანათა. ახედა, სანთლის ნალევი ენთო. გაუკვირდა. სანთელი შუქთან ერთად სითბოს კი არა, სიცივეს აფრქვევდა და თავზე ოდნავ მაღლა და უკან მიჰყვებოდა შიშის განცდა რომ დაკარგა, ხამაღლა ლაპარაკი მოუნდა. შედგებოდა, შუქიც გაჩერდებოდა ჰაერში, გაავრძელებდა სიარულს, ისიც უკან მიჰყვებოდა. დაღმართი ჩაათავა, ალმართი დაიწყო, რომ ფეხებში რაღაც გაებლანდა. არ შეშინებია, ისე დაიხედა.

— სათოვლია, ჩემო საყვარელო, აქ რა გინდა. მოდი, უბეში ჩაგისვა, რა ცივი თათები გაქვს, როგორ გიცემს გული. არ ამომიხტე უბიდან, სათოვლია, ჩემს ხელებს შენთვის არა სცალიათ. მანდედან შეხედე, როგორ დაგვნათის თავზე რაღაც! შეხედე, სათოვლია, აბა, ვინ დაგვიჯერებს, რაც ენახეთ. თენდება კიდეც, ახლა არაფერი გვიჭირს. მე რომ მოვკვდე, შენ რა გეშველება, საწყალო, როგორ უნდა წახვიდე ამ სიმორიდან, მგელმა რომ შეგეჭამოს ან დათვმა შეგაშინოს და გაგისკდეს ეგ პატარა გული... შუქი გამქრალა, ნეტავი დამენახა, როგორ გაქრა. აი ,ნაფეხურები ეკლესიაში შედის, ესე იგი, ისიც გადარჩა, ხომ მივხვდი, ღამე არ წავიდოდა.

ეკლესიაში, სარკმლის დასწვრივ, ბინდბუნდში შავად რაღაც მოჩანდა. მიხედა, ვინც იქნებოდა. კაცი იჯდა, თავი მუხლებზე ედო და ეძინა, მის წინ ჩაიჩოქა:

კაცი წამოვარდა. სათოვლია უბიდან გადმოხტა და წკმუტუნი დაიწყო.

— მე იმიტომ მოვედი, რომ ცუდად ვარ... ყველაფერი მტკივა, თავიც მისკდება, გულიც. ეს ხევში დამეწია. კიდევ კარგი, აქა ხარ, თორემ მგლები შეეჭამდნენ. მარტო როგორ წავიდოდა. მე ვიცოდი, რომ... მე ეშმაკები და დათვები მომდევდნენ... — თავი ვეღარ შეიკავა, მოწყვეტით დაეცა.

კაცმა ხელში აიყვანა. გონწასული გარეთ, თოვლზე დააწვინა, ყურები და საფეთქლები დაუზილა. ლეკვი წკმუტუნით მირბოდა ხევისკენ და ისევ წკმუტუნით ბრუნდებოდა უკან. თორნიკემ გოგონას გულზე ყური დაადო, სუსტად უცემდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—კრავაი! — ჩასძახა, — კრავაი, გაახილე თვალი!

ისევ აიყვანა, ვაივაგლახით გადავიდა ხევზე. ტყეში შედარებით ადვილი იყო ტვირთით სიარული. კრავაიმ თვალი გაახილა, არეული ლაპაოკი დაიწყო. ტყიდან სროლის ხმა და გაურკვეველი ყვირილი მოესმა.

— სიცხისაგან იწვის, — თქვა ხმამაღლა.

ისევ მოესმა სროლის ხმა.

— მოდიან! — კიდევ აუჩქარა ნაბიჯს.

წინ ბაადური და დათო მორბოდნენ. შემდეგ დანარჩენები. ბოლოს ზურაბი გამოვიდა ტყიდან, ხელში თოფი ეჭირა და შიგადაშიგ ჰაერში ისროდა, ალბათ, ნადირის დასაფრთხობად.

ბაადურმა დაინახა თუ არა თორნიკე ხელში აყვანილი კრავაით შედგა, ჯერ მიაშტერდა, მერე საფეთქლებზე ხელები მიიჭირა და თოვლზე დაიჩოქა.

— როგორ არის, რა მოხდა! — ყვირილით მოვარდა დათო.

— სიცხე აქვს, გონზე არ არის, — ბაადურს რომ გაეგონა, ისე ხმამაღლა თქვა.

ყველანი მოცვივდნენ. თორნიკემ კრავაი თოვლზე დაიწვინა და მერე ძლივს წამოდგა, ძლივს გაიმართა წელში.

— ჩქარა, ბაადურ! — დაიძახა დათომ. — ჩქარა, რიგრიგობით ვატაროთ.

თიკა და მარეხი კრავაის მისცვივდნენ, კაცები დაბნეულები იდგნენ.

— მე ექიმი ვარ და სრული პასუხისმგებლობითა და შეგნებით გეუბნებით, — ბაადურს მიმართა თორნიკემ. — ახლავე თავით ფეხებამდე, ძლიერად, სხეულის დაწოლებამდე თოვლით თუ არ დაზელთ, ვერ გადარჩება, — მიბრუნდა და წავიდა.

თიკამ და მარეხმა ტანსაცმელი გახადეს. ბატონი ლუკა ფეხებს უზელდა, ზურაბი — მკლავებს, ქალები გულმკერდს, დათო ფეხებს და ზურგს. ცოტა ხანში კრავაის სხეული ვარდისფრად აუბრწყინდა. მერე რაც რამ ებადათ, ყველაფერი ზედ დააყარეს და ერთიორად დამძიმებული ტვირთით ავიდნენ სახლისკენ. ბაადურმა თიკას და მარეხს უთხრა, თქვენ ჩქარა იარეთ, ნესტანს დროზე შეატყობინეთ ამბავი, თორემ წამოვა და ფეხი გაუმიზეზდებაო.

●

თორნიკე ხევისპირს ჩაუყვა. ცოტა რომ გაიარა, უკან მოიხედა ნათლად ვერაფერი გაარჩია, გარდა მისკენ გამოქცეული სათოვლიანი. ლეკვი ფეხებში შეეძვრა, აწკმუტუნდა, ახტუნავდა. ისეთი დასუსტებული იყო, ვერ შეძლო აეყვანა და მიალერსებოდა. სათოვლიმ ნაფეხურები თოვლზე ყვავილებივით მიმოაბნია და გაიქცა.

თვითონაც მიტოიალდა და გზა განაგრძო. ლოგინში დაწოლა და ძილი ყველაფერს ერჩივნა, სამი დიდი დაღმართი ჰქონდა ჩასავლელი, შემდეგ გზაზე გავიდოდა, რომელიმე უპატრონო სახლში დაწვებოდა და დაიძინებდა. მერე ადვილად მივიდოდა დაბამდე. გზა კი აღარ ილეოდა. ტყუილად ეგონა, ჩასვლა გაუადვილდებოდა, კუნთები დაღმართში უფრო სტკიოდა. ვერ იფიქრებდა, თუ ყველაფერი აეე დამთავრდებოდა. დაკარიელებული იყო უმიზნო, უსარგებლო, ფუტუორო ხედ გრძნობდა თავს. რა მძიმედ დატვირთული მოემართებოდა აქეთობას. მიზნის სიდიადეს ისე ჰყავდა შეპყრობილი, მანძილსა და დაღლას ვერ გრძნობდა. ახლა კი, ფიქრის თავიც აღარ ჰქონდა, მუხლები ეკვეთებოდა, ტანში შემდგარი სიცივისაგან აკანკალებულ სხეულს ვერ იმორჩილებდა. მექანიკურად მიდიოდა, მზის მადლსაც კი ვერ გრძნობდა კისერი ეწვოდა მხოლოდ.

„ეჰეი“ — მოესმა საიდანღაც. მიიხედ-მოიხედა, ვერავინ დაინახა. მომეჩვენო, ხმამაღლა თქვა.

„ეჰეეი, ძმობილო, მომეხმარე“, მოესმა ისევ. ხევში გადაიხედა. კაცი ფერდობზე ებღატებოდა, ხელ-ფეხი უცურდებოდა, თავს ძლივს იკავებდა.

— ეს ვინღაა, ნეტავ, — ისევ ხმამაღლა თქვა და ხევში დაშვება დაიწყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აეე, ორმოცდაათი წლის კაცი იქნებოდა. ყინვისაგან გაშეშებული ხელებით ვეღარ იმაგრებდა სხეულს.

— კოშკიან სახლში მივდივარ, ასეთ გზებზე სიარული აღარ შემიძლია, დაბერებულვარ. აქაური ხართ? — ცალი ხელით მკლავზე ებღაუჭებოდა, მეორეთი ღვლერძებს ეჭიდებოდა.

— არა.

ნელ-ნელა ამოდიოდნენ, კაცი ძალიან დაღლილი იყო.

— შორია?

— ისე რა. იმდენად შორი არ არის, რამდენადაც აღმართია დიდი.

— იცით, სად არის კოშკი?

— ლაპარაკი უჭირდა, ქოშინებდა.

— კი. იქ ვიყავი. ნუ ლაპარაკობთ, ძალა გამოგელევათ.

— რაღა გამომელევა, რაც არა მაქვს. ამოვედით, როგორც იქნა! არ მეგონა ცისქვეშეთს თუ კიდევ დავინახავდი. ღრმა ხევია, ცის გარდა, ვერაფერს ვხედავდი. ხევ-ხევ წამოვედი, ვიღაცის ნაკვალევმა შემაცდინა. ვინ არიან იქ, რა ამბავია?

— მშვიდობაა, მაგრამ დიდ-პატარიანად უცნაურები არიან, ნაკვალევი ჩემი იყო. იქნებ დაისვენოთ ცოტა.

— ახლა რომ დავჯდე, ვეღარ ავდგები. პატარებიც არიან?

— ერთი. აქ ჩამოსვლამდე თურმე ერთმანეთს არ იცნობდნენ. ხელები თოვლით დაიზიღეთ, სისხლი შეგეყინებათ.

— არა, არ შემიძლია, აღარაფრის თავი არა მაქვს, შიმშილითაც გული მიწუხს. ვინ იცის, სად გეჩქარებოდა, შეგაყოვნე. იქნებ ავაღწიო როგორმე. დიდი მადლობა.

— ამ აღმართს აივლით, ტრასაზე გახვალთ, მერე ადვილია. ავტობუსს გაჩერებიდან სახლიც ჩანს.

— გმადლობთ, — კაცი ძლივს იდგა ფეხზე. — გმადლობთ, ძმაო, — მიბრუნდა და წავიდა.

თორნიკე უყურებდა, კაცს თოვლი მუხლზემოთ სწვდებოდა, დაღლილობისაგან მთვრალივით მიბარგანობდა.

— დაგორდება, ვერ ააღწევს. ამბავი ალა მანძილზე ადამიანს ან სიყვარული ამოიყვანს, ან სიძულვილი.

კაცი თოვლში წაიქცა, დაიმალა, ერთხანს იწვალა, მერე ძლივს ამოჩნდა თოვლიდან და ისევ ტორტმანით განაგრძო გზა.

— დაგორდება, — თქვა ისევ ხმამაღლა და სიცილით დააყოლა: — კარგადა მაქვს საქმე, ხმამაღლა ფიქრიც ხომ ვისწავლე.

შემობრუნდა, ორიოდე ნაბიჯი გადადგა და ისევ მიიხედა.

—ჰეი! დამიცადე. მოვდივარ! მკვდარი მკვდარს აეკიდაო, ჩვენზეა ნათქვამი.

კაცი ძლივს შემოტრიალდა, მადლიერი თვალები მიაპყრო. თორნიკე მივიდა, მხარში შეუდგა.

— გუშინ საღამოს ეს გზა ავიარე, ამ დილას ნახევრამდე ჩამოვიარე, ახლა ნახევრიდან ისევ ზევით მივდივარ.

— ღმერთმა შეძლება მოგცეს. კეთილი კაცის საქმე წასულია..

— იქნებ ეგრეც იყოს.

— ზევით, ალბათ, ინტიმური წყვილები და დროსტარება იქნება, არა?

— არა, წყვილები არა მგონია იყვნენ. გოგონაა ავად. რა მაგრად წვავს მზე დაგვწიოლებს, სანამ მივალთ.

— რა არის შენი.

— ვინა, გოგონა? არაფერი!

თითქმის წამოკიდებული მიჰყავდა თვითონაც მუხლები ეკეცებოდა, აღარ შეეძლო.

სახლიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. თორნიკემ კარი ფეხით გააღო, ტახტამდე ძლივს მიათრია, თვითონაც მოწყვეტით დაეგდო.

ბუხართან წიგნით ხელში გაკვირვებული თიკა იდგა.

— ნუ გეშინიათ, ქალბატონო თიკა. კაცებს დაუძახეთ, მიხედონ.

თიკა ოთახებისაკენ გავარდა. ერთმანეთს ასწრებდნენ, ისე შემორბოდნენ. ყველა შემოვიდა კრავის გარდა. თორნიკემ კითხვის თვალით შეხედა თიკას

ეროვნული ბიბლიოთეკა

თიკამ ხელი ჩაჰკიდა და კრავის ოთახისაკენ წაიყვანა.

— მაშინვე დავზილეთ, — აჩურჩულდა თიკა. — სიცხე ჯერ დაუვარდა, მერე მკვეთრად აუწია, ცოტა ხანში ღრმად ჩაეძინა. ჩვენი თავისთვის ვერ გვიპატიებია. როგორ გაგვეპარა! ფანჯრიდან გადასულა. სათოვლია აწკმუტუნებულა, ბატონი ლუკა გაუღვიძებია, საბანზე ეფხოჭიალებოდა თურმე. მარეხი ბუხართან სავარძელში თვლემდა, კარიდან რომ გასულიყო, აუცილებლად გაიგებდა. ბაადურს ეშინია, იმ ტყის გადავლის შემდეგ ნორმალური თუ დარჩებაო. ერთ ადგილას, რამოდენიმე მეტრზე კვალი წყდებოდა, ვერ მივხვდით, რატომ.

თორნიკე კრავის უყურებდა, მის ღრმა სუნთქვას ყურს უგდებდა და შეკავებული ცრემლი ცხვირსა და ყელს უწვავდა.

— თიკა, — უთხრა გაბზარული ხმით. — დამაძინეთ სადმე, მწევარივითა ვარ დაღლილი.

— წამოდი, ბიბლიოთეკაში დაგაძინებ, ხმაური არ ამოვა.

დიდი ოთახი გაიარეს, კაცებს სტუმრისთვის ტანსაცმელი გაეძროთ საბნები დაეფარებინთ. თიკამ თორნიკე დაბინავა და ბუხართან მჯდომ ქალებთან მივიდა.

— არჩილია, — უსიტყვო შეკითხვაზე უპასუხა მარეხმა თიკას. — რამ გაგახარა, ხედავ, სად მოიყვანა სინდისმა? ეტყობა, დიდი დანაშაული აქვს. მერჩივნა, შინ დამლოდებოდა, უფრო ადვილად მოგვარდებოდა ყველაფერი.

— რას იზამ?

— არაფერი არ ვიცი. იმის პირობას კი გაძლევ, აქ არაფრით შეგაწუხებთ.

— კარგი ერთი, — გაეპასუხა ნესტანი. — ერთმანეთი უნდა შევაწუხოთ, აბა, რადა ვართ ცოცხლები. სადილი გავაკეთოთ, კაცებს ტანსაცმელი დავურეცხოთ და დავუშროთ, ყველაფერი კარგად იქნება. გამოიმინდა, ხვალ ალბათ ავტობუსიც ამოვა. თუ სურვილი გვექნება და კრავიც გამოკეთდება, წავალთ, თუ არა — კიდევ დავრჩებით.

დათო გარეთ გავიდა და თავის მოვალეობას — შეშის ჩეხვას შეუდგა. ბაადურმა, სახურავს გადმოვთოვლავო, ბატონმა ლუკამ სამზარეულოსაკენ გასწია, სათოვლისათვის საჭმლის მოსახარშად.

საღამოსპირზე ყველაფერი მზად იყო.

დასასრული შემდეგ ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოსო მაჭარაშვილი

თუ ნათელი ემატება დღეს

არარსებულს არ უწვრთია დიდება,
არც სიძულვილს
გაუკვალავს გზები...
საქართველოს სიყვარული სჭირდება
და სიმაღლის
დასაპყრობი ფრთები.
ზენა ქარი ზეცას აუხირდება,
ქვენა ქარი —
ქარაფსა და კბოდეს,
საქართველოს ერთგულება სჭირდება!
რომ სიცოცხლეს
გამართლება ჰქონდეს...

როცა ფიქრი რწმენის ბილიკს მიჰყვება
და მერმისი
ემსგავსება ედემს,
საქართველოს თავგანწირვა სჭირდება,
რადგან სული
უკვდავებას ეძებს!
და თუ ბედმა გაღიმება ინება,
თუ ნათელი
ემატება დღეს,
საქართველოს გამრავლება სჭირდება!
რომ სხივები
დაუდაფნოს მზეს!

არ შეიძლება ამშვიდებდეს გრძნობას წარსული

მარადიული
სინათლისკენ
თვალმიმართული,
ბრძნული,
მაღალი
და უსაზღვრო
ფიქრით
გართული,
სანამ
არსებობს
ქვეყანაზე
სული
ქართული,
როგორც
იმედი
სხივოსანი
და ზეასული...
არ შეიძლება
ამშვიდებდეს
გრძნობას
წარსული!!!

სიბრძნის ერამდე

სინათლეს ველტვი და მირაჟი უდაბნოს ერთვის,
ცხოვრება ცელქი, ჯადოსანი ლამაზმანია.
(რამეთუ ვერ ვთქვი, რომ უბრალო ბანოვანია
გულჩირეული, თავგასული, ჯიუტი, კერპი...)

ქვეყანა ჩემთვის საოცნებოდ ივარგებს სანამ,
მინდა მშვენებას ჩემეული ძეგლი დავუდგა...
(თორემ სიყვარულს თუ პოეტიც განზე გაუდგა,
აღარ ეყოფა სასიკეთოდ სიცოცხლეს ძალა!)

დრომ აჩრდილივით უსახურმა, გრძნეულმა ყოვლად,
ბევრჯერ მომიძღვნა სინანული შხამად და ძაწოლად...
მაგრამ შენამდე მსურს ციური ფიქრით ვდელავდე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ედარდებოდეს პოეზიის ტკივილი სხვისი,
მარად კვებავდეს აღმოფრენას ძირები მისი!
და მზე ბელავდეს ალმაზეს სიბრძნის ერამდე!

გრძნობს საქართველო

სიამაყეა, სიმაღლეა, თუ აღმაფრენა,
ეს სულერთია,
იღვიძებენ მთები ზმორებით...
გრძნობს საქართველო
გამარჯვების
სხივთა მოფენას
და უკვდავებას
თაობათა განმეორებით...
მაგრამ მაჰმადის ძლიერებით ნალეწ
გალავნებს
რიდე ვიხილენ,
ნწუხარება
ფუთით არ ცხრება
(ვხედავ სამშობლოს ნახანძრალში
უცხო ქარავნებს,
აღია სიახლიან აიაზმის
ნელაურნელება...)

გაითავისებს დრო წარსულის მწარე
ქარაგმებს!
როგორც წუდიადში გამომწყვდეულ
პრეისტორიას.
რადგან უცნობი ქალაქების
ძვალთშესალაგებს
მარად აწუხებს
დაკარგული ტრაექტორია.
და თუ სიცოცხლე დავიწყების
სუნთქვას ეჩვევა,
თუ მოგონება
მოწონებით
ირჩევს სადავეს,
საუკუნეთა ლაბირინთებს
მუდამ ემჩნევა
ფოლიანტების მარტვილობა
და სისადავე!

საპატიო

არის ანკარა წყარო დიდების
და განდიდების
წყარო ამაო?..
თუ განდიდებას დავეწაფებით,
წამსვე დიდება
ხდება სადაო...

რადგან დიდება სდევდა იესოს,
როგორც ილბალი
შურისძიების...
ყველას თავისი უნდა მიეზღოს! —
და ეპატიოს
საპატიები!

ფერთა სიზმარი

წვიმს. მოგონებას ნამივით ღვიძავს.
რეკს შორეული
წარსულის ზარი...
მზე უსასრულოდ უღიმის მიწას
და სასოებით
სავსეა ქარი!
წუთებმა ნატვრა სივრცეებს მოსდეს,
საღად იწყებენ
ფიქრები ლივლივს...

ასე სიამე ტკივილებს მოსდევს,
ასე სიცოცხლე
უსაზღვროდ ივლის!
დრო კი განცდილი ფარული
თრთოლვით
და სიყვარული
ხატივით მკვდარი
სულში შემოდის ახალი ლტოლვით,
ვით სათნოების
ფერთა სიზმარი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი ციცროშვილი

ლექსის დაბადება

უფსკრულიდან ამოდიხარ
დღის სინათლეზე,
ხარ მასპინძელი
და მეგზური ნაცნობ ლანდების.
ჭიანჭველები საარსებო
ტვირთს მიათრევენ,
წვიმს...
საფარს ვეძებ დამაშვრალი და...
იბადები.

წამსვლელ-მომსვლელის
გზას გავყურებ დიდი ხანია.
ფხიზლობა მიწყივ...
წვა და შვება ქვეყნის ამბებით.
ფიქრს შემატოვებ,
დამანახებ ზეცას კვამლიანს,
ისევ პირქარი...
ბეწვის ხიდი და... იბადები.

ვიცი ვინ ხარობს,
ვის რა უმძიმს,
საითკენ ვმგზავრობ,
საიდან მიხმობს
ჩემი მრევლი, ჩემი ხატები.
მიჯაჭვული ვარ
ყველ დროის უტყუარ ფუძეს,
ყინავს...
ცეცხლს ვეძებ დამაშვრალი და...
იბადები.

ძველი სურათების გახსენება

ო, რა მწარეა,
ო, რა ტკბილია
ჩემი ბავშვობის მცირე საგზალი.
წადილი სადღა არ მომაკითხავს,
წადილი სადღა არ გამაგზავნს.

კლდე-ციცაბოზე გადმოკიდული,
ჯაფით და ოფლით
ცხოვრობს სოფელი.
კვლავ მათბობს ხსოვნა:
დიდედას ვყავარ
ხან უმადური, ხან მადლობელი.

კვლავ მათბობს ხსოვნა:
სათიბი. კალო.
მეზობლის ქალი — სოფლის მისანი.
საგაზაფხულოდ ირთვის პირმზითი,
თოვლს აცილებენ ბარში ქვიშანი.

და ალაგ-ალაგ
სიზმრების ადგილს
გადავლებია ჯაგი, ხვიარა...
კვლავ მათბობს ხსოვნა: იმდროინდელმა
ტკბილ-მწარემ გვერდი ვერ ამიარა.

წარსულიდან აწმყოში

მიდის,
წარსულის მდინარე მიდის
და წლებს თავისი
ნადავლი მიაქვს...
გზადაგზა მოჩანს
კეთილი, ფლიდი,
სახლი,
სასახლის კარები ღია...

რას მექადნები
ყოვლის მტვირთველო
დროო...
რას მეტყვი განგებავ გზიანს.
როს გაგიღიმებს
დღე ხვალინდელი,
ჩემი ქედების
დეკავ და ღვიავ!

ნუგზარ შატაიძე
არმაზ ბურნაძე

ოლღა და ილია

(სამნაწილიანი ეპისტოლური დრამა)

მოქმედი პირნი:

ოლღა

ილია

წამყვანი (მამაკაცი)

ნაწილი პირველი

დახურული ფარდის წინ წიგნით ხელში გამოდის წამყვანი, წიგნს ჩანიშნულ ადგილზე გადაშლის და მაყურებელს მიმართავს.

წამყვანი — ნება მიბოძეთ, წაგიკითხოთ ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და მკვლევარის ბატონ პავლე ინგოროყვას ერთი პატარა მოგონება (კითხულობს). „თბილისის უნივერსიტეტის შენობაში ოციან წლებში მოთავსებული იყო უძველესი ქართული კულტურული დაწესებულების — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმი, ძველ-ქართული ხელნაწერების უმდიდრესი კოლეკციით. ბიბლიოთეკა-მუზეუმთან მოწყობილი იყო „ილია ჭავჭავაძის ოთახი", სადაც დაცული იყო ილიას პირადი ნივთები: ილიას ბიბლიოთეკა, ილიას კაბინეტის მოწყობილობა. ილიას ეს ოთახი არ იყო გახსნილი მნახველთათვის. ოციანი წლების დასაწყისში, როდესაც ვმუშაობდი „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერების ტექსტების შესწავლაზე, ბიბლიოთეკა-მუზეუმის ადმინისტრაციამ ნება დამრთო მომეწყო სამუშაო კუთხე ილიას ოთახში, სადაც ბიბლიოთეკა-მუზეუმიდან გადმოტანილ იქნა მუშაობისათვის საჭირო ძველ-ქართული ხელნაწერები. ილიას ოთახში მუშაობის დროს ერთხელ, ჩემი აურადღება მიიპყრო ხის აუთმა, რომელიც ილიასეულ წიგნებთან ერთად იდო საწიგნე თაროზე. ეს ხის აუთი დახურული იყო, მაგრამ გასაღებით არ იყო დაკეტილი. როდესაც ჩავიხედე ამ ხის აუთში, შიგნით აღმოჩნდა მეორე აუთი, მუყაოსი, შეკრული ზონარით. გავხსენით მუყაოს აუთი, — იგი სავსე აღმოჩნდა წერილებით. ეს იყო წერილები ილია ჭავჭავაძისა, მიმართული მისი ცხოვრების ერთგული თანამგზავრის ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილ-ჭავჭავაძისადმი. ილიას ერთგულ მეგობარს ოლღას სიყვარულით შემოუნახავს ყველა წერილი, რომელიც კი მიუღია ილიასაგან მთელი ცხოვრების მანძილზე. ილიას წერილებთან ერთად აუთში დაცული იყო გამმარი ველის ყვავილი, ვინ იცის, როდის მოწყვეტილი ილიას ხელით და სასოებით შენახული მისი მეგობრის მიერ წერილებთან ერთად. მღელვარებით ეკითხულობდი ამ წერილებს. წერილების კითხვის დროს ილიასეულ ოთახში თითქოს გაცოცხლდნენ ილიას და ოლღას ჩრდილები..."

წამყვანი გადის. ფარდა ნელ-ნელა იხსნება. სცენა პირობითად შუაზეა გაყოფილი. მისი ერთი ნაწილი წარმოადგენს ილიას ოთახს, ხოლო მეორე — ოლღასას. მკრთალი შუქით განათებულ თთახში ოლღა გურამიშვილი ფანჯარასთან მიმჯდარა და გარეთ იყურება. ილია საწერ მაგიდასთან დგას (ამ სურათში ოლღა ოცი წლისაა, ილია — ოცდახუთის). ილია საწერი მაგიდიდან ფურცელს აიღებს, ავანსცენისკენ მოდის და გზადაგზა კითხულობს.

ილია — სადაც ნაბრძანები მჭონდა ყოფნა, იქ ვიყავი, მაგრამ ვერავინ ვნახე, ყველაფერი ჩვენი სარეთო მეგობრის ბრალია. მან ექვს

საათზე გადმომცა წერილი, შეიდის თხუთმეტ წუთზე კი მე უკვე სიცივისაგან კკანკალებდი თქვენს ჭიშკართან. ორჯერ შემოვიარე ის ადგილი, სადაც. ჩემის ანგარიშით, ერთმანეთს უნდა შეეხვედროდით. მერმე ბერიძესთან გასათბობად მივედი, შემდეგ ისევ. თუ არ ვცდები, ათი წუთი ვიდექი გარეთ. კვლავ უშედეგოდ. ხვალ შუადღისაა, სრული პირველს საათზე, ბერიძესთან მოვალ; ხომ შეიძლება გნახოთ, თუნდაც იავნზზე? რომ არ გაიკიროთ... გადფრთხილები, სრულ პირველ საათზე ეიქნები (ავანსცენაზე მდგარ სკამზე ჩამოჯდება). მე მგონია, ხიფათში იგდებთ თავს, როცა ჰაერმანს მინიშნეთ თქვენსავე ახლოანა, სადაც ასი თვალი გვითვალთვალებს. მე ბევრი რამის, ძალიან ბევრი რამის გამო მინდა გესაუბრთო. მეშინია, ვაითუ სიჩქარით ყველაფერს თქმა ვერ მოვასწრო, თანაც თქვენთვისაც მოუხერხებელი იქნება ყურის დგება, სადაც პატარა შარიშურამეკი კი შესაძლებელია შიში გამოიწვიოს და ყურადღება წაგართვათ. ყველაფერს აჯობებს, შეეხვედით სადმე სხვაგან, თქვენ სახლისაგან მოშორებით, თუნდაც, მაგალითად, ტაძარში, მაგრამ, რასაკვირველია, ნება თქვენია, მიბრძანეთ, რასაც ინებებთ, მე ყველაფერს შეასრულებ. რაც უფრო ადრე გნახავთ, მით უკეთესია, ბევრი რამ მინდა გადმოგაცეთ. დღესვე მიპასუხეთ ამ ნაწერიეს წერილზედ. გვარი მოაწერეთ, რისი გეშინიათ? ერთხელ თუ კი მენდეთ, მაშინ სრულად და ბოლომდე მომენდეთ. გთხოვთ, ეს წერილი დაიბრუნოთ, მიზეზს, როცა შეეხვედით, მაშინ აგიხსნით. ილია ჭავჭავაძე. 18 იანვარი, 1863 წელი.

ოლღა — (კვლავ ფანჯარაში იყურება) რადგან ითხოვთ, რომ დაგიბრუნოთ თქვენი წერილი, ამიტომაც გიგზავნით, ოღონდ თქვენ ნამეტნავად მკაცრი ხართ ჩემს მიმართ — არა გსურთ, რომ ჩემთან ვინახავდე თქვენს წერილებს (შემობრუნდება). ღვთის გულისათვის, აუცილებლად მომწერეთ, იქნებით თუ არა შინ დღეს პირველ ან ორის ნახევრამდე, რათა წერილი გამოგიგზავნოთ და შეგატყობინოთ, რომ საკმაო დრო მაქვს გნახოთ და მოვალეპარაკოთ ყველაფერზედ, რაც საჭიროა. გთხოვთ, ნინოსთან გულახდილი იყოთ, იგი ჩემი ერთადერთი მეგობარია, რომელსაც ყველაფერს ვენდობი. მან თვითონ დაიწყო ეს ამბავი, მე თქვენ არც კი გიცნიჯდით, როცა ის მირჩევდა და სურდა, რომ ჩვენ ერთმანეთს ეკუთვნენმდოდით... მაგრამ როგორც კი დაგინახეთ, იმ წუთიდან მე თქვენი ერთგული მეგობარი ვარ და ასეთი დავრჩები ჩემი სიცოცხლის ბოლომდე. თუმცა, ვატყობ, ბევრი წერით თავს გაბეზრებთ... მეშინიან, ვაითუ, თავი აგატკივოთ ჩემის ნაჩხაპნის კითხვითა. მაგრამ თქვენ თვითონ მწერდით, რომ „ბოლომდე მომენდეკითო“ და ამიტომაც გწერთ ყოველივეს... (კბილ კალთაზე ხელისგული გადაისვამს, თავს ჩაღუნავს) თუ ჩვენი საქმე აეწყო, დამერწმუნეთ, რომ ამ ბედნიერების მთავარი მიზეზი თქვენ იქნებით...

ილია — (აკამიდან წამოდგება და ოლღას გახედავს) იცოდეთ, მომავალში სიყვარულია და ეროგულების მეტს ვერაფერს შემოგთავაზებთ. მართალია, ადამიანები ამ ორი რამითაც არიან ბედნიერნი, მეც მჯერა, რომ შესაძლებელია ასეთი ბედნიერება, მაგრამ, მითხარით, თქვენ თუ გჯერთ ასეცე? აი, საკითხი, რომელიც მოსვენებას არ მაძლევს. იცით თუ არა ყველაფერი ჩემის მდგომარეობის შესახებ? იცით თუ არა ჩემი აწმყო? ხოლო, რაც შეეხება მომავალს, იმაზე არც ღირს ლაპარაკი, რაც უფრო შორს ვიხედავი, მით უფრო ცოტას ვხედავ სანუგეშოს. მართალია, მე ჩემი თავი სიღარიბისა და შრომისათვის გადამფდია; მართალია, არც ერთისა და არც მეორის არ მეშინია, მაგრამ არა თქვენ გეშინიათ მისი? თუ არ გეშინიათ, მე თქვენი ვარ, ესე იგი — შენი ვარ! თქვენი წერილი გახსნილი მივიღე. მეგობრობაც ამასა ჰქვია! ძალიან კი გმეგობრათ ინ თქვენმა ნინომ.

შებრუნდება და საწერი მაგიდისკენ წავა. ოღლა კვლავ ტახტზე ზის ფანჯარასთან, ცოტა არ იყოს, დთრგუნული.

ოლღა — (ნაწყენი კილოთი) ეგ თქვენი ნამეტნავი სიმაცარე და პირდაპირობა, ღმერთმანი, მაშინებს და მაფიქრებს კიდეც... მერწმუნეთ, სიყვარული დიდი გფრთხილოს სჯერდეს, მით უმეტეს, ჩვენს ეხლანდელს მდგომარეობაში. ამ მშვენიერ გრძნობას მხოლოდ ტკბილი და ალერსიანი სიტყვა თუ მისცემს საზრდოს, თქვენი უკმეხი სიმართლე კი მას დასჩაგრავს და დაეხრობს, რადგან სიყვარული ია ნაზი ყვავილია, რომელიც ცხოვრების ხუსხსა და ყინვას ძნელად თუ გაუძლებს...

ილია — (გაჩერდება და შემობრუნდება) მე არ მიყვარს დაშაქრული და დაცრემლილი სიტყვები, მე არ მიყვარს საკუთარს გრძნობებზედ ლაპარაკი, ჩემთ მეგობარო, — ეს მხოლოდ რომანებში იცით, ისიც ფრანგული ყაიდის მოსულელო რომანებში. გულს შემაზზზენი პირფერობა, ტკუილი ქება და პირიდამ თაფლის დენა, რომელსაც ქართველი „ზრდილობას“ ეძახის, — ესენი ერთად შტოვი არიან დამპალი ყიზნიბაშობისა. დამიჯერე, რაც უფრო მეტია სიტყვა, მით უფრო ნაკლებია გრძნობა, ანდა პირიქით, რაც უფრო ნაკლებია სიტყვა, მით უფრო მეტია გრძნობა. ეს ისეთივე ეჭვმარიტებაა, როგორც ორჯერ ორი ოთხია (საწერ მაგიდას მიუჯდება, სახეს ხელისგულებში ჩარგავს, ჩაფიქრდება, მერე თავს ასწევს). ორშაბათს სიტყვა მოგეცით, თქვენი ვიყო, და, რაც არ უნდა მოხდეს, თქვენი ვიქნები. ამკამად თუკი რამეს ვეუსაყვედურებ ჩემს თავს, მხოლოდ შემდეგს: სიტყვის მოცემამდე პატიოსანი კაცის ღირსება მავალებდა მეთქვა,

თუ როგორია ბედი იმ ადამიანისა, რომლის მინდობაც თქვენ გადაგიწყვეტიათ. რისი თქმაც მაშინ ვერ შეეძელ. ახლა ავასრულე. ამიტომ, ღვთისა გულისათვის, ნუ ღელავ, შენს თავსა ეფიცავ, ჩვენი სამქე კარგად დაგვირგვინდება. იქნება იმაია დარდობ, რომ ბ ამომარჩიე, — ეს სხვა საქმეა, — თუ არა, რა გაქვს სანაღვლო, ჩემო მეგობარო! გეფიცება, ოლიოჯან, შენი ილიკო, მუდამ შენი იქნება!

ოლიო ტაბტიდან წამოდგება, მაგიდიდან ფეიერკელს აიღებს და ავანსცენისკენ გამოსწევს.

ოლიო — (ხალისიანად) დილა მშვიდობისა, ძვირფასო ანგელოზო ილიკო! (ოდნავი დარცხვენით) მე ვგრძნობ, რომ შენს წინაშე დამნაშავე ვარ... აპატე, ჩემო კარგო, შენს ოლიკოს, იგი ძლიერ დაბნეული იყო... იმედი მაქვს შენი კეთილი გულისა, რომ უკვე აღარ ბრაზობ შენს ონავარზე და აპატიებ მას მის უნებლიე დანაშაულს. ღვთის გულისათვის, მომწერე ორიოდე სტატეა, რომ მეტს აღარ მიჯავრდები. ოლონდ მეღირსოს შენი ნახვა, ჩემო ანგელოზო, რომ იცოდე, როგორ მინდა... ან როგორ არ მენდობაება ჩემი სიცოცხლის ნახვა! განა სიმარილე არ არის, ჩემო კარგო, რასაც შენი ოლიკო ამბობს? ჩემი სიცოცხლეკ, საღამოს სახლში იყავი, შეგატყობინებ, იქნებ როგორმე შეეხვედეთ ერთმანეთს. დარწმუნებული ვარ, რომ შენ მოხვალ. იქნებ ისე მოვაწყოთ, რომ ყველაზე ცოტა, სამ საათს მაინც დავრჩეთ ერთად... მართალია ხომ, ჩემო ანგელოზო, რომ ამის წინააღმდეგი არ იქნები და მოხვალ?.. ახლა კი იძინე, ჩემო კარგო, ტანსაცმლის ძილით, იქნებ სიზმარში შენი ოლიკო ნახო... ბკოცნი და გეხვევი.

საუკუნოდ შენი ოლიო (ერთხანს იყუჩებს), შენ კი გენაცვალე, ჩემო სიცოცხლე!

ოლიო სადაც იდგა, იქვე ჩაჯდება და ფეხს მოირთხავს. ილია კვლავ საწერ მაგიდას უზის.

ილია — (ღიმილით) ოლიოჯან! შენი მხიარული წერილისათვის მადლობა მომიხსენებია. ნამდვილი მწერალი მყავხარ, საბელი და დიდება შენ! აი, რას ნიშნავს ქართველი რედაქტორის ცოლობა! შენ ისე კარგი ხარ და ჭკვიანი, მაგრამ ამასთან ცოტა მოუთმენელიცა ხარ, — იცი რადა? დღეს შენთან მოსვლას მოხოვ. ოუმცა მე დიდი მოხარული ვარ და ვეცდები კიდეც მოვიდე, მაგრამ ეს საქმე, სამწუხაროდ, მარტო ჩემზედ როდი ჰკიდია. ამ ეკონომის გადამყიდე ერთი წუთი მოცალა არა მაქვს. შენი ჭირიმე, როდესაც თქვენთან მოსვლას მიბრძანებ, ერთი დღით ადრე მაინც მაცნობე, რადგან დღეები ძალზედ გადატვირთული მაქვს იმგვარი საქმეებთან, რომ მათი გადადება გაფუჭებას ნიშნავს საქმისას, რომელსაც მოვეკიდე. იცი რატომ? გწერ ამასა? იმიტომ, რომ გუშინ თეატრში სიტყვა მივეც ცენზორსა, სამ საათზედ მოვალ-მეთქი; უნდა მივიდე ერთ ძნიშვნელოვან საქმეზედ, რომელიც ჩემს ეკონომს, — „საქართველოს ... ბეს“ ეხება. იგი არაფრით არ თანმხმდება გადუშვაა ერთი წერილი, მიუხედავად იმისა, რომ მთელი კვირაა ამაზედ ვეჩიჩინები. ეკონომის პირველი ნომერი ეკ ამის გამო მიჭერდება... ეს ხომ საქმეა, — ეს ეკონომ ... ბმა ... ბმაზე, ერთი ... ბერა ... ბა ... ბა ... ბ ... ბ ... ბ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ერთხელ მაინც არა გნახო... ჰა, ილიკო? მშვიდობით. სანამ მოხვიდოდე, გაკოცე, თუ ნებას დამრთავ. შენი საკოლე.

ილია — (სწერს მაგდაზე შემომჯდარი) ჟურნალი ამ დღეებში გამოვა. მე შენგან მოვითხოვ, უბრალოდ მოვითხოვ დაწერილებითს კრიტიკას. ჩვენი ჟურნალი არც ისეთი სულელური იქნება, თუკი ღრმად პატიცემელი საზოგადოება ყურადღებას მიაპყრობს იმას, რაც წაკითხვის ღირსია (წამოდგება, მაგიდას შემოუვლის, სკამის საზურგეს ორთავე ხელით დაეყრდნობა და მაყურებელს მიმართავს), ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია. ჩვენი „ბომბე", სხვათა შორის, ხელოვნების შემწეობით დაუნდობლად გამოფენს ჩვენი ცხოვრების ჭუჭყსაცა. ჟურნალი მკაფიოდ, საქვეყნოდ გამოსთქვამს მას, რაც ქართველში ცუდია და საზიზღარი... (სკამზე ჩამოჯდება და ფეხს ფეხზე გადაიდებს) მაგრამ ეს იქით იყოს, მე ხშირად ვფიქრობ შენზე, ჩემო ანგელოზო! დიდხანს გაგრძელდება ეს ჩვენი სულელური მდგომარეობა? დასწყველს ეშმაკმა, რა მოსაწყენია, სერვილი გკონდეს ერთად ყოფნისა და შესაძლებლობა კი არა! მწერ, რომ მოვიდე და შეგხვდე, გუშინაც კილოკავად ეგ მომწერე. როდის და როგორ?! ოლიკო არ მამიკვდება, რომ ოლიკოზედ ნაკლებად არ უნდოდეს ილიკოს მანდ მოსვლა და შენი ნახვა, მაგრამ რა ვქნა, შენ გეთაყვანე? ხომ იცი, დღედაღამ სტამბაში ვიდდივარ, ხან კი ცენზორს დავდევ — ჟურნალი დღე-დღეზე უნდა გამოვიღეს. შენს სახელსა ვფიცავ, ოლიკოჯან, და რაც კი რამ მწამს ქვეყანაზედ, იმისა, რომ თუკი ეს საქმე რითიმე დაშავდა, მე ვერ გავუძლებ. ამისი მეშინიან, თორემ შენი ნახვა როგორ არ მინდა. გეფიცები, მთელი დღე შენით ცსოლდგებულობ. სტამბაშიც კი, ამ მოსაწყენ სტამბაში, გამუდმებით თვალწინ მიტრიალებს. ჩემთვის ის დღე რა დღეა, თუ შენი წერილით არ გამითენდა და შენი წერილითვე არ დამიღამდა. ვინძლო კალავაც არ მომაკლო ეგ ბედნიერება.

შენი უკუნითი უკუნისამდე ილია ჭავჭავაძე. 6 თებერვალი, ღამის სამი საათი, 1863 წელი.

ოლია — (წამოდგება და ერთხანს გამტკნარებული დგას) ძვირფასო ილია, უნდა მაპატიო, რომ მოკლედ გწერ. რაღაც გუნებაზედ ვერა ვარ... მხოლოდ ერთსა ვთხოვ მაღალ ღმერთსა, რომ შენი საქმე კეთილად გამოსულიყოს და შენი გული გაეხარებინოს (სცენიდან გადის).

ილია — (სკამიდან წამოდგება და ავანსცენაზე გამოდის) რა ჭკვიანი იყავი, ოლიკო, გუშინდლამდე, გუშინ კი, რა გითხრა, მიმტკუნე. აქამდე იმდენად გიყვარდი, მთელს ფურცელს მწერდი ხოლმე, ხოლო გუშინ რაღაც ორიოდე წყალწყალა სტრიქონი გამოიმეტე. როგორ არა გრცხვენია! შენი ჭირიმე, ოლიკო, შემატყობინე, რა გაწყენინებს? შენი მოახლე მეუბნება, რომ პერს ალარა სწამსო. პერიაც ჭამე და ქეფიც გასწიე, სატირალი და საწუხარი რა გვაქვს მე და შენ? კარგად იყავი, თორემ ძალიან მაწყენ. შენ გეთაყვანე, ყველფერი მომწერე ამადამვე. აბა, თუ გიყვარდე, ეს ერთი თხოვნაც ამისრულე.

შენი ილიკო. 8 თებერვალი.

პაუზა

(ოლღას ოთახისკენ შებრუნდება) ჩემო კარგო ოლიკო! ბარბარეშ შემაშინა, მითხრა, რომ თურმე შენს თავს ალარ ეკუთვნი, რომ მთელი დღე მოწყენილი ხარ, დარდობ და მიზეზიანობ. რა მოგვიდა? რატომ წერილს არა მწერ? ეს არ არის შენი მხრით კარგი, ეს ნიშნავს, შენ თითქოს ჩემი ხარ, ამასთანავე თითქოს ბოლმედ არა ხარ ჩემი, არ იყენებ შენს უფლებებს, რომლებიც მოგენიჭა მას შემდეგ, რაც ჩემი თავი შენად ვალიარე, შენი კი — ჩემად. შენ მარტო ჩემი მომავალი მეუღლე კი არა, ჭეშმარიტი მეგობარიც ხარ. მაშ რატომ არ უნდა უთხრა მეგობარს, რა გწყენს, რა გიხარია. არ იფიქრო, ოლიკო, თითქოს ვჯავრობდე. მე ისე კი არ მიყვარხარ და ისე კი არა გაცემ პატიჟს, რომ ნება მივცე ჩემს თავს გაჯავრებისა, მაგრამ ეოტათი არ მესიამოვნა შენგან ესეთი განუკითხობა. იცოდე, ოლიკო, შენგან ყოველდღე უნდა მივიღო წერილი. დღეს უგუნებოდ წავედი სტამბაში, რადგან ჩემთვის ერთი სტრიქონიც არ მოგიწერია. 12 თებერვალი.

პაუზა

(ოლღას ოთახისკენ ორიოდე ნაბიჯს წარდგამს, ოლღა კვლავ არ არის სცენაზე) ოლიკო, მე შენზე ისეც ნაწყენები ვარ, რადგან ერთი ბწკარიც არ მოგიწერია, ერთი სიტყვაც არ გაგამეტებია, — განა ასე შეიძლება? რამდენჯერ გთხოვე, წიგნი მომწერე-მეთქი, შენ კი რას სჩადიან? ნებიერობ — ეს ცუდია; ეს იქით იყოს, უყურადღებობას იჩენ, ეს კიდეე უარესია. მიკვირს, ღმერთმან იცის, რა დაგემართა? შენს გულში რაღაც მწუხარებაა და მე მიმალავ. მე კი გიყსაეთ ხან აქეთ ვეცემი, ხან იქით, ვფიქრობ და ვერა გამიგია რა, ვერაფერს მიმეხედრავან. შენ ან სულ არ გაკვია ჩემი, ან ეშეკინინ ხარ, ანდა არ გებრალები. ამ სამთავან არც ერთი არ ვარგა, ისინი შეძლებისდაგვარად უნდა მოიშორო თავიდან, ჩემო ანგელოზო! კიდევ ერთხელ გთხოვ, ჩემო ოლიკო, თავი ანებე ეჭვსა, უსიამოვნო ფიქრსა და მკითხობას. იცოდე, რომ ილიკოს შენში მხოლოდ შენ უყვარხარ და ყოველგვარ უბედურებაში შენთან წმინდა იქნება. ნუ მაწყენინებ (შებრუნდება, თავის ოთახში შევა და საწერ მაგიდას მიუჯდება). ორჯერ მოკეიდე კალამს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელი და ეიგრძენი, წერილ გაბრაზებული გწერდი. ცეცხლში ჩავაგდე და დავიფიცე, ვიდრე არ დავშშვიდდები არაფრს მივწერ-მეთქი. 15 თებერვალი.

პაუზა

(ღიმილით) შენი სულისა, ოლიკო, თუმცა დაგბერები, წოგნს ალარ მოგწერ-მეთქი, მაგრამ ვერ მომითმენია. შე გიჟო! რაზედ გამაგიე ეს პატიოსანი, დარბაისელი რედაკტორი? მე ვინა და შეაღამასას ქალთან წოგნებს წერა! ამაზედ არის ნათქვამი გლეხური ანდაზა: „ნუ შეხვალ, ნუ ობანები, ნუ გამოხვალ და ნუ თრთოო“. 16 თებერვალი.

პაუზა

(წამოდგება) ოლიკოჯან! მოგილოცავ, გამოვიდა ჩვენი „საქართველოს მოამბე!“ ეკურნალს სალამაზედ გამოგგზავნი. ეს კი იცოდე, თუ ვინმეს ნახავ, ცუდი იქნება, ისედაც უკვე მთელი ქვეყანა ჩვენზედ ლაპარაკობს. შენი ილია ჭავჭავაძე. 18 თებერვალი, 1863 წელი.

სცენაზე ფეხაკრეფით შემოდის ოლღა, ხელში „საქართველოს მოამბის“ პირველი ნომერი უჭირავს, გამოდის ავანსცენაზე, ეკურნალს გადაწლის და კითხულობს:

— ნემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში?
რა ც ვმსახურობთ, მას ერთგულად
კვლავ ვემსახურთო,
ჩვენ წმინდა სიტყვა უშიშარად მოვგინოთ
ხალხში
ბოროტი საკლავად, — მათ სულთ-ხდომის
სეირს ვუყურთო.
თუ კაცმა ვერ სცნო ჩვენი გული,
ხომ იცის ღმერთმა,
რომ წმინდა არის განზრახვა და
სურვილი ჩვენი:
აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ
ქართველის ბედმა
და დაე გვძარახონ, — ჩვენ მის ძებნით
დავლოოთ დღენი.
ჩემზედ ამბობენ: „ის სიოვეს
ქართველისას ამბობს,
ჩვენს ცუდს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი
სიძულვილია!“
ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი
მაშინვე სცნობს —
ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია!

ილია შებრუნდება, საწერ მაგიდასთან მივა და გაჩერდება. ოლღა კელავინდებურად ავანსცენაზე დგას, ეკურნალს დაკეცავს და სასოებით ჩაიკრავს მკერდში.

— ნეტავი ჩქარა დაგვლოცოს მამამ, ჩემო ანგელოზო!..

ილია — (შემობრუნდება) შენი ჭირიმე, ოლიკო, ერთი რამ მინდა დაგეკითხო და სწორედ მინდა პასუხი მომეცე, თუ გიყვარდ[illegible]ბე ყორეს ნუ მოედები და ჩირდაპირ მითხარი. მე მინდა გაგიკეთებინო ზაპონკები, აი აქვე გიზატამ, როგორიც მინდა... (დაჯდება და ხატავს) მერმე იქნება გაუპრიალებელი ოქრო, გვირგვინი, ასო „ო“ და „პ“ პრიალა, მოუნდილი წვრილ-წვრილი ალმასებითა. მე მგონი, კარგი რამ გამოვიდეს! მოგეწონება თუ არა? პირდაპირ მითხარი ან ჰო, ან არა. თუ აქ კარგად გაკეთებენ, მაშინ ეპეი არ მეპარება, რომ მოგეწონება. წოგნები ხშირად გზავნე, თორემ არც მე და არც შენ!

ოლღა — (ავანსცენიდან) ჩემო ანგელოზო ილიკო, ძლიერ მადლობელი ვარ ზაპონკებისთვისა, ვინძლო მართლაც ლამაზი რამ გამოვიდეს, მაგრამ მითხარი, შენი ჭირიმე, მე აქ როგორ შევინახო? რომ მიპოვნონ, იქნება ჩვენი საქმე სულ უკუღმა დატრიალდეს... მე ძალიან მოწყენილი ვარ და ნაღვლიანი. მუხრანიანთ ლიზას ამბავი მიუტანია მამაჩემისთვის, მთელი ნათესაობა ჩვენზედ ლაპარაკობს. მე დამეცოხეს. მამაჩემი ძალზედ გაბრაზებულია, — სულ ცოფებსა ჰყრის. ეშაშმ, ჩემო მეგობარო, რომ ის არ დაგვლოცავს... ეკოცნი კიდეე ერთხელ ჩემს ძვირფას ილიკოს.

შენი ოლღა (შებრუნდება და თავის ოთახში შედის).

ილია — ჩემო მეგობარო, შენმა წერილმა ძალზედ დამაშფოთა. რა დაგემართა? ისეთი კეთილგონიერი ხარ და როგორ აძლევ შენს თავს ნებას მოწყენილი და ნაღვლიანი იყო. რა გაშფოთებს? შენ ჩემი ხარ, ჩემი მეგობარო, და ჩემი იქნები. დე, მამაშენმა, თუკი უნდა, უარი თქვას, განა ოლიკოს უიმისოდ არ შეუძლია ჩემად გახდომა? რას იზამს? დაგწყევლის თუ რა? დე დაგწყევლოს, ღმერთი ისეთი სულელი კი არ არის, რომ ადამიანთა უგუნურობას ყური ათხოვოს. რა უნდა მოხდეს, დიდი-დიდი მზითევზე უარი გითხრან. დიდი არაფერია! დე, უარი გითხრან. ნუთუ ისეთი უვარგისი ვარ, რომ პური არსობისა შრომით ვეღარ მოვიპოვო? არ იფიქრო, ჩემო მეგობარო, არა ვარ ასეთი. ჩვენ სხვის დაუხმარებლადაც ვიცხოვრებთ, თუკი შენ თვითონაც დამთანხმდება. მე იმედი მაქვს, შენში ვეპოვნ დასაყრდენი და შენც იგიგე იმე ჩემში. თავიდან მოიშორე ყველაფერი, რაც ასე გაშფოთებს ჩვენი მომავლის გამო. ჩვენ კი არ ვეკუთვნით მომავალს, მომავალი ჩვენ გვეკუთვნის. ჩვენ შეგვიძლია, ჩემო მეგობარო, უკუღმართი აწმყოს მიუხედავად, იგი ბრწყინვალე თუ არა, ასატანი მაინც გავხადოთ. თუ გიყვარდ, ოლიკო, გამხიარულდი, თორემ შენს სახელსა ვფიცავ, შენს ილიკოს ცუდ დღეს მიაყენებ.

შენი სიკეთილმდე ილიკო ჭავჭავაძე.

ოლღა — ჩემო სიცოცხლე, ნეტა იცოდე, როგორ გაახარა ოლიკოს გული შენმა ამედიანმა წერილმა. ვენაცვალე შენს გულგაუტეხ-

ლობას, ჩემო იმედო! შენით რომ არ ვიყო, ერთს წუთსაც თავს არ ვიცოცხლებდი. მაგრამ რათა? რად უნდა იყოს ეს ცხოვრება ჩვენს მომართ ესრე უმადური და დაუნახავი? მიდი მამაჩემთან, ისესთან მიდი, გიორგისთანაც. მე ხომ ვიცი, შენი სულისა, ეგრე დგელად შენ წინ ვერავინ დაგიდგება. ვფიქრობ, აქ საქმეში ჩემი და კატოც დაგვეხმაროს. მიდი მასთანაც. გარწმუნებ, ის ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავრწმუნებულიყავი. რომ შენ ადამიანს უყურებ არა როგორც ოქროებით გატენილ ზანდუკს ან ჯვრებითა და ვარსკვლავებით მოოფილ ბბოა, არამედ, როგორც ღვთის მიერ შექმნილ არსებას, რომელშიც, უსიერელად ყოველისა, მისი სული უნდა მზიანობდეს. დანარჩენი შენ თვითნეკვე იცი, ჩემო ანგელოზო, მე მოლიანად ამ წერილში ვარ. გინდა დაიტოვე, რომ შემდეგში მამხილო, თუკი დაწერილ სიტყვას სიცოცხლეში ერთხელ მაინც ვუღალატებ. მე შენი ვარ ყოველგვარ ფათერაკში, უბედურობაში, სიღატაკეში, მანამდე, შენ მე თავისად მიგიღავ ((ავანსცენაზე გამოვა, სკამზე ჩამოჯდება და ფეხს ფეხზე გადაიდებს). შენი სურათები მივიღე; გადასაყრელია. შენ კი მარწმუნებდი კარგად ვარ გამოსულიო. როგორ შეიძლება ვესტინისთან გადაღება? იცი, რას გეტყვი? თუკი დამჯერე, შენ შეგიძლია კარგი სურათები შეიძინო. რანესაგან რომ წამოჰყვები ტრტუარს, მარჯვნივ. პირველ ალაყაფში შეხვალ, მერმე იარე პირდაპირ და დიუბილერის ფოტოგრაფიის კარს მოადგები. თუ წამოხვალ და წამოიყვან ისეთ ვინმე თანმხლებ ქალს, რომელსაც არასოდეს უნახივარ და არ მიცნობს, მაშინ იქ შეგხვდებით, ვითომცდა ფოტოგრაფი ვარ, პოზას მე ამოგარჩევ; სურათის სიავკარგე, ასე თუ ისე, ამაზეა დამოკიდებული, და თვითნეკვე დავაყენებ ფოტომანქანასთან. შენ ნახავ, როგორი პორტრეტი გამოვა! ოღონდ თმა იმგვარად დაიგრეხე, როგორც პირველად ჭკნნდა ვესტინისთან, ძალზედ გიზდებოდა! თუ დღეს მოახერხებ წამოსვლას, ახლავე მაცნობე, წინდაწინვე უნდა მოვვიზადო.

შენი სამუდამოდ ილიკო.

ავანსცენაზე შემოდის ოლღა, რომელსაც მოწიწებით მიეგებება ილია. მან უნდა გაითვალისწინოს პანტომიმური სცენა, საიდაც სხვების მოსაჩვენებლად ფოტოგრაფს ანსახიერებს: ოლღას სკამზე დასვამს, თმის ვარცხნილობას შეუსწორებს, თითებით ნაზად ეხება ნიკაპზე — თავს უკან უწევს, წამოაყენებს, პოზას უცვლის, ოინბაზობს, ხანდახან მალულად წელზეც კი შეიჭიტს ხელს, თუმცა სულ ცდილობს საკუთარი როლი არ დაავიწყდეს. ბოლოს, როგორც იქნება, საკმარ პოზას მოძებნის და „კლიენტს" სურათს უღებს, მერე მოკრძალებით კოცნის ხელზე და გასასვლელისკენ მიაცილებს. ორივენი სცენიდან გადიან. სცენა ერთხანს ცარიელია... ოლღა და ილია სცენაზე თავ-თავის თოახებში შემოდიან.

ოლღა — (მხიარული სიცილით) თუ ეგეთი ანეი და ცელლუტი იყავ, ღმერთმანი, არ მგონია, შენ კი გიიხარე! შენი ფოტოგრაფობის ამბავი რომ მომგონდება, ახლაც ლამის არის სიცილით მოვკვდე. არა, ჩემო ილიკო, ვესტინა შენთან მართლაც ჯოჯოა და სხვა არაფერი! შენი თავი მიცოცხლოს ღმერთმა, ჩემო [illegible] ლევ!

ილია — (დარცხვენილი ღიმილით) ეჰ, ჩემო ოლიკო, ნეტავ შენს ფოტოგრაფს მიწაპირი უყოს და თან ჩაიტანოს — სურათები ცუდი გამოვიდა, მე კი ძლიერ კმაყოფილი ვარ, რომ სული მინდოდა მოგხვეოდი. შენ გულს ნუ გიტეხ, სამომავლოდ ვინძლო ხელი ისე გავიწაფო, რომ სულ უფრო კარგი სურათები გადავეყოლო ჩემს ოლიკოსა (საწერ მაგიდას მიუჯდება). ჩემო გვრატო, ვიყავ იასესთან! მან მე იმედები მომცა, მადლობა მას! როგორც ჩანს, ჩვენს საქმეს კარგი პირი უნდა უჩანდეს... გიორგისთან ვერ წავედი, იმიტომ, რომ მაგის იმედი არა მაქვს, რადგან ჩემი ოფიციალური წინადადება მისთვის მეტად ცივი იქნება, როგორც ყველაფერი, რასაც ოფიციალური ეწოდება. თუკი იმედნად მოწყალე იქნება, რომ გაიგებს ღარიბი კაცის სიტყვას — ხომ კარგი, თუ არა და, რაც ამას ცუდი მოჰყვება. სულ ჩემს ანგელოზს დავაბრალებ, დე მან აგოს პასუხი თავისი თავის წინაშე. ვინ გეჩჩრინება გიორგისთან ჩემს მიგზავნაზე? ვინც ამას გეუბნება, იგი არ არის ჩვენდამი კეთილად განწყობილი. მთელი ჩემი უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ მე გიორგისა არა მჯერა, იგი არ მოისერვებს ჩვენი საქმის კეთილად დავგირგვინებას. მუხრანბატონმა ვუქვრ, თავი დაიმციროს და ჩემთან დანათესავება მოინდომოს, ასე რომ მოხდეს, დაუჯერებელი იქნება.

ოლღა — რა კარგად მოქცეულხარ, ჩემო ანგელოზო, რომ იასესთან ყოფილხარ და იქიდამ იმედიანი სიტყვა წამოგიღია! აკი გეუბნებოდი, იასე სიკეთის მეტს არას გვიზამს-მეთქი. გიორგიზე კი სულ ტუფლად ეკვიანობ, ჩემო იმედო. შენ კარგად იცი, რომ მამაჩემს დიდი ხათრი აქვს მაგისი და მეცა მჯერა, რომ გიორგისთან შენი სტუმრობა სიკეთის მეტს არას მოუტანს ჩვენს საქმესა. იცოდე ილიკო, უსათუოდ მიდი გიორგისთანაც, თორემ ძალიან მაწყენ... (ტახტზე ჩამოჯდება და ფანჯარაში დაიწყებს ცქერას)

ილია — (წამოდგება და ავანსცენისკენ გამოსწევს) როგორც იყო, ჩავიცვი სულელური ფრაკი, სულელურად მოვიღრიცე ფიზიონომია და სულელურზე უფრო სულელური გუნებით წავედი გიორგისთან. ორჯერ მივედი და შინ ერთხელაც არ დამხვედა. კიდევ მივალ, იმიტომ, რომ მისკენ ჩემი ოლიკო მიბძანებს. შუადღის უკან მე თქვენს ქუჩაზე გავლა მომიხდა, ქალო, რამ მოგაგონა სწორედ მაგ დროს ფანჯარასთან მოსელა? მე ვეცდილობდი მენიშნებინა გიორგისთან ვიყავი-მეთქი, განგებ პალტოც გავიხსენი, იმის საჩვენებლად, რომ ფრაკი მაცვია. აკედან უნდა მიმხვდარიყავი, რომ სადღაც ოფიციალურ დარბაზობაზე ვიყავი, მაგრამ შენ ვერ მიმიხვდი... ახალი რა გიი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გე ჩვენი საქმისა? როგორა ხარ? ჩემსას ნუ იკითხავ. მე სულ დავიბენი, მოწყენილი ვარ, მით უმეტეს, რომ დღეს საღამოს წერილი არ გამოგიგზავნია. ერთი ეს მითხარ, ოლიკოჯან, გიორგიისთან რომ წავიდე და ვუთხრა ყველაფერი, არც მაშინ მეკნება ნება შენთან ვიარო? გაგონილი ამისთანა უნერო საქმე, როგორიც ჩვენი საქმეა? ისე მოაწყე, ერთი წამით მაინც ვიყო შენს ახლოს. რა ვქნა, როდის უნდა ვნახო ჩემი გიგი? ღმერთს ამ საქმეში ღმერთმა არ ეტყოთა, თორემ ისე ხელი როგორ აიღო ჩემზედ, რომ შენთან ალარ შემახვედრა. ეს სულელი პოეტები კი საფოთი დაწყებული და კერესელიძით* გათავებული, უპატივცემულეს საზოგადოებას არწმუნებენ, რომ ამ სურვილებში, ამ თრთოლვაში, შაშში, არისო ბედნიერება, ერთი არაფერი მინდოდა ჩემს ადგილზე და ჩემს ახლანდელ მდგომარეობაში ყოფილიყვნენ ისინი ჩაკარნილნი. მაშინ ვნახავდი, როგორ მოატყუებდნენ ხალხსა. მაშინ სულ სხვა ყაიდაზედ იმღერებდნენ. ღმერთმანი, ვერ მომისაზრებია, როგორ გამოვიე ამ მდგომარეობიდან. შენ რასა ფიქრობ? ისე ვარ დაბნეული, გაწვალებული და გამომწყვდეული, რომ ჩემი თავიც კი მეჯავრება. ნახვამდის, ჩემო ეკთილო ანგელოზო! დე, მე ვიტანჯო, ოღონდ შენ იყავი დაშშვიდებული!

შენი სამუდამოდ ილიკო. 5 მარტი, 1863 წელი.

ᲐᲣᲜᲯᲐ

(ავანსცენიდან) ბოლოს და ბოლოს გიორგი ვნახე! (ოლღა ილიასეენ შემობრუნდება) იგი ღიმილით მხვდება და მეგობრულად მართვეს ხელს. შენი უმორჩილესი მსახური პასუხად დარბაისლურად უკრავს თავს და ეძახს თავისი სველი შლიაპის დასადგმ ადგილს. ჩვენ ვსხდებით (სკამზე ჩამოჯდება). იგი მესაუბრება ჟურნალზე, აქციურზე, იქითურზე. მე, მართალი რომ გითხრა, არ მინდოდა ღობე-ყორეს რომ მოვდებოდით, მინდოდა გადავსულიყავი საქმეზე, რის გამოც ვიყავი მოსული, რაც ასე ძვირფასია ჩემთვის. ამიტომაც ვცდილობდი ყველაფერში დავთანხმებოდი. ზოგიერთი გადახვევთა შემდეგ, საქმეს დავუბრუნდით. მას არაფერი უთქვამს დადებითი, მაგრამ ნუგეში ისაა, რომ „ჰოზე“ უფრო დამიიმედა, ვიდრე „არაზე“. მხოლოდ ცოტა ხნით მოცდა მთხოვა, რომ მამაშენი შეამზადოს თანხმობისათვის, თანხმობის მეტი რა მეთქმოდა, თუმცა ვიგრძნობინე კია, რომ, რაც უფრო მალე მოთავდება საქმე, მით უკეთესია, რომ ეს გაურკვეველნა აფერხებს ჩემს მუშაობას და ა. შ. მაგრამ არაფერმა მიშველა. ცოტა ხნით მოცდა მოგვიწევს. ერთი სიტყვით, ჩემო ოლიკო, ასე და ამგვარად დასრულდა ჩემი უხეირო ელჩობა მუზრანბეგთან.

ოლღა — ძლიერ მესიამოვნა, რომ შენმა სტუმრობამ ასე კეთილად ჩაიარა. გიორგი გონიერი კაცია და ცუდი არ იქნება თუკი ჩვენც დავმორჩილდებით იმის რჩევასა. მეტი რა გზაა, უნდა მოვიცადოთ, ნუ ვიქნებთ სულსწრაფნი და ჩვენი ქორწილი სექტემბრისთვის გადავდოთ...

ილია — შენ ჭკვიან თავში როგორ დაიბადა ასეთი აზრი? რამ გაფიქრებინა ქორწილის სექტემბრამდე გადადება! აპრილში გახდები ჩემი, რადაც არ უნდა დამიჯდეს. შენ ეს არ დაგავიწყდეს, ჩემო ანგელოზო! მეტის მოთმენა ალარ შემიძლია, რაღას ვუცადოთ? განა ორთავეს არ გვინდა ეს ამბავი რაც შეიძლება მალე მოხდეს? რაღას იგონებ? არა, ასე დიდხანს ცდა შეუძლებელია. ბევრი ეიფიქრე და ბოლოს გადაგწყვიტე, თუკი რამე წინააღმდეგობა შეგვხვდა, ერთი კარგი და საქებური საქმე მოვიმოქმედო — ავდგე და მოგიტაცო! (შებრუნდება და საწერი მაგიდისკენ გაემართება. შეა გზაში შედგება) ოლიკო, ყური მიდგე: თუ ამ მოკლე ხანში მუზრანიანთ ლიზამ თქვენთან შემოიაროს; უთხარი, თითქოს შენ გაიგე გაბაანთაგან, რომლებმაც თავის მხრით მაღალანთაგან გაიგეს, რომ ელენე ჩოლოყაშვილთან სტუდენტები გამართავენ ლიტერატურულ საღამოს, სადაც ყმაწვილები წაიკითხავენ სხვადასხვა თხზულებებს-თქო. სთხოვე შენც წაგიყვანოს. ამ კვირას მე და ჩემი ამხანაგები ნამდვილად შევიკრიბებით მასთან და მე — შენი პატარა რედაქტორი — რაღაც-რაღაცეებს წავიკითხავ.

ოლღა საკმა აიღებს, ავანსცენაზე გამოიტანს, დადგამს და ზედ ჩამოჯდება. ილია საწერი მაგიდიდან ფურცლებს წამოკრეფს, ერთხელ კიდევ გადაათვალიერებს, მერე ავანსცენაზე გამოდის და კითხულობს.

ილია — „ყველა-ყველა და ამაღამ ვახშმად რა გვაქვს? — ერთ საღამოს ლუარსაბმა თავის შეუღლეს ჰკითხა, როცა ქალბენის შესხდომის დრომ მოაღწია. — დარეჯან! არ გეყურე, ბატონო, დედაკაცო? ამაღამ რა უნდა ვჭამოთ?

— რატომ რა უნდა ვჭამოთ, გენაცვალოს დარეჯანი! ღვთის წყალობა ბევრი გვაქვს, — ანუგეშა დარეჯანმა.

— მითხე?

— სადილიდან დარჩომილი კაი ციცად ძროხა გვაქვს, კარგი ღორის სუკებია, კარგი... კიდევ — უნდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ღორის სუკების ხსენებაზედ აღტაკებულმა ლუარსაბმა სიტყვა გაეწყვეტინა:

— უჰ, უჰ, უჰ! ეგ ღორის სუკები, შენმა მზეგ, რადაც უნდა ჰკიოს. სხვა? მე ამაღამ როგორღაც მადაზედა ვარ.

— ზურგიელიცა გვაქვს, ღვინოები რომ იყიდა, იმისი ფუშეაშია. ასეთია, რომ ქონი ფასდის.

---

* იუანე კერესელიძე — ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უჰ! ეგეც კარგია. სხვა?

— ყველი, პური და კაი გული.

— არც ეგ არის ურიგო, შენმა მზემ: ჩვენისთანა ვახშამი ხელმეფესაც არ ექნება.

გაიკეთა ჩიბეხი მაღა-წაბალისებულება მებატონემ და, მინამ სანატრელს ვახშამს მოიტანდნენ, მოეთმენლად წინ და უკან პატარა ოთახში ბოლთასა სცემდა. ხანდისხან რაღაც ფიქრში გართული უეცრად წამოიძახებდა: „ღორის სუკები? შენმა მზემ, რომ კარგი!“

ვახშამსაც, როგორც ყველფერსა თ წუთისოფელში, ბოლო მოეღებოდა. გამამღარი და ტახტზედ გადაგორებული ლუარსაბი ეხლა ხვალისთვის დაიწყებდა ზრუნვასა. მაშ! ოჯახის კაცი იყო.

— ესეც ვახშამი, ღვთის მადლით გადავგორეთ, ეხლა ხვალინდელ დღისთვისაც ვიფიქროთ. ხვალაც ჭამა გვინდა, დალოცვილს ღმერთს ეგრე გაუჩენია კაცი. ხვალ რაღა ვქამოთ?

— ხვალ?.. — ჩაფიქრდა დარეჯანი, ვითომც და ძნელი გამოსარკვევი საქმე მიანდეს: — ხვალ? დაიცა ერთი მოვგონო... ხვალ? ირტალზედ როგორა ხარ?

— უჰ, უჰ! შენმა მზემ, კარგი რამ მოიგონე. ირტალზედ? ვაცივითა ვარ, ვაცივითა, — უპასუხა მსუნგასავით სულწასულმა თავადმა, — ბარაქალა, დარეჯან! ერთი კარგი მსუქანი ირტალა, ჩვენი თედოს მოხარშული, ნიერით, — ერთი სახელშეფფოდ ღირს, მე და ჩემმა ღმერთმა. ეგ ძალიან კარგი. სხვა მარტო ეგ რას გვეყოფა?

— ერთი კარგი ჩიხირთმა? — ჰკითხა მაცდურის ღიმილით ყნენანმა.

— ჩიხირთმა?.. ჰა, ჩიხირთმა?.. არა, გეთაყვა, ბოზბაში სკობია, — მიუგო მცირე დაფიქრების შემდეგ ლუარსაბმა.

— ეხლა მაგას დაიჭინებ. რითა სკობია?

— ეგაქა.. ტყემლით მეკვთი გაკეთებული ბოზბაში?.. — ისეთის ხმით წამოიძახა, თითქოს უკვირსო: ეს ამისთანა უბრალო ბეშმარიტება როგორ არ ესმის ამისთანა ჭკვიან დედაკაცსო.

— შენც არ მომიკვდე, ლუარსან, კარგად, გაკეთებულ ჩიხირთმას ბოზბაში არა სკობდეს.

— ვაჰ!! — უფრო გაკვირვებით შეჰკვეარა ლუარსაბმა, — ტყემლით გაკეთებულს ბოზბაშს ჩიხირთმა უნდა აჭობინო?.. შენს ჭკვაზედ არა ხარ, დედაკაცო! ჯერ ისე ბოზბაში რა არის, რომ ტყემლით რა იყოს! რას ამბობ, რასა? ერთი მსუქან ბოზბაშში ამოვლებული პურის ლუკმა, მთელ ქვაბ ჩიხირთმას მირჩევნია. ამის შემდეგ შენ უნდა დამაჯერო, რომ ჩიხირთმა სკობია? მაშ კიდი ალარ ვყოფილვარ, ჭიდი არა მხურჩია.

— შენ ერთი ახირებული კაცი ხარ: რასაც იტყვი, ხომ კაცი ვეღარ გადგაუმტკიცებს? — არ იყო რომ ცოტა წყენით არ უთხრა დარეჯანმა დაფიქრებულს ლუარსაბსა.

— მაშ? კაცივე მაგისთანა უნდა. ის ხომ კარგია, დღეს ერთი სუქეთა, ხვალ ესეც ერთ სუქეა ლუარსაბმა, შემოიყარა დინჯად და გამარჯვებულსავით ამაყი შეხედულობა მიიღო.

დარეჯანმა ოგრანო, რომ ლუარსაბმა საბუთიანად დაიჭირა და შერცხვენილმა ბანზედ სიტყვა გადაკვდა:

— მაშ შენ ბოზბაშს ამჯობინებ?

— ვამჯობინებ.

— მაშ შენ პირში გვემი არა გკონია, — ეხლა კი გულღეღენ მოსულსავით სუქეა დარეჯანმა.

ლუარსაბი იიტკიცა, მაგრამ თავი შეიკავა და არ იყო, რომ მაინც ცოტა წყენით არ უპასუხა:

— შენ არ გკონია, რომ ჩიხირთმას ამჯობინებ, თორემ მე ხომ ბოზბაში მირჩევენი.

— აბა რას მიედ-მოედები? — ეხლა კი განჩჩხლდა დარეჯანი, — ბოზბაში როგორა სკობია ჩიხირთმასა, რომ როცა ჩიხირთმა მაგონდება — პირში წყალი მომდის, თუ მშიერიც ვარ მაშინ უფრო. ბოზბაშზედ კი არა. მაშ ჩიხირთმა სკობნებია. ეხლაც დაიჭინებ?

ისეთი გულღაჯერებით და ზაფრიანად წარმოსთქვა ეს ენენამ, რომ, ისე გგონია, უნდა ეთქვაო: „შე სულელო, ამისთანა საბუთი მაქეს და შენ კი მაინც შენსას ამბობ?“

მაგრამ არც ამის მოწონაკმდეგეკ იყო სუსტის ჩკვინა, რომ ის საბუთი უფრო ძლიერის საბუთით არ დაერღვია. მართალია, პირველშივე ძალიან ჩაფიქრდა, მაშინვე ვერ მოახერხა, — რა ეთქვა, მერე კი — ღვთის წყალობა გკოსდეთ — ყოჩაღად ლუარსაბმა იმას მიუგო.

— მაგ სიტყვებზედ სდგეხარ? — ჰკითხა ლუარსაბმა და ფეხზედ წამოდგა.

— ვდგევარ.

— მაშ კარგი, შენ ხომ ჩიხირთმა მშიერს მოგგვრის პირში ნერწყესა, მე კი ბოზბაში მაძღარსაცა. აი, თუნდა ეხლა: მე ხომ ამაღამ შენზედ მეტი მიჭამია, მაგრამ რომ მაგონდება პირამდინ პურ-ჩაყრილი, ჩაყეყლეებული ბოზბაშით სავსე მთლოდა, თუ ზეშოდანაც ერთი კარგი კანჭი ამეკვს!.. რას ამბობ, დედაკაცო? მე მოგიკვდე, თუ შენ გესმოდეს რამე: ბოზბაშში წენანების მეფეა, როგორც თართი თევზებისა. შენ რა იცი, დედაკაცი ხარ.

— ამა შენ კაცმა როგორ უნდა დაგიჯეროს, რომ ეგეც არ იცი: ორგველი თქმულა თევზების მეფედ და არა თართი... ამა, სულ ეგრე სტაცი ხოლმე, — უკიერნი ნიშნისმოგებით გახარებულმა ენენამ, რომ ტყეელში დაიჭირა.

შერცხვა ცოტა ლუარსაბს, მაგრამ არ შეიმჩნივა და გიჭხარა, რომ პატიოსანივ — რაც უნდა დაემართოს — უნდა დაამტკიცოს, რომ თართი არის მეფე.

— ეხლა მაგას დაიჭინებ. თართია-მეთქი.

— ორაგელია.

— ეჰ, თართია, თავი არ მამიკვდება, არც ეხლა დაიჯერებ?

— ორაგული, ორაგული! — დასძახა კნეინამ.

— აბა საიდან იცი, რომ ორაგულია?

— შენ სადაცაა იცი, რომ თართიაო?!

ამ კითხვამ გააბა ლუარსაბი მახეში. მერე რა-რაგაგდ! ხსნა არ იყო! ძალიან კი უნდოდა მოეგონნა რამ, უნდოდა ეთქვა კიდეც, რომ „კარაბადინში“ სწერიაო, მაგრამ მოაგონდა, რომ დარეკჯანი უფრო ნაკითხია და ველარ გაბედა.

დარეკჯანი ჭკვიანი დედაკაცი იყო, ჭნაბა, რომ ლუარსაბმა პასუხი ვერ მოუხერხა, უფრო-და-უფრო დაიყარა თავმოწონებით:

— მითხარ, საიდან იცი? მაშა! რაც არ იცი, ნუ იტყვი. აბა ეხლა მითხარი: ჩიხირთმა არა სჯობია?

ლუარსაბი დაგვიღონდა, მკითხველო! ისე თავჩაღუნული იდგა, როგორც პატარა ბავშვი, როცა შაქრის ქურდობაში დაიჭერენ. არ იცოდა რა ექნა. იყო წუთი, რომ თითქმის დაბარბა კიდეც ჩიხირთმის უკეთესობის აღიარება, მაგრამ ამ დროს თვალ-წინ წამოუდგა მარტოქლავი მთლიანი ლავაშ-ჩაყრილის ბოზბაშისა, მოაგონდა ზემოდამაც გადახრილი ბატკნის კანები, ამან გაიტაცა ისევ ლუარსაბი, ამის სულს ღონე მოემატა, გული გაუმაგრდა, დაავიწყდა სირცხვილიც, დამარცხებაც, გამარჯვებაც და თქმეშვინა ეს ღონიერი სიტყვები:

— მე არ ვიცი, თუნდ რომ მართლა ორაგული იყოს თქმული თევზების მეფედ, მაინც კიდევ ბოზბაში სჯობია ჩიხირთმასა.

— ჩიხირთმა, ადამიანი!

— ბოზბაში, დედაკაცო!

— ეჰ, წეღანდელი არ იყოს, მტყუანი ხარ და არა სტყდები, — უთხრა ყვედრებით დარეკჯანმა.

— შენა ხარ მტყუანი.

— დახე, შენ არა თქვი — თართიაო?

— მე ეგ არ მითქვამს — ეგ შენა თქვი, — იცრუა ლუარსაბმა და თავისი სიტყვა თავის ცოლს გადაამტკიცა, — მე ორაგული ვთქვი.

— დახე, დახე, თქვენი ჭირიმეთ!.. ეს რა მოიგონა! — წამოიძახა ეხლა კი სწორედ გულ-ზედ-მოსულმა დარეკჯანმა.

— ამდენი იყვირე, რამდენიც გინდოდეს! — დაბალ ხმით უთხრა ლუარსაბმა და წავიდა, რომ გარეთ გავიდეს. კარებში რომ მივიდა, ერთი კიდევ სთქვა:

— მე ორაგული ვთქვი. — თქმა ამისა და იმისი გარეთ გასვლა ერთი იყო.

— მტყუანს?.. — მისძახა გაკაპასებულმა, ამ უსირცხვილობისაგან მოთმინებიდან გამოსულმა ცოლმა, — გაუწყრეს წმინდა-გიორგის მადლი და ნეკრესის ღვთისმშობლისა!

ლუარსაბმა ყური არ ათხოვა, თუ ვერ გაიგონა — არ ვიცი, ეს კი ვიცი, რომ ამ წყეულმა დარეკჯანს მშვიდობიანად ჩაუარა“.

ილია კითხვას ამოაგრძეს. დაღლილი, მაგრამ ხალისიანი თავს მდაბლად დაუკრავს მკითხველებელს, მერე შებრუნდება, სწერ მაგიდასთან მივა და სავარძელში ჩაეშვება.

კაუზა

ოლღა წამოდგება, სკამის საზურგეს ხელებით დაეყრდნობა და მაყურებელთა დარბაზს მიაჩერდება.

ოლღა — (სასოებით) ღილა მშვიდობისა, ჩემო ანგელოზო! წუხელ არ დამეძინა, მაგრამ სოფაცარს ხალისზედ ვარ და მიხარია, რომ შენ ჩემი ხარ და მე შენი. მადალი ღმერთის წინაშე გეფიცები, ჩემო ილიავ, რომ სანამ შენს ოლიკოს პირში სული უდგას, იგი შენი სიცოცხლის სანაცვლო ოქნება უკეთესი უკეთესამდეგ! ოლღა შებრუნდება და სკენის სიღრმისკენ ისე მიდის, თითქოს მხრებზე უმძიმესი რამ ტვირი დასწოლიაო).

ილია — გუშინწინისწინ ჩემზე ლაპარაკი ყოფილი მამაშენთან ვა, ამბობენ, ირაკლი მუხრანბატონი ყმა-აღებით აუგად მახსენებდა. უთქვამს — ემაგ კუტრ ჯავშაჯაქეს გურამიანთ მამულებზედ უჭირავს თვალონ. აბა, ამის შემდეგ როგორღა მივიდე მასთან, მაგ ბატონის ნახვისას ხომ სულ ღვარძელი უნდა ვანთხონო. ძნელი იქნება თავი დავიჭირო უკმეხობისაგან, რისი ღირსიც ეგ არის. შენი ახლობლების ეს დაგებული მახვები ჩემს წინათგრძნობას აკოთბენენ და უბედურებას: უკადიან. მაგრამ, არა უშავს რა, რაც მოსახდენია, მოხდეს! მე სხვა ვარსკვლავზედ ვარ დაბადებული, ბედნიერებას შეუძლია სიცოცხლე შემმატოს, მაგრამ უბედურებას არ შეუძლია ჩემი მოკვლა. უბედურებამ შეიძლება ცოტათი შემარყოს, მაგრამ რომ წამაკეთოს — ვერასოდეს! ჩემ წინ დიდი გზა გაშლილი და მეც იმ წმიდათაწმიდა მიზნისათვის ვეხოვრობ, რომელიც დიდი ხანია აეირჩია.

ოლღა — შენ მაგ ამბავს გულში ნუ ჩაიდებ, ჩემო თვალისჩინო, მაგათ დე, რაც უნდოდეთ, ისა სთქვან და ის გაკეთონ, ახლა ჩემთვის სულ ერთია, ოღონდ ჩემი ძვირფასი ანგელოზი იყოს ჯანმრთელი და ბედნიერი და თუნდაც ქვეყანა გადაბრუნებული, არ ვინაღვლებ!

ილია — (წამოდგება) შენი სულისა, ოლიკო! ისეთი მაკანკალი ვიშვნენე, რომ შენი მოწონებული! ხეჩო დარჩიანოვი, მართალია, არისტოკრატი არ არის, მაგრამ კარგ მაჭანკლობას არისტოკრატობა რაში სჭირდება? მითხრეს, თითქოს ეს ბატონი მამაშენთან დაახლოებული კაცია და სხვაზე მეტად ხს უყვარებსო (ღიმილით). ესეც არ იყოს, მას რითი სჯობია შენი ამორჩეული მაჭანკლები? მე მგონია, ერთმანეთს უკეთესობას ვერე ერთი დაიტრაბახებს, ასე, რომ ბარი ბარში ვართ, ჩემო გერიტო! ხუთრობა იქით იყოს, მე მინდა ერთ-ერთი ჩემი მთავარი ნაკლი ავცდე: ჩემი არსება ისეა აგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული, რომ ამ უბრალო, გულზვაკობას მოკლებული მოკვდავებში ყოველთვის ნაკლები ჭეშკეი და მეტი სალი აზრი მეგულება.

ეიდრე ზოგიერთ ბატიწში, რომლის შიამბეკლობით კეთილშობილური სისხლი გულზეიადობას შეეფდ ადება. შენ ისეთი ქკეიანი ხარ. ჩემო ანგელოზო, რომ არ მისაყვედურებ ამ სიტყვების გამო. ამ სიტყვების სამართლე ფაქტებზეა დაფუძნებული (ერთხანს გაჩუმდება). ენახოთ. რა პასუხს მომიტანს მამაშენისაგან ეს სომეხი...

ოლეკ — (ალტაცებით) ჩემო ოლიკო! მართლაც რომ აშვიათი ადამიანი ყოფილა ეგ შენი ხეჩო. მან ჩვენ ქკეიზე შეგვშალა ყველანი, როცა მამაჩემს ალუსნა, რომ მე შენ მომწონხარ და აუცილებლად ცოლად უნდა გამიგაკეკ. ამაზე თუმცა მამაჩემმა უთხრა: მე მაგ საქმისა არა ვიცი რაო, თუ უნდათ ერთმანეთთო, ღმერთმა მშვიდობა მისცეთო, მე არც არას ვიტყვი, არც ჰოსაო, როგორც დაუწყეთიო, ისეც გაათავონო, ხეჩომ მაინც „ბაოაკაკლო" — დასძახა და საბოლოოდ დაითანხმა კიდეც. იჩქარე, ჩემო ანგელოზო, რომ ყველაფერი მალე მოხდეს. ღვთის გულისათვის, თავს გაფრთხილდი, არ გაცივდე, ეს ცუდი იქნება... (მორცხვი ღიმილით) შამპანიურით დაგლოცე, ჩემო სიცოცხლეკ, ერთმა ჭიქამ დამათოო. ახლა უკვე საწოლში ვწევარ და მინდა ლიზმარში ჩემი ანგელოზი ვნახო.

შენი საკოლე ოლიკო.

ოლია — (ღიმილით) ოლიკოჯან ვაშა ვის ეკუთვნის? მე თუ შენ? არც ერთ ჩვენთაგანს; მხოლოდ ხეჩოს, უკვდავ ხეჩოს შეეძახოთ ერთხმად ვაშა! აი, ხედავ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, რა საქმე გააკეთა! ამის შემდეგ იოდე, პატარა ადამიანებსაც შეუძლიათ დიდი საქმეების მოგვარება. სახელი და დიდება მას, რომ მოახერხა ჩვენი საქმის უდავდარაბოდ გათავება. მას, ჩემო მეგობარო, შეეძახოთ ვაშა! შენ უნდა ჩამოაცვა წვეტიანს თავზედ დაფნის გვირგვინი (ეშმაკური ღიმილით). შენ უკვე დათრობა მოასწარი? ცუდად ხომ არ ახასიათებ შენს თავს პირველსავე ხანებში? თუმცა თვით სიხარულიც, მით უმეტეს, მოულოდნელი, ხომ დამათრობელი ბანგია, თუკი კაცი არ არის მას მიჩვეული. შენი მორჩილი მსახურიც ახლა მისგან იმასვე გრძნობს, რასაც შენა გრძნობდი შამპანურის დალევის შემდეგ. ბარი ბარში, ჩემო გვრიტო!...

ნაწილი მეორე

ოლიკა თავის ოთახში ფანჯრასთან მიმჯდარა და მოწუენილი გარეთ იყურება. ილია სცენაზე არ არის.

ოლეკ — (შემობრუნდება და მაყურებელს მიმართავს) ჯვარი სამების ეკლეკიანში დაიწერეთ. ჯვრის წერას ილიას მხრით ეაწერებოდნენ „საკათველოს მოამბის" თანამშრომელი დავით ყიფიანი და ილიას ნათესავი ნიკოლოზ ჭაკეკაკაძე, ხოლო ჩემის მხრითა, ფლიგელადიუტანტი პოდპოლკოვნიკი ილია ჩოლოყაშვილი და კოლეესკი ასესორი სულხან თუმანიშვილი. სხვა არავინ ყოფილა... (ტახტიდან წამოდგება და ავანსცენაზე გამოვა) მამამ არ დაგელოკა... ღმერთმა შეუნდოსა... ილიამ თავისი ფერნალი დახურა და ცხოვრების სახსარი რიგ ეშოვა, სახელმწიფო სამსახურში შეეიდა ჩინოვნიკადა... ორი თვე ხდება. ჩემი ოლიკო ქუთაისშია.

ილია თავის ოთახში შემოდის და საწერ მაგიდას მიეჯდება.

ილია — შენი ორი წიგნი მივიღე, ერთი გუშინ და ერთი დღეს. ორივეში იწერები, რომ მოწუენილი ხარ და არა მხიარულობ. თუმცა ქმრისთვის ფრიად სასიამოვნო უნდა იყვეს, რომ ცოლი უომისოდ სწუხს. მაგრამ მე იმისთანა ქმარი არა ვარ: მე მინდა, რომ შენ მუდამ კარგად და მხიარულად იყო. რაზედ სწუხ? მე, ღვთის მადლით, მალე გნახავ და წამოგიყვან, მარტო ქუთაისის გუბერნატორს მარსკის ველი, რომ მოვიდეს და შემატყობინოს, რა ვიქნები, სად ვიქნები და როგორ ვიქნები;

—შეეიტყობ ამას თუ არა, მაშინვე შენკენ გამოვიქეცეი და წამოგიყვან. შენ ნუ ნაღვლობ, კარგად იყავ, თუ გინდა, რომ მეც კარგად ვიყო... იქნებ გინდოდეს აქაურობის ამბის შეტყობა, მაგრამ ამ ხანად მე ვერაფერს მოგწერ, ამის გარდა, რომ თითონ ქეეყანა ძალიან კარგად შეწყობილი მეჩვენა და ხალხისაკ კი ვერას გეტყვეი, იმიტომ, რომ ჯერ არავის ვიცნობ. კვირას ვაპირობ კუდიანის ფრაკის ჩაცმას და თაყვანის-საცემლად ყველგან და ყველასთან წასვლას... ოლიკოჯან! მე, როგორც ვატყობ, მეგეელის გადმოტანა მოგგინდება და ვფიქრობ, ფურგონით გადმოვიტანთო, უფრო დიდიც არის და წვეიმისაგანაც დაფარულია. ერთი ჩიკვიიძის მამას როგორმე სთხოვე შეეტყოს, მაინდამ აქ ფურგონს ქირაობა რა ეღირება და მალე მაწერე. წიგნი არ დამიგვიანო; მეც თითქმის ყოველ ფოსტაში მოგწერ და ყოველ ფოსტაში ურმებით კოცნას გამოგიგზავნი.

ოლეკ — ჩემო სიცოცხლეკ! შენი ოლიკოს თავს გაფიცეკ, წიგნი არ მომაკლო. არ დაიზარო, ხშირად მომწერე ხოლმე შენი ამბავი. მე მოწუენილი ვარ... ან კი რა დამაყენებს ხასიათზედა, როცა ჩემი ოლიკო ასე შორს არის ჩემგან, მე კი აქ ობლად ვარ დარჩენილი.... გეთაყვანე, სახლები მალე დაიჯირე, რომ მეც

მანდ ჩამოვიდე და ერთად ვიყოთ. განა შენი სურვილიც ეს არ არის, ჩემო იმედო? დიდის სიყვარულით მოგიკითხა ჩემმა დამ კატომ და მისმა ჯალაბმა... (თავის ოთახში შევი და ტახტზე ჩამოჯდება) როგორც მიბრძანე, მოვინახულე ჩიკვაიძის მამა. იმანაც ფურგონი გვიარჩია და დამიიმედა, ძვირი არ დაგიჯდებათო. ილიკოჯან, სახლების, ამბავს დაეშურე.

შენი მარტოდ დარჩენილი ოლიკო.

ილია — უჩემოდ მოწყენილი ყოფილხარ, — ეს ძალზედ ცუდია და არ მეამა. რატომ უნდა მოიწყინონ? მართალია, ჩვენ ერთმანეთს ძალზედ შევეჩვიეთ, მაგრამ, როცა აუცილებელია ჩვენი დაშორება, ამ ჩვეულზე მაღლა უნდა დავდგეთ, მას კი არ უნდა დავემონოთ, ჩვენ თვითონ უნდა დავემორჩილოთ იგი. თუ შენ შენი ილიკო გიყვარს, მის რჩევა-დარიგებას ნუ უგულვებელჰყოფ და გაუჯავრებლად ყური უგდე. ასე, რომ ნუ მიწყენ, გეევდრები. მე მალე ჩამოვალ შენს წასაყვანად... მირსკაზი აქამდე არა ჩანს. მოუთმენლად ველოდები, რადგან მანდ ჩემი ჩამოსვლა მირსკაზეა დამოკიდებული. ამავე დროს შენთვის ოთახის შოვნასაც ვცდილობ, ჩემო მეგობარო, მაგრამ, სამწუხაროდ, ახლა ძნელი საშოვნია, დიდი მთავრის ასულისა და არჩევნების გამო, რომელიც ჯერ არ დაწყებულა, იმდენი თავად-აზნაურობა მოაწყდა და ისე გაიტეხა აქაურობა, რომ ნვმესის ჩასაგები ადგილ ვერ იპოვი. როგორც კი მორჩება ეს აურზაური და ქუთაისი თავის ჩვეულებრივ ცხოვრებას დაუბრუნდება, მირჩევენ, მაშინ მოვძებნო საცხოვრებელი ბინა. უფრო იაფად უკეთესს იშოვიო. ჯერ ჯერობით ლოლობერიძესთან ვცხოვრობ... (წამოდგება, ოდნავ წინ წამოვა, მაგიდის ქიმზე ჩამოჯდება და ხელებს გულზე დაიკრავს) გუშინ ვიზიტების დღე ჰქონდა. ვინახულეთ ლეკან გურიელის მეუღლე, შენი ჩამოსვლა ძალზე უხარია. გასულ კვირას კატოს სახელზე გამოგიგზავნე წერილი. უკვე მიღებული გექნება. მომიკითხე კატო, აკოკე სენიას, ნინას, თამარსა და ლიზას. მომიკითხე თქვენები,

შენი ილიკო. 25 მაისი, 1864 წელი, ქუთაისი.

ოლღა — (ნაძალადევი ხალისით) — საყვარელო ილიკო! გთხოვ, ჩემი ყოფით ეგრე ნუ შეიძრავ გულსა, მე სულაც არა ვარ უგუნებოდა. წუხელ ელენე ჩოლოყაშვილისას გახლდი საღამოზედ. სტუდენტები იყვნენ... რჩეულლვიც იყო, ორბელიანეცა. კარგად გავერთე, ღმერთმანი. მაგ იმერული ქალების ამბავმა ბევრი გვაცინა, მაგრამ ვშიშობ და კატოც მიდასტურებს ჩემს შიშსა, რომ მაგათ, შე ეშმაკო, შენი თავი არ წამართონ (სახეზე ღიმილშერჩენილი ჩაფიქრდება), კატო თავისი ოჯახით მამაჩემთან არის დაპატიჟებული, ხვალ-ზეგ აპირობს საგურამოში ასვლასა და მეც მინდა თან წავყვე... **წიგნის წერა არ დაიზარო, შენ გენაცვალე, ზუსტად მამწერე აქედან როდის** წამოიყვან შენთანა. ნეტა ვიცოდე, რა გამოვლენილ ეგ მირსკიცა, რომ აქამდე მანდ ჩამოსვლა ეგზიტოვილეს ელირსა.

ილია — შენი წიგნი ეს-ეს არის მივიღე და ძალიან მიამა შენი კარგად და მხიარულად ყოფნა. ბარაქალია, რომ ეგრე ხარ... (სწერი მაგიდას შემოუვლის და სკამზე ჩამოჯდება) მირსკი მოვიდა და დამითხოვა ორის კვირით, მაგრამ ჯერ ექვსს თუ შვიდს დღეს აქ უნდა დავრჩე, რომ ჩემს ოლიკოს სახლები ვუშოვო. ყველფერე დავეთრევი და ვერსად სახლი ვერ მიშოვია. ვიშოვი თუ არა, მაშინვე წამოვალ, იმიტომ, რომ ძალიან მინდა ჩემი კარგი ოლიკო მაგრად და მაგრად მივიკრა გულზედ. უშენოდ მეც ძალიან მომწყენდა ყოფნა. მაგრამ ეხლა, თუნდ სახლები ნაშოვნი მქონდეს, ვერც კი წამოვიდოდი, იმიტომ, რომ ველიკი კნიაზის ბრძანებაა, ცხენები არავის მისცენ, მინამ ეგ არ წავა. ეხლა შენ მამაშენთან იქნები... მაგწერე, როგორ მიგიღეს, შენც დაგპატიჟეს და ისე ეზახელ, თუ დაუპატიჟებლად წაჰყევი შენს დას. მომიკითხე პატიჟისცემით შენი და, მამაშენი და სხვანი.

29 მაისი.

პასუხი

(ადგება და ავანსცენისკენ წამოვა, ამ წიგნს კი გწერ და არ ვიცი, ეს წიგნი უფრო ადრე მოვა შენთან, თუ მე. სულ მზადა ვარ და ველი, რომ ფარეშის ცხენები ეიმოვრა და წამოვიდე. ხვალისათვის დამპირდნენ ცხენებს. თუ მამცეს, ორშაბათს შუადღისას შენთანა ვარ. მე ძალიან კარგადა ვარ და უფრო კარგად ვიქნებოდი, რომ შენ თანა მყოლოდი და ენლა გვერდზედ მჯდომოდი; მაგრამ ბედს რა გაგწყობა, შენ მანდ ნაღელობ და მე აქ. სახლები ვიშოვე, მაგრამ იმ წყეულმა სომეხმა მომატყუა, ჯერ ოც თუმნად შემპირდა და მერე ამ ფასად აღარ მამცა, მეც თავი დავაწებე. ღმერთმა უშველოს ლოლობერიძის ძმას, ამან თავისი სახლები გვაფიხავა, ეიმენ ვიშოვიდეთ. ამ იმედით მოვდიავარ შენთან, შენ მზად იყავი, რომ მალე წამოვიდეთ. ესე ცოტას იმიტომა გწერ, რომ მგონია ამ წიგნზედ უმალ მე შენა განაო და რაც ვიცი აქაური მაშინ გიამბობ.

ივნისი.

პასუხი

(ავანსცენიდან, ნაღვლიანად) მე აღარ გამომიშვეს, ჩემო მეგობარო, შენ უჩემოდ უნდა წამოხვიდე... ბარგისათვის და დედაკაცისათვის ან ფურგონი, ან ურემი დაიქირე და შენ ტარანტასით წამოდი. უშენოდ, ასე მგონია, უცხო ქვეყანაში ვარ-მეთქი, ჩქარა წამოდი, თორემ გაგექცევი სადმე. (ოთახში შევა და სწერ მაგიდას **მიუჯდება**) **წამოსასხაში რომ** დამაბარე, ჯერ ფული არ ამიღია, ამიტომ ვერ გიყიდე,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩამოხვალ და, შენმა გარდამ, გიყიდი. დეპეშით შემატყობინე, როდის წამოხვალ.
შენი მარად მახსოვარი ილიკო ჯაკეშვილ. 18 ივლისი, 1864 წელი ქუთაისი.

ოლღა — (კალეკ ტახტზე ზის. მაყურებელს) გიორგობისთვეში ჩემი ილია ქუთაისიდან აღმოსავლეთ საქართველოში გადმოიყვანეს მიროვი პოსრედნიკად. მალე ერთი თვე შესრულდება, რაც ჩემი სიცოცხლე თვალით არ მინახავს...

ილია — ოლიკო! მე დღეს დუშეთიდამ მთაში მივდივარ. იქ დავრჩები, თუ მშვიდობაა, ერთი კვირა, მერე ერთი კვირაც აქ, დუშეთის ახლო-მახლო სოფლებში მომიგვიანდება და მერე მოვალ საგურამოს. რასა იქ, ხომ კარგადა ხარ? კატო, დიმიტრი, მამა და ყმაწვილები როგორ არიან? ლიზოსგან რა ამბავი იცი? წიგნი მომწერე... მაგრამ მგონია კი შენმა წიგნმა მთაში ვერ მომისწროს. შვიდობით. ეს-ეს არის ცხენზედ ვჯდები და მივდივარ.
17 ივნისი, 1865 წელი.

პაუზა

ოლიკო, ძალიან მიგვიანდება მთაში, ისე, რომ არც კი ვიცი, როდის მოვასწრობ წამოსვლას, მე იმედი მაქვს იმ თვის პირველში მაინც მოვიდე და განახო შენა. ძალიან ტანჯვაში და უსიამოვნობაში ვარ იმდენი სულელი ხალხის გადამკიდე, მაგრამ რა ვუყოთ, რაც არის, არის. ამას წინათ დუშეთიდამ წიგნი მოგწერე, არ ვიცი, მოგვიდა თუ არა? ეგრე უნდა, რაც წამოვასულვარ, შენი ამბავი ალარ შემატყობინე? ძალიან მინდა შენი ნახვა, მაგრამ მინამ ამ სულელს ხალხს არ მოვრჩები, ვერასგზით ვერა განახამ. იყავ შვიდობით.
27 ივნისი, ჯაზბეგი.

პაუზა

ჩემო ოლიკო! მე მთაში ვარ და, წარმოიდგინე, აქ საშინელი სიცივეებია; — ეს კიდევ არაფერი, ცუდი ის არის, გლეხურ ქოხში ვზივარ და შენ გამო კი არა, იმიტომ ვტირი, რომ ქვაძლი თვალებს მიწვამს. გამომიგზავნეთ თბილი პალტო, ჩაი, სანთლები, მელანი, თბილი, გრძელი საცვლები, თითბერის ჩაიდანი და ლურჯი ფუფაიკა. გიგზავნი უკანასკნელ ექვსი მანეთს. იყავი კარგად და არ მოიწყინო.
3 ივლისი.

პაუზა

ოლიკოჯან! გიგზავნი ყურძენს და ატამს. მე ახლა მუხრანში ვარ და ძალიან გნატრულობ, მაგრამ რა ექნა? ეს ოხერი სამქმე ბოლომდე უნდა მივიყვანო...
7 სექტემბერი.

პაუზა

ნახევარი გირვანქა ჩაი გამომიგზავნე, რკინის კალმები. როგორა ხარ, ოლიკოჯან, კუტრათა' განა? დღეს ქსოვრისს მივდივარ მუხრანიდამ.
12 სექტემბერი.

პაუზა

საყვარელო ოლიკო! მე მჯადიჯვარსა ვარ და მგონია ამ ორ კვირაზედ განახავ. არ ვიცი, ჩემო მეგობარო, ამ კუტრობაში როგორა ხარ. ძალიან მინდა შენი ნახვა, მაგრამ შორსა ხარ... ნეტავი შენ მანდა ხარ თბილად, მე ორი ღამე უნაგირას მთაზედ გამვარტლულს მიწურში ვეგდე, გზა თოვლმა შეგვიარა და ვეღარ წამოვედით. შენს ავად მახსენებელს, რაც ჩვენ დღე დაგადგა! ჩემი გაჩენის დღეც დასწყეველს ღმერთმა და ყველა მირავი პოსრედნიკეა!
11 თებერვალი.

პაუზა

ოლიკო! ამ საძაგელმა ერისთავმა მამატყუა და ტყუილად ამომპარინა აქა. მე იქნება სამშაბათს ჩამოვიდე, იქნება სულაც ვერ ჩამოვიდე ამ ცოტა ხანში. სარეცხს გიგზავნი. მომიკითხე ყველანი.
18 აგვისტო, 1867 წელი.

პაუზა

ოთხმა წელიწადმა ჩაიარა ამ ძაღლმადფურს ყოფაში. მირავი სულიდამ მიმოძეს — დუშეთში ვგდივარ. მე ვერ მოვდივარ შენ წამოსაყვანად, თუ ოთხშაბათამდინ ტელეგრაფით არ შეგატყობინე რა, ხუთშაბათს შენ ტარანტასი დაიჭირე და წამოდი. მამაშენმა ბერი გამომიგზავნა, ალაგი ვერ ვიშოვე სად დამეწყო და ისე ყრია. მინამ შენ მოხვალ, ისიც დალპება. კარგს სიკეთეს შეეეყარენით მე და შენ მირავი სულიდამაში, სულ დავიფუპენით... დაფუპეს და ზარალი ჯანი გავარდეს, ნეტავი ერთი ოთახი მაინც იყოს, რომ შეიმისაგან შეეეფარნეთ. ცუდად არის ჩვენი საქმე. მე მანდ თუ ჩამოვედი, მგონი გუბერნატორსა ვსთხოვო უწონდელი ადგილი ჩემი არავის ან მისცეს, ისევ პასრედნიკობა სჯობია ამ ლაფში ყრასა.
შენი ილიკო ჯაკეშვილი. თებერვალი, 1868 წელი. დუშეთი.

პაუზა

ოლიკო! ეს კაი საქმეს მიშვრები ხოლმე, ამოდენა ბარგსა გზაენი და ერთ ბალაშს და საბანს არ ატან, რომ დავწეკ რაზედმე. ამას გარდა, რად მინდა ეს ყუთები, თუკი გასაღებებს არ გამოატანდი. რაც მანდ გასაღებები გაქეს, სულ გამომიგზავნე. ჩემი ამბავი რა მოგწერო. ექვსი კაცი ერთ ოთახში ვდგევართ. მე ავადაც გავხდი შენის წყალობით, რადგანაც

ერთი პალტოს ანაბარასა ვარ. ჩემი სამანიც ის არის და ლებიაც. ეს ორი დღეა ფწევარ, სახლები სულ არსად იშოვება...

ოლია — კი ვიცი ეგ რა დამემართა, რად გამწარა ღმერთმა, რად დამიხში ფონება. ეს ერთხელაც აპატე, ჩემო ანგელოზო, შენს ოლიკოსა ესეთი უგუნური საქციელი. არ იფიქრო, რომ შენი უსიყვარულობით მომივდა, არა, ჩემი იმედო! შენის ეგრეთი ყოფით და მანდ უპატრონოდ გდებით გულს ცეცხლი მიკიდია, მაგრამ რომ არ ვიცი რით გამოგადგე, რით გისაღებენ? სასწრაფოდ გიგზავნი ქვეშაგუბსა და გასაღებებს. მოუთმენლად ველი იმ დღეს, როცა შენთან ვიქნები, ჩემო სიცოცხლევ, დამიძახე და მანდ გავჩნდები. ხატზეც გფიცავ, ჩემო ოლიკო, გაიხარე შენი ოლიკო და შენთან ყოფნის სურვილი აუსრულე.

ილია — (ღიმილით) ოლიკოჯან!.. ძველი უსიამოვნებანი კარგმა საწოლმა დამავიწყა. ჩემი წერილი ნუ გეწყინება. მომიტევე, როცა ფწერდი, ავად ვიყავი, თან გაჯავრებული. მე ეხლა გამოჯანმრთელდი, ოღონდ ცოტათი სუსტადა ვარ. სამწუხაროდ, შენი წამოყვანა ტფილისიდან არ შემიძლია: ბინა ვერსად ვიშოვე. ჩვენი ავეჯი რიგიანად მოვიდა, მაგრამ ასეთს ალაგას ყრია უილაჯობით, რომ სულ ერთანად ობი მოეკიდა. თუ კიდევ ასეთ ყოფაში მომიხდება ცხოვრება, გადავწყვიტე დიდი სასამართლო უწყების მზრუნველ მმართველთან თავი დაუკარ და დავეშვიდობო. ღმერთი შეეწეოთ. სჯობია მარტო ხმელ პურზე ცხოვრობდე, ვიდრე გკნინდეს შეძლება და პურს ვერ შოულობდე.

ოლია — საყვარელო ილიკო! დღე-დღეზე ველოდებოდი შენთან ჩამოსვლას, მაგრამ ამა სად მე და სად ჩემი ეგეთი ბედნიერება. ვარ შენზედ მონატრული და შენზედ მლოცველი... იწერები — ვდეკრომ სამსახურს თავი დავინებოო. კარგი აზრია, შენმა ბახარებამა! ესე უერთმანეთოდ ყოფნას მართლაც რომ ხმელს პურზედ ცხოვრება სჯობს. რა თავში ვიხლით მაგ მირაკული სუდიოთას, თქვი ერთად არ ვიქნებით? გუშინ შენმა მეგობრებმა მოგინახულეს. ერთი გაგეგონა, რარიგ დიდი საყვარულითა და პატივისცემით ლაპარაკობენენ ჩემს ანგელოზზედ! შენს ოლიკოს გული ისე გაუთბა, რომ მან ცრემლი ვეღარ შეიკავა... უმიკაშვილმა საყვედური გამოსთქვა: ათი წელი ხდება ილიას თავისი მადლიანი კალმის საკადრისი არაფერი დაუწერიაო. განა მართალი არ არის, ჩემო ილიკო?

ილია — (წამოდგება, ოთახში ბოლთას დასცემს, მერე გაჩერდება და მაყურებელს მიუბრუნდება) თქვე დალოცვილებო, მერე მე ეგ განა ზარმაცობით მამდის? არა, არ მამდის ზარმაცობით! მე, სწორედ გითხრათ, ცუდის აგებულების კაცი ვარ. დიდი მოსვენება და შეღავათი მინდა, რომ დავწერო რამე და მინამ მე ჩინონვიკობას თავს არ დავანებებ — [illegible] ვენება და შეღავათი ჩემთვის სიზმარია [illegible] დავიწყე რამე და არაფერმა არ დამიშალა, დაწერაზედ მალე შევასრულეს, და თუ დაწყობილი შემაწყვეტინა რამეს, გათავდა: მე იმ დაწყობილს ვეღარ მოვებრუნდები. მწერალს დამოუკიდებლობა უნდა, მწერალს თავისი დრო სულ თვითონ უნდა ეკუთვნოდეს. ეხლანდელი ჩემი წყაფული მდგომარეობა ისეთია, რომ წერისათვის ხანგრძლივი მოცალეობა არა მაქვს და ამის გამო ასე უხეიროდ და უწესოფოდ მიდის ჩემი ორიოდე დღის ცხოვრება. დიდად ფუსხარ ამგვარ მდგომარეობისათვის, მაგრამ შეეფა არსაი არი. საწყალურ რომ თავი დავანებო, რიდათი ვიცხოვრო? ვაითუ უფრო მოცალეობა მომკლდეს ლუკმა პურის ზოგნის დეენაზია (ხაწერ მაგიდას- მიუჯდება შუბლშეკრული). ბაიგეთ, ესეთია ჩემი ვითარება.

ოლია — მივიღე შენი წიგნი, ჩემო სიცოცხლევ, და შენმა პასუხმა უმიკაშვილის საყვედურზედ გული მამიკლა. ვაი, რომ მართალი ხარ და შენი მეფული კი ვერაფრით გშველის... ათი წელი შესრულდა, რაც ცოლქმრობის გვირგვინი დავიდგით და აბა მითხარი, რამდენი მზიანი დღე გვაქვს ერთად გატარებული? არ დაითვალო, ჩემო ანგელოზო, მაგისათვის ნუ მოიცდენ თავსა, ვაი, რომ დათვლადაც არა ღირს... ესე ყოფილა ჩვენი ბედი და ამ ბედს უნდა დავმორჩილდეთ... (წამოდგება, ოთახში გაივლ-გამოივლის) შენ გიგებედი ჩემი სიძის, დიმიტრი სტაროსელსკის ბაქოს გუბერნატორად დანიშვნის ამბავსა. დიმიტრის კატოკ თან მოპყავს ბაქოში, ეგრე გადაწყვეტეს. მე კი მარტო ვრჩები და არ ვიცი, რა მეშველება. მთხოვენ, შენც წამოდიო, მაგრამ უშენოდ მე ვერაფერი გადამიწყვეტია. რას იტყვი, ილიკო, მეც რომ თან გავყვე, ამით ხომ არაფერი დაშავდება? პასუხს ნუ დამიგვიანებ, შენი ჭირიმე... (ფანჯარასთან მივა, გაჩერდება და დარდიანად იცქირება გარეთ).

ილია — (თავს მძიმედ ასწევს. სინანულით) ჩემო კარგო-ოლიკო! ძალიან შეგცდი, რომ შენ ბაქოს გაგისტუმრე... რაც შენ წაგეყვანა, ასეთს გუნებაზედ ვარ, რომ მოწყენილობისა გამო ძალლსავითა დილიდან საღამომდე ვლრინავ. რაკი სუდდიან გამოვალ მე, შენი ბუტრთვით რგვალი ქმარი, ოთახის კედლებს ვაწყდები, დავგორავ უაზროდ, უსაგნოდ და ყოველად სულელურად. მარტოობა ძნელი ყოფილა. შენ კიდევ რა გიჭირს? შენს დასთანა, სიძესთანა და დისწულებთანა ხარ. მე ვარ საცოდავად ამ უკაცურ კაცებს შორის, ამ უბედურს დუშეთშია... ეს არის კარგი, რომ ჩემს დამბადებელს ყოველისფრის ატანის შეძლება მოუცია

ნუგზარ შატაძე
აბიგაზ ბურნაძე

ოლლა და ილია

ჩემთვის. მე ლოსის ნაამბობი თითქმის შევასრულე. მგონია ეროგო არ გამოვა. ეხლა დანარჩენსა ვწერ. დღეს კარპენკას მოველი რევიზიაზედ, ჩემთან ჩამოხტება. ვერაფერი სტუმარ-მასპინძლობა გვექნება, მაგრამ ამასაც ავიტანთ. აბა, წარმოიდგინე შენი გაბღენძილი ქმარი და კარპენკა ერთს ოთახში მარტოდმარტონი. თუ ამ წარმოდგენაზედ ჩემი სიბრალულით ცრემლი არ მოგიგია, გაიცინე მაინც. ეს კია რომ, კარპენკას მოსცლა ვერაფერად მოუხდება ჩემს ლოსის ნაამბობსა... (ნაღვლიანი ღიმილით) ნეტავი მეც ეხლა თქვენთან ვიყო!.. ეხლი, მგონია ბნელ-ბუნდად განათებულს ოთახში ჩაიზედ ყველანი ერთობ შეკრებილნი ხართ, გარს გახვევიან ყმაწვილები. ყმაწვილების ცელქობა, ქლავ-ქლუვი, სიცილი, მხიარულება გართობთ. კატო ვითარცა ბედნიერი დედა, თავის ჩვეულებრივის ღიმილით დაჰხარის თავის შვილებსა, შენ ჩემზედ ჰფიქრობ. ცხადად მაქვს წარმოდგენილი ეს კეთილგაწყობილის და ბედნიერის ოჯახის სურათი და მეც გულით და სულით მაგ სურათში ურევივარ უხილავად. წიგნის წერას ამით ვათავებ, რომ კიდევე თქვენს ერთობ ნახვას ვნატრულობ.

შენი მარადის ერთგული ილია ჭავჭავაძე. 15 იანვარი, 1873 წელი. საღამოს შვიდი საათი, დუშეთი.

ოლღა — (შემობრუნდება და ფანჯარას მოსცილდება) ჩემო კარგო ილიკო, აგრე რიგად რადა ნაღველობ ჩემს აქ გამოსტუმრებასა, რათა, გეთაყვანე? აბა, გინდაც მანდ რომ ყაფილოყავი, რისი მაქნისი ვიქნებოდი ჩემი სულიერსთვინა? — მე ქალაქში და შენ მანდ — დუშეთში... ძრიელ გამახარა იმ ამბავმა, რომ შენს გლახის ნაამბობს მიპბრუნებიხარ. მე ხომ ვიცი, კარპენკები შენ აგრე რიგად ხელს ვერ შეგიშლიან, ჩემო იმედო. ღმერთსა ვთხოვ, კეთილად დაგემთავრებინოს ეგ საქმე. დიმიტრი სემიონიჩი კარგად შეეწყო ბაკოს, გუბერნატორობასა, კატო კი ასეთი ხალისიანია, რომ დედამფერს ფეხს ალარ აკარებს, სულ დაჰფრინავს. ამასაც ძრიელ მოუხდა აქაურობა. მამწერე როგორ მიდის ყვარლის სახლების საქმე. ზუბალაანი სამძღვარგარეთ წასულის ამრიგებდნენ, წავიდნენ თუ ჯერ კიდევ მანდ არიან, დუშეთსა? ჩემი ამბავი აბა რა მოგწერო, აქ ბალები ხშირია, მაგრამ მე არ დადგივარ — გული არ მიწევს, უუნონით ძლიერ მოწყენილი ვარ.

საუკეთესო შენი ოლიკო. 5 თებერვალი, 1873 წელი. ბაკო.

ილია — კარპენკამ რევიზია გაათავა, მოიწონა აქაურობა და, ღვთის მადლით, წავიდა. მე უუნონით ძალიან მოწყენილი ვარ. არსად არ დავდივარ და სულ ვწერ და შინა ვზიგარ. გლახის ნაამბობი გავათავე და იბეჭდება კიდეც. ზოგიერთი ადგილები, მგონი, კარგი გამოვიდა, ამას კი ვეტყვი, რომ მაგის გათავებაზე გული ალარ მიმიწევდა, მაგრამ როგორც იყო გავათავე, და გულიდამ თითქოს [illegible] მომეხსნაო. ორი დღით ქალაქს ვიყავ [illegible] ბანკის საქმეზედ აქ დიდად მონდომებულები ჩანან. უჩემოდ გადაუწყვეტიან, პროეკტის დასამტკიცებლად მე გამგზავნონ რუსეთსა. ვფიქრობ, ჩემგან ამ საერთონო საქმეზედ უარის თქმა არ ივარგებს. ეგეც არ იყოს, ოლიკოჯან, მე ხომ ეტსტავკას მამეკემენ და ვინმეო მარტის დამდეგს ბაკოს დაგიკოთ თავი. მანდ რომ მოვალ, მაინდამ უსათუოდ რუსეთს მომიხდება წასვლა ორისა ანუ სამის თვითა. თუმცა ეს ამბავი შენ შეგაწუხებს, მაგრამ შენ უნდა მოითმინონ ისე, როგორც მე ვითმენ შენ მოშორებასა. განა მე კარგ ყოფაში ვარ უშენოდ? ძალიან მინდა შენი ნახვა... ნეტავი ამ მარტში მაინც მოვიგოთ ჩვენი ბილეთებითა ოცი თასი თუმანნი, რომ დავბედნიერდეთ. მაშინვე ამერიკაში წავალთ მე და შენ და ვნახავთ ქვეყნის სიკეთესა იქ მაინც... ჩვენი სახლების აშენების საქმე ესეა: მასალა მზადდება და არ ვიცი კი ბოლო რა ექნება, მე რომ რუსეთიდამ დავბრუნდები, ყველა მასალა შინ მოტანილი უნდა დამხვდეს. ორასი თუმანი დაგვიჯდება სულ ერთიანად და ეხლა კი ორასი გრაშიც არა მაქვს... დიმიტრი და კატო მომიკითხე. ეგ ბაკო ძალიან ბაკო ყოფილა, რომ კატო გაუმხიარულებია! მწერ, ბალები ხშირიაო და არ დადგიარო. ძალიან ცუდსა შვრები, რატომ არ დადიხარ? იარე და იმხიარეო, ღმერთი მოწყალეა, ყველა ჩვენი საქმე კარგად მოეწყობა. იქნებ ფულები შემოგაკლდა? მამწერე, როგორმე გიშოვნი, თუმცა მეც კუტრადა ვარ. ერთი სამოცდაათი თუმანი მჭირდება და ვერსად მიშოვნია, ამ ულოჯობაში ეგ მე სულელმა კახეთში სახლების აშენება დავიწყე. რა დროს სახლები იყო? მამიკითხე ყველანი. ისეთი მინდა თქვენი ყველის ნახვა, რომ მეტი არ იქნება.

ოლღა — (აღელვებული გამოდის ავანსცენაზე) ჩემო ილიავ! მივიღე შენი წერილი, სადაც ბანკის საქმეზედ და შენს რუსეთში გამგზავრებაზედ იწერები. ვერ დამიფარია, ჩემო კარგო, რომ ეგ ამბავი მეზანაფოდან გამოსროლილ ტყვიისავით მოხვდა ჩემს გულსა. ნეტა ვიცოდე, ისეთი რა ცოდვა მადევს კისერზედა, რომ გამჩენმა ღმერთმა შენი უნახობა გადამიწყვეტა? შენისთანა კაცს საქმეს რა გამოუელვის? განა მარტოობაში უნდა ამომხდეს სული? (ერთხანს გაჩუმდება, აღელვებული ადგილს ვერ პოულობს) ვითომ მამშვიდებ კიდეკი, მხოლოდ ორი-სამი თვით მომიხდება წასვლაო. მითხარი, ეგ სამი თვე მე აქ რამ გამაძლებინოს? მართალია, ჩემს დასთანა ვარ, მაგრამ სხვისი შემაყურე როდემდე ვიყო? ბოლო არ უჩანს ჩემს ხიზნობასა... (გაჩუმდება, ცოტა ხნის შემდეგ) არ ვიცი, რა დავაშავე საამისო (ოთახში შეავა და კვლავ ტახტზე ჩამოჯდება).

ილია — მაგას მიქადდი, ქალო, რომ შენს გულისათვის, რასაც უნდა იმას აკეთანო და ეხ-

ლა ოთხის თვის მოშორებაც ვერ მოგითმენია ვიქაკეტიად? (წამოდგება და ავანსცენისკენ გამოემართება) მოშორება, მეცა ვგრძნობ, რომ ძნელია, მაგრამ როცა ეგ მოშორება საჭირო და აუცილებელია, მაშინ ვიქაკეტა უნდა იხმაროს კაცმა, რომ ეგ მოშორება აიტანოს. შენ კი სულ ჩიგი და სწუხარ და ამით მეც მიმატებ მწუხარებასა. განა ეგრე უნდა? დამაცა, ერთი მანდ ღვთის მადლით, მალე მოვიდე, მაშინ ნახავ შენს ამბავს, სულ ყველაფერს ერთად გადაგახდეცინებ! (ჩაფიქრდება, სახეზე ღიმილი მოეფინება) ოლიოჯან, მაინც მიხარია შენთვის: ჩვენი ბანკის პროკეტი აქ მიიღეს და პეტერბურგში გაგზავნეს დასამტკიცებლად. ეხლა კი, მგონი, იმედია, რომ ბანკის საქმეს ბოლო რიგიანი მოეხდეს. დღეს მე „ატსტავკას“ ვაძლევ! აი ვიცი ბოლოს რა იქნება, ეხლა კი მეტად მხიარულად ვარ, რომ მომეცა სამსახურიდან გამოსვლის ღონისძიება. მდიდრად თუ ღარიბულად, მაგრამ კი თავისუფლად ვიცხოვრებთ (ღიმილით). არა გრეტვენინან, ოლიოჯო, რომ ჩვენს გაზილას არა კითხულობს, ასეთი ბრძენი ძალლია. ბევრი რაღაც შტუკები ისწავლა. ჩემი შემაქებელარი და დროს გამმატარებელი გაზეთი არი. სანატრელია ის ქვეყანა, სადაც კაცის შექცევა ძალზედ არის დამყარებული... (ერთხანს ჩაფიქრდება) უხ, რა ყრუ რამ არის ეხლა ჩემთვის ეს დარბაისელი დუშეთი! სამედამოდ შენი ილია ჭავჭავაძე. 1873 წელი, დუშეთი.

პაუზა

(ავანსცენაზე მდგარ სკამზე ჩამოჯდება) ჩემო კარგო და ძვირფასო ოლიკო, მე მშვიდობით და კარგად მოვედი მოსკოვს, დღეს ოთხ საათზედ კი პეტერბურგში მივდივარ, რადგან ამბობენ, რომ ჩვენი ბანკის საქმე ძალიან ცუდად არისო. მინისტრს უთქვამს, რომ პროეკტს არ დავამტკიცებინებენო, რადგანაც ფული ცოტა ჰქონიათო. თუ მართლა ესე იქნება, შენი მტერია ჩვენი საქმე. მე თითონ კი არა მიშავს რა, იმიტომ, რომ მე და შენ როგორც იქნება თავს დავინარჩუნებთ, ვაი ჩვენს თავად-აზნაურობასა! ათი თუმანი ფული გამომიგზავნე, სხვა ფულს კი გაუფრთხილდი, თორემ ჩვენი საქმე ძალიან ცუდად იქნება. ჩემი ადრესი ეს არის: Москва, Большой Бронный переулок, номера Андреева № 43.

მომიკითხე ყველანი. შენი ილია ჭავჭავაძე.
12 ივლისი, მოსკოვი, 1873 წელი.

პაუზა

ჩემო საყვარელო ოლიკო! მგონი ჩემზედ ძალიან ჯავრობ, რომ ეს მეორე წიგნი ასრე დაგიგვიანე. თუმცა ჩვენს უსტგიის დამტკიცების საქმე ძალიან კარგად მიდის, მაგრამ მე არა ბანკში არ მიშვებენ, რომ რამე შეგიტყობინოს. ხანდ ერთ-ორ ჯერ ქალაქში მივსწერე ეს ჩემი გაჭირვებული გარემოება და არ ვიცი რა პასუხი მომიგი. მე ოცდაექვსს პეტერბურღიდამ მოვედი მოსკოვს. ფულები თითქმის სულ შემომეხარჯა და ამიისათვისაც მოვითხოვე შენგან ტელეგრამით კიდევ ათი თუმანი. ესე იგი სულ ოცი თუმანი. ეს ბოლო ათი თუმანი კატოს გამოართვი. მანდ დაგრჩება თექვსმეტთუმან ნახეკარი, რომელსაც გროში არ უნდა მოაკლო, თორემ ბაკოდან შინ წასასვლელად ღონისძიება არ გვექნება. მაგ ფულიდამ უნდა ტარანტასი გააკეთებინო, თუ ძალიან ბევრი გოხოვენ სრულიად განახლებისათვის, მაშინ მარტო ის გააკეთებენე, რაც აუცილებლად საჭიროა. თადარიგი ისე დაიჭიერე, რომ წასასვლელად თითმეტ-ცამეტი, თუ გაჭირდა, თერთმეტი თუმანი მაინც ხელუხლებლად დარჩეს. ჩემ მაგიერ ღიმიტრის მადლობა უთხარ, რომ დღეობა მომილოცა... თუმცა ეს მოსკოვი დიდი ქალაქია, მაგრამ მე თითქმის სრულიად მოწყენილი ვარ — რაკი ჩემს საქმეს გავთავებ ხოლმე, დაებარნენები შინ და მთელი დანარჩენი დღე მარტოა ვგდივარ სახლში (ღიმილით). ერთხელ სადმიზედ პეტროსბურის პარკში წავედი, იქ რაღაც შატო-დე-ფლერ არის და წარმოდგენებია ხოლმე. მაგრამ ასეთი სალაბანური წარმოდგენა ვნახე, რომ ჩემს თავს სიტყვა მივეცე, მეორედ აღარ წავედე. წარმოიდგინე, ფრანგუზული ტრუპპაა, ქალი თუ კაცი სულ უნამუსობას უჩვენებენ პუბლიკას და უნდა გითხრა, რომ თითქმის მთელი მოსკოვის მაღალი ხალხი იქ ატარებს ყოველ საღამოს. დასწყევლათ ღმერთმა! დაილოცა კიდევ ჩვენი ნამუსიანი ტფილისი და უფრო ნამუსიანი და მშვიდობიანი ბაკო! ტყეენია ჩვენის დალოცვილის ქვეყნისთანა. მე ჯერ გარეშეობისა გამო არ ვიცი, როდის მომიხდება ჩემს ოლიოკოსთან ჩამოსვლა... ნუ შესწუხდები, ჩემო კარგო ოლიკო, მეცა ეწუხვარ უშენობას, მაგრამ ვითმენ მწუხარებასა. ოღონდ ის საზოგადო საქმე, რომელშიაც მე ბედმა გამრიგა, კეთილად წარეგმართოს და ჩვენი ბირდი ბედნიერ მწუხარება იმის ჭირის სანაცვლოდ იყოს. რამოდენათაც კაცს ვრცელს გრძნობის დატეკვა შეუძლიან გულში, იმდენად იგი დიდია. მე რომ მარტო ყვარელი მიყვარდეს და შენ მთელი კახეთი, შენ ჩემზედ დიდი იქნები, და თუ იმისთანაც იქნება, რომ მთელი საქართველო უყვარდეს, ის ორივეზედ უდიდესი იქნება.

აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართველის
ბედმა
და დაე გეძახონ — ჩვენ მის ძებნით
დავლიოთ დღენი...

ეს ჩემი ლექსი გახლავს, თუ გიიხსენებ. ამ ლექსს გიგზავნი შენ...

შენი სუფეენოდ ილია ჭავჭავაძე.
28 ივლისი, 1873 წელი.

ოლღა — საყვარელო ილიკო! მაღლობა გამჩენსა, როგორც იქნა, ვეღირსე შენს წიგნსა — სიტყვით ვერ გამომთქვამს ჩემი სიხარული. შენს ხელმოკლეობას იწერები. განა რა სწავლება უნდა შენს ოლიკოსა, რომ მაგ უცხო ქვეყანაში დიდი ხარჯი გაქნია? ათას თუმანს გამოგიგზავნი, კატოსთვინ კი მიჭირს ფულის თხოვნა, ისედაც მაგათ ხარჯზედ ვარ... თავს გაუფრთხილდი, მანდ არაფერი გაიჭირვო. ჩემი დარდი ნუ გაქვს — მე აქ არა მიშავს რა, არც საამური მაკლია და არც საჭმელი. ტარანტასის საქმე ესეა: მალე სერჩენკო მისცემს გასაკეთებლადა, შინგიდამ გარედამ სულ გაააზლებენ, ტყავს ლაქს წაუსვამენ. ექვსთუმანნახევარს დაიჭერსო. წიგნი არ დამიგვიანონ. ბანკის ამბავი წერილად მომწერე. როდის შეიძლება აქეთ წამოსულსა? გკოცნი ჩვენი მომავლო, იმედით მაცქერალო შენი ოლიკო.

ილია — ჩემო ძვირფასო და საყვარელო ოლიკო! ვერ წარმოიდგენ რა რიგად მიამა შენის წიგნის მოსვლა, ნამეტნავად იმ მხრით, რომ შენ ყოჩაღად მყავხარ, თუმცა ჩვენს მომავალს ცოტა ღრუბელი ეპარება. მე ამას იმაზედა ვწერ, რომ ჩვენი ფულიანობა მეტად თხელდება და შენ მაინც გულს არ იტეხ. მაღლობელი ვარ და მოხარული, რომ მაგისთანა გულმაგარი მეგობარი ყოვნხარ... ნუ შეეშინდებით, ქვეყანაა ღონიერია. მე ძალიან გაბიერებული ვარ. ეხლა ჯიბეში ოთხის თუმნის მეტი არა მაქვს და შენი ფული თუ მალე არ მომეშველა, სწორედ დიდს განწირულობაში ჩავარდები. შენი სულიაა, ოლიკოჯან, ნუ მოგერიდება კატოსი, მაგას ჩემთან არა დაეკარგება რა. აი, ფულის ანგარიში, მე, თუ გახსოვს, სულ ორმოცდათორმეტი თუმანი მჭოდა, მაინდამ რომ წამოვედი. აქედან აი რა დამეხარჯა: (უბის წიგნაკს ამოიღებს, გადაშლის და კითხულობს).

1. გზა დამიჯდა — 78 მანეთი.
2. მოსკოვში ორი დღე სასტუმროში — 11 მან. 70 კაპ.
3. სამი ხელი ტანისამოსი — 177 მან. 40 კაპ.
4. შვიდი დღე პეტერბურგში — 65 მან.
5. იქ წასვლა და მოსვლა მოსკოვს — 24 მან.
6. მოსკოვში სახლი ვიქირაე და თვეში მივეკი — 45 მან.
7. ერთი თვის სადილი — 15 მან.
8. ზლიაპა ვიყიდე — 8 მან.
9. წაღები ვიყიდე — 9 მანეთი.
10. ორი საბანი — 6 მან.
11. ბალიში — 4 მან.
12. სამი პერანგი — 10 მან. 50 კაპ.
13. სხვა და სხვა წიგნები — 15 მან.
14. ორი ტელეგრამა მოგწერე — 7 მან. 50 კაპ.
15. ორი ტელეგრამა რეკაზ ანდრონიკოვს — 7 მან. 50 კაპ.

სულ 483 მანეთი და 10 კაპიკი.
თუ ამ თვის ბოლომდინ შენგან ოცი თუმანი არ მომივა,- შენი მტერი იქნება, ჩემი [illegible] იყოს. სწორედ ყოველისფრით და [illegible] მხრით კარდახშული ვიქნები. ერთის სიტყვით, უსაძლო და შიერ-მწყურვალი დავრჩები... ტარანტასის ამბავს მწერ, ძალიან ძვირად მიგიეია გასაკეთებლად. ტყავს გარედან ლაქის წასმა არ უნდოდა. იმას კი ადარ მწერ შიგნით სარჩელი ახალი იქნება თუ არა — მომწერე, ჩემი ნაბადი ჩრჩილმა არ შეუჭამოს... მე ყოველ ცისმარე დღე ჩვენის ბანკის საქმეზედ დავრბივარ და ვერას გავხდი რა. არც ერთს ბანკში არ მიშვებენ, რომ შევიესწავლო რამე. მე ამისთანა გულშეუტკივარი ხალხი არ მინახავა, ამის გამო ბევრი ღრო შეკარგება და იქნება დიდი ხნით დავბრკოლდე აქა. თუ არ შევიესწავლე რა და ისე ხელცარიელი მოვედი ქალაქს, ხო იცი რამდენს ცილს დამაშავებენ. აი, ბატონო, იტყვიან, ჩაიჯიბეს ოთხმოცი თუმანი, გაისეირნესო და ხელცარიელები მოვიდნენო. მე არ მინდა რომ ჩემზედ ესენი სთქვან. რაც უნდა მოხდეს, თუნდა ერთი წელიწადი დარჩომა მომინდეს, დავრჩები აქა, რომ შევიესწავლო რამე და როგორმე ბანკვანის კარები გავიღო. რაკი ეს საქმე ვიკიარე, ერგიანინ ბოლო უნდა მოვუღო. ერთი ეს მაწუხებს, რომ შენ შეწუხდები, თორემ სხვა არაფერი, მაგრამ შენი კი დედაკაცობის იმედი მაქვს, რომ ამ ღროებითს მწუხარებას ისე იტან, როგორც მე. ათასჯერ დაგიკოცნი პირისახეს და მოგეხვევი.

საუკუნოდ შენი ილია ჯაკეშვაძე. 3 აგვისტო, 1873 წელი. მოსკოვი.

ოლღა — ჩემო ილიკო! ვსთხოვე ფული კატოსა. ღმერთმა უშველოს, სწორედ რომ ღროზე გაგვიმართა ხელი. გიგზავნი ოც თუმანსა და ვიმედოვნებ ამ ფულმა ცოტათი მაინც გამოასწოროს შენი ღუხვარი მდგომარეობა. მე ადრეც მომიწერია და ეხლაც გწერ: შენ ჩემზედ ნუ სწუხარ, მხოლოდ ერთსა ვთხოვ ღმერთსა, შენი თავი მიმყოფოს ჯანმრთელი და მალე მომიყვანოს სამშობლოში სახელოვნადა... არ ვიცი სადამ, ამ. გაგანია სიცხეში სერდო შემეყარა. ეხლა კარგათა ვარ... სერჩენკომ ტარანტასი გააკეთებინა, კარგი რამ გამოვიდა! შენ უეჭველად მოგიწონებენა. ცხრა თუმანნი კი დაჯდა... დიდი სიყვარულით მოგიკითხეს დიმიტრიმ და კატომ ოჯახითა.

შენი ოლიკო.

მამწერე ბანკის ამბები. წვრილად მამწერე, ნერაფერს დამიმალავ...

ტარანტასი ოცდახუთი მანეთი დამჯდარა.

ილია — (შვებით) მივიღე შენი გამოგზავნილი ფული, რისთვისაც შენ მრავალჯერ გკოცნი და კატოს მადლობას მოვახსენებ (მხიარულად). ეხლა მე მდიდარი ვარ, უფულობის ფიქრი არა მაქვს. შენმა წიგნმა მისიამოვნა იმ მხრით, რომ შენ გულმაგრადა ხარ, და კოტა შემაწუხა იმ მხრით, რომ შეუძლოდ ყოფილხარ. კარგად

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყავ, თორემ არ ვიცი რას გიზამ! შენ ამას წინად მწერდი, რომ ტარანტანი გასაკეთებლად მოვიტანო ექვსთუმანნახევრად, სულ უნდა გიეახლებინათო გარედან და შიგნიდან. ეხლა მწერ, რომ ცხრა თუმანი დაჯდაო, მერე იმავ წიგნში იწერები ოცდახუთი მანეთიო (ციმლიეთ), ერთის სიტყვით, შენმა წიგნმა სულ ვერა გამაგებინა რა ჩვენი ტარანტასისა... მე ეხლა ძლივს შევდგი ფეხი ბანაში და რაც საჭიროა ვსწავლობ. დილის ათი საათიდან ოთხამდე ბანაში ვარ ხოლმე. ორი ნაწილის საქმის დაწყობა შევისწავლე, ორი კიდევ დამრჩა (ხალისიანად). წუხელ ლაზარეკთან დაპატიჟებული ვიყავი. ჩამსვეს დაწყვეტილს ბეზჩაში და ცამეტი მანეთი მომიგეს. წარმოიდგინე, ამ სიკეთეზეში რა გუნებაზედ წამოვიდოდი შინ. (ციმლიეთ) იქ ვიღაც სტეფანოვი, თეოლეკეო სომეხი ვნახე თავისი ცოლით. „ეჩასკეთ უპრავლენეს პისარი“ იყო ყვავილში ამ ოცი წლის წინათ და ხუთი მანეთი ჯამაგირი ჰქონდა. იმისი ცოლი ნახეკარზედ მშიერ-მწყურვალი ეგდო. ეხლა ეგ სტეფანოვი მილიონერია. მე და იმისი ცოლი ვიზავი ვისხედით ვახშამზედ. ჩემ გვერდით ერთი ვიღაცა დოქტორი იჯდა. სტეფანოვის გომბიო ელასპარაკებოდა იმას, სხვათა შორის, დამტკრეული რუსულით ეუბნებოდა: ია ოჩენა ლუბალუ პიკანნი ბლუდოო (სიცილითა). მახოხით გაბერილს ვერ უყურებ? ძლივს დავიპირე სიცილი.

ოლელა — (წამოდგება და შეა ოთახში გამოცა) ჩემო სანატრელო ილიკო, მე ყვავილს გადავწყვიტე წასვლა. შენ არ იფიქრო ამ რაიმე იყოს ამის მიზეზი. კატო და დიმიტრი დაუყვედრებელ ლუკმას მაკმევენ, მაგრამ გული მანიც არ მიდგება ამ ცხელსა და უცხო ბაკოში. როგორც შენის წერილებიდამ ჩანს, შენი საქმეები მანდ ალბათ კიდევ გაგიანურდება და ამიტომ მე აქ ვეღარ მოგიცდი... არ ვიცი, რა მამდის. ამ ბოლო დროს სულ ჩვენი ქეფენის ლამაზი მთები მიდგას თვალწინაა. ეკითხულობ ინ ობლად დარჩენილი ბალღივით (კრემლსა ვლვრი შენის ლექსის სტრიქონებზედა:

სამშობლოს მთებო! თქვენი შვილი
განებებთი თავსა,
მაგრამ თქვენს ხსოვნას ვერ მივცემ
მე დავიწყებასა:
თქვენ ჩემთან ივლით განუყრელად,
ვით ჩემი გული,
თქვენთანა, ჰე, მთებო, ბუნებითა
შეუღლებული!

ათი სექტემბრისთვინ სოსიკოს შალიკოს „ოტპუსკი“ ეწყება და ქალაქს ეპირობა წასვლასა, ამას შემდგომ, ერთ კვირაზედ დიმიტრი სემიონოვიჩიც უნდა წავიდეს; ამბობენ, საფინოვიც მიეგზავრებაო... ილიკო, მამწერე შენი ჭირიმე, ამათგან რომელ ერთს გავყვე? შენს სახელს ვეწაცალე, ჩემი სიცოცხლეც, ძლიერ მიმძიმს აქ დარჩენა...

სამუდამოდ შენი ოლიკო. 28 აგვისტო. (1873) წელი. ბაკო.

ილია — ჩემო საყვარელო და სანატრელო ოლიკო! შენს კითხვაზე ეს რას გირჩევ: ძალიან კარგს იზამ, რომ ან საფინოვს, ან დიმიტრის გაპყვე სიღნაღამდინ. ტარანტასი და დიმიტრა ბიჭი სოსიკო შალიკოს გაატანე, რადგან ოტპუსკში მიდის, უნდა იამოს კიდეც, რომ ეკიპაჟით წაბრძანდება. სოსიკოს დაიბარე, რომ ტარანტასი ჩემს დას, ნინეკას ჩაუბაროს. როცა შენ ბაკოდან წახვალ, ნიკოლოზს მისწერე და ჩვენს ტარანტასს ჩვენის ცხენებით სიღნაღში დაგახვედრებს და იქიდამ კარანახენი გადადაიყვანს. მინამ მე მოვალ, შენ ჩემს დასთან, ნინეკასთან უნდა იყო, იქიდამ ორ კვირაში ერთხელ თუ საჯიროება მოითხოვს, ტარანტასით ყვარელს გახვალ დასახვედავად. ბინა ნინეკასთან იქნნენ, იმიტომ, რომ ყვარელში შეგაწუხებენ, ზოგი მუშები, ზოგი სახლის ხარჯი, ზოგი საწყალი მამიდას მეეალეები. მე ძალიან ვწუხვარ, რომ შენ უფულოდ მრჩები, ძალიანაც მწყინს, რომ შენ მაგისთანა უანგარიშო მდგომარეობაში ჩაგაგდე, მაგრამ რა გაეწყობა მოთმინების მეტი. მხოლოდ შენი წიგნები მაძლევენ იმედს, რომ შენ ყველფერს ნაკლებულებას აიტან, ჩემო კარგო! ეხლა მოვიდა დრო, კაი დედაკაცობა გამოიჩინო. სუ ამას ჩიოდი, მოსაფლელი არა მაქვს რაო და რა ვაკეთოო. აი ჩემი მამული შენის ჭირის სანაცვლოდ შენთა ფეხთა ქვეშ ფიანდაზად გამიშლია. აბა ვინძლო ყოჩაღად მოიქეცე და კარგად მოუარო. შენი საუკუნოდ ილია ჭავჭავაძე. 6 სექტემბერი, მოსკოვი.

პაუზა

გუშინწინ მითხრეს, ჩვენი უსტავი ექვს კვირას შემდეგ წარედგინებო „ბოსუდარსტვენი სოვეტში“, ეხლა ერთი-ორი თვე იქ მოიგვიანებს და გამოვიდა სამთვენახევარი ჩემის აქ დარჩომის პაემანი. ვიცი ეს ამბავი ვერაფრად გეამება, მაგრამ, შენი ჭირიმე, ოლიკო, წუ იწუხებ და მომეცი შენის კაი დედაკაცობით იმოდენა დრო, რომ ჩემი კისრად აღებული საქმე შევასრულო პირნათლად და პატიოსნად. 26 სექტემბერი, პეტერბურღი.

პაუზა

(აღელვებით) ჩვენი ბანკის საქმე ხათაბალა გახდა. ის უფალი, რომლის ხელშია არის ეგ საქმე, საძაგელი, უგულო და უადამიანო კაცია. თუმცა არ შეუძლიან იმდენი, რომ საქმე საბოლოოდ გააფუჭოს, მაგრამ აგვიანებს კი და პირდაპირ ყველაფრით გვაჩენებს, რომ მაგისთანა საქმეო უქრთამოდ ვერ გარიგდებო. აბა, ქრთამის მიცემა როგორ შეუძლიან ჩვენს კეტრს ბანკსა! ორშაბათს ეპირობ იმასთან წასვლას და ჩხუბსა. აქამდის ვეფერებოდი, ვეხვეწებოდი, ხელში ვეკვდებოდი. მეგონა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამით იქნება დავიყოლიოთ-მეთქი, მაგრამ ამან ყოველნი ვერ გაჯერა. ეხლა ეპპირობ ჩხუბსა და დიდს ჩხუბსაცა!

პეტერბურღი, 23 ოკტომბერი.

პაუზა

(გაბეზრებული, მოწყენილი ხმით) სულით და ხორცით ქანცგაწყვეტილი ვარ ამ უალგაოს ალაგას ყოფნასა. როდის მოეღება ბოლო აქ ჩემა ყოფნასა, არ ვიცი. ჩვენი უსტავის საქმე პეტერბურღის ზზესაკეთო. ხან იმეღითი გაბრწყინდება და ხან ღრუბლებში ეხვევა. რომელის ხელშიც ჩვენი უსტავია, ის აამაგელი კაცი გამოდის, ხან ერთს ამბობს და ხან მეორესა, და მეც ხან წოეხალიღდები, ხან ფოთებს დაეუმვებ ხოლმე. ძალიან იმეღს აია ეკაერგან, რომ საქმეს კეთილი ბოლო მოეღება და მე გამაოჯვებული მიუვალ ჩემს ოლიკოსა.

6 ნოემბერი, პეტერბურღი.

პაუზა

გუშინწინ სამინისტრომ მაცნობა, რომ ჩვენი უსტავი პირველ იანვარამდის უსათუოდ წარსღგება „გოსუდარსტვენნი სოვეტში". ჩემი აქ დარჩენა იმ დრომდინ აუცილებელია და ძალიან საჭირო. რასა იქ და როგორა ხარ, ჩემო კარგო? იცი რამდენი ხანია ერთმანეთი არ გვინახავს? მეეეჭვეს თვეი. ბარაქაა ჩვენს გულის სიმაგრეს და ვაეკაცობასა!

მარად შენი ილია. 3 დეკემბერი, 1873 წელი.

პაუზა

(ნაღელიანად) ჩემო კარგო და საყვარელო ოლიკო! წარსულს კვირას ყოველდღე ვეპირები წამოსვლას, მაგრამ მამამაცლები შეგეშალნენ და ეხლა ისეა ხელახლად მომინდა საქმის დაწყობა და ცდა. ეწუხვარ ძალიან, რომ ამ ცივი ქვეყნიდამ ვერ დავაბწიე ჯერ თავი და ჩემს ოლიკოს ვერ ვეახელ. იმედი მაქვს, ამ კვირაა მაინც გავათავო ყოველივე და წამოვიდე. ღმერთმა ჯნას, რომ მალე გავშორდე ამ უმზეო და უსინათლო ქვეყანასა! ათასჯერ გაყოცებ შენ, ჩემო საყვარელო ოლიკო, და დაუშვები შენი ნახვის მონატრე.

სუფეუნოდ შენი ილია, 14 დეკემბერი, 1873 წელი.

პაუზა

ჩვენი საქმე ძლიერ ტაატით მიდის. ჩვენი უსტავი ვერ იქნა და ვერ დავაო სამინისტროდამ. ამას წინათ ქალაღიათ მითხრეს, რომ პირველ იანვარამდინ შეეასრულებთო და გაცნობებთო. ბუღლის კანკალია და თრთოლვაი ეღლი იმ პირველს იანვარია და ენახოთ, რას იტყვიან. იქნება ახალმა წელიწადმა ხელახლავ ბედი ჩვენკენ მოატრიალოს და სიხარულ[illegible] გამარჯვებით გამომაფრინოს შენსკენ.

26 დეკემბერი. 1873 წ.

პაუზა

ჩვენი უსტავი ჯერ კიდევ სამინისტროში ღგია, არ იქნა. მე ჩემი ვქენ, იმან თავისი, და იქიდამ ფეხი ვერ მოვიცალეგინე. ხშირად მომდის ფიქრი, დავანებო თავი ყველაფერს და წამოვიდე. მეორეს მხრით კი მრცხვენია, რა პირით მოვიდე, როგორ გამოვეხვიდე, ვის დავეხაო? ამ ორ ცეცხლ შუა ვარ და ვიტანჯები... დავიღალე და ვგრძნობ, რომ თანდათან ვბერდები, ღონე და გულის სიმხურვალე თანდათან უკან მიდის.

2 იანვარი.

პაუზა

(ღაღვრეგბული) პირველი იანვარი მოვიდა კიდეც. გავიდა კიდეც და ჩვენი უსტავი იქავე უგზოდათ. გაიმანჯვა ამდენი მოტყუებით და დღეხვალიობით. ვერ წარმოიდგენ, რა ხალხია. ესენი მე მატყუებენ და მე ამათის სიტყვით სხვებს ვატყუებ და ვარ ამის, გამო შეწუხებული და გულსატკენი. ჩემი მანდ წამოსვლა საქმის გთავეებამდე თავლაფდასხმა იქნება. თავლაფდასხმას არც შენ ინდომებ და არც მე. მეტი გზა არ არის, უნდა ვითმინოთ და ვითმინოთ უერთმანეთობა... (უეცრად მოიღვენთება) სწორედ სულით და გულით დავიღალე ამ ტალს ქვეყანაში. როგორც პატარა ბავშვს ედგა ნახვა, ისე მინდა შენი ნახვა, შენთან ყოფნა... (ტუჩჩულით)

ჩყალი მწყურიან, წყალს დავლევ,
დავეწფები გუბესა,
წავალ და ჩავეხეტები ჩემის ოლიკოს უბესა!

პაუზა

(წამოდგება, ოთახში ბოლთას დასცემს. აღშფოთებით) ეი, მოვიდა თხუთმეტი იანვარიც და ჩემს ღრუბლიანს ცაზედ მაინც არ გამოვიდა ბზე. დასწყველოს ღმერთმა აქაურობა თავის სამინისტროებთა და უნუგეშოებთა. არ იქნა, არა და ჩვენი უსტავი ვერ გადავიდა „გოსუდარსტვენნი სოვეტში". ეი ვიცი, რა ვქნა, რაც ღონისძიება ხელთა მაქვს ყოველისფერსა ვხმარობ, მაგრამ რას უზამ ამისთანა ხალხს, რომლებისთვისაც ღმერთს არც მოტყეელების კეფაში ტვინი ჩაუდვია და არც მყრალს გულში გრძნობა. მატყუებენ, მატყუებენ და მაგ მატყუებას ბოლო არა აქვს. ღმერთმა დაიხსნას ყოველი ქრისტიანი ამათ ბიჭყალებით ხელში ჩავარდნისაგან. ვერ წარმოიდგენ, ოლიკო, რა ხალხია! ღმეენი, ღრეენი, ფლიდი და მეტტალი. ერთი ერთმანეთს ასხედან და რუსეთის, იმპერიის საქმეს აწარმოებენ. საშინელი მდგომარეობაა ჩემი: სირცხვილით ვერ წამოვსულვარ და მწუხარებით ვერც აქ დავმდგარვარ. არ ვიცი, რა ვქნა, წამოვიდე, ყმად ამიღებენ, არ

წამოვიდე კიდე — შენი მაგრე-ყოფნა და ჩემი უშნოდ ბედი ბოლოს მიწყალავს. ოჰ, მეფთალო სოფელო!... ვერ წარმოიდგენ ამ სამაგალს ჩინოვნიკობას. ჩვენებს კიდეე რა უჭირთ, ამათთან ანგელოზები არიან. თუ რუსეთს დალუპავს რამე, სწორედ ეს მსენგები, ნამუსმიხდილი, მტაცებელი, ბრიყვი ჩინოვნიკობა დალუპავს.

პაუზა

საყვარელო ოლიკო! ბანკის სამმე ჯერ კიდეე ისევ ისეა, როგორც აქამმდე იყო. დღე არ გავა, რომ არ დამპირდნენ, ან დღეს, ან ხვალო; მაგრამ ამდენი დღე და ხვალე გავდა, რომ თვალა ალარა აქვს. არ ვიცი, ღმერთმან იცის, რა ვქნა! ეს ძალიმადური უშნოდ გდებაც მომშფენდა და ხელეარიელი წამოსსლაც ვერ გამიბედნია. ცუდად და მოუფიქრებლად გავეცი ამ ვაი-ვაგლახში, მაგრამ რას იზამ. ეხლა მხოლოდ იმის ცდა გვინდა, რომ პატიოსანის სახელით მაინც დავრჩეთ და პატიოსნურად შეეასრულოთ ჩვენი მოვალეობა. ვცდილობ, რომ რაც შეიძლებოდეს მალე გავათავო აქ ყველაფერი, ჩქარა წამოვიდე და ერთი ლაზთათინად მოვასვენო თავი შენს კალთაში. დავიღალე და ძალიანაც დავიღალე. მომშფენდა აქაურობა — უფერო, უმზეო, უსითბო, უგრძნონ, უუკო, უღვთო!

ოლღა — ჩემო ილიავ... მე მშვიდობით მოვედი კარდანახსა. შენს მტერს, მე რომ აქ ყვარული ამბები დამახვედრეს: ვენახები სულ წუოხდენია ნაცარსა, თურმე ისეა, რომ ალარა გამოვა რა... პური ცოტა მოგვსვლია, ორთავ წითელი ცხენები ქურდებს დაუპარავთ... ჩვენს ფოფრიანიკს აქ არაფერი გაუკეთებია — ალუერი, კრამტები, კირი ჯერ არ დაუწვამს, ქვაშა და ხე-ტყე არ მოუზიდია, თავლა და წისქვილი არ გაუმართავს, კარ-ფანჯარა სამაგალი დაუმზადებიათ. ეგ კიდეე არაფერი, დაუკრამს ფეხი და ქალაქს გაქცეულა... არ მინდოდა ეს ამბები შენთვის მომეწერა, სწორედ რომ ცეცხლზედ ნავთის დასხმა გამოდის, მაგრამ შენი აგებულება რომ ვიცი, ისევ სიმარილის ქმნა ეამჯობინე. კაცმა ჭირი მალაო და ჭირმა თავი ვერ დამალაო, — ჩვენი სამმეე ესეა, ჩემო მეგობარო... მე ჯერ ყვარელს არ გადავსულვარ. ამ დღეებში გადავალ და ყველაფერს უფრო დაწვრილებთან მოგწერ.

ილია (მწარე ღიმილით) ჩვენს ბედნიერებას ეს სიმღიდრეს ეგოა ალდა! (სკამზე ჩამოჯდება) ეხლა მე და შენ ძალიან ლაზთათინს მდგომარეობაში ვართ — ერთმანეთზედ შორს, უბნისო, უფულო და უიმედო. ბარაქალა ჩვენს ბედსა, სახელი და დიდება ჩვენს მოთმენასა! რას იზამ უზენრო და უპირო ქვეყნიერებაზედ? (ერთხანს დადუმდება, მერე განაგრძობს) ცუდი დრო მოვიდა ჩვენთვის, მაგრამ გულს არ ვიტეხ, იმიტომ, რომ ვიცი ჩემს საყვარელ ქვეყანაში ერთი სულიერია, ის ერთი სულიერი ჩემი კარგი-მეგობარია და ეს ჩემი მეგობარი ჩემი ცოლია, ხოლო ის ჩემი ცოლი ჩემი ნუგეშია. ეგრე, ჩემო ოლიკო, შენ კარგად მყვანდე და ბედის ჩემის დაღვრეშილობა ბევრს არაფერს დაგვაკლებს, ოღონდ შენ ნუ მომიწყენ, შენ გულს ნუ გაიტეხ და ყველაფერი სხვა ჩემთვის ადვილი ასატანი იქნება. გულმაგარმა, ხომ იცი, კაცისათვის რა დიდი ღონეა ქვეყნის სიავეთან ბრძოლაში. იწერები, ფოფრიანიკი ქალაქს წავიდაო. ძალიან მეწყინა ეგ ამბავი, მაგრამ, იმედი მაქვს, მალე დაბრუნდეს, ის ყვარელს ეგრე ადვილად თავს არ დაანებებს. ერთი, რომ ნახო, შენებურად შეაფუტხუნე და ძალა დაატანე. ამბობ, კარი და ფანჯარა სამაგალი რამ გაუკეთებიანო, თუ ეგ მართალია, ნუ მიიღებ და თავში მიაყარე. ერთი შენებურად დაიწყე და დაალაგე ჩვენი მიყრილ-მოყრილი აქოთებული მდგომარეობა. რაღა ხვეწნა ვინდა, ჩემო კარგო, ბაბა ერთი ლაზთათინად დატრიალდი. ეგება ვიდრე მე მოვიდოდე, მასალა სახლისა მოტანილი მაინც დამახვედრო, მოგალ თუ არა, შენება უნდა დავიწყო. აგური, კირი დაწვეევინე, ქვიშა და ქვა ზზიდვინე. თუ სახლი როგორმე მოვიხერხეთ, როგორც იქნება, თავს დავირჩენთ და ვიცხოვრებთ თუ ქალაქში არა, სოფელში მაინეა. ხომ იცი, ჩემი ნატერა ის არის, რომ სოფლად ვიცხოვრით და ხილად ქალაქში ჩავდიოდეთ... ჩვენი ბანკის სამმე გაჩაღდა და გაჩარხნდა. თვითონ მინისტრი ენახე და დალაგებით მოველაპარაკე, ძალიან კარგად მიმიღო და დიდი ნუგეშით გამომისტუმრა. მეც დიდი იმედი მომეცა, რომ უსათუოდ დაამტკიცებენ. ეგ იმითი ვსუფლდმენარ, რომ დღეს თუ ხვალ ჩემს საყვარელ ქვეყანაში, ჩემს საყვარელ ოლიკოს გულში ჩავეკვრი, სხვა ეგ-ლაფერი შენი ჯირის სანაცვლო იყოს.

საუკუნოდ შენი ილია ბაკვეადე. 18 თებერვალი, 1874 წელი.

ოლღა — (აქამდე ფანჯარასთან იდგა და გარეთ იყურებოდა, ახლა შემობრუნდება) მიველი ყვარელს და სულ ყველაფერი ისე დამხვდა, როგორც მოგწერე, მაგრამ შენ ნუოაფერს ინაღვლეს, ჩემო მეგობარო, შენი მეუღლე შენს მოსცალამდე აქ ყველაფერს კარგად მოაწყობს. ფოფრიანჩიკი მოვიდა ქალაქიდან. შენს ლხენას, მე იმას დღე ვაყარე. იფიცებოდა, თავადის მოსცალამდინ ყოველივე სახლის მასალა მზად იქნებაო. ვიშოვეთ ხე-ტყისა და ქვის მზიდავი კაცები, ჩვენი ერმეთნი მოვზიდამთ, უფრო იაფი დაგვიჯდება. წისქვილს ვამართვინებ და თავლის მშენებლობაც დავიწყე. ბანკის სამმის ემაგრე გამოკეთება დიდად მიამა, ღმერთო, შენ სახელის ჭირიმე, იქნებ სულ მალე მეღირესოს ჩემი ილიკოს საკუთარის თვალით ხილვა! აქ კარგი, მშრალი ამინდებია, ნუშები აყვავდა, ტყემლებიცა. სადაც არის ბუთნებსაც გავიტანთ მინდორაშია. ჩემი დარდი ნუ გაქვს, მე ძლიერ კარგადა ვარ. ყვარელის მზე მომეკიდა სახე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზედ. გამაგრდი, ილიკო, სულ კოტაცა. მე მჯერა, რომ გამარჯვებული მოუხვალ შენს ქვეყანასა და შენს ოლიკოსაცა.
7 მარტი, 1874 წელი.

ილია — (წამოდგება) ჩემო ძვირფასო და სანატრელო! ვმადლობ ღმერთსა, რომ შენნაირი კარგი და ყოჩაღი მეგობარი მარგუნა. აფერუმ შენს დედაკაცობასა! შენშა წიგნმა სიხარულის ფრთები შემასხა და ამ ფრთებით გამოფრინდები (ჩაიცინებს) — ძალიან კი მოუხდება ჩემს ფაშვსა ფრენა — სულ მალე შენსკენ (შებრუნდება და საწერ მაგიდასთან მივა). ჩვენი ბანკის საქმე ძალიან კარგად მიდის, ეშვი არ არის, რომ დაამტკიცებენ. მთასამდე გთავდება ეს საქმე სრულიად და ღვთით გამარჯვებითაც. მაგრამ მე მის გათავებას აღარ მოვუცდი, რადგან მე ეხლა აქ საჭირო აღარა ვარ, უჩემოდაც გარიგდება. მართალია, ამ ბანკის საქმეს ყველაფერი შეეწირე. შენი მშვიდობა, ჩემი მშვიდობა, ჩვენი უზრუნველი ცხოვრება, მაგრამ, ჩემო მეგობარო, დამერწმუნე, რომ დიდს და დიდებულს საქმეს დაედგა თავი. ჩემის წინასწარის ანგარიშით, ჩვენმა ბანკმა საქართველოს სალარაში ყოველწლიურად ერთი მილიონი ოქროს მანეთი უნდა შემოიტანოს მოგება. აქედან ნახევარი მოხმარდება თვით ბანკის განძლიერებას უძრავ-მოძრავის თანხების სახითა, მეორე ნახევარი კი ქართული სახოგადოების მასაზრდოებელი წყარო უნდა შეიქნას. ასე და ამგვარად, ჩემო ვეძრტო, ჩვენი ბანკი საარსებო სახსარს უმოვის ჩვენს საწყალს და დაჩაგრულს ქვეყანასა და ვინძლო ფეხზედაც წამოაყენოს.

ნაწილი მეესამე

ამ სურათში ოლია და ილია უკვე მოხუცები არიან. ავანსცენაზე თეთრად შეღებილ ძელსკამი დგას, სცენაზე სხვა არაფერია შეცვლილი. ილია თავის ოთახში საწერ მაგიდას უზის და მუშობს. იცვია გრძელი საშინაო ხალათი, თავზე ნაქსოვი ჩაჩი ახურავს. სცენაზე შემოდის ოლია, რომელსაც ხელში დიდის ფოსტა უჭირავს. ფეხაკრეფით მიუახლოვდება ილიას ოთახს, შიგ შეიხედავს, მაგრამ რაკი დაინახავს, რომ ილია მუშობს, ფეხაკრეფით გამობრუნდება უკან და ძელსკამზე ჩამოჯდება. ილია მალულად გამოხედავს ოლოსაკენ, ეშმაკურად ჩაეღიმება, მერე ჩაჩს მოიხდის, წამოდგება, მაგიდიდან ნაწერ ფურცლებს, წამოკრეფს და მოხუცი კაცის მძიმე ნაბიჯით წამოვა მეუღლისკენ. ოლია ღიმილით მიჰხედავს ილიას, სკამზე ჩაიჩოჩებს. ილია გვერდით მიუჯდება.

ილია — როგორ გეძინა წუხელისა, ოლიკოჯან?

ოლია — ღვთის მადლით, კარგადა... მაგრამ შენ რომ სულ არა გძინებია? (საყვედურით) წუხელის სამჯერ გამოგხედე და სამივეჯერ შუქი დავინახე შენს ოთახშია (მეფარით). ნუ იქმ მაგასა, ჩემო ანგელოზო, ადარ გახსოვს, რა გითხრა ლეიდენმა — ეგ გულის ხუთვა და სულის შეგუბება სულ ღამის მუშობის ბრალიაო!

ილია — (ღიმილით მოხვევს ხელს) რა ვქნა, ჩემო ოლიკო, სიტყვა მქონდა მიცემული და რომ არ შემესრულებინა, არ იქნებოდა — არ იცი ჩემი უხეირო ხასიათი? (ხალისანად) აი ეხლა კი დავამთავრე და ნახავ, სადილის უკან როგორი მამაპაპური ძილი გამოვაცხო!

ოლია ნაღვლიანი ღიმილით მიაჩერდება ქმარს, თავს სინანულით დადაქნევს.

ილია — შენ გარდას, ყური მიგდე, უნდა წაგიკითხო, ვნახოთ ერთი რა გამოვიდა...

ოლია სკამზე შესწორდება, მოსასმენად მოემზადება.

(ილია კითხულობს) ბროკპაუზის ენციკლოპედიური ლექსიკონის რედაქციას.

ღრმად პატივცემული ბატონებო, პასუხად თქვენის 21 მარტის წერილზედ პატივი მაქვს მოგახსენოთ შემდეგი...

ოლია — (კოტა ხმამაღლა, ილიკო, შენი ჭირიმე!

ილია — (კოტა უფრო ხმამაღლა) „დავიბადე 27 ოკტომბერს 1837 წელს სოფელ ყვარელში. მამა ჩემი რამდენადმე განათლებული კაცი იყო, ფფიერად მსახურობდა ნიეკ-ბოროდის დრაგუნის პოლკში და რუსული კარგად იცოდა. დედა ჩემმა მშვენივრად იცოდა მაშინდელი ქართული მწერლობა. სულ ზეპირად ჰქონდა დასწავლილი თითქმის ყველა ლექსი და ყველა ძველებური მოთხრობა და რომანი, რომელიც კი იშოვებოდა მაშინ ან დაბეჭდილი და ან ხელნაწერი, საღამოობით დაგვსხამდა ბავშვებს და გვიკითხამდა მოთხრობებსა და ამბებს; წაკითხვის შემდეგ გვიამბობდა შინაარსს და მეორის დღის საღამოზე გვკითხამდა: აბა, ვინ უფრო კარგად მიამბობს, რაც გუშინ გაგონვითო. ვინც კარგად ვუამბობდით, გვაქებდა და ამ ქებას ჩვენ დიდად ვიფასებდით... სწავლა რვა წლისამ დავიწყე ჩვენი სოფლის დიაკვანთან — ქართული წერა-კითხვითა. დიაკვანმა ძალიან კარგად იცოდა ქართული და სახელი ჰქონდა განთქმული საომრით წიგნების კარგის მკითხველისა. ხოლო უმთავრესი ღირსება მისი ის იყო, რომ მშობიაღელი თქმა იცოდა ამბებისა. გვიამბობდა მდაბიერად და ბავშვებისათვის ადვილად გასაგების ენით. უფრო საღმრთო და სამშობლო ქვეყნის ისტორიის ამბებსა, ვის რა გმირობა მოეძოქმედნა, ვის რა ფალავნობა გაეწია, ვის რა ღვაწლი და სიკეთე დაეთესა სამშობლოსა და საარწმენოების სასარგებლოდ და დასაცველად. ბევრი ამ ამბავთაგანი ღრმად ჩაჰრჩა გულში... მეთერთმეტე წელში რომ გადავდექი, მამამ ქალაქში წამიყვანა და მიმიკა რაეფსკისა და ჰაკკეს პანსიონში. 15 წლისა ვიყავი, როცა ამ პანსიონიდან ტფი-

ლისის გიმნაზიაში შეევდი; მეოთხე კლასში მიმიღეს და ბინად კი ისევ პანსიონში ვიყავი. პანსიონის მაშინ განაგებდა მხოლოდ ერი ჰაკეე. ჰაკეე სასტიკი კაცი იყო, მაგრამ თან იმოდენად მამობრივს მზრუნველობას იჩენდა თავისი შეგირდების მიმართ, იმოდენის ცდილობდა და ყურს უგდებდა მათს ზნეობრივსა და ეგონერობის განვითარებას, რომ თითქმის მთელს თავისუფალ დროს კლასში მეცადინეობის შემდეგ, იმათ ანდომებდა, ხან ემუსიფებოდა, ხან ირთობდა მუსიკითა და მართვადა ხელ და ხელ კონცერტს რიოალზედ, რომლის დაკვრაც საუცხოოდ იცოდა... გავთავე მერეკ კლასი, მხოლოდ საბოლოო ეგზამენი ღირ დავიბარე და 1857 წელს პეტერბურღის უნივერსიტეტში შევედი იურიდიული ფაკულტეტის მაშინდელ კამერალურს განყოფილებაზედ. 1861 წელს უკვე მეოთხე კურსზედ ვიყავ, მაგრამ გავაღინებე თავი უნივერსიტეტს მაშინდელ საუნივერსიტეტო არეულობის მიზეზით. 1863 წელს დავაფუძნე ჟურნალი „საქართველოს მოამბე", რომელმაც სულ ერთს წელიწადს იცოცხლა. იმავე 1863 წელს შევიარე ცოლად ოლია თავად თადეოზ გურამიშვილის: ასული (ღიმილით გადახედავს ოლიას). 1864 წლის დამდეგს, როცა განიზრახეს ბელჯაკოვის განთავისუფლების რეფორმა საქართველოში, გამაგზავნეს ქუთაისის გუბერნიაში გენერალ-გუბერნატორის ^ცალკე მინდობილობათა მოხელედ და დამავალეს გამომეძიებინა, თუ რა ურთიერთობა სუფევდა მემამულეთა და ბელჯაკოთა შორის ბატონყმობისგან წარმომდგარი. იმავე წელს ნოემბერში ბატონყმობა უკვე გადავრდა ტფილისს გუბერნიაში და მე დანიშნულ ვიქენ მომრიგებელ შუაკაცად დუშეთს. მომრიგებელ შუაკაცად დავყავი იქ 1868 წლამდე; ხოლო ამ წელს შემოიღეს სამართლის რეფორმა კაკვასიაში და მე მომსაღეს ასრულება მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობისა დუშეთსავე. აქ მეტი არ იქნება ვსთქვა, რომ ტფილისს გუბერნიის თავად-აზნაურობამ ნაწილი ბელჯთა განთავისუფლებისათვის უმაღლესად ნაბოძების ფულისა გადასღო ბანკის დასაარსებლად. ბეგრის ყოყმანისა და მერყეობის შემდეგ, თუ რაგვარი საკრედიტო დაწესებულება დავაარსოთო, თავად-აზნაურობამ გადასწყვიტა, ჩემის რჩევისამებრ, დაარსება საადგილმამულო ბანკისა და აირჩია კომისია, რომლის ერთ-ერთ წევრად მეც დამნიშნა წესდების შემდგენად. წესდება თავად-აზნაურობამ მოიწონა 1873 წელს. იმავე წელს თავად-აზნაურობამ დამავალა წავსულიყავ პეტერბურგს და გამომეთხოვნა დამტკიცება მის მიერ მოწონებულის წესდებისა. მეც ამ საქმის გულისათვის სახელმწიფო სამსახურს თავი დავანებე და პეტერბურგს წავედი. წესდება დამტკიცა მთავრობამ 1874 წელს. ბანკის დაარსებიდან დღემდე გამგეობის თავმჯდომარედ ვიმყოფები. ეს თანამდებობა არჩევანთ არის, არჩევანი ყოველს სამსახურ ლიწადში ერთხელ სწარმოებს. 1877 წელს დავარსე „ყოველკვირეული გაზეთი „ივერია", რომელიც შემდეგ ყოველთვიურ ჟურნალად იქმნა გადაკეთებული, ხოლო 1886 წლიდან ყოველდღიურ სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთად. 1902 წელს გაზეთი სხვას გადავეცი და იმის რედაკტორობით გამოდის დღესაც... ჩემი სალიტერატურო მუშაობა დაიწყო 1857 წელს, როცა „ცისკარში" მივეცი დასაბეჭდათ რამდენიმე წერილი ლექსი. წერილი ლექსების გარდა, დავწერე რამდენიმე პოემა, სახელდობრ: „ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან", „ანრიდილი", „ბანდეგალი", „დიმიტრი თავდადებული" და სხვა. მოთხრობათა შორის შემიძლია დავასახელო: „კაცია ადამიანი", „ბლახის ნაამბობი", „მგზავრის წერილები", „თთარაანთ ქვრივი", „სარჩობელაზედ" და სხვა. ამას გარდა, ბეგრი წერილი წერილია კიდეკ ჩემ მიერ დაწერილი საპოლიტიკო, საპუბლიცისტო, საკრიტიკო და საპოლემიკო შინაარსისა. ქართველთა გამომცემელმა ამხანაგობამ დაიწყო ბეჭდვა ჩემის ნაწერებისა და დაბეჭდა ოთხი ტომი, სადაც მოპყავ ლექსები, მოთხრობანი, ამბები და სცენები... 1877 წელს ამომირჩიეს საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტად და რამდენსამე ხანს მეჭირა ეს თანამდებობა. ეიყავ აგრეთვე არსეული ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ და ეს თანამდებობაკ მეკირა 1881 წლამდე. 1886 წლიდან დღემდე ვიმყოფები „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" გამგეობის თავმჯდომარედ... ვწუხვარ, რომ ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობამან და დროის სიმცირემ საშუალება არ მომცეს თავი მომეყარა ცნობებისათვის, რათა თქვენთვის წარმომედგინა სრული ნუსხა ჩემის თხზულებებისა უფრო ზუსტის ჩვენებით მათი დამეკმაყოფილებინა და დროისა, აგრეთვე რეცენზიები ადგილისა და შეფასებანი ამ შრომებისა.

დავშობი თქვენი ეკუშარატი პატივისმცემელი, თავადი ილია ^ავეკვავაძე".

ილიამ კითხვა დაამთავრა, ხალათის კიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, ოფლით დაცვარული შუბლი შეიშშრალა და შვებით ამოისუნთქა. ერთხანს სიჩუმე ჩამოწვა.

ილია — ჰა, სთქვი რამე, ადამიანო!

ოლია თავს აწევეს, ილიას შეხედავს და შუბლზე ხელს დადებს.

ოლია — შენი თავი მიცოცხლოს ღმერთმა, მე მეტი არა მინდა რა... (თავს მიიბრუნებს და თვალზე მომდგარ ცრცელს მალულად მოიწმენდს).

ილია — (შეწუხებული) რა მოგვიდა, ოლიკო!

ოლია — (ტულამომჯდარი) რაც დრო გადის, სულ ალარ მესმის რა ყურთა. ინ ეხლაც ვეჯეტენ, ვითომ გისმენდი კიდეკაც, შენის წაკითხულიდან

კი ბევრი ვერაფერი გავიგე — არ მესმოდა... მოგვერიდე და არ შეგაწყვეტინე.

ილია — შე დალოცვილო, სულ მაგაზე ჰფიქრობ, სულ მაგაზე დარდობ. რა ვიცი, შინაურობაში მე ძალიან დაბლა ლაპარაკი ვიცი — ან თუნდ ეხლაც — და შენ კარგად გესმის ხოლმე! არა, ოლიკო, მე მგონია, შენ უფრო ფიქრით აზვიადებ ყურთა-სმენის მოკლებას. დამერწმუნე, შენ სმენა ისე არ გაკლია როგორაც ჰფიქრობ.

ოლღა — რას ამბობ, ილიკო, ჩემის უბედურობის გამო სირცხვილთ ხალხში თავი ვერ გამომიყვია...

ილია — დამშვიდდი, გენაცვალე, შენ, ღვთის მადლით, სიმთისო არა გგჩრის რა, რომ ხალხს ერიდებოდე.

გულაჩუყებული ოლღა ცრემლს ვეღარ შეიკავებს და თვალებზე ცხვირსახოცს აიფარებს.

კარგი, ოლიკო, შენი სულისა! რაკი ეგრეა კუოლვ გაზაფხულზედ ვახსენით ღმერთი, აეკიდოთ მე და შენ ჩვენი გუდა-ნაბადი და გავწოოთ სამზღვარგარეთ. მეც, ხომ იცი, ავადა ვარ და წამლობა მინდა (ხელს გადახვევს). ღმერთი მოწყალეა, ცოცხლები ვიყვნეთ, თორემ მაგისთანა რაღაცეები არც შენ და არც მე არაფერს დაგვაკლებს.

ოლღა ცხვირსახოცით თვალებს ამოიმშრალებს, მეუღლეს ჭკერდზე მიადებს თავს და გიიტრუნებს. კარგა ხანს სხედან ეგრე.

ილია — (ოლღას კალთაში ჩაწყობილი ყურნალ-გაზეთების დასტიდან ერთ გაზეთს ამოარჩევს) აბა ერთი ვნახოთ, რასა წერს ჩვენი „ივერია"!

გაზეთს გადაშლის და სულ მალე ისე გაიტაცებს კითხვა, რომ თითქოს დაავიწყდება კიდეც ცოლის არსებობა. ოლღა ერთხანს ჩუმად ზის, მერე სათვალეს გაიკეთებს და რომელიღაც ყურნალს ისიც გადაფურცლავს, გადაათვალიერებს... უეცრად შეკრთება, ნაწერს თვალებთან ახლოს მიიტანს, ჩანს რაღაც საყურადღებო და მნიშვნელოვან წერილს წაიწყდა, შეშფოთებით გადახედავს ილიას, მაგრამ ის კვლავ კითხვით არის გართული. ოლღა ისევ ყურნალს მიუბრუნდება, კითხულობს და თანდათანობით ეცვლება სახე — მიღელვარება იპყრობს, სკამზე ვერ ისვენებს, წრიალებს ოხრავს და ვიშვიშებს.

ილია — (ცერად გადახედავს) რა იყო, ოლიკო, რა ნახე ეგეთი?

ოლღა — (აღელვებით) ვაი, ჩემს თვალებსა, ეს რა უკადრებით ამ პირშავებსა, ილიკო! (ილია კითხვას თავს ანებებს) აბა ერთი ყური მიგდე (კარხულობს): საგუარამოს საზოგადოების მეცხოვრებლებმა 6 მარტს თავი მოიყარეს და მოილაპარაკეს თავის ჭირ-ვარამზე, თავისს დაბეჭავებულ ცხოვრებაზე. „ამ ზამთარსა, დიდწყო სოფელ გურამიანთ კარელმა გლეხმა, დიდი ყინვებისაგან წყალი, რომლითაც მთელი ოთხი თუ ხუთი სოფელი ესარგებლობდით, [illegible] გაიყინა ისე, რომ მთლად უწყლოდ დავრჩით. სოფლის ზემოთ, სამ ვერსზედ ტყეში და მიუვალ ღელეში ჯაჭვაკაძის მამულში, გამოდის, პატარა წყარო, რომელიც ზამთრობით არ იყინება. დავიწყეთ ამ წყაროთი სარგებლობა; დაგვისია თავადმა მოურავები, ბიეები და აგვიკრძალა წყლით სარგებლობა (ოლღა ილიას გადაახედავს, რომელიც გულშეუჭვრელად ზის და მზერაგაშტერებული სადღაც, მაყურებელთა დარბაზს იქით იცქირება). თანაც გვითხრეს, ვისაც წყალი უნდა, იმან თითო სულ საკონელზე ათი შაური უნდა გვაძლიოსო თვეში, და სასმელ წყალს მექთად დავუთმობთო. იძულებული ვიყავით, დავთანხმებმდით; მთელი ზამთარი ვაძლიეთ ასე უცნაური ხარკი (ოლღა კვლავ გაოცებით გადახედავს ილიას). ჩვენს სოფელში იყო ერთი ძალზედ ღატაკი კაცი, ასე, რომ ჩვენ — ღარიბებს გვაყვედა ზურგზე აკიდებული თავისი ცოლ-შვილით. ერთ დღეს ამ კაცს ავმსო ორი კოკა, გადაკიდნა მხარზე და მიქონდა სახლში. გზად გამოვლილი დაინახა ილია ჯაჭვაკაძის მოურავმა, გავარდა, სწვდა ყელში, დაუწყო ლანძღვა, რატომ თვეში ათ შაურს არ იხდიო. გლეხმა მიუგო: „თქვენ ათი შაური საკონელზე დაადგინეთ და მე კი კატაც არა მყავსო; ან ათი შაური ვინ მომცეს ეს ორი კვირაა ავდანტალდი ლაგინდან, ხომ იცი, სულ ავათა ვარ, ნთქვამია „წყალი მდევს და გველეშაპსაც არ დაუჭერიაო" და თქვენ ხომ ქრისტიანები ხართო. შენთან ბევრი ლაპარაკი არა ღირსო, ამ სიტყვებით მიგარდა მოურავი საკოდვეს და ორივ სავსე კოკა ზედ გადაამტვრია ნახევრად შიშველ გლეხს. ამ ამბავს ილია ჯაჭვაკაძე ბალკონიდან უყურებდა 400 მანეთიან ქერქში გახვეული, გულანადგ იცინოდა და თანაც აქებდა ერთგულ მოურავს: „ყოჩაღ, მემარნეშვილო, ყოჩაღ, ეგრე სუსხი უნდა მისცე, რომ თავზე არ წაგვასხდნენო" (ოლღა კითხვას შეწყვეტს და შემოწუნებული ტუჩებზე ხელსაფეს მიიფარებს).

ილია — (მკაცრად) ოლიკო, იცოდე არაფერი გამოტოვო!

ოლღა — (განაგრძობს) უბედური გლეხი ვიდრე სახლში მივიდოდა დასცვალებული, გზაში მთლად გაყინულიყო, მივიდა სახლში, მარა იქაც კერა გაცივებული დახვდა უშვშობის გამო. გახდა ხელ ახლად ავათ და ერთ კვირაზედ გაათავა მრავალ ტანჯული და წამებული სიცოცხლეო", დაათავა გლეხმა ეს შემზარავი ამბავი.

აღელვებული ოლღა გაჩუმდება, თავზარდაცემული ხმას ვეღარ იღებს, ბოლოს, როგორც იქნება, ატყვის:

აღარ შემიძლია...

ილია — წაიკითხე!

ოლღა — (ძალისძალით განაგრძობს კითხვას): სირცხვილი შენ, სირცხვილი! ვისი დაწერილია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვენიერი წიგნი, რომელსაც „ოლიანის ნაამბობი“ ქვია? ვისი-მეთქი, გეკითხები. რატომ აწერე ასე ხელოვნებით „ბატონების“ სიმბოლე და ყმების გაკიცვა, თუ რამდენიმე ხნის შემდეგ შენს ნაწერებს შენვე უარყოფდი? ვინ გალეწა ისე ლამაზად ყანაღი კაკოს ნაამბობი? ვინ-მეთქი, გეკითხები? რა იყო მიზეზი კაკოს გაყოჩაღებისა? ნუთუ ყველი ეს დაგავიწყდა? სირცხვილი შენ, სირცხვილი! ამიერიდან ქართველ მკითხველს საქმე ექნება არა ზევით დასახელებულ ნაწარმოებთა ავტორთან, არამედ ქართველ მემამულესთან, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე მხოლოდ იმისთვის მოუნდომებია, რომ გლეხები ეკვლიფა და ეტაცვებია. ჩვენ არა გვგონია საქართველოს მიწაზე მოიპოვებოდეს მეორე ისეთი სასტიკი მემამულე, რომელსაც ასე ულმობლად მოყავდეს ცხოვრებაში გლეხების გაყვლეფის სისტემა. განა მათი ნაოფლარით არ ისუქებდნი „ღიასა და ღობასა“?

ოლია ამ ბოლო სიტყვებს აკანკალებული ხმით კითხულობს და ბოლოს სულაც გაჩუმდება, აშკარად ალარ ძალუძს კითხვა. ილიას უმწეოდ მიაჩერდება.

ილია — წაიკითხე-მეთქი.

ოლია — (ბედს დამორჩილებული ეილაჯოდ განაკურთხავს): დადგა დრო განკითხვისა. მოვიდა ჟამი ოდეს თქვენ და მრავალნი სხვანი, როგორც მაშინ, როდესაც ქრისტეს ტანჯვით და სისხლით გამოწყვეული მიწის ძვირის დროს დედამიწა გასქოდა და საფლავებმა თავისი მკვდრები ცოცხლად ამოაყარეს — რომაელ მეომრებივით შიშშორეული გაქუსლავთ და ვინთი ვინმე, მიზეზის მიზეზი, ეკლესია და უგანო შემკრთალი და აკანკალებული ასის თავივით დაიძახეს: მართალი ყოფილან, მართალი ყოფილანო. კბილი კბილისა წყდ და თვალი თვალისა წყლ... იშლება და ირღვევა ათასი წლის შენობა. ვერავითარი არხიტექტორი, ვერავითარი ხერხ ვერ შეაჩერებს მის დანგრევას. კედლები ზანზარებენ, ეკლესიის ჭუჭრუტანებს პირი დაუღიათ და შავად გაკეკრიან ბაროგალეტელს, ამობობკრებულს არეარაღს, შენობაში ყოველივე ლპება და იხრწნება და ან დადგა დრო, როცა საძირკლიანად შერყეული შენობა ვერ იტევს საზარელ ბალღამს, მან უნდა გადმოხეთქოს ჭუჭრუტანებში, გაიტანოს კედლები და თავზე დაახეთქოს ნანგრევები ვისაც ჯერ არს. ს

ეროვნული

სოვს: ვინ დაგვესხა თავს, რამდენნი იყვნენ, რა ეცვათ, როგორ დამჭრეს მე, რა დაემართა ილიას, ვერაფერს გეტყვით... (ელვა ჩაფიქრდება) გონს რომ მოვედი, მითხრეს, შენი ქმარი ქალაქს დაბრუნდაო... (ტირილი წასკდება და სახეზე ხელებს აიფარებს) რად მომიკლეს ჩემი ილია, რად წამართვეს ჩემი ნუგეში, ჩემი თვალისჩინი?.. (დიდხანს ტირის, როდის-როდის დამშვიდდება, ცრემლს შეიმშრალებს) სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა ჩემი ილიას მკვლელებს, მაგრამ მე ღრმად მწამს, დღეს რომ ჩემი ქმარი ცოცხალი იყოს, შეუნდობდა იმათ, რომელთაც სასიკვდილოდ გაიმეტეს იგი და თავის გზაბნეულ ძმებად მიიჩნევდა... სიცოცხლეში ჩემმა ქმარმა მთელი თავისი სულიერი ძალ-ღონე, ღვთის მიერ მასზედ მოვლენილი მადალი ნიჭი კაცთა შორის სიყვარულის განმტკიცებას შესწირა და ქართველი ერის სულიერ ცხოვრებაში ილიას-ხელოვნებას იმის მკვლელთა სიკვდილით დასჯით დაიჩრდილება... ჩემი დღეები დათვლილია... მე მხოლოდ იმისთვის დავრჩი ამქვეყნად, რათა დავაბრალო ის ღვაწლი კაცთა მიმართ მხურვალე სიყვარულისა, რომელსაც ჩემმა ქმარმა მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა და შეეუნდო იმ უმედურ, გზაბნეულ მოყვასთ, რომელთაც თვით ის შეუნდობდა... ჩემი უკანასკნელი სურვილია, რომ სიცოცხლის აღსასრულის ჟამს ვიგრძნო უმაღლესი ნეტარება — შეერთება ღმერთთან, რომელიც განიცადა ქრისტემ, როცა ჯვარზე გაკრული, სიკვდილის ჟამს, ღვთიურის სიყვარულის შუქით განათებული ეკვდრებოდა შემოქმედს შენდობას იმის მტრებისას, რამე თუ „არა იციან, რასა იქმან“.

სინთლის სხივი ნელ-ნელა ქრება და სცენაზე წყვდიადი დაისადგურებს.

ინდური ლიტერატურის მრავალრიცხოვან ძეგლთა შორის, რომელთა ისტორიაც ათასწლეულებში იღებს დასაბამს, დღემდე უდიდესი ღირსებით სარგებლობს **ᲣᲤᲐᲜᲘᲨᲐᲓᲔᲑᲘ**, რომელმაც ერთგვარად განსაზღვრა კიდეც ინდური კულტურის განვითარების გზები. უფანიშადები, — ვედურ კრებულთა: რიგვედას, სამავედას, იაჯურვედასა და ათაჰარვავედას ფილოსოფიურ განმარტებებს რომ წარმოადგენს, — უნიკალური ძეგლია საკაცობრიო აზროვნების ისტორიაში. მას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ფილოსოფიის, რელიგიის, სამართლის, ფსიქოლოგიის, ეთიკის, ესთეტიკის, ენისა და საბუნებისმეტყველო საგანთა კვლევისათვის. უფანიშადებიდან რომელნიც „ადრეულ“ და „გვიანდელ“ უფანიშადებად იყოფა, ერთ-ერთი ყველაზე უძველესია ჩჰანდოგია უფანიშადა.

გთავაზობთ ჩჰანდოგია უფანიშადას მეოთხე ნაწილის თარგმანს მცირე შენიშვნებითურთ.

ᲩᲰᲐᲜᲓᲝᲒᲘᲐ ᲣᲤᲐᲜᲘᲨᲐᲓᲐ

ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ

ᲗᲐᲕᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

1. ომ![1] იყო ოდესღაც ჯანშრუთი[2] ფაუთ — რაიანა, შვილთაშვილი ჯანშრუთისა, ღვთისმოსავი, ყოველთა განმკითხველი და დამპურებელი. ყოველგან აღაშენა თავშესაფარნი, მფიქრველმან ამისა: „დაე, ყოველმან მიიღოს საზრდელი ჩემთანა“.

2. ჟამსა ერთსა, ღამეულად გედებმა ჩაიფრინეს, და ერთმა გედმან მეორესა ჰრქვა: „ჰეი, ჰეი, კეთილმხედველო, კეთილმხედველო! ცისა მსგავსად განიკრცო შუქი ჯანაშრუთისა, ჯანაშრუთის შვილთაშვილისა. არ შეეხო მას, ვაითუ დაგფერფლოს!“

3. ხოლო მეორემან პირველსა ჰრქვა: „ვითა უბნობ შენ მასზედ, ისეთსა კაცზედ, თითქო იგი რაიქვა[3] იყოს ურმითა?“ — „ეს ვინაა — რაიქვა ურმითა?“

4. — „ვითა კამათლის ხელუკუღმა აყრისას შეკრიბვენ უმცირეს რიცხვთა, ეგრეცა რაიქვასთან შეკრბების ყოველი სიკეთე, რასაცა იქმენ კაცნი. მეც მასზედ ვუბნობ, კაცზედ, — ვინცა ის უწყის, რაიცა რაიქვამ“.

5. ხოლო ჯანაშრუთს, შვილთაშვილს ჯანაშრუთისას, შეესმა უბნობა გედთა. ზეწამოიწია და ჰრქვა მსახურს: „კეთილო! შენ ისე უბნობ ჩემზე, თითქო მე რაიქვა ვიყო ურმითა“. — „ეს ვინაა — რაიქვა ურმითა?“

6. — „ვითა კამათლის ხელუკუღმა აყრისას შეკრიბვენ უმცირეს რიცხვთა, ეგრეცა რაიქვასთან შეკრბების ყოველი სიკეთე, რასაცა იქმენ კაცნი. მეც მასზედ ვუბნობ, კაცზედ, — ვინცა ის უწყის, რაიცა რაიქვამ“.

7. და მსახურმან, რაიქვას ამაო ძებნით უკანმობრუნებულმან, პატრონს ჰრქვა: „მე ვერა ვპოვე იგი“. ჯანაშრუთიმ მსახურს ამცნო: „სადაცა ბრაჰმანს[4] ეძიებენ, იგიცა იქ ეძიე“.

8. და ოდეს იხილა მსახურმან ურმის ქვეშ მწოლარე კაცი, წულულებისა

მფხან

ათი — საზრდელია, ათი ქრითია. იგი ვირაჯია. მიმღები საზრდელისა. მისი წყალობით ჭვრეტენ ყოველსავე არსს. იგი უჭვრეტს ყოველსავე არსს, იგია მიმღები საზრდელისა, ვინცა ეს უწყის, ვინცა ეს უწყის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეოთხე

1. ჟამსა ერთსა სათიაქამა, ძე ჯაბალასი, მიეახლა თვისსა დედას — ჯაბალას: „მე მწადს, დედავ ბატონო, ვედებს დავეუფლო. რა გვარისა ვარ მე?“

2. დედამ აუწყა ძეს: „მე არ ვუწყი, ძეო ჩემო, რა გვარისა ხარ შენ. ყმაწვილქალობაში, ოდეს შენ ჩამესახე, ვიყავ მოახლე მოკარდაკარე, მრავალსა დარჯაკში, და არ ვუწყი, რა გვარისა ხარ შენ. ხოლო სახელი ჩემი — ჯაბალაა, შენი — სათიაქამა. უხმე თავსა შენსა სათიაქამა, ძე ჯაბალასი“.

3. ხოლო ამისა შემდგომად სათიაქამა ჰარიდრუმათს ეახლა, გაუთამას გვარისას, და ჰრქვა მას: „მწადს, ღირსეულო, ვედებს დავეუფლო, მწადს შეგირდობა შენი, მეუფეო. მეგების მოახლება შენდა?“

4. ჰარიდრუმათამ ჰკითხა მას: „კეთილო ჩემო! რა გვარისა ხარ შენ?“ სათიაქამამ მიუგო: „მე არ ვუწყი, მეუფეო, რა გვარისა ვარ. მე ვკითხე დედას, ხოლო მან მომიგო: „ყმაწვილქალობაში, ოდეს შენ ჩამესახე, ვიყავ მოახლე მოკარდაკარე, მრავალსა დარჯაკში; და არ ვუწყი, რა გვარისა ხარ შენ. ხოლო სახელი ჩემი — ჯაბალაა, შენი — სათიაქამა“. ამადაც მქვია მე სათიაქამა, ძე ჯაბალასი.

5. ჰარიდრუმათამ მას ჰრქვა: „თვინიერ ბრაჰმანისა არავინაა შემძლებელ ასერიგად განაცხადოს ყოველი. მომართვი სამსხვერპლო შეშა, კეთილო ჩემო, მე შენ გაკურთხებ შეგირდად. არ განმდგარხარ შენ ჭეშმარიტებისაგან“. და როს აკურთხა შეგირდად, გამოურჩია ოთხასი ფერდებჩაცვენილი, დაუძლურებული ძროხა და ჰრქვა: „ვლიდე მათ თანა, კეთილო ჩემო!“ სათიაქამამ წამოიერეა ნახირი და სთქვა: „მე არ დავბრუნდები თვინიერ ათასისა“ და ვლიდა მათ თანა განდგომილი რაოდენსამე წელიწადსა. და ოდეს ნახირმან ათასამდინ მიაღწია.

თავი მეხუთე

1. მას ხარმან ჰრქვა:[9] „სათიაქამა!“ — „დიახ, მეუფეო!“ — „ჩვენ უკვე ათასნი ვართ, მოყვასო ჩვენო, წაგვასხი შინ, მოძღვრისასა.

2. ხოლო მე გამცნებ შენ ბრაჰმანის ერთი ტერფისას“. — „შამცნე, მეუფეო“. — და ხარმან ამცნო: „აღმოსავლისა კიდე — ერთკერძოა ამა ტერფისა, დასავლისა კიდე — ერთკერძოა, სამხრისა კიდე — ერთკერძოა, ჩრდილოჲსა კიდე — ერთკერძოა. ჭეშმარიტად! მოყვასო ჩემო, აჰა, ოთხკერძოვე ტერფი ბრაჰმანისა, რასაცა ფრაქაშავანა[10] ჰრქვეს.

3. იგი, ვინცა ეს უწყის და თაყვანი სცა ბრაჰმანის ოთხკერძოვე ტერფს ვითა ფრაქაშავანას, იგი შეიქმნების მოელვარე ამა სამყაროში; მოელვარე სამყაროებს დაეუფლება იგი, ვინცა ეს უწყის და თაყვანი სცა ბრაჰმანის ოთხკერძოვე ტერფს ვითა ფრაქაშავანას.

თავი მეექვსე

1. ცეცხლი გამცნებს შენ ბრაჰმანის მეორე ტერფისას“. ცისკრის ჟამს სათიაქამამ შორად წაასხა ნახირი და იქ, სადაცა მათ ბინდისას ჩააღწიეს, მან დაანთო ცეცხლი, ნახირი მორეკა, შეუნთო შეშა და დასავლით მიუჯდა ცეცხლს. აღმოსავლით პირმიქცეული.

2. ცეცხლმან ჰრქვა მას: „სათიაქამა!“ — „დიაღ, მეუფეო“.

3. — „მე გამცნებ შენ, მოყვასო ჩემო, ბრაჰმანისა ერთი ტერფისას“. — „შამცნე, მეუფეო“. — და ცეცხლმან ამცნო: „მიწა — ერთკერძოა ამა ტერფი-

სა, ჰაერისა სივრცენი — ერთკერძოა, ცა — ერთკერძოა, ოკეანე — ერთკერ-
ძოა. ჭეშმარიტად. მოყვასო ჩემო, აჰა, ოთხკერძოვე ტერფი ბრაჰმანისა, რა-
საცა ანანთავანა[11] ჰრქვეს.

4. იგი, ვინცა ეს უწყიხ და თაყვანი სცა ბრაჰმანის ოთხკერძოვე ტერფს, ვითა ანანთავანას, იგი შეიქმნების უსაზღვროო ამა სამყაროში. უსაზღვროო სამყაროებს დაეუფლება იგი, ვინცა ეს უწყის და თაყვანი სცა ბრაჰმანის ოთხ-კერძოვე ტერფს ვითა ანანთავანას.

თავი მეშვიდე

1. გედი გამცნებს[12] შენ ბრაჰმანის მესამე ტერფისას". ცისკრის ჟამს სა-თიაქამამ შორად წაასხა ნახირი. და იქ, სადაცა მათ ბინდისას ჩაალწიეს, მან დაანთო ცეცხლი, ნახირი მორეკა, შეუნთო შეშა და დასავლით მიუჯდა ცეცხლს აღმოსავლით პირმიქცეული.

2. მასთან მოფრინდა გედი და ჰრქვა მას: „სათიაქამა!" — „დიაღ, მეუ-ფეო".

3. — „მე გამცნებ შენ, მოყვასო ჩემო, ბრაჰმანის ერთი ტერფისას". — „მამცნე, მეუფეო". — და გედმან ამცნო: „ცეცხლი — ერთკერძოა ამა ტერ-ფისა, მზე — ერთკერძოა, მთოვარე — ერთკერძოა, ელვა — ერთკერძოა. ჭეშ-მარიტად! მოყვასო ჩემო, აჰა, ოთხკერძოვე ტერფი ბრაჰმანისა, რასაცა ჯიო-თიშმანა[13] ჰრქვეს.

4. იგი, ვინცა ეს უწყის და თაყვანი სცა ბრაჰმანის ოთხკერძოვე ტერფს ვითა ჯიოთიშმანას, იგი შეიქმნების მანათობელი ამა სამყაროში, მანათობელს სამყაროებს დაეუფლება იგი, ვინცა ეს უწყის და თაყვანი სცა ბრაჰმანის ოთხ-კერძოვე ტერფს ვითა ჯიოთიშმანას.

თავი მერვე

1. „ყურყუმელი გამცნებს[14] შენ ბრაჰმანის მეოთხე ტერფისას". ცისკრის ჟამს სათიაქამამ შორად წაასხა ნახირი. და იქ, სადაცა მათ ბინდისას ჩაალწიეს, მან დაანთო ცეცხლი, ნახირი მორეკა, შეუნთო შეშა და დასავლით მიუჯდა ცეცხლს აღმოსავლით პირმიქცეული.

2. მასთან მოფრინდა ყურყუმელი და ჰრქვა მას: „სათიაქამა!" — „დიაღ, ჰეუფეო".

3. — „მე გამცნებ შენ, მოყვასო ჩემო, ბრაჰმანის ერთი ტერფისას". — მამცნე, მეუფეო". — და ყურყუმელმან ამცნო: „მშვინვა — ერთკერძოა ამა ტერფისა, სახედველნი — ერთკერძოა, სასმენელნი — ერთკერძოა, გონება — ერთკერძოა. ჭეშმარიტად! მოყვასო ჩემო, აჰა, ოთხკერძოვე ტერფი ბრაჰმანი-სა, რასაც აიათანავანა[15] ჰრქვეს.

4. იგი, ვინცა ეს უწყის და თაყვანი სცა ბრაჰმანის ოთხკერძოვე ტერფს ვითა აიათანავანას, იგი შეიქმნების დასაბამიერობით წილხვდომილი ამა სამ-ყაროში. დასაბამიერობით წილხვდომილ სამყაროებს დაეუფლება იგი, ვინცა ეს უწყის და თაყვანი სცა ბრაჰმანის ოთხკერძოვე ტერფს ვითა აიათანავანას.

თავი მეცხრე

1. და აჰა, სათიაქამამ ჩაალწია მოძღვრისას, ხოლო მოძღვარმან მას ჰრქვა: „სათიაქამა!" — „დიაღ, მეუფეო!" —

2. „ჭეშმარიტად! კეთილო ჩემო, შენ ბრწყინავ ვითა მეცანი ბრაჰმანისა. ვინ დაგმოძღვრა შენ?" — „არა კაცმან-კაცადმან, — მიუგო სათიაქამამ. — მაგ-რამ მე მწადს, შენ მამცნო ყოველი, მეუფეო.

3. უკეთუ კაცთაგან, შენთან მსგავსთაგან, მსმენია: „ცოდნას, ოდენ მოძღვ-რისგან შეძენილს, მივყავართ ყოველი სიკეთისაკენ". და მოძღვარმან ამცნო მას იგივე, — ყოველივე გამოწვლილვითა, ყოველივე გამოწვლილვითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეათე

1. უფაქსოსალა, ძე ქამალასი, სათიაქამასთან ეუფლებოდა ვედებს, ჯაბალას ძესთან. თორმეტი წელიწადი უმკურეტდა მისთა სამსხვერპლო ცეცხლთა. ოდეს განასრულეს განსწავლა, მოძღვარმან დაითხოვა შეგირდნი, თვინიერ უფაქოსალასი.

2. ცოლმან სათიაქამას ჰრქვა: „შეგირდი შენი მოიღალა ვედებითა, შენთა ცეცხლითაც გულისზრახვითა უმკურეტს. არა გავნონ რა ცეცხლთა. დამოძღვრე იგი“. ხოლო მოძღვარმან დაუტევა სახლი თვისი, ყრმისა დაუმოძღვრავად

3. და სახმილწაკიდებულმა უფაქოსალამ, ქამალას ძემ, აღიკვეთა საზრდელი. მოძღვრის ცოლმან მას ჰრქვა: „მიიღე, ყრმაო, საზრდელი. რად არა მჭამ!“ ყრმამან მიუგო: „კაცნი ათასსნარი სწადელით არიან შეპყრობილნი. მე აღსავსე ვარ ურვითა. ამადაც არ მივიღებ საზრდელს“.

4. ხოლო ცეცხლთა ერთურთს ჰრქვეს: „ყრმა იგი მოიღალა ვედებითა, ჩვენცა გულისზრახვითა გვიუმკურეტს. მოდით, დავმოძღვროთ იგი“. და მათ აუწყეს ყრმასა: „ბრაჰმანი — მშვინვაა, ბრაჰმანი — სიხარულია, ბრაჰმანი — სივრცეა“.

5. ყრმამან ჰრქვა: „მე მესმის, რომ ბრაჰმანი — მშვინვაა. მაგრამ არ მესმის, რად არის ბრაჰმანი — სივრცე და სიხარული“. ცეცხლთა ამცნეს: „ჭეშმარიტად! სიხარული იგივეა, რაიცა სივრცე. სივრცე იგივეა, რაიცა სიხარული“. ასევე განუმარტეს ყრმასა — არსი მშვინვისა და არსი სივრცისა.

თავი მეთერთმეტე

1. მერმე ცეცხლმან გარჰაფათიამ[16] დამოძღვრა იგი: „მიწა, ცეცხლი, საზრდელი და მზე — აჰა, არსნი ჩემთა სახებათა. ჭეშმარიტად! იგი ფურუშა, რომელიცა მზეში იხილვის, მე ვარ, ჭეშმარიტად, მე ვარ იგი.

2. იგი, ვინცა ეს უწყის და თაყვანი სცა მას, განაგდებს თვისთაგან ბოროტსა, მპყრობელია სამყაროჲსა, აღწევს სრულ ჰასაკს სიცოცხლისას, ნათელმოსილია, მზეგრძელია შთამომავლობითა. ჩვენ ამიერ სოფლადაც ვმფარველობთ მას და იმიერ სოფლადაც, მას, ვინცა ეს უწყის და თაყვანსა მცემს მე — ცეცხლსა გარჰაფათიას“.

თავი მეთორმეტე

1. მერმე ცეცხლმან ანვაჰარიაფაჩანამ[17] დამოძღვრა იგი: „წყალი, ქვეყნიერების კიდენი, ვარსკვლავნი და მთოვარე — აჰა, არსნი ჩემთა სახებათა. ჭეშმარიტად! იგი ფურუშა, რომელიცა მთოვარეში იხილვის, მე ვარ, ჭეშმარიტად, მე ვარ იგი.

2. იგი, ვინცა ეს უწყის და თაყვანი სცა მას, განაგდებს თვისთაგან ბოროტსა, მპყრობელია სამყაროჲსა, აღწევს სრულ ჰასაკს სიცოცხლისას, ნათელმოსილია, მზეგრძელია შთამომავლობითა. ჩვენ ამიერ სოფლადაც ვმფარველობთ მას და იმიერ სოფლადაც, მას, ვინცა ეს უწრის და თაყვანსა მცემს მე — ცეცხლსა ანვაჰარიაფაჩანას“.

თავი მეცამეტე

1. მერმე ცეცხლმან აჰავანიამ[18] დამოძღვრა იგი: „მშვინვა, სივრცე, ცა და ელვა — აჰა, არსნი ჩემთა სახებათა. ჭეშმარიტად! იგი ფურუშა,[19] რომელიცა ელვაში იხილვის, მე ვარ, ჭეშმარიტად, მე ვარ იგი.

2. იგი, ვინცა ეს უწყის და თაყვანი სცა მას, განაგდებს თვისთაგან ბოროტსა, მპყრობელია სამყაროჲსა, აღწევს სრულ ჰასაკს სიცოცხლისას, ნათელმოსილია, მზეგრძელია შთამომავლობითა. ჩვენ ამიერ სოფლადაც ვმფარვე-

ლობთ მას და იმიერ სოფლადაც. მას, ვინცა ეს უწყის და თაყვანსა ეცემინეს მე — ცეცხლსა აჰავანიას“.

თავი მეთოთხმეტე

1. და ცეცხლთა ჰრქვეს ყრმასა: „აჰა, გამცნეთ შენ, უფაქოსალა, მოძღვრება ჩვენი. გამცნეთ, მოუვასო, სიბრძნე ათმანისა. ხოლო გზა მოძღვარმან წარგიძართოს“. შინმბრუნებულმან მოძღვარმან მარ ჰრქვა: „უფაქოსალ!“

2. — „დიაღ, მეუფეო“. — „შენ ბრწყინავ, კეთილო ჩემო, ვითა მეცანი ბრაჰმანისა. ვინ დაგმოძღვრა შენ?“ — „ვის ძალუძდა, მეუფეო, დავემოძღვრე, მე?“ — მიუგო უფაქოსალამ, თითქო მალვიდა სიმართლეს, და ცეცხლთა მჭვრეტელმან, სთქვა: „ამჟამ ცეცხლნი სხვანაირნი არიან, სხვანაირნი იყვნენ იმჟამაც“. და მოძღვარმან ჰკითხა: „კეთილო ჩემო, რაჲ გამცნეს შენ ცეცხლთა?“

3. — „იგიცა და იგიცა, და იგიც და იგიცა“, — მიუგო ყრმამან. „ჭეშმარიტად! კეთილო ჩემო, ცეცხლთა გამცნეს შენ ოდენ სამყაროთათვის. მე გამცნეს შენ ბრაჰმანისათვის. მსგავსად იმისა, ვითა არ მიეცხების წყალი ლოტოსის ფურცელთ, არ მიეცხების ბოროტი იმა, ვინცა ის უწყის, რასაცა მე გამცნეს შენ“.

თავი მეთხუთმეტე

1. „იგი ფურუშა, რომელიცა სახედველში იხილვის — ათამანია, — სთქვა მოძღვარმან, — იგი — უკვდავია, იგი — უშიშია, იგი — ბრაჰმანია. და თუნდაც ამ სახედველთ ებაკუროს წმიდა ზეთი, გინათუ წყალი, მყისვე განელტვიან ჭუთუთოთ.

2. ჭეშმარიტად! სიკეთისა შესაკრებელს უხმობენ მას, რამეთუ მასთან შეკრბების სიკეთე ყოველი. სიკეთე ყოველი შეკრბების მასთან, ვინცა ეს უწყის.

3. ხოლო ჭეშმარიტად! იგი — მტვირთველია სიკეთისა, რამეთუ იგი მტვირთველია ყოველი სიკეთისა. ყოველი სიკეთის მტვირთველია იგი, ვინცა ეს უწყის.

4. ხოლო ჭეშმარიტად! იგი — მპყრობელია ელვარებისა, რამეთუ იგი ელვარებს ყოველსავე სამყაროში. ყოველსავე სამყაროში ელვარებს იგი, ვინცა ეს უწყის.

5. ხოლო რაჟამს ყოველივე ამისა მეცანი აღესრულება, მისცემენ მისსა ცხედარსა ცეცხლსა თუ არ მისცემენ, იგი შთაეწვის ცეცხლისა სიკაშკაშეს, სიკაშკაშიდგან — დღესა, დღიდგან — ნახევართვისა სინათლესა, ნახევართვისა სინათლიდგან — ნახევარწელიწადსა, ხანგრძლივობაში რისიც მზე ჩრდილოეთ მიექცევის, ნახევარწ[illegible]ლიწადიდგან — წელიწადსა, წელიწადიდგან — მზესა, მზიდგან — მთთვარისა, მთოვარიდგან — ელვასა. იქა ჰგიეს ფურუშა — კაცთაარმსგავსი ბუნებისა.

6. ფურუშა მიუძღვის მას ბრაჰმანისაკენ. ეს — გზაა ღმერთთაკენ, ეს — გზაა ბრაჰმანისაკენ. იგი, ვინცა ამ გზას მიჰყვება, აღარ უბრუნდება კაცებრივსა ყოფიერებას, აღარ უბრუნდება კაცებრივსა ყოფიერებას.

თავი მეთეთრმეტე

1. ჭეშმარიტად! ქარი, რომელიცა განწმედილია, შეწირულებაა. მიმოქროველი, განსწმედს ყოველსა ამას, იგი შეწირულებაა. გონება და მეტყველება — აჰა, ორი გზა მისი.

2. ამთგან ერთსა გონებითა აღასრულებს ბრაჰმანი, მეორესა მეტყველებითა აღასრულებენ ჰოთარ[20], ადჰვარიუ[21], უდგათარი[22]. ხოლო უკეთუ ცისკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისა ლოცვის ქამითგან ვიდრე განმასრულებელ ლექსთამდე ბრაჰმანი დაარიდევევს სიჩუმეს.

3. მაშინ იგი აღასრულებს ოდენ ერთსა გზას, ხოლო მეორესა — წარწყუმედს. მსგავსად იმისა, ვითა ნაკლულოვანია კაცი, მოსიარულე ცალ ფეხზედ, გინათუ ეტლი, მგორავი ცალ თვალზედ, ეგრემც ნაკლულოვანია მისი შესაწირავიცა. ოდეს შესაწირავი ნაკლულოვანია, ნაკლულოვანია აგრეთვე შემწირველიცა. ამდაგვარი მსხვერპლშეწირვის აღმსრულებელი შეიქმნების უარესი.

4. ხოლო უკეთუ ცისკრისა ლოცვის ქამითგან ვიდრე განმასრულებელ ლექსთამდე ბრაჰმანი დუმს, მაშინ იგი აღასრულებს ორთავ გზას, და მათგან ორთავ გზა — წარუწყმედელია.

5. მსგავსად იმისა, ვითა საიმედო საყრდენსა ფლობს კაცი, ორთავე ფეხზედ მოსიარულე, გინათუ ეტლი, ორსავ თვლებზედ მგორავი, ამგვარადვე საიმედო საყრდენსა ფლობს მისი შესაწირავიცა. ოდესაც საიმედო საყრდენსა ფლობს შესაწირავი, საიმედო საყრდენსა ფლობს შემწირველიცა. ამდაგვარი მსხვერპლშეწირვის აღმსრულებელი შეიქმნების უკეთესი.

თავი მეჩვიდმეტე

1. ფრაჯაფათიმ[23] გაატფო სამყარონი და მათგან, მხურვალთაგან, აღმოაცენნა მათი არსნი: ცეცხლი — მიწითა, ქარი — ჰაერისა სივრცითა, მზე — ცითა.

3. ფრაჯაფათიმ გაატფო ეს სამაგი ცოდნა. და მისგან, მხურვალისგან, აღმოაცენნა მათი არსნი: ცეცხლითა — რიჩნი[24], ქარითა — იაჯუსნი[25], სამანნი[26] — მზითა.

3. ფრაჯაფათიმ გაატფო ეს სამაგი ცოდნა. და მისგან მხურვალისგან, აღმოაცენნა მისი არსნი: „ბჰუს“ — რიჩებითა, „ბჰუვას“ — იაჯუსებითა, „სვარა“ — სამანებითა.

4. ამისათვის, უკეთუ შესაწირავი ნაკლულოვანია რიჩითა შეცოდებათაგან, დაე ღაღადებითა: „ბჰუს“, „ კურთხეულო!“ — აღასრულონ მსხვერპლშეწირვა ცეცხლ გარჰაფათიიზე. და ასეთნაირად, არსითა რიჩითა, ძალითა რიჩითა აღადგენენ შესაწირავთა ნაკლულოვანებას რიჩებისას.

5. ხოლო უკეთუ შესაწირავი ნაკლულოვანია იაჯუსთა შეცოდებათაგან, დაე ღაღადებითა: „სვარა“, „ კურთხეულო!“ — აღასრულონ მსხვერპლშეწირვა ცეცხლს აგნიდჰარიაზე. და ასეთნაირად, არსითა იაჯუსთა, ძალითა იაჯუსთა აღადგენენ შესაწირავთა ნაკლოვანებას იაჯუსებისას.

6. ხოლო უკეთუ შესაწირავი ნაკლულოვანია სამანთა შეცოდებათაგან, დაე ღაღადებითა: „სვარა“, „ კურთხეულო!“ — აღასრულონ მსხვერპლშეწირვა ცეცხლს აპავანიაზე. და ასეთნაირად, არსითა სამანთა, ძალითა სამანთა აღადგენენ შესაწირავთა ნაკლულოვანებას სამანებისას.

7. მსგავსად იმისა, ვითა ბავრუკისა მარილით განამტკიცებენ ოქროს, ოქროჲთა — ვერცხლს, ვერცხლითა — კალას, კალითა — ტყვიას, ტყვიითა — რკინას, რკინითა — ხეს, ხითა — ქერქს.

8. ასეთნაირადვე ძალითა ამა სამყაროთა, ამა ღვთაებათა, ამა სამმაგი ცოდნითა აღადგენენ ნაკლულოვანებას შესაწირავთა. ჭეშმარიტად! შესაწირავი აღორძინდების იქ, სადაცა მეცანია ამა ბრაჰმანისა.

9. ჭეშმარიტად! შესაწირავი იგი მიიქცევის ჩრდილოჲსკენ, სადაცა მეცანია ამა ბრაჰმანისა. აჰა, საგალობელიცა ამა ბრაჰმანის მეცანისათვის:

„საითკენაც არ უნდა მიიქცეს შესაწირავი,
კაცია იქით მიიქცევის.

10. ბრაჰმანი — ერთადერთი ჭურუმი, მფარველია ჭურუმთა, ვითა ცხენი“.

ჭეშმარიტად! მეცანი ამა ბრაჰმანისა მფარველობს შესაწირავს, ფიცარსა
ველსა და ყოველთა ქურუმთ. დაე, ვინცა ეს უწყის, იგი შერაცხონ ბრაჰმანად,
და არა იგი, ვინცა ეს არ უწყის; და არა იგი, ვინცა ეს არ უწყის.

თარგმანი
ლეონ ალიმონაკისა

შენიშვნები

1. ომ! — ინდუიზმსა და ბუდიზმში რელიგიურ ცერემონიათა და ლოცვათა აღვლენის ჟამს დაკანონებული სახიერი შეძახილი. გადმოითარგმნება დაახლოებით როგორც „ჭეშმარიტად“, „იქმენნ“ (ქრისტ. „ამინ“). ომ! — აღიარებულია უზენაესი დასახმის უმაღლესი სიწმინდის სიმბოლოდ.

2. ჯანაბუთი — უმაღლესი კასტის — ქშაერიების წარმომადგენელი, ხელმწიფე.

3. რაიქვა — ვედური ლიტერატურის ერთ-ერთი ბრძენთაგანი, რომელიც ჩასწვდა და დაეუფლა ღვთაებრივ ცოდნას.

4. ბრაჰმანი — დასახმიერი უზენაესი არსება, სამყაროული სული, ახსოლუტი, რის მანიფესტაციად გვეცხადება ყოველი არსი და ყოველი დასადებული სამყაროში. ამ შემთხვევაში იგულისხმება ქურუმი, ბრაჰმანის მეცოდე, რომელსაც ეწოდება — ბრაჰმანი.

5. შუდრა — ერთ-ერთი დაბალი კასტის — ვარნების ნაწილობრივ უუფლებო წევრია. რაიქვა ამ სახელით ირონიით მიმართავს ხელმწიფეს: მას ცოდნის დაუფლება რაღაცის საფასურად ხმარდა და არა ჭეშმარიტ დამსახურებათა გამო.

6. შაუნაკა ქაშეია, ა ბ ი ფ რ ა თ ა რ ი ნ ა კ ა ქ შ ა ს ი ნ ი — ქურუმნი.

7. ათმანი — ბრაჰმანის, ანუ სამყაროული სულის გამოვლენა ადამიანში, ინდივიდუალური მე, ყოველი არსის სასიცოცხლო ძალა.

8. ძროთა — იგულისხმება კამათლის თამაშის თავისებური წესი. კამათლის გვერდები შესაბამისად აღნიშნავენ 1, 2, 8 და 4 რიცხვებს; ქრითას დროს რიცხვებს აითვლიან და კრიბავენ უკუღმა: 4+8+2+1=10

9. ხარმან ბრქვა — ტრადიციული განმარტების მიხედვით, სათიაქამას ხარის სახით გამოეცხადა ქარის ღმერთი ვ ა ი უ.

10. შრაკაშუპანა — მოელვარე, მბრწყინავი.

11. ანანთაპანა — უსაზღვრო, დაუსაბამო.

12. გედი შაფცენეს — ამ შემთხვევაში გედი სიმბოლოა მზისა, რამდენადაც ორთავე — მზეცა და გედიც გამოირჩევა სითეთრით და ძალუძთ გადაადგილება ცაზე.

13. ჯიოთიშანა — მასხივებელი, მანათობელი.

14. უუროუფელი გამცენეს — აქ ურუფუმელი სიმბოლოა სასიცოცხლო ხუნთქვისა, რისი არსებობაც ადამიანის სხეულში დამოკიდებულია წყალზე.

15. აიპანანაპანა — დასაბამისა, საყრდენისა, ნავსაყუდელისა მქონე.

16. ბაკაფშაპია — „სახლფლობილის ცეცხლი“. იგი კერიაში ანთია დღეცა და ღამეც და ასრულებს მნიშვნელოვან როლს მსხვერპლშეწირვისა თუ სხვა სარიტუალო ცერემონიებში.

17. ანვაპარიფშანა — სამსხვერპლო ცეცხლი, რომელზეც ამზადებენ შესაწირ ნაზრდელს მსხვერპლშეწირვისთვის. ეს ცეცხლი წინაპრთა საპატივცემულოდ ანთია.

18. აპუვანია — ეს ცეცხლი სამსხვერპლო მოედანზე გაჩაღებულია ადმოსავლეთის მხარეს. მასზე სრულდება მსხვერპლშეწირვა ღმერთდამი.

ლეო ქიაჩელის „ბვადი ბიგვა" მრავალფროვანი ხასიათოა ლიტერატურის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებადაა აღიარებული, მაგრამ ყოველთვის ასე ერთსულოვანი როდი იყო ლიტერატურული კრიტიკა ამ მშვენის შეფასებაში. „ბვადი ბიგვას" გამოქვეყნების პირ-

ველ წლებში ზოგიერთი კრიტიკოსი საკმაოდ მკაცრად საუკეთესობდა ლეო ქიაჩელს იმას, რომ მან რომანში მთავარი და განსაკუთრებული ყურადღება ისეთ „დელესპირებულ ელემენტს“ დაუთმო, როგორიცაა გვადი ბიგვა, ამის გამო მთელიანად რომანსაც ეჭვის თვალით უყურებდა და იგი მწერლის შემოქმედებით მარცხადაც კი მიიჩნევა. ასეთი გაუგებრობა, უნდა ვმაყოფილებით აღინიშნოს, დიდხანს არ გაგრძელებულა და სალიტერატურო კრიტიკამ სულ მალე შეძლო ძირითადად სწორად შეეფასებინა როგორც რომანი მთლიანად, ასევე მისი ცენტრალური გმირიც, ვის მაგალითზეც მწერალმა დიდი მხატვრული სიძლიერითა და დამაჯერებლობით დაგვანახა ის გაჭეშნა, რომელსაც ახალი, სოციალისტური ცხოვრება ამდენად ადამიანებზე, ეს გაჭეშნა იმდენად ძლიერი იყო, რომ თვით ზანტი, უქნარა და თალლითი გვადი ბიგვა კი გარდაქმნა.

გვადის ჩამბა კოლექტივის შრომით ცხოვრებაში, მისი შეგნებისა და ფსიქიკის გარდაქმნა, მთლიანად მისი ცხოვრების ახალ, საერთო ხალოზგადიერივე ყალიბში მოქცევა მწერალს გადმოცემული აქვს დიდი დამაჯერებლობით, უშუალოთ, ამიტომაც გვადი ბიგვას სახე სავსებით ჩამოყალიბებადა მიჩნეული ერთ-ერთ საუკეთესო და საინტერესო მხატვრულ სახედ არა მარტო ქიაჩელის შემოქმედებაში, არამედ მთელ ქართულ საბჭოთა ხელოვნებაში. მიუხედავად ამისა, როდესაც ქართული პროზის დადებით გმირებზეა ლაპარაკი, როდესაც ჩვენს ლიტერატურაში თანამედროვეთა მაღალმხატვრულ სახეებს ჩამოთვლიან, ჩვეულებრივ გვადი ბიგვას არ ისხენიებენ. უფრო მეტიც, მაშინაც კი, როდესაც კონკრეტულად ამ რომანს განიხილავენ კრიტიკოსები, დადებით გმირებად მიიჩნევენ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ბერა ბიგვას, კომკავშირელ ნაია ხალანდიას, მოწინავე კოლმეურნეს მარიამს და სხვებს, ხოლო რომანის ცენტრალურ გმირზე გვადი ბიგვაზე კი სდუმან.

მართლაც, გვადი ბიგვას დადებითი გმირის სახედ მიჩნევა და ამისი დასაბუთება ისეთი მარტივი საქმე როდია, როგორც მაგალითად კომუნისტ გერა ბიგვასი ან კიდევ კომკავშირელ ნაია ხალანდიასი. ზოგი ცდილობდა ჯვერ-და ალელო ამ საკითხებისთვის, კრიტიკოსმა ა. გრუშკინმა კი თავისი მოსაზრება გარკვევით ჩამოაყალიბა: გვადი ბიგვა „არ არის დადებითი გმირი, მაგრამ არც მისი ჩარიცხვა „უარყოფითების“ კატეგორიაში არაფერს არ გაარკვევს. ეხაა ადამიანი, რომელიც მოცემულია მოძრაობაში, შინაგანი ბრძოლა გამეტარებულ მდგომარეობაში. წინააღმდეგობებთან ბრძოლაში, რომლებსაც სულს უფორიაქებენ... ოქრო და ნაგავი, ზენა და ქვენა გრძნობები არეულია მის სულში“.

ასეთი გაურკვეველი, რაღაც შუალედური მდგომარეობა „დადებითსა“ და „უარყოფითს“ შორის მარტო გვადი ბიგვას ხელერი არ ეყო. კლასიკური თუ საბჭოთა ლიტერატურის საკმაოდ ბევრი გმირი აღმოჩნდა თავის დროზე ამ მდგომარეობაში იმის გამო, რომ ლიტერატურის კრიტიკოსები მათ მეტად სწორხაზოვნად უდგებოდნენ განხილვის დროს.

რეფოლუციის გამარჯვება თუ ის თვალსაჩინო წარმატებები, რომელიც ცხოვრების სოციალისტურმა წესმა მოგვიტანა, ძირითადად ამით იყო შეპირობებული, რომ კომუნისტურმა პარტიამ შეძლო ეემოქმედებინა ხალხთა მასები, შემოეკრიბა ისინი თავის გარშემო და ფერიაზმა სოციალიზმის გამარჯვებისთვის საბრძოლველად, შეძლო აღეზარდა თუ გარდაექმნა ათასობით და მილიონობით ადამიანები, ზოგიერნა მათთვის რწმენა იმ დიდი საქმის სამართლიანობისა, რომლის განხორციელებისათვისაც წარმოებდა ხალხთა ეს უმაგალითო თავგანწირული ბრძოლა, ლიტერატურა, რომელიც ასახავდა რევოლუციების, სამოქალაქო ომისა თუ სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დიად ეპოქებს, კომუნისტებისა და მასების წინამძღოლების მხატვრულ სახეებთან ერთად ქმნიდა იმ ადამიანთა ტიპიურ სახეებსაც, რომელთათვისაც ხალხსა მოძრაობასთან დაკავშირება უმაგალითოდ ზრდაცესი რიდი იყო. საზოგადოების ერთი ნაწილი მწვავედ და თავისებურად განიცდიდა ამ ახალ ეპოქებს და მათი გარდაქმნა, ახალ ცხოვრებასთან შეგუება და შერწყმა მთელი სიძლიერით გვიხსნის და გვისაბუთებს ახლის უძლეველობას.

საბჭოთა ლიტერატურა, ისევე როგორც თვით ცხოვრება, რომელსაც იგი ასახავს, მდიდარი და მრავალფეროვანია ხასიათებითა თუ სახეებით. ამიტომაც ზოგიერთი მისი გმირის მიკუთვნება დადებითი თუ უარყოფითი გმირების კატეგორიისადმი ერთი ხელის მოსმით არ ხერხდება. განსაკუთრებით ძნელდება ეს იმ შემთხვევაში, როდესაც გმირის დადებითობასა და უარყოფითობას კრიტიკოსი უყურებს როგორც მზა სქემებს, რომლებიც მან უნდა მოარგოს ბასალაბაზებელ სახეს.

გმირის დადებითობისა თუ უარყოფითობის გარკვევა და გადაწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, როდესაც მას განვიხილავთ განვითარებაში, როდესაც გარკვეულ ისტორიულ პირობებში მიდგომენდა გმირის პოზიცია, როდესაც გათვალისწინებულია, თუ რა პირადი თვისებებისა ან შექმნილ მდგომარეობის გამო ირჩევს გმირი ამა თუ იმ სწორსა თუ არასწორ გზას ცხოვრებაში. ბალიმენტებისა თუ სწორი გადაწყვეტილებების უბრალო მექანიკური გამოთვლა მისი საერთო შეფასებისათვის იმდენს არ იძლევა, რამდენსაც მისი მისწრაფების, მიზნდასახულების გარკვევა, გათვალისწინება იმისა, გააჩნია თუ არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნარი და შინაგანი მიდრეკილება გმირს იმის-ათვის, რომ ისწავლოს ცხოვრებისაგან, გიიგოს მისი განვითარების პერსპექტივა და თავისი ბედი საერთო სახალხო ცხოვრებას დაუკავშიროს. მხატვრული სახის ღრმა ანალიზი ყოველთვის იძლევა იმის საშუალებას, რომ გავარკვიოთ ამა თუ იმ გმირის დადებითობისა თუ უარყოფითობის ხაკითხი და არასრული აიძულებს კრიტიკოს, რაღაც არარსებული შეალეფური მდგომარეობა ეძიოს.

„ოსეთის დალუმაი", „ალსახრული ყველანი და ყველაფერნი" — ახეთი საშინელების გრძნობით შეჰყვნენ ოკტომბრის რევოლუციას ალეკსი ტოლსტოის ტრილოგიის „წამების გზაზე" გმირები. მოკმედების დასაწყისში ისინი ჩვენ წარმოგვიდგებიან გზაანნეული ინტელიგენტებად, რომლებიც რევოლუციის ქარცეცხლოან ეხიკაში შემოდგომის ფოთლებივით დაფარფატებენ. ეხიკის გრანდიოზული მოვლენების შეეგალენით ისინი თანდათანობით გარდაიქმნებიან, იზრდებიან ჩვენ თვალწინ, ახლა მათ ხულ სხვა მიზნები უჩნდებათ, ცხოვრების აზრს უკვე ვიწრო პირადული ინტერესებით კი არ შემოუფარგლავენ, არამედ სახლობის ბედის უანგარო მოღვაწეობაზი ხედავენ. ივან ტელეგინი შედარებით უფრო სწრაფად და ნაკლები სულიერი მღელვარებით პოულობს თავის ადგილს საერთო-სახალხო მოძრაობაში. ვადიმ რიშინისა, კატიასა და დაშასათვის ცხოვრების სწორი გზის ძიება მეტ-ნაკლებად უფრო ხანგრძლივი და რთული ალმოჩნდა. ამ უკანასკნელთათვის სახალხო საქმის სამსახურის ბეჯმარტი მნიშვნელობის შეგრძნება და მისი მიღება დაკავშირებული იყო დიდ შინაგან ეოოქმანსა და აზრთა ჯიდილთან, რასაც ახე მტკივნეულად განიცდიდნენ ეს ბუნებით პატიოსანი ადამიანები. ტრილოგიის ბოლოს ყველა ისინი თავის ადგილს რევოლუციის მსახურთა რიგებში პოულობენ. ახე იბადებიან ხელახლა ეს სიცოცხლითა და ენერგიით სავსე ადამიანები, რომელთა მომავლის გზა მკაფიოდ იხატება მოკმედების დასახულოსათვის.

ალეკსეი ტოლსტოის ტრილოგიის „წამების გზაზე" გმირების დადებითობისა თუ უარყოფითობის გასარკვევად მოვაერია ანა ის შეცდომები, რომელსხაც ისინი უშვებენ ცხოვრების სწორი გზის ძიების დროს, არამედ შედეგი ამ ძიებებისა, რამაც ისინი რევოლუციის თავგანწირულ მებრძოლთა რიგებში ჩააყენა. მათი შეცდომების ფორმალურმა დაანგარიშებამ შეიძლება ტრილოგიის გმირები უარყოფითი სახეების რიგებისაკენ გადაახლოოს, იმ დროს, როდესაც განვითარების ტენდენციის გარკვევა აშკარად წარმოგვიანახავს მათ დადებით გმირებად, რომლებმაც თავისი პატიოსანი და ალალმართალი ბუნების წყალობით, დიდი მონდომებისა და ძიების შედეგად ცხოვრების აზრი რევოლუციით აზვირთებული ხალხის სამსახურში დაინახეს.

საბჭოთა ლიტერატურის დადებით გმირებად ჩვენ ალონენებიან არა მარტო მასების წინამძღოლები, არამედ ის უბრალო ადამიანებიც, რომლებიც ერთთან სახალხო რიგებში მიაბიჯებენ ახალი ცხოვრების გზაზე. თუ რა სახითა და რა გამოცდილებით ადგებიან ჩვენი გმირები ამ გზას, ამას იმდენი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენიც თვით შედეგს. ამიტომაც გმირების ცხოვრების რთული გზა, სავსე წინააღმდეგობებითა და ხულიერი ჯიდილით, განსაკუთრებით სოციალიზმის მშენებლობის პირველ ეტაპებზე, ადვილი გასაგებები უნდა იყოს. სწორედ ამ პოზიციიდან უნდა განვიხილოთ ლეო ქიაჩელის ბეჯეტი.

რომანს „ბეგადი ბიგვა" ლეო ქიაჩელის შემოკმედებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო თავისი მაღალი მხატვრული ღირსებების გამო, არამედ სტილის თავისებურებითაც, რასაკვირველია, იგი არ გამოიყოფა მწერლის მთელი შემოკმედების საერთო რეალისტური სტილიდან, პირიქით, მის საუკეთესო ნიმუშსაც წარმოადგენს, მაგრამ ამასთანავე მკვეთრად გამოირჩევა ეროი თავისებურებით, — მხიარული, თბილი, დახვეწილი და მახვილგონიერული იუმორით.

„მე შევიგრძენი დაუოკებელი მოთხოვნილება თავისუფალი და ლაღი ბალური სიმხიარულისა, ღიან, თვით უხეშ სითამამემდეც რომ გადადის", წერდა რომენ როლანი და ამით ჩვენთვის ნათელი ხდება, თუ რამ შეაოგონა „ეაან კრისტოფის" ავტორს ხელი მოეკიდა ისეთი რომანის შექმნისთვის, როგორიცაა „კოლა ბრუნიონი". მხგავსი აღსარება არ დაუტოვია ლეო ქიაჩელს, მაგრამ ვფიქრობ არ შეეცდებით თუ ვივარაუდებთ, რომ მანაც იგრძნო მსგავსი რამ, როდესაც დრამატიული სიმძაფრით აღბეჭდილი ნაწარმოებების „ტრილოგ ბოლუასა" და „სისხლის" შემდეგ შექმნა ლაღი და თავისუფალი თხრობით საოცრად გამთბარი რომანი „ბეგადი ბიგვა", რომელიც მწერლის ყველა სხვა ნაწარმოებისგან გამოირჩევა განსაკუთრებული ლირიზმითა და სიმბოლურადაო, დაწერილია იუმორის იშვიათი გრძნობით.

არცთუ ისე დალხენილი ცხოვრება აქვს ბეგადის, როგორც ეს პირველი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. პირიქით, როგორც ირკვევა, მისი ცხოვრება დრამატიზმითაა სავსე. ამ მკოთხელეკე, რომელიც დიდი ინტერესით აღვევნებს თვალს ბეგადის ცხოვრებას, იძულებულია იცინოს ცრემლნარევი სიცილით. მრავალტანჯვაგაგამოვლილ მოხუც ბეგადის თუ მეტი არა, არანაკლები საფუძველი აქვს გიიმეოროს კოლა ბრუნიონის სიტყვები: „ახეთი ვარ მე, შემძ-

ლია ვიცინო დ. გულში კი ნაღველი მიტრიალებდა".

გვადი ბიგვა მართლაც შეიძლება გვაგონებდეს კოლა ბრუნონისაც ან კიდევ მიზეილ შოლობოვის ალა ჩჩუკარსაც, ან სხვა მხატვრულ სახეებსაც მსოფლიო ლიტერატურისა, ახეთი პარალელები, როცა გამორიცხულია მიმბაძველობა და მხოლოდ სახის გახსნის მაღალ ოსტატობასა და სტილის მსგავრებას ეურნონობა, კიდევ უფრო ამაღლებს გმირს მკოთხველის თვალში, მას ერთიანი დიდი ლიტერატურის საკუთრებად აქცევს. და მაინც, თუ გვადი ბიგვას სახის ამოსავალი საფუძველი გვინდა გავიგოთ, ქართულ ლიტერატურასა და ფოლკლორს უნდა მივმართოთ, რადგან მას უშუალო და პირდაპირი კავშირი მხოლოდ ქართული ხალხური შემოქმედების გმირებთან, პირველ რიგში კი ხალხის გენიის მიერ შექმნილ ნაკარკეკლიას კომიკურ სახესთან აქვს.

წარმოუდგენელი სიზარმაცე, მუდმივი ცდა ომისა, რომ როგორმე შრომას თავი აარიდოს, მახვილგონიერება, მოსწრებული სიტყვა-პასუხი, ყველაზე რიული მომენტებიდანაც კი თავის დაძვრინის იშვიათი უნარი, არაჩვეულებრივი მოხერხებულობა, დახვეწილი იუმორის გრძნობა, კომიკური სიტუაციებისადმი სწრაფვა აახლოებს და ანათესავებს გვადისა და ნაკარკეკლიას. ეს მსგავსება გვადისა ნაკარკეკლიასთან მკოთხველისა თუ კრიტიკოსისაგან კი არ არის მიკვლეული ან მინიშნებული, ამას კარგად გრძნობენ რომანის გმირები და პირველ რიგში თვითონ გვადი. შეძლებული გლეხი გოჩა ხალანდია, ომით სასტიკად განრისხებული, რომ სახლის შშენებლობისათვის კოლმეურნეობამ ხის ბასალა არ გამიუყო და ღარიბებს მისცა უპირატესობა, მთელ ჯავრს გვადისკენ იყრის: „შენ კიდევ ხადური დაძკვერი ბანაგხ, ნაკარკეკეიავ, რომ პირველ რიგში ჩაუწერიხართ და პირაკეკი გიხოვეხ. მიირთეი და სახლი აიშენეო!" მაგრამ ყოველთვის ასე უდიერად როდი მიმართავენ გვადის, როდესაც მას ნაკარკეკეიას ადარებენ, ამიტომაც მას კიდეც ესახელება ეს მისი მსგავსება ფოლკლორულ გმირთან.

რომანის პირველივე ფურცლებიდან გვადი ბიგვა მკოთხველს წარმოუდგება მთელი თავისი თალლითური და ეშმაკური ბუნებით. პირველი დანახვისთანავე, როდესაც გვადი ჯარგვალ ჯარდულად გამოდის და თვალებს აცეცებს, მკოთხველი გრძნობს, რომ გვადი ეშმაკური განზრახვით ამდგარა. ხოლო როდესაც გვადი თავის ფეხოს შვილს ბარდღუნას გაუბამს საუბარს, ყველაფერი გასაგები ხდება. იგი აშკარად ელაქუცება შვილს და ყოველნაირად ცდილობს მისი გული მოიგოს, რომ არ გაუძალიანდეს და არ შეეშალოს ხელი გვადის განზრახვის ასრულებაში. გვადის კი სამშობლოს ნაცვლად ბაზარზე გადაუწყვეტია ზანსელა, იქით უფრო მიუწევს გული. თან თიკანიანი ეშინია: ეგეც სარფიანად გაიყიდოს.

უკვე ამ პირველსავე ეპიზოდში ცხადად ჩანს გვადის მთელი ცხოვრება, მისი მთავარი იარაღი — ენის ხიბლიერება და სიხარბეც, ჭკუის მოქნილობა. რაც მთავარია, ამ კომიკური სიტუაციებით სავსე სცენაში ჩანს მთელი დრამატიზმი მისი ცხოვრებისა.

ზარმაცსა და უქნარა გვადის ამ სიბერის ხანს გასანდელებია ცხოვრება. შრომის პაიოლი, რომელსაც მოუცავს საკოლმეურნეო სოფელი, მის მზვიდ და უშფოთველ ყოფასაც ემუქრება. კოლმეურნეები, განსაკუთრებით კი ქვრივი მარიამი, პირდაპირ ხაშვლის ალარ აძლევენ. შვილებმაც შემოტეხეს და თუ ადრე ბაზრის გზა უხიფათო და ხსნილი ჰქონდა, ახლა თანასოფლელებს ემალება და ჩუმად, კურდულად მიიპარება ქალაქისა�. იმ შემთხვევაში, თუკი ვინმე შეამჩნევს, გვადის თავის მხსნელად ისევ საკუთარი ენა და გონებამახვილობა ეგულება.

ახლაც მალე დასჭირდა მათი მოშველიება. ორლობეში ჭურდულად მიმავალს ქვრივი მარიამი შეეხმიანა. ძალიან კი უნდოდა ისე ჩაევლო მარიამის სახლ-კარისათვის, რომ დიასახლისს არ გადაკრთოდა, მაგრამ რაკი არ გამოვიდა, ახლა ერთი კი გაიფიქრა: „ჯირში უნდა ვეკეკეიო", და რაც სიმახვილე გააჩნდა გონებისა, ერთბაშად მოიკრიბა.

მოხერხებულობა გვადიმ ლაქლაკა ენით ამყვრადაც თავისი გაიტანა, გულმართალი მარიამი მაინც მატყუა და დაარწმუნა, თითქოს მართლაც ეკიმთან მიეჩქარებოდა და ამოუსწორებდა კოლმეურნეობაში სამუშაოს დაწუებას. მაგრამ ერთ რამეში არ მოატეეებულა მარიამი: მართალია, გვადი წარმოუდგენელი ზარმაცია, ამაში არაფერი ჩამოუვარდება ნაკარკეკეიას, მაგრამ ეს სულაც არ უშლის ხელს ამასთანავე ერთად იყოს კეთილი და გულისხმიერი მეზობელი, ღრმად მოსიყვარულე მამა, და რაც თითქოს ერთი შეხედვით დაუჯერებელია, წარმოიდგინეთ, ფაქიზი გრძნობის პატრონი ადამიანიც კი. მაგრამ თუ მისი თალლითობა და სიზარმაცე მკოთხველისათვის რომანის პირველივე გვერდებიდანვე ნათელი ხდება, გვადის ხასიათის დადებით მხარეებს ჩვენ თანდათანობით, მოქმედების განვითარებასთან ერთად ვეცნობით და ნელ-ნელეს სულ უფრო და უფრო გვბიძღვავს ეს სიცოცხლითა და იუმორით სავსე გმირი.

ლეო ქიაჩელი, როგორც ეს ჭეშმარიტ ხელოვანს შეეფერება, ფსიქოლოგიური პორტრეტის გამოკვეთის დიდი ოსტატია, იგი შესანიშნავად გვიხსნის თავისი გმირის სულიერ სამყაროს, მისი ხასიათის სხვადასხვა მხარეებს, ამასთან ერთად გვიჩვენებს ამ სოციალურ გარემოსა და პირობებსაც, რომლის გავლენითაც ხდება ადამიანის ხასიათის ფორმირება, ამას მწერალი დიდი ზომიერების გრძნობით აკეთებს.

გაგრძელება იქნება

მამუკა წიკლაური

დაფიქრების ჟამი

ამ ორიოდე წლის წინათ დღიურების წერა გადაწყვიტე. მანამდე დღიური არასოდეს დამეწერა. მიკვირდა კიდეც, როცა ხშირ დღიურებს კითხულობდი — როგორ უსაფრდებიან საკუთარ თავს, როგორ აღნუსხავენ ასე დაწვრილებით ფიქრებსა და განცდებს-მეთქი... ზოგჯერ მეჩვენებოდა: ეს ხალხი კი არ ცხოვრობს, თითქოს დღიურების დასაწერი მასალის საშოვნელად დადის-მეთქი. თუმცა აქვე ისიც უნდა ვთქვა, რომ მე მთლად ჩვეულებრივი, „კლასიკური" დღიურების წერაც არ გადამიწყვეტია. მინდოდა ქაღალდზე აღმენუსხა ჩვენი ცხოვრების ის ყოველდღიური მოვლენები, რომელთაც განსაკუთრებით შემძრეს და შემაძრწუნეს, რომელთაც საავდრო მთვარის მოხაზულობა ჰქონდათ...

ჩემი ჩანაფიქრით, მერე ამ მასალებს ან მეცე გამოვიყენებდი, ან ვინმე გადაშლიდა მომავალში, როგორც უცნობი ფოტოგრაფის ალბომს.

ერთი სიტყვით, დავიწყე ამ ტიპის დღიურების წერა. ერთხანს კიდეც ვუერთგულე ჩემს გადაწყვეტილებას — სისტემატურად ვწერდი ნაფიქრსა და განცდილს, სისტემატურად აღვნუსხავდი გაგონილსა და წაკითხულს — ყოველივე იმას, რაც ჩემი აზრით, საინტერესო იყო იმ კუთხით, თუ როგორ აისახებოდა ერთი კონკრეტული პიროვნების, ერთი კონკრეტული მწერლის ცნობიერებაში დღევანდელი დღე, მისი სატკივარი და საფიქრალი.

დიახ, ერთხანს ვუერთგულე ამ საქმეს და საკმაო რაოდენობითაც დაგროვდა ამ ხასიათის ჩანაწერები... მერე თანდათან, ჩემს თავს შევატყვე, რომ ინტერესი გამინელდა, შემოქმედებითი მიმზიდველობა დაკარგა საქმემ. ვფიქრობ, ამ ინტერესის განელებაში მთავარი მაინც ის იყო, რომ ჩანაწერები ერთფეროვანი გახდა. როგორღაც აღმოვაჩინე, რომ მანკიერ მოვლენებს ერთი სათავე და ერთი ფესვი ჰქონდა. ის, რაც გულს მატკივებდა, რაც სულს მიწეწავდა, საოცრად ჰგავდა ერთმანეთს, როგორც ერთი ხის ნაყოფები, ერთი ხის ეკლები. ეკლები, ყოველდღიურად რომ მჩხვლეტდა სხეულს, ერთი ფორმისა და ერთი ტიპის ზზამის შემცველი ეკლები აღმოჩნდა.

მივხვდი, რომ ყველა საზოგადოებრივი პრობლემა, რომელზეც ჩემს დღიურებში ვწერდი, ეს იქნებოდა დამნაშავეობის, ახალგაზრდობის, უსამართლობის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, თუ სხვა ერთ სათავესთან იყრიდა თავს და მათ წინააღმდეგ ლოკალური, გამოცალკევებული ბრძოლა შეუძლებელი იყო. ამას მივხვდი, მაგრამ არ ვაღიარე. მეგონა, რაღაც სხვა ფაქტები გამოჩნდებიდნენ, რომლებიც ამ ჩემს რწმენაში გადამარწმუნებდნენ. მე ახლა მგონია, რომ ასე მოუვიდათ სხვებსაც... დათვს ხედავდნენ და კვალს ეძებდნენო... თუმცა მთლად ასეც არ იყო საქმე. თქმა და აღიარება არც ეგრე ადვილი საქმე იყო, ერთ წინადადებას

ოტყოდი და მეორეს ვერ დაამთავრებდი, ისე ჩავჭუკუტინებდნენ ხმას. ამიტომ კოსტა თავზე ბზე წაგეკარა და გეფიქრა — არაფერი მესმის, ვერაფერს ვხედავ, ხვალ გამოიდრეს, წყალი თავის სადინარს თვითონვე იპოვნონ. დიახ, ასე წავიყარეთ თავებზე შიშის ბზე...

ასე რომ, ჩვენს ირგვლივ მოზღვავებული სატკივარი, ყოველ ნაბიჯზე თავჩენილი მანიერებანი ჩემთვის ცალკეული მანკიერებანი კი არაა, — რომელთა წინააღმდეგ ბრძოლაც აუცილებელი და პერსპექტიული იყო, არამედ ეს იყო ერთიანეთს გადაჯაჭვული მანკიერებანი, ერთი ლოგიკით, „უსაფრთხოების ტექნიკით“ აღჭურვილი მანკიერებების სისტემა, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლაც აკრძალული იყო. ლაპარაკი შეიძლებოდა ცალეულ მანკიერებებზე, ხუთი ფიერის მომპარავი ღარბის ხელმძღოდ; ბაზე, მანკიერებათა დიდი ბუდეების მოშლა კი აკრძალული იყო.

ახლახან ტელევიზიით გადასცეს რეპორტაჟი ყოფილი ხელმძღვანელი მუშაკის სოლიკო ხახვიშვილის სასამართლო პროცესიდან. პროცესზე თვალნათლივ გამოჩნდა დანაშაულთა მთელი კომპლექსი, მეკრთამეობის დიდი ჯაჭვი, რომლის მთავარი რგოლიც ხახვიშვილს ეპყრა ხელი. პროცესზე ერთმა მოწმემ ასეთი რამ თქვა — ხახვიშვილის პრობლემა ყველა რაიკომის პირველი მდივნის პრობლემა იყოო, ე. ი. ხახვიშვილი ყველა რაიკომის პირველი მდივნისგან იღებდა ქრთამსაო. მე არ ვიცი, მიაქცია თუ არა მართლმსაჯულებამ ამ ფრაზას ყურადღება. თუ გულწრფელად ვიტყვი, მე არ მჯერა ამ განცხადებისა. ეს ფრაზა ერთმა რაიკომის ყოფილმა პირველმა მდივანმა, თვითონ დამნაშავემ ისროლა და ახლობლებისა და სასამართლო პროცესზე შეკრებილი საზოგადოების წინაშე მოჩვენებითი რეაბილიტაციის ცდას უფრო გავდა, ვიდრე სიმართლეს, მაგრამ... ო, ეს „მაგრამ“, მე ხომ არც ხახვიშვილის მეკრთამეობა მჯერდა?..

მე არც მახარაძის რაიკომის პირველი მდივნის ოთარ თენეიშვილის მეკრთამეობა დავიჯერე პირველად. ცოტა ხნით ადრე, ვიდრე თენეიშვილს დაამატებდნენ, მწერალთა ერთი ჯგუფი მახარაძეში იყო მივლინებული. იმ ჯგუფში ვიყავი მეც. მახარაძეში ჩასვლის დღესვე მიგვიღო პირველმა მდივანმა. პირდაპირ ვიტყვი, რომ მან ჩემზე და, საერთოდ, ჩვენზე უაღრესად კარგი, კულტურული და განათლებული ხელმძღვანელის შთაბეჭდილება დატოვა. სასიამოვნო იყო მისი გულიანი და, რაც მთავარია, კომპეტენტური საუბრები რაიონის სოფლის მეურნეობაზე, კულტურაზე, დემოგრაფიასა და სხვა საკითხებზე... ამ შთაბეჭდილებებით წამოვედით და ორ-სამ თვეში კი საზარელი ამბავი გავიგეთ.

თერმე თენეიშვილი უზარმაზარ ქრთამებს აძლევდა ხახვიშვილს.

ერთი წუთით დავსვათ ასეთი ბუნებრივი კითხვა:

საიდან იღებდა თენეიშვილი ამ თანხებს?

ცხადია, ქვეშევრდომებისგან.

ის ქვეშევრდომები საიდანაა იღებენენ?

თავისი ქვეშევრდომებიდან და ა. შ. და ა. შ.

ეს საზარელი სენი გაუჯდა ხელქვეითებისა და ხელმძღვანელების, დიდებისა და პატარების ფსიქოლოგიას. საკადრო პოლიტიკას განსაზღვრავდა არა ხელმძღვანელის ნიჭი და უნარი, განათლება და გამოცდილება, სინდისი და ნამუსი, არამედ ფული — იმის უნარი, თუ როგორ ივარგებდა პიროვნება ამ ხაკმისწორ სისტემაში, ფრთიერთობის ამ სისტემაში ზუსტად გარკვევისა და ორიენტაციის უნარი. ის, ვინც ქრთამს არ იღებდა და არ გასცემდა, ამ საერთო სისტემაში ზედმეტი და უცხო იყო და იცილებდნენ კიდეც. ერთი სიტყვით, გაუგონარი ნგრევის პროცესი მძვინვარებდა — ინგრეოდა და იმსხვრეოდა ყოველივე ის, რაზეც ადამიანი იდგა დასაბამიდან, იმსხვრეოდა კარგისა და ცუდის შეფასების კრიტერიუმები, ინერგებოდა ახალი პრინციპები, რომლებიც ეუფსრულისაკენ მიაჯანდა საზოგადოებრივ ზნეობას, ეთიკას, რწმენას, ხვალის იმედს, მამა-შვილს, დედა-შვილს, ცოლ-ქმრის, და-ძმის, თანამშრომლების ტრადიციულ ურთიერთობას.

ახლა კი ერთი წუთით ისევ ხახვიშვილის სასამართლო პროცესს დავუბრუნდეთ და ერთი წუთით დავიჯეროთ ის ფრაზა, რომელიც რაიკომის ერთმა ყოფილმა მდივანმა წამოისროლა: ხახვიშვილის პრობლემა ყველა რაიკომის პირველი მდივნის პრობლემა იყოო. ერთის წუთით-მეოთე ვამბობ, მაგრამ ისიც ხომ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ხახვიშვილი მარტო ინ ორ-სამ რაიონს არ ამოიჩენდედა, ვისზეც ლაპარაკი იყო სასამართლო პროცესზე. თუ ამ ორ-სამ რაიკომის მდივანს წელიწადში რამდენჯერმე ათობეგდა ფულს, სხვებს ერთხელ მაინც რატომ არ აიძულებდა, მიეცათ ფული. თუ არ მისცემდნენ და ხომ გაანთავისუფლებდა და იქ „შუახანის“ კანდიდატურას გამონახავდა?..

ადამიანური ზნეობის, სიკეთის, სიყვარულის ნგრევის გრანდიოზული მასშტაბის პროცესმა საზარელი შეიდგები დატოვა, მანკიერებათა ნიადაგი გამოიწვია, გამოუსწორებელი ტანჯვა, ცრემლი და უბედურება მოუტანა ადამიანებს. ავადო ციხეები.

სწორედ იმ მანკიერებებზე ვწერდი მე ჩემს დღიურებში — რაც გულზე მომხვდა დანახვისთვის, რაც შეაბიეთ შეერია ჩემს ფიქრს... როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგახსენეთო, ერთ ხანს სისტემატურად ვწერდი. მერე კი თავი დავანებე და აი, ახლა, როცა ცხადად გამოჩნდა ნგრევის პროცესი და ნგრევის შედეგები, როცა ხალხთა ხახალნი ბრძოლა იწყება ამ მართალი საზარელი პროცესის შესაჩერებლად, დემოკრატიზმისათვის, ადამიანის უფლებებისათვის, ეს ჩემი დღიურები გამახსენდა. მიმაჩნია, რომ ახლა, ამ წუთს, ყველაზე უფრო მეტად გვჭირდება წარსულთან გაანალიზება, სურათის სრული ხახით წარმოდგენა, რომ ნათლად ვიცოდეთ რას ებრძოლით და როგორ ებრძოლით, როგორ გადავიტანოთ ის სახადი ავადმყოფობა, რომელიც მთელი მრისხანებით დაგვატყდა თავს. ჩვენ დღეს ვიწუწუთ ბრძოლას. ეს იმას ნიშნავს, რომ საფრთხე ისევ არსებობს და დაძაბვის, დიდი ტკივილების გადადგმის ფასად მოხდება ადამიანთა ფსიქეში შედწეული მომაკვდინებელი ბაცილების განდევნა, ადამიანთა სხეულში დაწყებული ეროზიის პროცესის შეწყვეტა.

ჩემს ჩანაწერებს, ჩემს დღიურებს, აქ იმ ხახით არ მოვიტან, რა ხახითაც ისინი პირველად დავწერე. მე შევეცდები ამ ცალკეულ ფაქტებს დღევანდელი პოზიციიდან, ბრძოლისა და განგაშის პოზიციიდან მივუდგე და ხაფდეთხო პუბლიცისტური ელერადობა მოვცე.

„დავილალე, აღარ შემიძლია..."

შორიდანვე მოვკარი თვალი. უხალისოდ, ზანგად მოაბიჯებდა. დალილი, ხანში შესული ადამიანის ნაბიჯები ჰქონდა. პირველად ვერც კი ვიცანი... ის იყო — ჩემი მეზობელი, ორმოციოდე წლის ქალი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანაშრომელი — კარგი მეცნიერი, კარგი დედა, კარგი მეუღლე... ორმოციოდე წლის ქალი.

გაუბარდა ჩემი დანახვა. შეეტაკვე, რომ უნდოდა ეს სიხარული გამოეხატა, უნდოდა „ჩვეულებრივად" შემხვედროდა, მაგრამ არ გამოუვიდა, უცებ ვერ გადაერთო, უცებ ვერ გამოვიდა რაღაც მძიმე ფიქრებიდან... ამას, ეტყობა, თვითონაც მიხვდა და პირდაპირ მითხრა: გასტრონომიდან მოვდივარ... ათასჯერ ვთქვეთ, ამ ოხრებს მოვეშვები, რახაც ამიწინან და მიანგარიშებენ დავთანხმდები და გავწორდები-მეთქი, მაგრამ ზოგჯერ მაინც ვერ ვითმენ, აღარ შემიძლია, შენ კი იცი მე და ჩემს მეუღლეს რა გვაკვს (მეუღლეც მეცნიერია), ორივეს ხელფასი ერთად თითქოს ცოტა არაა, მაგრამ ყველაფერს ეცილები ეკოდა. ზედმეტი, ზედმეტი, ზედმეტი... ყველა ჩასაფრებულია, ყველა მოტაუებაზეა, ყველა გაგელესაზეა...

აი, ახლაც ჯერ წონაში მომატუეა, გავჩერდი, ვიფიქრე, ამის კამათის თავი სადა მაქვს-მეთქი, მერე ანგარიშში ხამოცი კაპიკი დამაკლო რომ ვაანგარიშებინე ხელმეორედ და ვუთხარ: დურუ, გაბრაზდა, ამითილი და ხამოცი კაპიკ ნაცვლად მანეთიანი დამიგდო — აბა, აიღე, მათხოვარი ხარ და იმათხოვრეო.

გავბრაზდი, ახლავე ხაჩიერის წიგნი მომეცი-მეთქი. ხაჩიერის წიგნი... და უცებ გასტრონომის ხუთი-ექვსი თანაშრომელი შემომეხვია — გამეფიდელები, მუშები, დამლალებელები... მომდგნენ და რას მომდგნენ — რაღაც კაპიკები ზეეშალა და როგორ არ გრცხვენია, საცისდენ იმეტებო, რა ხარ, რა ოჯახში ხარ გაზრდილიო, მაშ ზე პაკიოსნად ცხოვრობთ? შენი ქმარი ხელფასის მეტს ანაფერს იღებსო, კარგად კი ხარ მაგ „ფულლიონკაში" გამოკვიმულიო... ეგისმაზ? აღარ სჯერთო, რომ პაკიოსნად კიდევ ვინმე ცხოვრობს. მე მაინც კი მოვეგებში — ხაჩიერის წიგნი მინდა-მეთქი. ახლა დირექტორი წამოვიდა ხელეების ქნევით. დირექტორმა გამეფიდელი ხახით შეუბღვერა ხელქვეითებს — აბა, თქვენს ადგილებს დაუბრუნდითო და მთხოვა, ჩემს კაბინეტში მობრძანდითო. მე ვუთხარი: აი, ამან მომატუა, შეურაცხყოფა მომაყენა და კაბინეტში რა მინდა, ხაჩიერის წიგნი მომეცით-მეთქი. ძალს მე და ძალს ისინი. ხაჩიერის წიგნი მოვაბინინე და რაღაც ჩაეწერე, მაგრამ შენ გგონია, რამე მნიშვნელობა აქვს მაგისთვის ამას? შენც არ მოიმაკდე, უფროსებიც მოსეიდელი ჰყავს, მილიციელიც, რევიზორიც... აი, მე კი განადგურებული მოვდივარ და ვნანობ, რატომ ავიშალე ნერვები რატომ არ მივაშვე ის სამიცი კაპიკი-მეთქი. ეს თქვა, ისევ ნაძალადევად, დალილი სახით გამიღიმა და გამშორდა. ვიგრძენი, ცოტაღლები იკავებდა..

ესეც ასე... მოატუეს. შეურაცხყოფა მიაყენეს და ხმა რომ ამიაღეთ, ნანობს... იცის, რომ მისი პროტესტი უშედეგო იყო. ხვალაც ეს ზეგაც ისევ ეგენი იქნებიან მანდ ან თუ სხვა მოვა, უარესი მოვა... ის ჩემი ნაცნობი ხვალ აღარ იჩხუბებს, აღარ გააპროტესტებს, სამართალს არ მოითხოვს, იმიტომ რომ იცის, ამას ხასიკეთო შედეგი მაინც არ მოჰყვება, მაინც არაფერი შეიცვლება და მაგაზეიდან მომავალი ჩემნაირ ნაცნობს შესჩივლეს:

— აი, ხუთ კილოოობაზე ავაწონინე კარტოფილი, მაგრამ ოთხიც ვერ გამოვა, ფასშიც მომატყუა, რა ვქნა, გენაცვალე. ჩხუბისა და დავიდარაბის ნერვები აღარა მაქვს. მე შენ გეტყუვი და ვინმე დაგიჭერს მხარს, რაღე შეიცვლება შენი პროტესტებით...

„ნერვები აღარა მაქვს" — ეს ხმა დამრცხებულის ხმაა, უსინდისოსასთან, მაკინატორობასთან შერიგებული ადამიანის ხმაა. იგი მიხვდა რომ უშედეგად იბრძვის, მიხვდა, რომ ამ ფართო მასშტაბის უკონტროლობას და მაკინატორობას რაღაც ბუნდოვანი კანონზომიერებანი, რაღაც დაფარული ძალები წარმართავენ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაჩუმდა, გაჩერდა, შეურიგდა. ვოქვათ და რკინის ქალამნები ჩაიცვი, რკინის ჯოხი აიღე და ნაბეგები სამართლის ხაძებნელად. მიადწევ, თუკი დღედაღამ ამაზე იფიქრებ და თავს გადაადებ, ამ ქუჩულ გამეიდველსაც დაპკერინებენ, ამის დირექტორსაც... ყველას, ვინც დღეს „მეგობარს“ იცავდა, მაგრამ რა შედეგი მოპყვება ამას? — დიახ, დფიქრება გვმართებს!

მთავარი ეს სულ სხვაა. როგორ იფიქრებს ამის შემდეგ ეს ქალი. როგორ აღზრდის შვილებს, რას ასწავლის, რა პრინციპებს ჩაუნერგავს ცხოვრების ძნელ გზაზე სახელმძღვანელოდ? რას ეტყვის ერთ დღეს დასაფრენად გამზადებულ ბალღებს.

როგორ მოიქცეთ და იმუშავებს ეს ქალი სამსახურში. გულს ხომ არ აიკრეფს წამოწყებულ მეცნიერულ სამუშაოზე, რომლის დასრულებაზე ფიქრიც სიხარულით და სიამაყით ავსებდა? ხომ არ ეტყვის თავის თავს — არაფერს უასი ალარა აქვს, მე და ეს ქვეყანა ერთმანეთს ვერ ვუგებთ... და გადალმეინს, სიმარტოვის, ჩაკეტილი სივრცის საშინელი განცდა მოიცავს მას.

ჩვენ შეავსწრებივართ ერთი შეხედვით უმიზეზო ჩხუბებს ქუჩაში, ავტობუსში, მაღაზიაში... და გაგვკვირვება — რა აჩხუბებს ამ ხალხს, რა საზარელ გამოთქმებს ახარჯავენ ერთმანეთსო. ან, ეს ნერვებმოშლილი ადამიანები ხომ არ ჩხუბობენ? საკუთარ საქციელს ვეღარ აკონტროლებენ და უასასუხო კითხვებით გამწარებულნი და წონასწორობადარღვეულნი ფლეთენ ერთმანეთის ისედაც დაფლეთილ ნერვებს...

ისინი, ეს უცნაური, ნერვებმოშლილი მოჭალეკენი ბევრნი არიან და სწრაფად იზრდება მათი რიცხვი. ახე მგონია, ჩემს ბავშვობაში უფრო კეთილი, ზრდილობიანი, მშვიდი ხალხი ხედებოდა ერთმანეთს. უცნობთა დარბაისლური გამოლაპარაკება, ჩვენებური იუმორი და ხალისი გაქრა ქუჩებიდან, ავტობუსებიდან, ხალხის თავშეყრის სხვა ადგილებიდან... ახლა არცთუ იშვიათად შეხვდები საშინლად წაკიდებულ ორ მოჭალეკეს, მთელი ავტობუსის მგზავრების წინაშე რომ დასცილიან ხოლმე ხალაანძღვენ სიტყვების არსენალს. რატომ ჩხუბობენ? — თურმე ერთს მეორისთვის შემთხვევით ფეხი დაუბიჯენია, ან ვგერი გაუკრავს გაელისას, ან რაღაც სიტყვას ამოელიან...

ოჯახის აშლის ყველაზე გავრცელებული მიზეზი გაჭირვებაა. საშინელებაა, როცა ეკონომიურ ხელმოკლეობას სულიერი სიღარიბეც დაემთხვევა...

ჩვენც ძალიან გვიჭირს.

სისასტიკე, მოუთმენლობა, დაუნდობლობა, სიკეთის დეფიციტი, სიყვარულის დეფიციტი, სულგრძელობის დეფიციტი... აი, ეს დამფიქრებელი ნიშნები გვმზდება ყოველ ნაბიჯზე — ჩვენს ქუჩებში, ჩვენს დაწესებულებებში, ოჯახებში.

დაკრიალმა მხეცმა არ იცის, საიდან მოვდა ტკივა და გზაზე ყველაფერს ღრღნის და ამსხვრევს... ჩვენც ხშირად „ერთმანეთს ვკამთ“, ნაცვლად იმისა, რომ ცოტა შორს გავიხედოთ და საერთო სატკივარს ერთად ვუმკურნალოთ ამ ხათავეს მივაგნოთ, სადაც წყალი იწამლება და ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას შხამავს.

დამფიქრებელი კი უფრო ის არის, რომ ინტელიგენცია, რომელსაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში შემოქმედი მანკიერი ტენდენციების აღმოფხვრა, საერთო ავადმყოფობის სიმპტომების აღმოჩენა და აღკვეთა ეკალება, თითქოს გამორიცხულია ამ წარმმართველი როლიდან. უფრო უარესი — ზოგჯერ სწორედ „ინტელიგენტების“ ბანაკიდან ისმის „ცხლთა ღრეენა“ და ერთმანეთის ძვლების მსხვრეცის ხმა...

აქ ისევ ცოტა უკან დავბრუნდეთ.

მოდით, ვნახოთ, ვინაა, რა მოვლენაა, საიდან მოვიდა, რა ძალებმა წარმოშვეს ის უსინდისო, ხეპრე და უზრდელი გამეიდველი — ჩემი ნაცნობი ქალი რომ ხასოწარკვეთილებამდე მიიყვანა.

ერთი ცხვრისკენ, მეორე მგლისკენ... ცოტა ლმობიერად და დფიქრებით შეეხედოთ გამეყიდველს (ციხეს და შერახვას ყოველთვის მოვასწრებთ) — რა ხახაითის მოვლენებმა აქციეს იგი ახეთ პიროვნებად, რამ გაბაპირობა მისი მტაცებლური ხასიათი, რატომ დაეცა ზნეობრივად, რატომ გათამამდა და გათავხედდა?

მაკინატორობა და კომბინატორობა ერთიანი სისტემაა, თავისი განყოფილებებით, არხებით, გზებით, რგოლებით...

— რა როლს ასრულებს ეს „ჩვენი გამეიდველი“ ამ მრავალწახნაგოვან და მრავალძარღვიან სისტემაში?

— უმთავრესს...

დიახ, სუფთანიანაცოულად ყველაზე დაბლა დგას, მისი ბედი სხვათა ხელშია, მაგრამ გარკვეული აზრით, ის უმთავრესი ფიგურაა — ფეხს ის „შოულობს“. დგას დილიდან საღამომდე ხალხის მდინარის პირას და ხელში ანკეში უჭირავს. დილიდან საღამომდე... საღამოთი კი ფეხს ითვლის. მოგებულლიდან ნაწილს საკუთარ ჯიბეში ინახავს, ნაწილს, გარკვეულ „სტავკას“, კი თავის უშუალო ხელმძღვანელის ბარეში. ამავე ხელმძღვანელთან მიაქვთ ფული სხვა გამეიდველებსაც. ეს ხელმძღვანელი მოგროვილი ფულიდან ნაწილს საკუთარ ჯიბეში ინახავს, ნაწილი კი დირექტორთან მიაქვს. დირექტორთან მიაქვთ „სტავკა“ სხვა „ხელმძღვანელებსაც“. დირექტორი კი ნაწილს საკუთარ ჯიბეში ინახავს, ნაწილი კი თავის უშუალო უფროსთან მიაქვს და ა. შ. საღლაც. ძალიან მაღალ პოსტებამდე. იმას — იმასთან, იმას — იმასთან, იმას — იმასთან... გამართუ-

ლად და რიტმულად მუშაობს ფულსადინარი, ფულსადინარის მთელი სისტემა....

აი, ის ჩვენი გამყიდველი, დამსახურებულ ქალს — მეცნიერს, დედას, ინტელიგენტს მანეთიანს რომ უფრიალებდა და თან დახმეოდა: „მათხოვარი ხარ, ამა, მეტს გაძლეგო", რაც მართალია, მართალია, ზმირად ისჯება — აფრთხილებენ, საკვედურს უცაბედებენ, სამსახურიდან ხსნიან, ციხეშიც სვამენ. დიახ, მილიცია „დიპეტრის ფაქტზე", მოსამართლე გაასამართლებს, პროკურორი სიტყვას იტკვევს, ეფრნალისტი გულს მოიფხანს: „მიაბრძანეს, სადაც ჯერ არს..." ყველაფერი თითქოს კანონიერია — დაიშავა და უნდა მიუყენო კოდექსის შესაბამისი მუხლი... რა იცვლება ამით?

არაფერი. იმ ზნედაცემულის ადგილზე ახალი ზნედაცემული მოდის და ისევ რიტმულად მუშაობს ფულსადინარი. ძველი ნემსაკეი ახლით იცვლება, ნემსაკეის ტარი კი რჩება. „სამუშაო" იგივეა — ფულსადინარი არ უნდა დაშრეს.. და ზმირად ვერ ეხედავთ, უფრო ზუსტად თუ ვიტკვით, არ გვინდა დაკინაოთ, რამდენ ძლიერ ხელს უგრავს ანკეში, რომლის ბოლოც (ნემსაკეი) ზმირ-ზმირად იცვლება. ზმირ-ზმირად ზის ის საბრალდებო სკამზე, ზმირ-ზმირად იკავებს იგი გამამსწორებელი ბანაკის ფიცრის საწოლს... მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, მსროლელი კი არა, თოფი რომ დასაკრ? ბაფანგის დამგები კი არა, ბაფანგი რომ დასაკრ?..

ახე დაკკარგა აზრი იმ ჩვენი ნაცნობი გამყიდველის დასჯამ და, ამასთან ერთად, აზრი დაკკარგა მისმა სასამართლო პროცესმა, პროკურორის სიტკვამ, ეფრნალისტის მკაცრმა სტატიამ, გამამსწორებელი ბანაკის ხის საწოლმა. გამოცდილმა და ალიარებულმა საზოგადოებრივმა ინსტიტუტებმა დაკკარგეს აღმზრდელობითი ძალა, მაგალითის ძალა, რადგანაც ფულსადინარის ლოგიკამ და კანონზომიერებამ აჯობა ნამდვილ ლოგიკასა და კანონზომიერებას.

დიახ, ერთი ზნედაცემულის ადგილზე ისევ ზნედაცემული მოდის და ზუსტად აგრეთვეს წინამორბედის ტრადიციებს.

საიდან მოდიან, საიდან ჩნდებიან ეს ზნედაცემულნი? პირდაპირ ახეთებად ხომ არ იბადებიან, ან ზებუნებრივი ძალები ხომ არ კმნიან მათ?

არა, რა თქმა უნდა, არა. ამ ხალხს სწორედ ფულსადინარის ფარული ინსტრუქცია აყალიბებს, ფულსადინარის „დიდი ლოგიკა" განსაზღვრავს მათ „საკარა ლოგიკას".

იქ, სადაც მაკნანტორობა და კომბინატორობა ბატონობს, წესიერი ადამიანი აუცილებლად უნდა გარდაიქმნას. რად უნდა გარდაიქმნას? — აი, იმად ზემოთ, რომ გამყიდველი გაგიკვანთ, ინტელიგენტ ქალს მანეთიანს რომ უფრიალებდა, მათხოვარი ხარო... ერთ კასრში ჩასხმული სითხის კიმიურ შემადგენლობას ზუსტად ამავე სასამბამება წვეთის შემადგენლობაც... ამ ჩვენი ნაცნობი გამყიდველის „შემადგენლობისა" იყო მისი სექციის ხელმძღვანელი, დირექტორი, სამმართველოს უფროსი, სხვა უფროსი, კიდევ სხვა უფროსი და ბოლოს ხალიფაზელი.

სხვანაირი გამორიცხულია!

თუ ახეთი არ იქნება, ვერ იმუშავებ! ვერ იმუშავებ და ხული გაგაძრეს ხელმოკლეობითი... აი, რა ხაზარელი ალტერნატივა წაუყენა ცხოვრებამ ადამიანს. აი, რა მაწანის დასაგრეგად შეიმართა ჩვენი ხალხი დღეს, აი, რა მოკადიდებული წრე უნდა გავარღვიოთ!

ერის ხმა და აზრი

ქალაქის გარეუბანში ერთი თავისუფალი ადგილი იყო. ჩვენმა ბავშვებმა ის ადგილას სტადიონის მოწყობა გადაწყვიტეს. ადგილი გაასწორეს, გაასუფთავეს. ღიდებიც მიეხმარნენ — ლითონის ორი კარი დადგეს და ბადეებიც გაკიმეს. მშვენიერი მოედანი გამოუვიდათ. ორსამ წელს იყო აქ თამაშები... მაგრამ ერთ დღეს მოვიდნენ ვიღაც ბიძები, მოიყვანეს მუშები, ააგდგეზეს მანკანები და ფეხბურთის მინდორი გადაკეტეს, დაკარეს ხრეში და შემოლობას შეუდგნენ. შეწუხდნენ ბავშვები. ზოგიერთმა მშობელმა ხელი გამოიღო — როგორ თუ ეგ-რეო... ეგ ხაჩივრები დაწერეს აქ, იქ, ზევით ქვევით... ზოგიერთი კი უმოქმედოდ იყო და ამბობდა: მაგ ავტოსადგომის მომავალი პაკრონების მიერ იმდენი ფულია ჩაყრილი ზევიდაც და ქვევითაც, აქაც და იქაც, რომ სტადიონის დაცვა ტანკებითაც არ შეიძლებაო.

უბრძოლველად მაინც არ დათმეს სტადიონი მშობლებმა და ბავშვებმა. საქმეში ჩაერია გაზეთის რედაქცია, რაიკომი, მაგრამ შენც არ მომიკვდე, უკან ვერ დაიბეგინეს „დამპყრობლებს", მაინც გაკეთდა ავტოსადგომი.

გაიმარჯვა უკუღმართმა აზრმა: მაგ ავტოსადგომის მომავალი გამგის მიერ იმდენი ფულია ჩაყრილი ზევითაც და ქვევითაც, იქაც და აქაც, რომ სტადიონის დაცვა ტანკებითაც არ შეიძლებაო.

ამ სამწუხარო ფაქტს მეორე ამბავიც უნდა მოვაყოლო.

ერთმა კაცმა ეზოში დაიენებული მანქანა დაკარგა. დილით გაიხედა და მანქანა აღარ იყო ადგილზე. აქეთ ეცა, იქით ეცა გამწარებული კაცი, ვერ ნახა და მაშინვე მილიციას მიმართა. საღამოს მთელი ფლის ხეტიალით დაღლილი და განადგურებული დაბრუნდა სახლში. ეზოში შეწუხებულ კაცს მეზობლები შემოეხვივნენ, ამბავი ჰკითხეს. — მილიცია ეძებს, ერთადერთი იმედი ეგდა ანისო. ამაზე ერთმა, როგორც მერე გაიარკვა, საქმეში ჩახედულმა მეზობელმა, გულიანად გაიცინა: — კაცო, შენ ხომ არ

გაგიდეთ, წადი, ვინმე ქურდთან დაახლოებული კაცი ნახე და ის გაპოვნინებს შენს მანქანასო. ქურდებს მთელი თბილისი ზონებად აქვთ დანაწილებული. ნახე ჩვენი ზონის „უფროსი“ და იმას უნდა მოუროგიდე, ფულს მისცემ და მანქანას დაგიბრუნებენ, თუ არა და ისე დგიგკარგება, ერთ ჭანჭიკსაც ვერ მიაგნებო. ამასთან რამდენიმე მაგალითი დასახელეა, როცა გატაცებული მანქანის პატრონებმა მეორედ იყიდეს თავისი საკუთრება. მართალი გითხრათ, მე პირადად, ეს ნათქვამი მილიციის შეურაცხყოფად მეჩვენა. გავიფიქრე — რა ზონები, რის ზონის უფროსები... ასეთი რამ როგორ შეიძლება-მეთქი. მე არ დავიჯერე, მაგრამ მეზობლის ამ რჩევას მიმყვა დაკარგული მანქანის პატრონი. მესამე დღეს, საღამოს, მანქანა მოიყვანა, მხლოდ სარეკ აკლდა. ათასი მანეთი მივეცი, სარკეზე ბიდაში მოიხადეთო — მწრედ გაიღიმა.

გაიმარჯვა უკუღმართმა აზრმა...

კიდევ ერთი ფაქტი: რკინიგზის ერთ სადგურში ვიყავი: ჩემი მატარებლის მოსვლამდე დრო იყო დარჩენილი და სადგურის ტერიტორიაზე გავისეირნე. მერე ერთ სასაუზეში ლუდი გავსახსენეთნე. ჩემს. გვერდით ოთხი კაცი იყო მიმდგარი მაგიდასთან. მთვრალს ვერ იტყოდი, მსიარულად და ხალისიანად კი გამოიყურებოდნენ, ოხუნჯობდნენ, სასაციცილო ამბებს ყვებოდნენ. დახლში მოზვერივით ჩასუქებული და ღონიერი დახლიდარი ტრიალებდა. დავინახე, ერთმა ჩემმა მეზობელმა ოცდახუთმანეთიანი გადაიწოდა, მგონი ლუდის დამატება მოსთხოვა. მერე სწორედ იმ ოცდახუთმანეთიანზე ატყდა დავიდარაბა. დახლიდარი ამბობდა თუმნიანი იყოო, ესენი კი ცხადია, თავის სიმართლეს იცავდნენ. ორივე მხარე ცხარობდა. ამ დროს ბილიციონერიც გამოჩნდა, ეროსი მანჯგალაძე რომ სამკუთხედს თამაშობს „ქვევრში“, იმასა გვავდა მოყვანილობით და მანერებით. — რა ამბავია, რა ხდება აქაო. ორივე მხარემ აუსნა თავისი პრეტენზიები. ჩემთვის არავის უკითხავს, მაგრამ მაინც მოვალედ ჩავთვალე თავი მეთქვა, ეს ხალხი მართალია, დავინახე, ოცდახუთმანეთიანი გადაიწოდეს-მეთქი. — მოქალაქევ, გვაცალე, თქვენ არავინ გეკითხებათ, ჩვენ როგორმე გავარკვევთ საქმეს — შემომბღვარი „სამკუთხედმა“ და ამ ოთხ კაცს წინადადება მისცა — ახლავე მილიციაში წამობრძანდით, იქ გავარკვევთ საქმეს, დაგილევიათ და დებოშს ტახოო...

ამ დროს მეორე „წესრიგის დამცველიც“ გამოჩნდა. ჩაიყენეს ეს ჩვენი ოთხეული შუაში და წაიყვანეს. იმ დახლიდარისთვის ხმაც არ გაუცია... ისევ ძველებურად ტრიალებდა მოკლე-მოკლე ბრძანებებს გადასცემდა ოთხამსახურე ბიჭს...

ერთმა, ჩემს გვერდით მდგომმა კაცმა ჩამოლაპარაკა: მიიყვანენ ეხლა მაგ საცოდავებს, თუ რამე აქვთ ჯიბეში, სულ წაართმევენო. გაკვირვებით შევხედე იმ კაცს, არაფერი მითქვამს.

მატარებლის მოსვლამდე კიდევ გამოიხდა ხანი. მეც ერთ ადგილზე ვერ მოვისვენე, იქეთ-აქეთ დავბორიალობდი. უცაბ ის ოთხეულს მოვკარი თვალი. სადღა იყო იმათ სახეზე პრუნველი ხალისი: დაღონებულები, დაჩაგრულები, გალახულები მიდოდნენ.

— რა კენინ-მეთქი — შევეკითხე.

— რა ვქენით ჩა... ერთი გრძელი გინება წაემოთქვეს — ახი მანეთი წაგვაძვრეს.

— რომ არ მიგეცათ?..

— არ მივეცოდნით და იმუქრებოდნენ, ლოთები ხართ, ახლავე ციმერაში შეგიყრიათო.

— ვინ ხართ, სადაურები ხართ?

— აქაურები ვართ, ჩვენი სოფელი ოცდაათ კილომეტრზეა. იქიდან დავდივართ მშენებლობაზე სამუშაოდ. დღეს მასალები არ იყო, ვერ ვიმუშაეთ და ამ ხათაბალას გადავეყარეთ.

დაღონებულები გაეცილნდი ერთმანეთს.

გაიმარჯვა უკუღმართმა აზრმა: მიიყვანენ ეხლა მაგ საცოდავებს, და თუ რამე აქვთ ჯიბეში, სულ წაართმევენნ...

უკუღმართი აზრი...

თუმცა ეს აზრი უკუღმართი კი არა, საზოგადოებრივი აზრია, საზოგადოებრივი აზრის ნაწილია. ეს აზრი წლების მანძილზე დაგვირისტდა და ჩამოყალიბდა. ამიტომაა ეს აზრი სარწმუნო და ავის მომასწავებელი — იგი მეტად და მეტად სახიფათო მოვლენებზე მიგვანიშნებს. ადამიანებმა სიმართლის გამარჯვების რწმენა დაკარგეს. ისინი ნამდვილი კანონების მიხედვით კი არა, მაქინატორთა და კომბინატორთა მიერ შექმნილი „ახალი“ კანონების მიხედვით აზროვნებენ და მოქმედებენ. ადამიანები დაემორჩილნენ ბოროტ ძალებს, ალარ იბრძვიან, ხმას არ იმაღლებენ, არ აპროტესტებენ, რადგან იციან, რომ მარცხი გარდუვალია. იციან, რომ სწორედ ეს „ახალი“ კანონები ახრევენებენ ქედს საუკუნეებში ჩამოყალიბებულ ნორმებს.

ყველაფერი მაინც, ეტყობა, იქიდან დაიწყო, როცა ცალკეულმა პიროვნებებმა გაარღვიეს საზოგადოებრივი აზრის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობის ღობე. ეს პროცესი კი წლების მანძილზე ხდებოდა, თანდათან აკლდებოდა ფასი საზოგადოებრივ სიბრძნეს, ათასპასის მიერ გამოტანილ დასკვნებს და აი, დადგა დრო, როცა საზოგადოებრივმა აზრმა მთლიანად და-

კარგა ძალა. შედეგებიც, როგორც იტყვიან, სახეზეა და ათასი საგანგაშო სიგნალია ჩართული.

მაინც რატომ დაიკარგა საზოგადოებრივი აზრის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა?

იმიტომ, რომ საზოგადოება რაღაც აბსტრაქტულ ცნებად იქცა. საზოგადოება ალარ მონაწილეობდა არც მოსამართლის. არც თავმჯდომარის არჩევაში. არჩევნები ფორმალობად იქცა. ხელმძღვანელები კერ ინიშნებოდნენ, მერე „ირ ჩევდნენ". ამ დანიშვნებს კი ძალიან ხშირად საზოგადოებრივი იმტერესები არ განსაზღვრავდა.

ახალდანიშნული „ამხანაგი" ცხადია პასუხისმგებელი იყო იმის წინაშე, ვინც ის დანიშნა და არა იმის წინაშე, ვინც „აირჩია" და ცდილობდა კარგად მორგებოდა დამნიშვნელთა ინტერესებს. ადგილი რომ შეენარჩუნებინა, საფეხურებზე ფეი რომ არ მოცურებოდა, ეიოს რომ არ დაცემულიყო. საზოგადოება კი თითქოს ინიბოვის არსებობდა, რომ არაფრად ჩაეგდოთ იგი, რომ კარგად ეუალიფაო მისი წევრები და ვინც არ დანებდებოდა, საკადრისად გასჯორებოდნენ.

საზოგადოებაც გაჩუმდა, გაყუჩდა, ნელ-ნელა შეეჩვია ამ უღირს, უუფლები მდგომარეობას, მისი დემოკრატიული უფლებების გაუფასურება რაღაც ზეიუნებრივ. აუცილებელ მოვლენად ჩათვალა და შიში სანანი წაიფარა თავზე.

დაკანონდა სპეციფიწერო ფორმულები: „ახეი და ახე უნდა იყოს", „ზევით უკეთ იციან..." ამასწინათ ერთი ჩემი მეგობარის შვილი, სამხედრო სამსახურიდან დაბრუნებული ბიჭი გვიამბობდა: „ერთხელ სასადილოში ვიისხდით. მე სუპი გავსინჯე, მარილი აკლდა. იქვე დადგმულ სამარილეს გადაეწვდი და მარილი დავიმატეთქო ჩემს ბეგერით ბჭდმმა ბიჭმა შემინიშნა— ეარილს რაღომ იმატებ, ზმარიეულმა უკეთ არ იცის. რამდენი დაიაკოსოს?.. მე კერ ხუმრობა მეგონა და ხმამაღლა გავიცინე, მაგრამ სიცილში არაფერ ამეკვა... სიცილი კი არა, ახლა სხვები მომდგნენ — მართალს ეუუბნება, რას იცინი, ზმარიეული სპეციალისტია, შენ რა იცი მაგ საკმისაო... სერიოზულად მეუუბნებოდნენ...

ეს ამბავი ანეკდოტს უფრო გავს, მაგრამ კარგად მიგვანიშნებს გაჩუმებული, უფლებაყრილი, ყველაფერს შერიგებული საზოგადოების ერთი ნაწილის ფსიქიოლოგიაზე — მნიშვნელო

ამბებს კი ვიგებდი — წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტი. მერე ასპირანტურა. დაიცვა დისერტაცია და. ჩემის აზრით, დადგა ამ ნამდვილი ტალანების სრული გახსნის დროც... ველოდი, მჯეროდა, რომ ეს კაცი „ამოიფრქვეოდა“, მჯეროდა, რომ მისი ლაბორატორია რაღაც დიდმნიშვნელოვანს საიდუმლოს ინახავდა და მალე ყველა გავიგებდით ამ საიდუმლოს.

... და აი, ამ კაცის სტუმრობა. მისგან მოტანილი ამბავი... ის ჩემი სკოლელი თურმე მოელს დედაქალაქში სახელგანთქმული რეპეტიტორი გამხდარა, ფულს არ იშურებენ, საერთო ნაცნობებს ეძებენ... მე ყველაზე გვიან გავიგე. ეგაც შენი კიბით და ეგეც შენი მეცნიერული კვლევის რომანტიკა...

იმ კალმა მაშინვე ფული ახსენა, ფულს არ ვზოგავო... ცოდად ნენშნა:

ისევ თანაკლასელი ბიჭზე ფიქრობ და თან ჩემს თავს ვესიტყვები:

— ნეტავ რა გაუკირდა ისეთი, რომ მოწოდებით მეცნიერი კაცი მეცნიერული კვლევისთვის ისედაც დეფიციტურ დროს ამბიციურ ინტების „აჩი-ჩამოჩის“ ამბარს?

— წესით არ უნდა გაკირვებოდა. მაღალი ხელფასი აქვს, მშობლები მუშაობენ, მგონი მეუღლეც მუშაობს.

— როგორც ბედავ, მაინც არ ეყო. ვერც ეყოფოდა. ამა დაფიქრდი — დღეკვალდები უავტომანქანო კაცი წინანდელ ეცხენო და უხარო კაცს ჰგავს. ხხვას ფულდ ელრიჭოს, ხხვის მანქანას უნდა უქნიოს ხელი გზის პირას. მანქანას იყიდი და ხომ იცი რა ჯდება მისი შენახვა. ბინა, ალბათ, ინსტიტუტმა მისცა. სადაც მუშაობს, მაგრამ შენ ხომ იცი როგორი ბინა იქნებოდა — ყველაფერი უკარგია, ყველაფერი გადასაკეთებელი. ერთი მეგობარი მეუნებოდა, ოცი ათასი მანეთი დამიჯდა ბინის რემონტი. დიახ, ასე თქვა „რემონტიო“... ახლა, ბინა მარტო ეკლები და კარ-ფანჯრები ხომ არაა, ავეკი გინდა, ათასი რამ გინდა და კიდევ რამდენი რამ სკირდება ოჯახს...

— შენ მგონი ონანსის ქონებას მოიოხოვ იმ მეცნიერ-მუშაკისთვის...

— ონანსი რა შუაშია, ონანსობაა რომ კაცს, რომელმაც ოკრის მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა, პრიველი ბარიხსის დიპლომზე — უნივერსიტეტი, სტუდენტთა სამეცნიერო წრეში დიდი მოწონება ხვდა წილად მის პირველ ნაშრომებს, ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია — კარგად „გარემონტებულო“ და მოწუნილი ბინა, მანქანა და ხაზრდო ჰკონდეს?...

— მართალია, მაგრამ აბა ისიც გაიხსენე, როგორ გაკირვებით ცხოვრობდა ბევრი გამოჩენილი მეცნერი, მაგრამ მეცნიერული მუშაობა არ მიუტოვებია.

— ჯერ ერთი, როცა ამდენი მოქცეხორა ფულით კოკობს, ხაზოგადოების საუკეთესო ნაწილს გაკირვება და ხელმოკლეობა რატომ [illegible] დავუკანონოთ, მეორეც, ჩვენმა მამა-პაპამ ბევრი სისხლი დადვარა ამისათვის, რომ ხაზოგადოების საუკეთესო ნაწილს, მზრომელ კაცს, ბატონობან კაცს, ნიჭიერ კაცს კარგად ეცხოვრა, რომ ადარ ყოფილიყვნენ „გაკირვებული გამოჩენილი მეცნიერები“.

— რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ, როგორ დავუბრუნოთ მეცნიერები მეცნიერებას?

— მთავარი მაინც აღიარება მგონია. ყველამ, ყველამ, ყველამ უნდა ვაღიაროთ...

— იქნებ ვაზვიადებთ?

— არა მგონია, მე აქ დიდი კომპეტენცია არა მაქვს, მაგრამ, რასაც ვფიქრობ, მაინც გულწრფელად ვიტყვი. ჩემი აზრით, მეცნიერული კვლევის ინტენსიობის და შედეგების მაჩვენებელი ისარი ჰუმანიტარულ დარგებში აშკარად დაბლა დაიხარა. გუშინ არ იყო, როგორ ჭუბნენ ჩვენი ისტორიკოსები, ფილოლოგები, ენათმეცნიერები, ფილოსოფოსები... ახლა ასე ალარაა, ახლა ძალიან გამრავლდა „ფორმალური“ მეცნიერები, „რეპეტიტორ-მეცნიერები“. ფორმალურად ისინი ისევ მეცნიერები არიან, „წლიურ თემებსაც“ აცოდველებენ, ინსტიტუტებშიც გამორნდებიან ხოლმე, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ დამთავრდა მათი მეცნიერული გზა, ჩაკრა ის ენთუზიაზმი, რომელიც მათ გზის დასაწყისში ჰქონდათ. ახლე უნდა იყოს — გაღმა მომეშვე კაცი, ერთდროულად, გამოღმაც ვერ იმეშვებს. ისინი კი ძირითადად ახალგაზრდები არიან და ბევრნი არიან — მათემატიკოსები და ფილოლოგები, ისტორიკოსები და ფიზიკოსები...

მეცნიერებიდან „განთეცხავ“ თანდათან სახიფათო ხასიათს იღებს. თანაც ეს სახიფათო მიმართულება, ეროი ეროდე

ი, უწესიანარ, ეტოილი მისიის სახით ვგვეწინება: რა არის აქ ცუდი — ის, ვისაც ცოდნა აქვს, ცოდნას ვადასცემს იმას, ვისაც ცოდნა არა აქვს. ამისთვის ხარჯავს ენერგიას, დროს და იღებს შესაბამის გასაბრჯელს. თითქოს აქ საგანგაშო არაფერია და ყველაფერი წესიერების, კანონიერების ფარგლებში თავსდება... მაგრამ აქ სხვა ნაფთი და ცეცხლიც არის:

ერთი საგნის მომზადება, როგორც ამბობენ, ათასი მანეთი მაინც ღირს. ამბიციურინტებს კი სამი საგანი აქვთ ჩასაბარებელი. სამი ათასი მანეთი გამოდის სულ. და განა ყველას შეუძლია ამ თანხის გადახდა? გამოდის, რომ ემზადება ის, ვისაც ფული აქვს, ხოლო ვისაც ფული არა აქვს „შიშველი ხელებით“ მიდის საგამოცდო კომისიასთან: პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა ის, ვის მშობლებსაც ფული აქვთ და აღარაა გამორიცხული, რომ უმაღლეს სასწავლებელს გარეთ აღმოჩნდეს ნიჭიერი, მაგრამ პირდაპირ სკოლის მასწავლებლიდან მოსული ახალგაზრდა და ჩაირიცხოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედარებით დაბალი ნიშის და ამ პროფესიისადმი ნაკლებად მიდრეკილი, მაგრამ კარგი რეპეტიტორების მიერ მომზადებული ამითურინენი.

ავადმყოფობის მეტასტაზები უფრო შორსაა წასული, ვიდრე ჩვენ გვგონია: გაფურჩქნული რეპეტიტორობა, ფასდაკარგული სკოლა, მეცნიერებიდან წასული მეცნიერი, გზაგასული ახალგაზრდობა... ბევრი რამ მწარედ მოგვეკითხა, ხვალ უფრო მწარედ მოგვეკითხება, თუ კატასტროფა არ დავიჭერეთ, თუ ბრძოლისთვის არ გავეერთიანდით.

ჩვენ ამ ავადმყოფობის წარმომავლობის ძებნაში მისი ფესვების ჩხრეკვით არ უნდა დავკმაყოფილდეთ, ერთდროულად უნდა ვიფიქროთ და ვიბრძოლოთ. მკურნალობა სასწრაფო და გადაუდებელი საქმეა, რადგან ეს სნეულებანი ხვალ უფრო მძაფრნი გახდებიან, ხვალ იქნებ აღარც დაემორჩილონ ჩვენს ხელთ არსებულ სამკურნალო ხაშუალებებს. და რაც მთავარია, ამ ავადობის პერიფერიულ გამოვლინებებს კი არა, უმთავრეს ძარღვს უნდა ვუმკურნალოთ.

„ქაღალდის ქაბაგი, ფეგოს თაფლი“

მეგობართან დავრეკეთ. ზვილმა მიპასუხა — მაგა საავადმყოფოშია, ზეხეთ წაიყვანეს, საკმელშია მოწამლოო...

ძლივს გადარჩა. საავადმყოფოდან თითქმის განადგურებული გამოვიდა. აგერ, უკვე ზვიდრება თვეა ინვალიდივით არის და კაცმა არ იცის, როდის გამოჯანმრთელდება, როდის მოესწრება ღვიძლის შეტეტვები, ანდა საერთოდ დაუბრუნდება თუ არა პირვანდელი ენერგიულობა.

საკმელშა მოწამლა...

ამასწინათ გამოიკვლიეს ერთ სასაუზმეში მომზდარი დანაშაულობანი და გამოირკვა, რომ ქაბაბი, რომელიც ხორცისაგან და ზოგიერთი სხვა პროდუქტის შერევით მზადდება, ამ სასაუზმეში ქაღალდისა და სხვა მინარევებისგან მზადდებოდა.

გახმაურდა თაფლის „დამამზადებლების“ ამბავიც. ისინი თაფლში ფურმე ზეხოს ურევდნენ. მოწამლავს, მაშ რა იქნება.

ისიც გავიხსენოთ, რა საშინელი ტრაგედია დაადგრიალა ჩვენებურმა ზვენმა რუსეთის ერთ რეგიონში.

ფალსიფიცირებული რძის პროდუქტები.

ფალსიფიცირებული თამბაქო.

ფალსიფიცირებული ღვინო.

რაღა დარჩა?..

ჩვენი ენა „მდიდრდება“ ახალი ცნებებით: „ნამდვილი ყარაკ“, „ნამდვილი კვერცხი“, „ნამდვილი ყველი“, „ნამდვილი ჭათამი“, „ნამდვილი ღვინო“, „ნამდვილი თაფლი“, „ნამდვილი კიტრი“... გასულ წელს საზღვარგარეთიდან, ფალსიფიცირებული ერთი მწერალი მოუვებოდა, საკმლის ფალსიფიკაციისთვის იქ მუდმივი პატიმრობაა. კაცი, რომელიც ადამიანებს წამლავს არ შეიძლება მზეზე დადიოდეს.

მართლაც, ამ „ქაღალდის ქაბაბს“ და „ეფეოს თაფლს“ რომ გიგიტ, რაღაც დაუოცებელი სიბრაზე მოგიგლის, ათასი საზარელი სახელი გაგიგლის გონებაში — ნაწილ-ნაწილ დაჭრა, დაწვა, ეფრში ტაეეის ჩასხმა... ამის მსგავსი „ეკსპრომტული“ განაჩენები მოგვისმენია კიდეე სახალხო ეერილობებზე, რომლებიც ზოგჯერ პირველეყოფილთა სასამართლოების მსგავს სასამართლოებად იქცეეა ხოლმე — ერთ მხარესაა დამნაშავეთა მიერ ჩადენილი ხაშინელი ცოდვა, მეორე მხარეზე კი — სისასტიკეე, ასევე შემზარავი და შემაძრწუნებელი სისასტიკეე. აუტანელია ეს სისასტიკეე მითუმეტეს მაშინ, თუ იცი, რომ იგი შედეგს მაინც არ გამოიღებს, ვერ წაადგება სიკეთეს.

თქვენ, ალბათ, მხრეს აიჩრაგთ — ადამიანი ხორცის ნაცვლად ქაღალდს, თაფლის ნაცვლად კი ეებოს გვაკმეეს, იმას კანონის მთელი სიმკაცრით ვსჯით და თქვენ მაინც გიძახით — შედეგს არ გამოიღებს, სიკეთის საქმეს ვერ გამოადგება ეს გაკვეთილიო.

ახალგაზრდა ავტორთა პერსონაჟებიც ასეევე ეძებენ კრიზისიდან გამოსვლის გზებს. ერთ-ერი ასეთ გზად მათი ნაწილისათვის ხმა, ქეიფი, დრსხტარება იქცევა, რასაც ისინი, საბოლოო ჯამში, არამარტო სულიერი, ფიზიკური თვითგანადგურებისკენაც მიჰყავს. ეს პერსონაჟები, ეს ადამიანები თავის თავში, ეგოისტური, პირადი ინტერესების სფეროში ჩაკეტილი ინდივიდები არიან... მათში ჩამქრალია თვითჩაღრმავების, თვითშეფეტების, მეორე ადამიანადმი თანადგომისა და ზრუნვის, სიკეთის გაღებისა და სიყვარულის უნარი... ამიტომაც გაუკვირი არ არის ის, რასაც ჯანტეა ქორიძის მოთხრობის „ა ლა ფურშეტის" მთავარი პერსონაჟი, მანანა მეხი, მეუღლესთან თორმეტი წლის თანაცხოვრების შემდეგ მოულოდნელად აღმოაჩენს: „პირველად ჩემს ნაცოცხლეში შევწუხდი კოკის ბედზე, ჩემთან, ჩემს გამო კი არა, რაც ყოველთვის თავმოყვარეობის შელახვას ან ჩემი უპირატესობის დაკარგვას უკავშირდებოდა. ეს მასზე წუხილი იყო ჩამოყალიბებული, ნორმალურად ეფიქრებოდა... ამიტომ გასაკვირი არაა, რომ „მარტოობის უდაბნოში", ეგოისტურ სამყაროში მცხოვრები, მატერიალურ საზრუნავებს მიჰაკვეული ეს ადამიანები, მაღალ სულიერ ინტერესებსა და იდეალებს მოკლებულნი, ერთმანეთისადმი გაბოროტებულობასა და სიძულვილს ავლენენ:

„ეჰ, სჯამს ხალხი ერთმანეთისა და რაზე, რისი გულისათვის? სულ რაღაცას იყოფენ, სულ რაღაცას ეძიებენ ერთმანეთისა, სულ იმაზე არიან, ვის რა წაჰგლეჯონ, ვეღარ ისწავლეს ჭკუა... ვეღარ გაიგეს, რო სიყვარულისა და სიკეთის ფასი არ არის რა ამ ქვეყანაზე..." (გულო კობიაშვილი — „სონა და თინა").

გულო კობიაშვილის, განსაკუთრებით, ნოდარ კობერიძისა და ჯანტა ქორიძის მოთხრობებში სვამენ ის ადამიანები, ვინც საკუთარი ბედის შემოქმედად ვერ იქცნენ, ვინც ვერ შეძლეს საკუთარი ყოფიერების აზრისა და შემოქმედებით შესაძლებლობათა რეალიზება, ერთი მხრივ, თვით სოციალური სინამდვილის ატმოს-

ფეროსა და მეორეს მხრივ, საკუთარი უნებისყოფობის გამო. ეხები არიან ცხოვრებისათვის სრულიად მოუმზადებელი, სუსტი, უმწეო ადამიანები, რომელთაც არ გააჩნიათ ნება, სწრაფვა საკუთარ თავზე ძალაუფლებისაკენ, საკუთარი თავის დაუფლებისა და დამორჩილებისაკენ. საკუთარი უნებისყოფობის მონები, ყოველდღიური ცხოვრების ბადეში გაბმულნი, პიროვნული და ცხოვრებისეულ სირთულეებსა და დაბრკოლებებს კი არ ებრძვიან, არამედ გაურბიან და ალკოჰოლს, ხმას, სიმთვრალეს ფარებენ თავს... მათ უშინაო გამოფიზიზლების, ამიტომ განუწყვეტლივ ხვამენ, ლოთობა მათთვისაც თვითუარყოფა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთგვარი მეტაფორული სიკვდილია, ყოფიერების სხვა ალაშნი გადასელისა და არსებობის ფორმის შეცვლაა. მათ დროც, სიცოცხლეც კი ტვირთად და სიმძიმედ ჭაცვიათ... ისეთი სუსტი არსებები არიან, რომ არა მარტო გაგირვების, ტანჯვის, არამედ თვით სიხარულის გადატანა და მიღებაც კი დალეგის, დათრობის გარეშე არ შეუძლიათ: „სიხარულის ჭრძნობას ვერ ვიმორჩილებ. ძალიან მინდა დავთვრე“ — მიმართავს საკუთარ თავს ნოდარ კობერიძის ერთ-ერთი პერსონაჟი.

ამ პერსონაჟების ადამიანური არსებობის ერთ-ერთ ძირითად დილემად ქცეულა, როგორ გაატარონ ცხოვრების ის მონაკვეთი, რომელიც სამსახურით და ძილით არ არის დაკავებული. ამიტომ მათ მიერ თავისუფალი დროც სიმძიმედ, ტვირთად განიცდება, ამიტომაც ᲙᲚᲐᲕᲔᲑᲘ დროს — „დროს ატარებენ“, ხვამენ, ქეიფობენ, ცეკვავენ, დაუსრულებლად ლაპარაკობენ, საუბრობენ, ერთმანეთთან სიახლოვისა და ურთიერთობის ილუზია რომ შეიქმნან. ხვამენ ამ ახალგაზრდა ავტორთა ნაწარმოებებში კაცებიც და ქალებიც, მოხუცებიც და ახალგაზრდებიც, ნიჭიერებიც და უნიჭოებიც, ჩინებულნიც და უჩინონიც... როცა თვრებიან, ხანმოკლე თვითკმაყოფილებას განიცდიან, იმდენად არის ამ ადამიანებში ურთიერთობის, სულიერი კავშირის უნარი ჩაბნეული, რომ მისი გამოლვიძება, ხმის, ორთობის გარეშე არ შეუძლიათ. ჩვენი ცხოვრების, ჩვენი თანამედროვე საზოგადოების ეს სენდიანი მოვლენა მხატვრული სიმართლითა და ტრაგიზმით 70-იანი წლების ქართულ პროზაში პირველად ჯემალ თოფურიძემ გამოხატა მოთხრობით „მარტო“, რომელშიც აისახა განწყობილება და ტკივილი ინტელიგენციის, ნიჭიერი ახალგაზრდობის იმ ნაწილისა, რომელთაც ზემოჩამოთვლილ მიზეზთა გამო დაკარგეს საკუთარი თავის რწმენა, ლოთობას, ხმას შეაფარეს თავი და ბედს შერიგებულ უმომავლო, ე. წ. „ზედმეტ ადამიანებად“ იქცნენ.

ლოთობა, ხმა, სიმთვრალე — თანამედროვე ადამიანის უმიდობის, უმომავლობის, უპერსპექტივობის, ბედთან შერიგების გამოვლინებაა, მაგრამ ხმაში აგრეთვე დაფარულია ადამიანის სტაბილური ნიმილიზმი ყველასა და ყველაფრის მიმართ, პიროვნების სტაბილური აფეთქება, უმწეო პროტესტი, შინაგანი და გარეგანმყარის დაძლევისა და თავისუფლების, უფრო ზუსტად, ნეგატიური თავისუფლების მოპოვების ხასოწარკვეთილი ცდა.

ახალგაზრდა ავტორთა პერსონაჟების ერთ ნაწილს არა აქვს პერსპექტივული, შორეული მიზნები, — ისინი მთლიანად აშწუთიერი აწმყო-ინტერესებითა და მიზნებით ცხოვრობენ. მათ არა აქვთ ცხოვრების მტკიცე, განსაზღვრული გეგმა, მათი სულიერი და ფიზიკური ენერგია დაკნაჭსულია, გაფანტულია სხვადასხვა სოციალურ როლებსა და ფუნქციებში. ყოველდღიური ცხოვრების ინერტული რიტმს მინდობილნი, ხშირად რომელიმე უმნიშვნელო ცხოვრებისეულ ამოცანას ისახავენ მიზნად და თავიანთ პოტენციურ, უზარმაზარ სულიერ ენერგიას ამ უმნიშვნელო მიზნის განხორციელებას ახმარენ. რაც უფრო აქტიურად იბრძვიან ასეთი გზებითა და საშუალებებით ცხოვრებისეული პრობლემა და უსიხარულობის დაძლევისათვის, მით უფრო მეტად იხლართებიან მასში, რაც უფრო მეტ ძალისხმევას ხარჯავენ თავიანთი იდეალების ხორცშესახმელად, მით უფრო შორს მიდიან მიზანს, რასაც ისინი, საბოლოო ჯამში, ზნეობრივ დამარცხებამდე, — ადამიანში ადამიანურისა და სულიერების დამარცხებამდე მიჰყავს.

ადამიანს ბუნებრივი მოთხოვნილება აქვს გართობის და დროის ტარებისა, მაგრამ ამ პერსონაჟთა უბედურება ისაა, რომ ცხოვრების გარკვეულ მონაკვეთში, ცდილობენ მთელი თავიანთი არსებობა განუწყვეტელი დროსტარებისა და გართობის, საკუთარი თავიდან და სინამდვილიდან წასვლის ფორმად აქცეონ, ოღონდ როგორმე არ დარჩნენ ხმაურიანი გართობებისგან მოშორებით, საკუთარ თავთან განმარტოებით. განმარტოებისა კი მათ საკუთარი სულიერი სიცარიელისა და სულიერი უბნობის გამო სიკვდილზე მეტად ეშინიათ. ისინი ამ გართობებს, „დროსტარებებს“, ხმას, განსაკუთრებული ვნებით ეძალებიან, მაგრამ რეალობაში დაბრუნების შემდეგ კიდევ უფრო მეტი სევდა და უმიდობა ეუფლებათ, რადგან გართობას გადართავ, და საბოლოო ჯამში, თავის მოტყუება მოაქვს...

დღეს ბევრი მსჯელობა და კამათია ქართულ ლიტერატურაში დადებითი, აქტიური გმირის აუცილებლობის შესახებ. ჩემის აზრით, ჩვენს თანამედროვე ლიტერატურას სჭირდება და აკლია არა იმდენად აქტიური, „მოქმედებათა გმირი“, რამდენადაც თანამედროვე „სულიერი გმირი“ — „რწმენის გმირი“, ისეთი ნაწარმოები, ისეთი შემოქმედება, რომელშიც მოხდება ყოველდღიური, ყოველად ულიმდამო, ყოფითი,

ცხოვრების, თანსულობით ადამიანის სულს რომ გარს არტყია, ფალანგა და მისი ემპირიული საზღვრებიდან გაკრა, ადამიანისათვის ეკუმშარტი ცხოვრების გზის ჩვენება; ჩვენს ლიტერატურას „წმენის გმირი“ აკლია, რადგან დღეადღეობით ლიტერატურაა ფართო მეთოდველთან მისასვლელი ერთ-ერთი უმთავრესი და უპირველესი სფერო, რომელსაც ჯერ კიდევ ძალუძს, ადამიანს მზერა „ზემოთ“, საკუთარი „სულის ზეკისაკენ“ მიაპყრობინოს; ჩვენს თანამედროვე ქართულ ლიტერატურას სჭირდება „სულიერი გმირი“, რომელიც დაძლევს დღევანდელი ადამიანებისათვის გაუგებარ პრობაულ სინამდვილეს, და შეაძლებინებს მათ, „ცის ქვეშ ადგილის პოვნას“, თვითდამკვიდრებას, დაძლევას და დამარცხებას იმ სინამდვილისას, რომელიც გარეგნულად მშვიდად, ერთფეროვნულად. მონოოფნურად მიედინება, მაგრამ, რომელიც, თავისი არსით, ჯერჭერობით კატასტროფულია.

ოთხივე ახალგაზრდა ავტორის — ჯ. ქორიძის, გ. კობიაშვილის, ნ. კობერიძის, ზ. თორიას პირველი წიგნები ჩემს წარმოსახვაში ერთიანდება ერთ მთლიან წიგნად, ერთიან ალსარებად, აღსარებად ახალგაზდა თაობის ერთი ნაწილისა, რომელთა ნაწარმოებებიდან მოისმის ერომანენთისაგან, საკუთარი თავისაგან, ყოველდღიური ცხოვრებისაგან, მოგონილი ქეიფებისა და „დრუნკერებისაგან“ დაღლილი სეედიანი, უშწეო ხმა ადამიანებისა, რომელთაც ნამდვილი დღესასწაული (და როგორც ჯანეტა ქორიძის მოთხრობის სათაურია გამოტანილი) „უპირველეს ყოველისა სიხარული“ მონაგრებიათ, მონატრებიათ და ელიან ხხიგ ის სინათლისას, რომელიც შემოვა მათში, სინათლითა და სიყვარულით გაათბობს და ახალი, ეკუმშარტი ადამიანური არსებობისა და სიცოცხლისათვის აალრძანებს...

მინდა საგანგებოდ გავამახვილო ჩვენი მკითხველის ყურადღება გულო კობიაშვილის პირველ წიგნზე „ალვის ხეები“. ამ ახალგაზრდა მწერლის შემოქმედებაში ვეცნობით არა ამბტრაკტულ პერსონაჟებს, არამედ ჩვენი სინამდვილიდან, „ნატურიდან“ აღებულ კონკრეტულ, რეალურ ადამიანებს. გ. კობიაშვილისათვის დამახასიათებელი არ არის საკრიული, სასტიკი, დაუნდობელი გამოხატვა პერსონაჟებისა. იგი ცხოვრებაში ნათელსაც ხედავს და ბნელსაც, კეთილსაც და ბოროტსაც, მხიარულსაც და დამაღნებელსაც, მშვენიერსაც და მახინჯსაც, მაგრამ ის იღებს ცხოვრებას მთლიანობაში იხეთ, როგორიცაა რეალურად. მის შემოქმედებაში სიცოცხლისადმი, არსებობისადმი სიყვარულიანი, აღფროთოვანებული დამოკიდებულება და მსოფლშეგრძნება არსად არ მარცხდება სასოწარკვეთისა და სევდის გრძნობით იშვიათი გამონაკლისის გარდა. მხედველობაში მაქვს მოთხრობა „ოტბა“, რომელიც ახალგაზრდა მწერლის საუკეთესო მხატვრულ ნაწარმოებად მიმაჩნია. მხატვრული გადაწყვეტილია და შესრულებით ეს მოთხრობა განსხვავებულია მისი ყველა დანარჩენი მოთხრობისაგან. ჩემი აზრით, ყველაზე მეტად აქ გამოვლინდა გ. კობიაშვილის შემოქმედებითი შესაძლებლობანი. ის ტენდენციაც, რომელიც, ვფიქრობ, მის მომდევნო შემოქმედებით მოღვაწეობაში უნდა გაკრმავდეს და წამყვანმ. დომინირებულ ტენდენციად იქცეს. „ალვის ხეების“ ავტორის იუმორი, მოდის კეთილი, თუ შეიძლება ასეკე ითქვას, მიამბერი, ბულუბრავილო სულიდან, რომელიც ჯერ არ ამდგრეულა და არ შეძრწუნებულა ცხოვრების სისასტიკეთ, რომელშიც ცხოვრება როგორც უკეე აღენიშნეთ, თავისი ნათელი და ჩრდილოვანი მხარეებით შემოდის, მაგრამ ნათელი თოქმის ყოველთვის ამარცხებს ჩრდილოვანს, რის გამოც მის მოთხრობებში კომიკური აღქმა და მიღება სინამდვილისა, შესაძჩნევად ჭარბობს ტრაგიკულს.

„ალვის ხეების“ კრებულის ავტორის სიცილი მხიარული და, ამავე დროს, კრიტიკული, მამხილებელია, კრიტიკული სიცილი კი, როგორც ცნობილია, კრიტიკული თვითცნობიერების გამოვლინებაა. დასანანია, რომ არცთუ იშვიათად მოთხრობებში მამხილებელი ტენდენცია სუსტდება და იუმორი, ამბის ჰუმორული, გარეგანი გადმოცემა თვითმიზნად იქცევა, რის გამოც ასეთი მოთხრობები მხოლოდ თავშესაქცევი, გასართობი ლიტერატურის შთამბეჭდლებას ტოვებენ, („გზა“, „ნანა“, „მარილი“, „მორაკ“, „ალვის ხეები“, „ვანა“, „ნაძვი“, „ქურქა“, „უკუღმართი“, „ხაზღვარი...“), ზოგჯერ კი, ანეგდოტური თხრობის დონეზეც კი ეშვებიან.

გულო კობიაშვილის ნიჭის ერთ-ერთი უყველაზე არსებითი თვისებაა პერსონაჟთა მეტყველების ინდივიდუალიზების მეშვეობით დახასიათება, ხასიათების, აზროვნებისა და სოციალურ-ფსიქოლოგიურ თავისებურებათა სამეტყველო მანერით წარმოჩენა. ნოდარ კობერიძის, ჯანეტა ქორიძისა და ზურაბ თორიას ნაწარმოებებში კი ავტორ-მთხრობელისა თუ ცალკეეულ პერსონაჟთა მეტყველება, მონოლოგები და დიალოგები ერთფეროვნებითია და ერთტიპიურობით ხასიათდებიან. მათი პერსონაჟები ხშირად მოკლებულნი არიან საკუთარ ხმას, საკუთარ ინტონაციებს, დამოუკიდებელ, სხვათაგან განსხვავებულ მხატვრულ სიცოცხლეს. ამიტომ, მიუხედავად დაუსრულებელი ლაპარაკისა, დიალოგებსა და მონოლოგებში წარმოთქმული უამრავი სიტყვისა, მხატვრული თვალსაზრისით ეს პერსონაჟები „მუნჯები“ არიან, — თითქმის ყველა პერსონაჟს ერთი ხმა, ერთი სტილი, ერთი მეტყველება აქვს, — ესაა, არსებითად, მეტყველება მათ მაგიერად მთიელე ავტორებისა, რაც, ვფიქრობ, ერთ-ერთი მთავარი მიზეზია

ამ ავტორების მოთხრობათა მონოტონურობის, დეკლამაციურობის და ერთფეროვნებისა. გული კობიაშვილთან პერსონაჟთა მეტყველებას ინდივიდუალიზრებული გამოხატვა მეტყველების მანერათა მრავალფეროვნებას განაპირობებს, რაც გვიცავს „ერთფეროვნების მოწყენილობისაგან“, თუმცა არც მისი მოთხრობების ერთი ნაწილია ამ ნაკლისაგან დაზღვეული. ჯანება ჯორიძეს, ნოდარ კობერიძეს, ზურაბ თორიაძ მომავალ შემოქმედებით მოღვაწეობაში აუცილებლად უნდა იზრუნონ სამეტყველო ფორმების სფეროთა გფფართოებაზე, გამდიდრებასა და ოსტატური დაუფლებაზე, გული კობიაშვილსა ეი მათ შემდგომ სრულიყოფასა და დახვეწაზე.

ეს, რაც ეხლა მოგახსენეთ, მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ზოგჯერ ადამიანთა მეტყველების ინტონაციურობაში, ხმაში, მათ ხასიათში, მსოფლშეგრძნებაზე, უფრო სრულად და მკფიოდ ვლინდება, ვიდრე მეტყველების შინაარსში. ზოგჯერ ადამიანები რობერ მეტყველებენ, რობერ ლაპარაკობენ უფრო არსებითი და გადამწყვეტია იმაზე, თუ რას ლაპარაკობენ. მართლაც, ძნელია, დაეუფლოს პროზის ხელოვნების საიდუმლოებას ის, ვისაც საკუთარ პერსონაჟთა ხმები არ ესმის.

●

ნოდარ კობერიძის, ჯანება ჯორიძის, ზურაბ თორიაძის, გული კობიაშვილის მოთხრობებში ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ სტატუას ფ პერსონაჟთა გამოდმბიული ფიქრის საგანს „ბედნიერებაა“ შეადგენს. პერსონაჟები ცდილობენ გაერკვნენ, რა არის ბედნიერება, რა შეგაღელვებს ამდენს იგი მათ ინდივიდუალურ ბედზე, ცხოვრების ხასიათზე, მსოფლშეგრძნებაზე, რა შედეგები მოაქვს ბედნიერებისაკენ სწრაფვას, „მეშჩანურ ბედნიერებაზე“ უარის თქმას, ბედნიერების მოლოდინს, ბედნიერების ნატვრასა და მასზე ოცნებას. ნოდარ კობერიძის მოთხრობის, „რუბიკონის გადალახვა“ არც ისე ადვილი ყოფილა“, ერთ-ერთი პერსონაჟი, თემურიც ოცნებობს ნამდვილ ადამიანურ ბედნიერებაზე — მედეას ცოლად მოყვანაზე, იდილიური ოჯახური ცხოვრებისაკენ შეკმნაზე, სულიერი სიმშვიდის მოპოვებაზე. იგი ოცნებას მართლაც აისრულებს — მედეა მისი ცოლი გახდება, მაგრამ ხასურეული ბედნიერება მიუწვდომელი და განუფარიცელელი აღმოჩნდება. როგორც საზოგადოებს, ისე საკუთარი წარმოდგენილი ბედნიერ კოკას, ჯანება ჯორიძის მოთხრობიდან „ი ეს ფურშეტ“, მოუღლიდნელად შეიპყრობს დამორგუნველი, აუტანელი სურვილი — აღელდებოდ მიაბოფოს ის : კეთილმოწყობილი სიმაყფლროვე, ის „მეშჩანური ბედნიერებაა“, აკამდე რომ სიამოვნებას ანიკებდა, მიაბოფოს მოელი ის უხამსობა, გარს რომ არტყია, რათა აღარახოდეს გაიგინოს ახლობლების, ნათესავების, თანამშრომლების ნაცნობი ხმები ტონაციები, მორიგ ა ლა ფურშეტზე მიმ, სადაც კვლავინდებურად მიირთმეულ კარგას, ხვამენ შამპანურს და თვითკმაყოფილნი წარმოსთქვამენ ყოველად ბანალურ და მოხმარებულ ფრაზებს. კოკას სურვილი, გაბაადლოს „აამალლოს“ თავისი ცხოვრება, რათა ისიც გარშემოყოფთა ინერტულ არსებობას არ დაესხვაგსოს, კაეშური გაწყვეიოს „მეშჩანურ“, მოჩვენებეთი ბედნიერებასთან, იმის ნიშანია, თუ როგორი ძალით სძოფს ყოველივე ერთფეროვანი, უსიცოცხლო, მკვდრული. მართალია, მას საამისოდ ავტორი მოკმედება ჯერ არ დაუწყია, გადამწყვეტი ნაბიჯი ჯერ არ გადადგამს მაგრამ მიღწეული, ჩვევადკეცული, ყოველდღიური დაძლევისა და უარყოფის სურვილის გაჩენა მისი სულიერი სიკანსნალის ხასიათლო მაცნეა. თემურისათვის, კოკასათვის, მისი მეუღლისათვის, მანანასათვის, ისევე როგორც მრავალი სხვა პერსონაჟისათვის, დამახასიათებელია არსებულით დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, ცხოვრების გაუმჯობესებისაკენ, „გაპოეტურობისაკენ“ სწრაფვა. ისინი ხვდებიან, რომ ყოველი ცხოვრებისეული მიზნის ასრულეკა, ხასურეული ოცნების განხორციელება ნამდვილი ადამიანური ბედნიერების მომტანი კი არ არის, არამედ ერთი შესრულებული ოცნებიდან, მისწრაფებიდან, — სხვა, ახალ მისწრაფებაზე გადასახელელი ხანმოკლე საფეხურია, თემურის მიერ მედეას, თავისი უსაყვარლესი ქალის, ცოლად მოყვანის შემდეგ ჯანენილი ბედნიერების გრძნობა დროთა განმავლობაში, როგორც უკვე მოგახსენეთ, უბედურებად შემოტრიალდება, დროებითი, წარმავალი აღმოჩნდება. ოჯახური თანაცხოვრების დაწყებისთანავე ილუზია ქრება და უკვე ახალი, რადიკალურად განსხვავებული, ნერვიული, გაცნობიერებული ცხოვრება იწყება. თემურისა და მედეას სიყვარული ვერ დაეტია ყოველდღიური ოჯახური ცხოვრების სამყაროში, რომელიც სწორედ სიყვარულით უნდა დაძლეულიყო და დამარცხებულიყო. სიყვარულმა და ემპირიულმა თანაცხოვრებამ, ოჯახურ გარემოებათა პრობლემამ, ყოფითი არსებობის პრობლემატურობამ, ვერ იგუეს ერთმანეთი, რადგან სიყვარული თავისუფლებიდან გაჩნდა, ოჯახი კი — აუცილებლობიდან. ამაზეაცა ახალგაზრდა ავტორთა პერსონაჟების სულიერი ცხოვრების დიალექტიკა: მათ სულში, მიღწეული მიზანი ფსიქოლოგიური ნიადაგს ამზადებს ახალი მიზნისათვის, დაკმაყოფილებული მოთხოვნილება — ახალი დაუკმაყოფილებლობისათვის. შინაგანი ტანჯვა, კოკას და მანანას რომ უნნდებათ, ტანჯვა მიღწეულით კმაყოფილების გამო. მათი სულიერი დრამა, პირველი რიგში, კმაყოფილების დრამაა! ისინი უკანდებიან მოჩვენებით დამშვიდებას, საკუთარი თავითა და სამყაროთი კმაყოფილების გრძნო-

ბას, უჩნდებათ მძაფრი დაუკმაყოფილებლობის, ადამიანში ადამიანური გადამრჩენელი გრძნობა, რომელიც სულიერად აფიზლებს. ახალი ცხოვრებისეული სიერცეების აღმოჩენისა და დაუფლებისაკენ მოუწოდებს მათ.

რა არის ბედნიერება, რას მოაქვს ბედნიერება? — ამ და მსგავს კითხვებს ხშირად უსვამენ ახალგაზრდა ავტორთა პერსონაჟები როგორც ერთმანეთს, ისე საკუთარ თავს. რაშია ბედნიერება? — სურვილთა უკონლობასა და მის წრაფებათა დაორგანებაში, როგორც ზოგიერთი პერსონაჟი ფიქრობს, ცხოვრებიდან გაქცევაში, როგორც სხვები ფიქრობენ, თუ მატერიალურ კეთილდღეობასა და ბედნინაზში, ზნეობრივ — ინტელექტუალურ სრულქმნილებაში, სახელისა მოხვეჭასა და დიდების მწვერვალზე ყოფნაში?! იქნება ამ პერსონაჟთა, ამ ადამიანთა უბედურების მიზეზი ისაა, რომ ისინი თავიანთი არსებობის სახელმძღვანელო პრინციპად, მამოძრავებელ მოტივად და მიზნად ბედნიერებას ისახავენ, — ბედნიერებას, როგორც რაღაც რეალურს, მისაწვდომსა და შესაძლებელს? იქნებ უბედურების თავი და თავი ისაა, რომ ეს ადამიანები იმას მიეღტვიან, რაც სინამდვილეში შესაძლოა არც არსებობს, მხოლოდ ილუზია და მათი ფანტაზიის ნაყოფია?

შეიძლება თუ არა ბედნიერების იდეა იყოს ადამიანთა ცხოვრების საფუძველი? — ეი, მოკლედ ის უმთავრესი კითხვები, რაც ნოდარ კობერიძის, ზურაბ თორიანის, ჯანგეტა ჯორჯიანისა და გელო კობიაშვილის წიგნებიდან, მათი მთელი შემოქმედების ქვეტექსტიდან ამოიკითხება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბედნიერებას ხავსებით ხუბიექტური და ინდივიდუალური, რადგან იგი ყოველი პერსონაჟის მიერ თავისებურად განიცდება ან გაიაზრება. მაგრამ მათ შორის საერთო ამ მხრივ ისაა, რომ ადრე თუ გვიან ყველანი რწმუნდებიან, — ბედნიერების მათეული იდეა და წარმოდგენა მცდარი ქიმერა ყოფილა და ამ სამწუხარო ეშმარტებასთან მიახლოების გამო სახოწარკვეთილა და სიცარიელის მატკივნეული განცდა ეუფლებათ.

ახალგაზრდა ავტორები თავიანთი მხატვრული შესაძლებლობების ფარგლებში თვალს გადავდევნენ პერსონაჟთა ცხოვრებისათვის, ცდილობენ დაგვანახონ, რომ თითოეული პერსონაჟის ცხოვრებაში ტანჯვა, უსიამოვნება, გაწბილება, სიმძიმილი განუზომლად მეტი იყო, ვიდრე — სიხარული, სიამოვნება და ბედნიერება. პერსონაჟთა უმრავლესობას ჰკვს ბედნიერებისა და სიხარულის გამოდმებული, აღმოუფხვრელი მოთხოვნილება. ისინი ცხოვრების ყოველ მოცემულ ეტაპზე რაიმე პირადულ სიკეთეზე ოცნებობენ და ფიქრობენ, რომ მათ პიროვნულ, სრულყოფილ, ბედნიერებას, სწორედ აი, ეს კონკრეტული სიკეთე აკლია, საკმარისია, მოიპოვონ იგი და ეტკვი არ ეპარებათ, რომ ახლა კი ხავსებით ბედნიერები იქნებიან. მაგრამ მოიპოვებენ თუ არა მას, განახორციელებენ თუ არა მორიგ ოცნებას, სწრაფად ეღება ბოლო ახლად მოპოვებულ „სიკეთის" ფლობით მიღწეულ ნეტარებასა და ბედნიერებას.

კიდევ ერთხელ გავიხსენოთ მედეა ცოლად მოყვანის შემდეგ სინამდვილედან ქაცულმა ოცნებამ თემფრი როგორ „ბედნიერ" აქცად ჯქცია. ცხოვრება განუწყვეტლივ უმტკიცებს, შეახსენებს ახალგაზრდა ავტორთა პერსონაჟებს, რა უსაზრუელო ზღვარი ჰყოფს ოცნებასა და რეალობას, იდეალსა და სინამდვილეს, სახურველსა და შესაძლებელს, იმას, რაც არის და იმას, რაც შეიძლებოდა, რომ ყოფილიყო. ისინი რწმუნდებიან, რომ მათი ცხოვრების „ნორმალურობა" სინამდვილეში „არანორმალურობაა", რომ მათ ადამიანური არსებობა, მთლიანად ცხოვრება, ნორმიდან მკვეთრად გადახრილია. ამიტომაა, რომ სულიერად ჯანსაღი ადამიანებისათვის, რომელთაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ ადამიანურობა, ახეთი „ნორმალური" ცხოვრება ისეთივე გაუსაძლისი, მოუღებელი და ზიზღის მომგვრელია, როგორც კოკასათვის, მანანასათვის, ბალვაშისა და ჭართელის არჩვანისათვის.

ახალგაზრდა ავტორები ცდილობენ, შეძლებისდაგვარად გვიჩვენონ ამ „არანორმალური ნორმალურობის" გამო ადამიანში პიროვნულ-ინდივიდუალური საწყისების თანდათანობით ლიკვიდაცია, ადამიანში ადამიანურის, სულიერის კვდომა და განადგურება.

რადგან ახეთ პრობლემატურ მდგომარეობაში არიან ეს ადამიანები, რადგან ახე უჭირთ ცალკეულ ინდივიდებს, ჰქედნ ბუნებრივად გამომდინარეობს დასკვნა, რომ უჭირს მთელ საზოგადოებას. საზოგადოება რადიკალურ კრიზისს განიცდის, რის თვალსაჩინო სამპტომსაც წარმოადგენს არაერთი პერსონაჟის „ცნობიერების ავადმყოფობა".

ახალგაზრდა ავტორები ზოგიერთი პერსონაჟი ადრე თუ გვიან თავზარდაცემენ ჭეშმარიტებას ეზიარება, — ცხოვრება „ცრუ" და „მატეუარა" ყოფილა. ახეთი ეშმარიტება, ახეთი შეხედულება თავდაყირა აყენებს ზურაბ თორიანს მოთხრობაში „ადგილი ცის ქვეშ" უკვე ხანში შესული ირომის ყველა იმ ძველ წარმოდგენასა და შეხედულებას, ადრე უცილობელ და შეუვალ ეშმარიტებებად რომ მიიჩნევა. მთელი მისი ბავშვობა, ბავშვობა, წარსული, მისი ცხოვრებისა და საქმიანობის ღირებულება, მნიშვნელობა და სიხეროე კითხვის ნიშნის ქვეშ დგება და უფასურდება.

„ირომი ცის უსასრულობამ შინაგანად შეძრა. წამოჯდა, მიიხედ-მოიხედა. ბიჭებს მოედნი დაეცალათ. ირგვლივ გამაბრუებელი სიჩუმე იდგა.

ისევე გაიზოტა. თვალი მილულა და გაუფრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და. რაღაც უცნო ხმა ესმა. დააყურადა. მიხედა, მიწის ხუნთკვეი იყო. გაანაღური უსმენდა ამ ხმას, ხოლო თავისთვის ფიქრობდა, რომ მანამდე არა ესმოდა მოუქცევი ყურადღება, ბრმასავით დაბაბეტდა მთელი ცხოვრების მანძილზე. რამდენი რამ არსებულა, დარჩენილა მის მიღმა. ვიღაც-ვიღაცეებს ეგონათ, რომ იგი ყველაფრის მომსწრე და მნახველი იყო, მაგრამ პირველად ფიქრობდა ისეთ რამეებზე, როგორიცაა მიწის ხუნთკვეა და სამყაროს უსასრულობა. მან არ იცოდა რა იყო ის ძალა, რომელიც ბუნებაში ყველაფერს აკავშირებდა, ეს ძალა კი ეხლა სიცოცხლის ბოლოს იგრძნო...“ „ირომანი არც არახოდეს ჩაერმავებია ფიქრს, რომ თავისი მისწრაფებები და დანაშნულება გაერკვია, რადგან — ისე წეიწყო, ყოველთვის ერთი და იმავე მოვლენის გარშემო უბდებოდა ტრიალი, თითქოს ხელ-ფეხი ჰქონდა შეკრული...“

მოხუცებულებს ზურაბ თორიას მოთხრობაში „ადგილი ცის ქვეშ“, ნოდარ კობერიძის მოთხრობაში „ხანამ ცოცხალი ხარ, არ გაბედო სიკვდილი“, — როსტომ თაკაიშვილსა და ანეტა თვალაძეს, მოაბლოვებულ სიკვდილზე მოფიქრათ. მოუცილებელი სევდა და სასოწარკვეთა მოხალოდნელი არეოფნის შეცალებლობის გამო, სულიერი განწყობილების განუყოფელ თანამგზავრებად ექცევინ. ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე მოპოვებული ყველა ბეშმარიტება ამ ახლად მოპოვებული ფატალური ბეშმარიტების წინაშე — „მალე სიკვდილი მოვა!“ — არარაობად და პრიმიტიულობად წარმოიფდგებათ. მაგრამ ამ ხანშიშესულ, მრავალგირნახულ ადამიანებს, როგორ კრიტიკულ სიტუაციაში, როგორ უიმედო მდგომარეობაშიც უნდა იყვნენ, მაინც არ სტოვებთ „იმედით ტანჯვას“, იმის მოლოდინი, რომ მათ ცხოვრებაში კიდევ რაღაც შეიძლება შეიცვალოს. ამიტომ ისინი სიცოცხლეს ფვითმკვლელობით არასოდეს აკ ეთხოვებიან. სიმპატმატერია ამ თვალსაზრისით ნოდარ კობერიძის მოთხრობის სათაურიც „ხანამ ცოცხალი ხარ, არ გაბედო სიკვდილი“.

ახალგაზრდა ავტორთა გამოგონილ სამყაროში სახაციელოდან სატირელამდე ერთი ნაბიჯია. გულო კობიაშვილის პერსონაჟებს თუ დავცინთ, იმავდროულად გულიც გვწყდება, რადგან ვგრძნობთ, რომ ჩვენი სიცილი ხანმოკლეა, რომ მწერლის მზერა სახაციელოს მიღმა რაღაც სერიოზულის აღმოჩენას გვპირდება. და, მართლაც, მრავალი საგანი თუ მოვლენა, რასაც გულო კობიაშვილის მზერა სწვდება, ხეადიანი, ზოგჯერ კი ტრაგიკული შინაარსის მატარებელიც აღმოჩნდება. ახალგაზრდა ავტორების პერსონაჟთა დიდ ნაწილს შეადგენენ ყოველდღიური ცხოვრების ამაოებაში ჩაძირული, ხშირად ზნეობრივად გამოფიტული, სულიერად გამომშრალი და გულგრილი ადამიანები. დანტემ გულგრილნი თვით ჯოჯოხეთშიც კი ვერ ეკა, — ისინი არც ცის, არც ჯოჯოხეთს არ ხვრიდნენ. ახალგაზრდა ავტორების მოთხრობებიდან გამომდინარე სწორედ გულგრილობაში გამოვლინდება ყველაზე თვალსაჩინოდ ადამიანის ერთ-ერთი უმთავრესი, მნიშვნელოვანი ადამიანური გრძნობის — მოუვანის სიყვარულის, მოყვასისადმი თანაგრძნობისა და თანაგანწყვის გადაგვარება ან ატროფირება. გულგრილი ადამიანები გულო კობიაშვილის შემოქმედებაში ცხოვრების უმოქმედო, ასპიერ დამკვირვებლებად და მაყურებლებად, უყურნონ და უემოციო მექანიზმებად — ავტორის ერთ-ერთი პერსონაჟის ელენეს სიტყვებით რომ ვთქვათ, — „ტიკინებად“, არანორმალურ არსებებად აღიქმებიან. ასეთი ადამიანებისათვის გულგრილობა ხაზოგადოებრივ მოვლენებზე პასუხისმგებლობისა და ადამიანურ მოვალეობათა შესრულებისაკენ „თავდაცვის“ თავისებურ საიმედო ფორმადაც იქცევა. მაგრამ ასეთია სინამდვილე, რომლის სამსახურებრივი, ოჯახური, ყოველდღიური ცხოვრების ვიწრო ჩარჩოებში გამომწყვდეული ადამიანი ხულს დაფავს, ასეთია სინამდვილე, რომელიც „იდეალურ“ პირობებს ქმნის ყოველგვარ ზნეობრივ-მორალურ და სულიერ სიმახინჯეთა და ბოლოოგიათა წარმოსაქმნელად. სწორედ ერთ-ერთი ასეთი სიმახინჯეა ზაჭრია გულო კობიაშვილის მოთხრობაში „ნაცარქეცი“. ზაჭრიას ანომალურ, ავადმყოფობამდე მისულ „გარეგან უმოქმედობაში“ თვალსაჩინოდ აირეკლება მისი ზნეობრივ-მორალური სახე და სულიერი სამყაროს თავისებურება: აქ შინაგანი — გარეგანთან, სუბიექტური — ობიექტურით გამოვლინდება. ზაჭრიას მსგავსნი მხოლოდ ფორმითღა ჰგვანან ადამიანებს, შინაარსით კი მარტივი და გრძნობათაგან განძარცვული არსებები არიან.

მაგრამ ახალგაზრდა ავტორთა შემოქმედებაში, მათ პერსონაჟთა შორის ისეთ ადამიანებსაც ვხვდებით, მდაბალ სინამდვილეშიც რომ ინარჩუნებენ ბეშმარიტ ადამიანურ ღირსებებს, სულიერ სიჯანსაღეს, პროფესიისადმი ერთგულებას, არ კარგავენ ენთუზიაზმს, სიცოცხლით ალტაცების უნარს, ანე რომ, ადამიანისა და ხაზოგადოების კრიზისულ ვითარებაში ორივე პასუხისმგებელია — ადამიანიც და ხაზოგადო — ებაც, — აქ ყველაფერი ერთმანეთს უკავშირდება, აქ ყველაფერი ერთმანეთისაგან გამომდინარეობს.

ახალგაზრდა ავტორთა პერსონაჟების მთელი არსებობა მხოლოდ აბქვეკნერი სიკეთეებისათვის, ყოველდღიური, ყოფითი საჭიროებებისა და მათი განხორციელებისათვის ბრძოლითა და ზრუნვით იქსოვება, მაგრამ ვერანაირი ცხოვრებისეული, სამსახურებრივი, მეცნიერული წარმატება და წინსვლა მათთვის ვერ იქცევა ყოველივე იმად, რამაც ბეშმარიტი, ნამდვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიხარულის განცდა უნდა მოუტანოს, სულით აღავსოს. ყოველი ცხოვრებისეული, თანამდებობრივი თუ მეცნიერული წარმატების, ცხოვრებისეული მიზნის შესრულება მათ არსებაში გაბატონებული მეანჯყველი სიცარიელის გრძნობას ვერ ლლავს, რაც კიდევ ერთხელ არწმუნებდა, რომ მართლაც არა მარტო პერით ცხონდებიან ადამიანები, ე. ი. არა მარტო ამქვეყნიურ, მიწიერ, ყოფით, მატერიალურ, სიეთოთა დაკმაყოფილებით შეძლებენ ისინი ხაკეთარი ცხოვრების ნამდვილ დღეხასწაულად გადაქცევას. მაგრამ ასე გაგრძელდება მანამ, ვიდრე მათი სულის კარი არასწორი, ყოველდღიური ყოფითი ცხოვრებით დახშული იქნება სინდისისათვის, შინაგანი, სულიერი ხმისათვის, ამსოლუტის ხმას რომ წარმოადგენს ადამიანში, იმ ხმისათვის, რომელიც პერსონაეთა უკიდურესი სულიერი კრიზისების დროს შეხნის მათი სულის კარს და ყოველ მათგანს საკუთარ დაცემოფლას, ზნეობრივ და სულიერ დეფორმირებულობას, არასწორ და უგულო ცხოვრებას შეახსენებს, შეახსენებს, რომ მათ ცხოვრებაში უმნიშვნელო — მნიშვნელოვანი, ხოლო მნიშვნელოვანი უმნიშვნელო გამხდარა, რომ ხაკირია არსებობის გამომფოტველი და გამანადგურებელი ფორმის შეცვლა, ხაკირია თვითჩაღრმავება, „სულით ალსება". რწმენისათვის, სიყვარულის, სიეთის გაღებისათვის ზრდენა, გარშემომყოფი ადამიანებისადმი, თანაგრძნობა და თანადგომა, ეგოისტურ მისწრაფებათაგან განთავისუფლება, რომელთა გარეშეც სულიერი სიმშვიდისა და ჭეშმარიტი სიხარულის მოპოვება, მარტოობისა და ამაოების შეგრძნებებისაგან განთავისუფლება ვერ მიხერხდება, რომელთა გარეშეც მათი არსებობა სამუდამო სულიერი სიცარიელისა და ტანჯვისათვის განწირული იქნება, და, სამოლოო ჯაშში, კი ასეთი უსულო და უსიხარულო ცხოვრება „ჯაობადაც" კი გადაიქცევა. მოფუსმინოთ ნოდარ კობერიძის მოთხრობიდან „შორეული ცფრვიდან დაბრუნებული გემები" მთავარი პერსონაეის, ბაღვაშის, ერთ ადგილ ალსარებას:

„ჯაობი ბრწყვალე პარადოქსია ჩემი, თემოს, თამაზის ცხოვრებისა, ჩვენი შეკმნილი ყოველდღიური რეალობა ნელ-ნელი ჯაობივით გვითრევს, გვსაობს, როგორც ადამიანებს"...

„რა მითხრა? დაცლილი ადამიანი ხარო! მეცინება. ახლა შუბლსა და თმას ვიწკალებ. სადღაც სწორი ხომ არ არის? დაძაბული ვარ. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს დიდი ხნის წინ რაღაც ძალიან ძვირფასი დავკარგე და ახლაღა გავიგე ეს. არადა იმ რაღაცას სული ჰქვია. სული თუ დავკარგე, მაშინ მაგუფარა ვყოფილვარ. უსულო ფსიქიატრი? უსულო ადამიანი კიდევ ხო. თუმცა არც ეგაა მისაღები, მაგრამ უსულო ფსიქიატრი რაღაც არ ეწყობა, თან ვინ, მე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი — [illegible] კაბაბერიძე".

ახალგაზრდა ავტორთა ნაწარმოებებში ამაოების განცდითა და სიცარიელით იტანჯებიან ჩვეულებრივი თუ არაჩვეულებრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები. ისინი სულიერ ცმაყოფილებას ვერ პოულობენ ვერც შრომაში, ვერც მოღვაწეობაში, ვერც ოჯახურ თანაცხოვრებაში, ვერც ქეიფსა და დროსტარებაში, ვერც მეგობრულ ურთიერთობებში, ვერც რელიგიურ და ვერც ილუზიურ სინამდვილეში, საკუთარი წარმოსახვით, ფანტაზიით შექმნილ, როგორც თვითონ უწოდებენ, „გამოგონილ ავადმყოფურ სინამდვილეში". ამ წარმოსახულ, ილუზიურ სინამდვილეს კი იმიტომ ეგონებენ, იმიტომ ეძალებიან სმას, ქეიფს, დროსტარებას, როგორმე, რამენაირად რომ დაუსხლტენენ ხელიდან ამაოებისა და სიცარიელის გამანადგურებელ განცდას, როგორმე რომ გაექცენენ მათთვის მიუღებელ, არასასურველ ყოფით ცხოვრებას. მაგრამ ყოველ ახეთ მორიგ გაქცევას ილუზიურ, წარმოსახულ სინამდვილესა თუ სმას მათთვის მხოლოდ მოჩვენებითი, წარმავალი დამშვიდება და დრო-ტარი შინაგანი ცმაყოფილება მოაქვს. ამ პერსონაეებისათვის, როგორც ეს ნოდარ კობერიძისა და ჯანეტა ქორძის მოთხრობებში გვაქვს, გამოგონილი სამყაროს დამსხვრევისა და მისგან გამოსვლის შემდეგ, პროზაული რეალობაში დაბრუნება კიდევ უფრო გაუსაძლისი ხდება. ესენი არიან ადამიანები, რომელნიც ყველანაირ საუნეკეს დაუფლებიან ერთის გარდა, ყველაზე არსებითისა და მნიშვნელოვანისა — რწმენისა, ის სულიერი სხვისა, რომლის გარეშეც მათი შინაგანი სამყარო სულიერებით ვერ აღივსება და სიყვარულით ვერ გათბება, ვერ განათდება და ვერ გამთლიანდება, რომლის გარეშეც ყველა მათი საუნეკე, ყველა მათი წარმატება თუ წინსვლა, არაფრობად, არარაობად, ამაოებად აღიქმება და განიცდება.

ახალგაზრდა ავტორთა პერსონაეები ეძებენ საშუალებებსა და გზებს თვითგადასარჩენად და თვითგასამკეთებლად. ეძებენ ის სულიერ ძალას, რომელიც ყოველდღიური ცხოვრების ბადეში გაბმულ და დაცლილ სულს სიმშვიდეს მოამგვარის, განშენდს და გააკეთილშობილებს, სიცოცხლისა და ერთმანეთის სიყვარულთა და სასოებით ალავსებს, ჭეშმარიტი ადამიანური ცხოვრებისათვის გამოაცვიდეს, სულიერად განაახლებს და აალორძინებს. როდესაც პერსონაეებს, სულიერება ტოვებს, სიცოცხლესაც მათ თვალში ყოველგვარი ფასი და ღირებულება ეკარგება, ახეთ უსულო ცხოვრებას კი ზოგიერთი მგრძნობიარე და ფაქიზი ნატურა ვერ უძლებს და ნოდარ კობერიძის მოთხრობის — „ოზებიკონის გადალახვა არც ისე ადვილი ყოფილა" — ოცდაოთხი წლის ქართლოს არჩვაძე-

ნავთი სიცოცხლეს კლავს საკუთარ არსებობას თვითმკვლელობით ამთავრებს!

მწერალი თავისი მოღვაწეობის ერთ-ერთ ფუნქციად გზაანსულთა ეშმაკრიტების, სინათლის, სიკეთის, რწმენის გზაზე დაყენებასაც უნდა მიიჩნევდეს. მაგრამ ახალგაზრდა ავტორებმა თავადაც არ იციან ის გზა, რომელიც ადამიანებს ეშმაკრიტებისა და, მაშასადამე, ბედნიერებისაკენ წაიყვანს. ამიტომ თავს უფლებას არ აძლევენ, გვირჩიონ, გვასწავლონ, როგორ ვიცხოვროთ, რომ ბედნიერნი ვიყოთ, როგორ გავამართლოთ ჩვენი ადამიანური არსებობის დანიშნულება. ისინი უბრალოდ, შეძლებისდაგვარად, ცდილობენ, დაგვიბატონ ცხოვრება და ადამიანები ისეთები, როგორნიც არიან ყოველგვარი რომანტიზირებისა და იდეალიზაციის გარეშე. ახალგაზრდა ავტორები თავიანთი შემოქმედებით გვიჩვენებენ, რომ ისე ცხოვრება, როგორიც მათი პერსონაჟები ცხოვრობენ, არ შეიძლება, რადგან იგი ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ დამღუპველი და გამანადგურებელია, ახალგაზრდა ავტორები აღიარებენ, რომ არ გააჩნიათ ბედნიერი ცხოვრების „პროგრამა...“ ამ გამხეელილი, პირდაპირი, შეუნდობავი და შეუფასებელი „სიმართლით“ არიან ისინი ჩემთვის ძვირფასნი, როგორც ავტორები და როგორც ადამიანები. ყველა როდი ბედავს იმის აღიარებას, რაც არ იცის, მით უფრო თუ ხაქმე ყველაზე არსებითისა და ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲜᲘᲨᲕᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ — ადამიანური არსებობის საზრისის, მიზნისა და დანიშნულების ᲒᲝᲠᲔᲚᲐ ეხებას ახალგაზრდა ავტორებს ᲩᲣᲛᲝᲕᲜᲘᲗ გამბედაობა და შინაგანი პატიოსნება, აღიარონ, რომ არ ძალუძთ პასუხი გასცეს ცხოვრების მიერ დასმულ მწვავე კითხვებსა და პრობლემებს („ხოლო თუ მწერალი გაბედავს და განაცხადებს, რომ მას არაფერი არ ესმის იქიდან, რასაც თავის გარშემო ხედავს, მაშინ ეს უკვე თავისთავად დიდი ნაბიჯია წინ და დიდი ᲪᲝᲓᲕᲐ აზრის სფეროში“ (ჩეხოვი). ამიტომ ჩვენი ავტორებისათვის ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲜᲘᲨᲕᲔᲚᲝᲕᲐᲜ შემოქმედებათ ამოცანად იქცევა პრობლემის დაყენება, „ეთქვის ᲧᲚᲘᲡ ᲡᲬᲝᲠᲐᲓ ᲓᲐᲡᲓᲐ“, ხათქმელის, ჩანაფიქრისა და იდეის შეძლებისდაგვარად ნათლად წარმოჩენა... აქედან გამომდინარე, ᲗᲣᲚᲘᲡᲗᲘᲜᲘᲡᲐ, როდესაც ამ ახალგაზრდა ავტორებისა და ცნობილი ქართველი მწერლების შემოქმედებაშიც „უპასუხოდ დატოვებულ“ ე. წ. „ღიღა“, „დაუმთავრებელ“ უამრავ მხატვრულ ნაწარმოებს ვხვდებით.

●

ცნობილია, რომ თვით დიდი მწერლების ხელოვნებაც კი შეუძლებელია ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲔᲠᲗᲜᲐᲠᲐᲓ ᲔᲠᲘᲜᲒᲚᲘᲡ გამოვიდეს. ლ. ტოლსტოი ამბობდა, — ᲑᲔᲠᲘᲡ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲜᲘᲡ ᲔᲠᲗ ᲣᲫᲚᲘᲡ დროის გამოცდას გენიალურ მწერალთა შემოქმედებიდანაც კი, რომ „დიდი გოეთეს ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲗᲝᲠᲛᲝᲪᲘᲐ ᲗᲣᲛᲪᲐᲓᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი რიგმე პიროვნული ან სუბიექტივისტური (და არა სუბიექტური) დამოკიდებულების გამოვლინებას ხედავს. გარეგნულად იქმნება შთაბეჭდილება, ილუზია, რომ თითქმის ყველა ნაწარმოები, რომელთაც ჩვენი მწერლები ქმნიან, მხატვრული, სრულფასოვანი და უნაკლოა. ამიტომ მხატვრულის პრეტენზიით შენიღბული ყველანაირი მდარე, ულიმღამო, ე. წ. „საშუალო ლიტერატურა" დაფარკლებულად იკაფავს გზას ფართო, მასობრივი მკითხველისაკენ, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს „საშუალო" აზროვნების, „საშუალო" ესთეტიკური გემოვნების ფორმირებას. მით უფრო, რომ ამ „საშუალო", ფსევდოლიტერატურულ ნაწარმოებთა რაოდენობა განუზომლად მეტია ნამდვილ მხატვრულ ლიტერატურაზე. იქმნება საშიშროება, „საშუალო ლიტერატურამ" თავისი „ავტორსიფლობის" გამო საკუთარი კრიტერიუმები არა მარტო მკითხველთა მასებს, ეროვნულ ლიტერატურასაც მოახვიოს და, საბოლოო ჯამში, „საშუალოდ" ჩვენი ლიტერატურის განვითარებისა და დამპალისაითვალ უარყოფით ინბრედიენტად იქცეს.

ინდივიდუალური შემოქმედებისადმი კრიტიკული და თვითკრიტიკული დამოკიდებულების უქონლობის გამო ჩვენში ვრცელდება და მკვიდრდება საკუთარი სრულფასოვნებისა და თვითკმაყოფილების „ავადმყოფობა" (ილია გამდგმბინი შეგვახსენებს — „კმაყოფილება კაცის დამღუპველი სენიაო"). ხოლო როდესაც ლიტერატურას არ გააჩნია კრიტიკული და თვითკრიტიკული დამოკიდებულების მძაფრი მოთხოვნილება, შესაძლოა, ეს იმის ნიშანეცაა, რომ ახეთი კრიტიკული და თვითკრიტიკული ცნობიერების უქონელი მხატვრული ლიტერატურა „ავადაა", რისი სიმპტომიც დღევანდელ ეტაპზე, შესაძლოა, თვალსაჩინო არ არის, „ვიზუალურად" არ ჩანს, მაგრამ რისი სამწუხარო შედეგებიც, ალბათ, მოგვიანებით გამოჩნდება, ჩვენში მწერალს საკუთარი პიროვნებისადმი, საკუთარი შემოქმედებითი ნაღვაწისადმი სიყვარული (რაც, სამწუხაროდ, ზშირად გამორიცხავს ახეთსავე ალფრთოვანებულ და ალტაცებულ სიყვარულსა თუ სიხარულს თანამემამულეთა შემოქმედებისადმი) თანდათანობით უსუსტებს მას შემოქმედებითი წინსვლისათვის აუცილებელ მწვავე, მაგრამ ძვირფასი დაუკმაყოფილებლობის, არასრულყოფილების გრძნობას და საკუთარი სრულფასოვნების ილუზიას უქმნის. ამ ილუზიას იგი არცთუ იშვიათად რეალობად იღებს, რითაც იშლება ზღვარი რეალობასა და ილუზიას შორის, ხოლო ამ გარემოებას რა შედეგებიც მოსდევს, ეს ყველასათვის, ყოველ შემთხვევაში, მკითხველთა ერთი ნაწილისათვის მაინც ნათელი და გასაგებია.

შემოთქმულიდან გამომდინარე, ალბათ, ეჭვი ვარს, როდესაც მწერალი ეუფნალისტებთან ან კრიტიკოსებთან დიალოგებში, ინტერვიუებში, თითქმის არასდროს არ ხაუბრობს საკუთარ შემოქმედებით მარცხზე, სისუსტეებსა თუ ნაკლოვანებებზე, წარუმატებელ ნაწარმოებებზე, ან წარუმატებელ ადგილებზე მაინც თავის ნაწარმოებებში (რაც ჩვეულებრივი, დამახასიათებელი მოვლენაა უცხოელ თანამოკალმეთა საუბრებისა და დიალოგებისათვის). ერთი სიტყვით, ჩვენში საკუთარი შემოქმედებისადმი თვითკრიტიკული, დაუკმაყოფილებელი დამოკიდებულების ნაცვლად ვხედავთ ძირითადად პოზიტიურ, თვითალტაცებულ, თვითკმაყოფილ დამოკიდებულებას. ამიტომ, ბუნებრივია, საკუთარ სრულფასოვნებასა და შემოქმედებით სრულყოფილებაში დარწმუნებული მწერალი ელემენტარულ კრიტიკულ შენიშვნასაც კი (ვგულისხმობ, რომცა შენიშვნა მისი შემოქმედებისადმი, ლიტერატურისადმი სიკეთარულია და პატრიოტიზმითაა გამოთქმული), არაუნებრივად მტკივნეულად იღებს და „მტრობის" გამოვლინებად აღიქვამს.

ჩემი აზრით, ჩვენი თაობის კრიტიკოსების ერთ-ერთ მთავარ დანიშნულებად უნდა იქცეს ჩვენივე და მომდევნო თაობათა მწერლებში საკუთარი თავისა და შემოქმედებისადმი განუწყვეტელი თვითკრიტიკული და ჯანსაღი კრიტიკული დამოკიდებულების მოთხოვნილების განვითარებისთვის ზრუნვა თვით მათივე ინტერესებიდან, და მაშასადამე, ქართული ლიტერატურის ინტერესებიდან გამომდინარე.

მწერალი, რომელიც თავის შემოქმედებით პოტენციათა ამოწურვას გრძნობს და შემოქმედებითი წინსვლის რწმენას კარგავს, უველაზე მეტად იუარებს ქებას და ავადმყოფურად გაურბის საკუთარი ნაკლოვანებებისადმი როგორც თვითკრიტიკულ, ისე კრიტიკულ შეფასებასა და დამოკიდებულებას კოლეგების, მკითხველების, კრიტიკოსების მხრიდან. მაგრამ თუ ეს კრიტიკა (ობიექტური, „დაუნდობელსებელი" კრიტიკა) შემოქმედებით ძალებითა და ახალი წარმატებების რწმენით აღსავსე მწერალს ეხება, ნაკლოვანებათა თუ წარუმატებლობათა მხილება ახეთი მწერლისათვის არა საზოფარკვეთისა და უსასოობის, არამედ საკუთარი ძალებისა და რწმენის განმტკიცების წყაროდ გადაიქცევა.

მეც მინდა მჯეროდეს, რომ ახალგაზრდა ავტორთა მიმართ პატივისცემის გრძნობითა და სიყვარულით გამოთქმული სურვილები თუ შენიშვნები სასოწარკვეთასა და უსასოობას კი არ მომკვლის, არამედ შემდგომი შემოქმედებით სრულყმნისათვის ზრუნვისა და ნამდვილი მხატვრული გამარჯვებებისათვის შეაგულიანებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩიკაგო — ყველაზე თეატრალური ქალაქი ამერიკაში“ — ამბობს რეჟისორი და პროდუსერი პიტერ ხელარსი. ამ რაიონში ასზე მეტი კომერციული, საზოგადოებრივი, საგაბმანათლებლო და არაპროფესიული თეატრი მოღვაწეობს, რომლის რეპერტუარიც ძალზე მრავალფეროვანია.

„უჩვეულოდ მრავალფეროვანია ჩიკაგოს თეატრალური ცხოვრება, — წერს გაზეთი „ნიუიორკ ტაიმსში“ ფრენკ რიჩი, — აქ, ჭერ კიდევ ნახავთ „სექსნოდ სიტყვა“ თეატრის იმპროვიზირებულ რეკვიუს და მეკენიერულ ფანტასტიკას, ექსპერიმენტულ პიესებს, ახალ მიუზიკლებს, ავრეთვე ტენეს უილიამსის, ნილეს კოუარდის და არტურ მილერის ძველი პიესების ახალ დადგმებს“.

1. „ნორთლაიტი“ ძალზე პოპულარული თეატრია ჩიკაგოში, დაარსდა 1974 წელს, განკუთვნილია 300 მაყურებლისთვის. აქ, სპექტაკლების შემდეგ ხშირად იმართება დისკუსიები. თეატრი ეშრიდ აწყობს დღის სპექტაკლებს მოსწავლეებისა და ეკრუ-მუნჯთათვის. დიდი ხანი არ არის, რაც დაიდგა წერილ ნელსონ ოლგრენის „ბზარდი ქალაქის“ მიხედვით შექმნილი მუსიკალურ-თეატრალური კომპოზიცია და მიხეილ ბულგაკოვის „ძალის გული“.

2. „პეზდომ-გრიჯი“ („სიბრძნის ხიდი“) ჩიკაგოს ყველაზე პატივსაცემი და ნოვატორული თეატრალური კოლექტივია. იგი არსებობის 12 წელს ითვლის, თეატრის დარბაზი 196 მაყურებელს იტევს. თეატრმა მაყურებელს უჩვენა ევრიპიდეს კლასიკური დრამის მიხედვით იაპონური თეატრის სტილში დადგმული „მედეა კაბუკი“ და შექსპირის „მაბლეტი“. (ამ პიესაში მსახიობები თანამედროვე კოსტიუმებით თამაშობდნენ). ამავე თეატრის სცენაზე დაიდგა ტენეს უილიამსის „ტრამვაი სურვილის“, ბერტოლდ ბრეხტის „დედა კურაჟი და მისი შვილები“, მოლიერის „ტარტიუფი“. „ვიზდომ ბრიჯი“ პოპულარული გახდა ჩიკაგოს ფარგლებს გარეთაც, განსაკუთრებით კი ინგლისის (1985 წ.) გასტროლების შემდეგ.

3. „ჩრდილო-დასავლეთ უნივერსიტეტი“ ჩრდილოეთ ჩიკაგოს გარეუბანში ეკასტონში მდებარეობს. აქ, პირველად ამერიკაში 1878 წელს დაარსდა ჩრდილო-დასავლეთ უნივერსიტეტის მეტყველების სკოლა. 1980 წელს აშენებულ „ახალ უნივერსიტეტის თეატრალურ ცენტრში“ ოთხი ოთახია: ერთი დარბაზი 350 ადგილიანია, მეორე 425 მაყურებლისთვისაა განკუთვნილი, აქვეა ორი 100-150 კაციანი ექსპერიმენტული თეატრი. დადგმებში ძირითადად სტუდენტები თამაშობენ, ბევრი მათგანი რეჟისორობს კიდეც.

4. „ორბანიკი“ ჩიკაგოს ერთადერთ პროფესიულ თეატრს წარმოადგენს. ამ თეატრის დასი მხოლოდ ახალ პიესებს დგამს. თეატრი 1969 წელს დაარსდა და დღემდე 30 ახალი პიესა აქვს დადგმული, გამოსულია ბროდვეიზეც და ჯოზეფ პაპის ეროვნულ თეატრშიც.

5. თეატრი „ლათინო-ჩიკაგო“ 1979 წელს დაარსდა. ყოველი წლის დეკემბერში თეატრის დასი ჩიკაგოს ესპანურ რაიონებში ხაშობათ პიესას წარმოადგენს. დანარჩენ დროს კი ჯგუფი ადგილობრივ სკოლებსა და კოლეჯებში გამოდის. ახლახანს თეატრმა დადგა მიგელ მიურის „სამნი ბინდ-ბუნდში“.

6. „ბლეკ-ანსამბლი“ თეატრალურ კორპორაციას წარმოადგენს, რომელიც 1976 წელს შეიქმნა. დარბაზი 150 მაყურებელს იტევს, ძირითადად ჩიკაგოელი ზანგი დრამატურგების პიესები იდგმება.

7. „[illegible]ბა ბილდინგ“ („თეატრალური მენთბა“) ძველ მივარდნილ ნაგებობაზე წარმოადგენდა, რომელიც შემდგომ სამ 148 ადგილიან თეატრალურ დარბაზად გადაკეთდა. თეატრმა არსებობის 12 წლის მანძილზე 112 სპექტაკლი აჩვენა. 1985 წელს „ხიეთა ბილდინგში“ ერთდროულად აწმოგადგინ მიდიოდა სამი პიესა. მათ შორის ერთ-ერთი იყო ტომ სტოპარდის „აურზაური“.

8. „სპულ-ფლეიუორკს“ ნაბავშვო თეატრია. დაარსდა 1987 წელს. ხეზონის მანძილზე აქ 3 პიესა იდგმება, რომელსაც 35 000-მდე ბავშვი ეხვრება. ბოლო პერიოდის დადგმებია: ჩარლზ დიკენსის „დეკიდ კოპერფილდი“, ანდერსენის „ზღაპარი „ნაძვი“, რონ მარკის პიესა „ბიგ-მორნთან ბრძოლის ჩაჩდილები“.

9. „სპარნდ სიტი“ საეტრაიდო თეატრია, სადაც თავის დროზე ყველა სახელმოხვეჭილმა კომიკოსმა და პოპულარულმა ამერიკელმა მსახიობმა დაიწყო მოღვაწეობა. ჩვეულებრივი საღამოს შოუ-სატიროული სეტყრები — 8 საათზე იწყება და 11 საათზე თავრდება. შემდეგ მსახიობები იწყებენ ახალ მასალაზე მუშაობას. მაყურებელს შეუძლია შესთავაზოს მსახიობს რაიმე სახე, სიტუაცია, დიალოგიც კი. ამის შემდეგ აქტორი 20 წუთით ტოვებს სცენას, რათა ამ მასალაზე ახალი სეტყრი შექმნას და 20 წუთის შემდეგ იგი წარმოადგინოს. მათ შორის საუკეთესო, ხათანადო დახვეწის შემდეგ რეკულარული შოუს ნაწილად იქცევა.

10. „ფუბარის თეატრი“ 1906 წელს აშენდა. თავიდან მას „მეჯესთიკ“ ეწოდებოდა. 1945

წელს თეატრი „შუბერტის თეატრის“ სახელწოდებით განახლდა. აქ, ჩამოაქვთ საგაბატონოლო სპექტაკლები ბროდვეიდან, მათ შორის ისეთი ცნობილი მიუზიკლებიც, როგორც ტომას ელიოტის ლექსების კრებულის „კატების“ ენდრიუ ლლოიდ უებერის მუსიკალური ვერსია წარმოადგენს.

11. ბუდმანის თეატრი 1925 წელს ჩამოყალიბდა. იგი ერთ-ერთი უძველესი რეპერტუარი თეატრია ამერიკაში. თავიდან იგი ჩიკაგოს ხელოვნების ინსტიტუტთან და ბუდმანის დრამატულ თეატრთან იყო გაერთიანებული, 1977 წლიდან კი დამოუკიდებელი თეატრი გახდა. თეატრის ძირითად 658 კაციანი დარბაზისთვის 6 პიესისგან შემდგარი ბინაუმენტური სერიაა განკუთვნილი. მათ შორისაა ისეთი დიდი დადგმაც, როგორიც ლეონარდ ბერნსტაინის მიუზიკლი „ანდიდიანა“. 185 ადგილიან დარბაზს კი „სტუდია“ ეწოდება, აქ იდგმება ახალი პიესები. 1985-86 წლების სეზონში ცენტრალური ადგილი დაიკავა ა. ჩეხოვის „ალუბლის ბაღის“ მიმეტისიულმა ადაპტაციამ.

12. თეატრი „ვიქტორი ბარდენს“ აკადიორთა თამამ ჯგუფს წარმოადგენს. მათ უყვართ თანამედროვე ავტორების მაროლდ პინტერის, ს�შეპარდის და ლანფორდ უილსონის პიესების დადგმა. თეატრს ორი დარბაზი აქვს: ერთი 195 კაცსა და მეორე 75 ადგილიანი სტუდიაა. მცირე დარბაზში ექსპერიმენტალური დადგმები ეწყობა.

13. „სტეპენვულფი“ ახალგაზრდების ჯგუფმა დაარსა, წარმოდგენებს 1977 წლიდან მართავენ. ჯონ მალკოვიჩმა აქ ამ თეატრში დაიწყო მუშაობა და ბოლოს, პოლივუდსა და ბროდვეიზე ტრიუმფალური კარიერის შემდეგ ავადმყოფობა დაუბრუნდა. თეატრის დასი, მსახიობებისაგან შედგენილი ანსამბლია, ისინი ერთად კითხულობენ ყველა პიესას, შემდეგ ორ სამხატვრო ხელმძღვანელთან ერთად წყვეტენ მისი დადგმის საკითხს. სპექტაკლების შემდეგ, საშობაოთათვის და ხუთშაბათობით იმართება დისკუსიები.

14. ჩიკაგოს შექსპირის თეატრში ძირითადად შექსპირის პიესები იდგმება. რეპერტორი ტომ ტრუსერი ამბობს: „დეკორაციის გარეშე, მინიმალური ტექნიკური საშუალებებით, ჩვენ ვცდილობთ გადმოვცეთ შექსპირის პოეზია, გავაცოცხლოთ მისი პიესები“. თეატრი 1981 წელს დაარსდა, დასის ბირთვს 7 მსახიობი წარმოადგენს. 1984 წლის ივლისში ჩიკაგოს ლინკოლნის პარკში დადგა შექსპირის პიესა „როგორც გენებოთ“. მასში მონაწილეობდნენ ჯულია გაინი და ელინაბეტ კელი.

15. „ბოდი პოლითიკს“ 1969 წელს შეიქმნა. თეატრი ივლის, რომ მისი მისია შექმნას სპექტაკლები, რომლებიც დრამატურგიის ქმნილებებიდანაა აღებული და, რომელიც მნახველს ჩაფიქრებს. ამიტომ, ყოველწლიური რეპერტუარი კლასიკურნი, ძირითადად კი შექსპირის პიესებზე დაფუძნებით იქმნება. თუმცა თეატრის რეპერტუარში ბევრი ახალი ავტორის პიესაა. თეატრის პროგრამა „ბიბლიური ისტორიები“ ჩიკაგოს ეკლესიებში და სინაგოგებში იდგმება, ხოლო „ლაბორატორიულ“ პროგრამას სკოლებში, საავადმყოფოებსა და სხვა დაწესებულებებში წარმოადგენენ. „ბოდი პოლითიკს“ აქვს სპეციალური სპექტაკლები ყრუ-მუნჯთათვის და ფირზე ჩაწერილი სპექტაკლები უსინათლოთათვის.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-33, პასუხისმგებელი მდივანი 72-43-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35, პროზის — 72-26-30, „ცისკრის“ დამატება — 72-17-01, საკორესპონდენტო — 72-47-62.

გადაეცა ასაწყობად 3.04 87 წ., ხელმოწერილი. დასაბეჭდად 4.06.87 წ., ქაღალდის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 11. საღრ.სგ. თაბახი 15,85. შეკვეთა 615. უე 04475. ტირაჟი 65.000.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

6+/108

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ.

ინდექსი 76286

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ